სულხან ალექსაია

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების კონფლიქტების ანატომია

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

სამეცნიერო რედაქტორები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ოთარ გოგოლიშვილი

რეცენზენტები:
ისტორიის დოქტორი ნუგზარ ზოსიძე
ისტორიის დოქტორი ოლეგ ჯიბაშვილი

© ს. ალექსაია, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-529-9

ვუძღვნი, ჩემი შვილის
გიორგი ალექსაიას ხსოვნას.

აფხაზეთრისა და ცხინვალის რეგიონის კონფლი–ქტები საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. რომელიც, როგორც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული ასევე XXI-ე საუკუნის დამდეგის მთელი რიგი პრობლემების მიუხედავად მთავარ წარმართველ ვექტორს წარმოადგენდა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში.

ნაშრომში გაანალიზებულია უაღრესად რთული პრობლემა. ისეთი, როგორიცაა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების წარმოშობის წანამძღვრები, მისი ესკალაციისა და გამოწვევის ყველა მიზეზი უძვე–ლესი დროიდან დღემდე, რომლებმაც ქართულ იურიდიულ სივრცეს მოწყვიტეს ძირძველი ქართული კუთხეები. ნაშრომში განხილულია საკითხის ირგვლივ არსებული ქართული და უცხოური ნარატიული წყაროები, მრავალრიცხოვანი პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუ–მენტები და ძალიან მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა.

შესავალი

თანამედროვე სეპარატიზმი, როგორც პოლიტიკური მოძრაობა, პროგრამა და ძალმომრეობითი ქმედება, დაფუძნებულია არასწორად გააზრებულ თვითგამორკვევის პრინციპზე: თითქოს ყოველ ეთნიკურ ერთობას უნდა ჰქონდეს საკუთარი, სახელმწიფოებრივად გაფორმებული ტერიტორია. სინამდვილეში ასეთი აზრი არ არის გატარებული არც სამართლის თეორიაში, არც ნაციონალურ კანონმდებლობებში და არც საერთაშორისო-საკანონმდებლო დოკუმენტებში. თვითგამორკვევა, განსაკუთრებით ეთნიკური ჯგუფისათვის, უპირველეს ყოვლისა გულისხმობს ფართო საზოგადოებრივ – პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღების უფლებას. სეპარატიზმი, მისი ეთნიკური გაგებით, არის არსებული სისტემიდან გამოსვლა, ან მისი დარღვევა ცალკე ეთნო-კულტურული ერთეულის სახელმწიფოებრივად გაფორმების მიზნით. სეპარატისტებისთვის თვითგამორკვევა ყოველთვის საერთო სახელმწიფოსგან ჩამოშორება, მისგან პოლიტიკური და კულტურული გამოყოფაა.

დღეისათვის სახელმწიფოთა მსოფლიო თანამედროვე სისტემა ჩამოყალიბების გარკვეულ სტადიაზეა. ყოფილი საბჭოთა იმპერიის დაშლის კვალობაზე, პოსტსაბჭოურ სივრცეში ფართო გაქანება მიეცა ეთნიკური სეპარატიზმის წარმოშობასა და მის ხელოვნურად გაღვივებას. ყოველთვის, როცა ეთნიკურ დაჯგუფებათა პოლიტიკური აქტივისტები თუ შეიარაღებული დაჯგუფებები, რომლებიც იბრძვიან არსებული სახელმწიფოდან გამოყოფისა და ახალი

სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის მთავრდება სისხლიანი კონფლიქტებით და მოსახლეობის მასიური ძალდატანებითი გადაადგილებით. ფაქტიურად აღნიშნულ სივრცეში შეიარაღებული სეპარატიზმის არც ერთი შემთხვევა არ დამთავრებულა პოლიტიკური მიზნის მიღწევით. ამავე სივრცეში, იქ სადაც სეპარატიზმი არსებობს პოლიტიკური ფორმით, მათი მომხრეები ათწლეულების მანძილზე ვერ აღწევენ სახელმწიფოში არსებული მოსახლეობის უმრავლესობასთან შეთანხმებას ერთიანი სახელმწიფოს დაშლის გადაწყვეტილების მიღებაში.

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირი დაიშალა. ყოფილი თხუთმეტი რესპუბლიკის მოსახლეობამ აღიდგინა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი და აირჩია ლეგიტიმური ხელისუფლება. დამოუკიებლობას მიაღწიეს მრავალეთნიკურმა ერებმა და არა მარტო ეთნიკურმა ყაზახებმა, ლიტველებმა, ესტონელებმა თუ სხვა ერებმა. ნიშანდობლივია, რომ რაც უფრო იზრდება ახლად წარმოქმნილ სახელმწიფოთა რიცხვი, მით უფრო მრავლდება სეპარატიზმის მომხრეები, რომლებიც მოითხოვენ ცალკეული ეთნიკური ჯგუფების დამოუკიდებლობის აღიარებას. ცნობილია, რომ რაც უფრო მეტი სახელმწიფოა, მით უფრო მეტი უმცირესობაა. ყველა ახალი საზღვარი ქმნის საზოგადოებებს და ყველა ახალ სახელმწიფოში კულტურული მრავალფეროვნება ბადებს ახალ ჯგუფურ განსხვავებულობას დომინანტ ჯგუფთან შედარებით. „მრავალეროვნულობა", როგორც სეპარატიზმის იდეოლოგიური საფუძველი, ზოგადად, ჩნდება არა იქ, სადაც ეთნიკური სხვადასხვაობა მრავლადაა წარმოდგენილი, არამედ იქ, სადაც ეთნიკურ სხვადასხვაობას ემატება პოლიტიკური ასპექტები. ხშირად გარეშე მაღიზიანებლები იყენებენ ამ განსხვავებულობას და იწვევენ სეპარატიზმის ხელოვნურ გაღვივებას

(როგორც ეს საქართველოში–აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მოხდა).

არცთუ იშვიათად, ზოგიერთი სახელმწიფო პოპულისტურ და „ფასადურ" პოლიტიკას ატარებს ადგილობრივ მრავალრიცხოვან ეთნიკურ ჯგუფებთან დაკავშირებით. სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარადაა. მაგალითად, იუგოსლავიის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე გაეროს ექსპერტების მიერ იგი აღიარებულ იქნა, როგორც ერთ-ერთი სანიმუშო სახელმწიფო უმცირესობათა ინტერესების სამართლებრივად უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამავე თვალსაზრისით საბჭოთა კავშირიც თითქოსდა ნორმალურად გამოიყურებოდა. სინამდვილეში კი მიმდინარეობდა მათი შინაგანი ნგრევა. თუმც ადგილი ჰქონდა უფრო რთულ და მმართვად პროცესებსაც, კერძოდ დეინტეგრაციის წახალისებასა და მის ხელოვნურად გაღვივებას ჰქონდა ადგილი საბჭოთა კავშირის იმ რესპუბლიკებში, რომლებიც ცდილობდნენ დამოუკიდებლობის მოპოვებას. ამის ერთ-ერთი მაგალითია აფხაზებისა და ცხინვალელი ოსების სეპარატისტული გამოსვლები „ნაციონალური თავისუ–ფლებისა" და დამოუკიდებლობის მოპოვების მოთხოვნით.

ბუნებრივია, აფხაზ და ოს სეპარატისთა ამ გამოწვევას სათანადო პასუხი გაეცა საქართველოს სახელმწიფოს მხრივაც. აშკარაა, რომ ეს გახლდათ ჯერ ცარისტული რუსეთის და შემდეგ საბჭოთა იმპერიის მიერ ჩადებული „ნაღმი", რომელიც მათივე ხელით იქნა გააქტიურებული. საბოლოო ჯამში კი ამას მოჰყვა კონფლიქტის ესკალაცია, შინაგანი რესურსების მობილიზაცია და საქმე მივიდა დამანგრეველ შეიარაღებულ კონფლიქტამდე. ანალოგიური ხასიათის კონფლიქტებს ჰქონდა ადგილი მოლდოვაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩეჩნეთში და სხვაგან.

სეპარატიზმის დრამატული და ჩახლართული ისტორია არ ცვლის თანამედროვე მსოფლიოს ერთადერთ სწორ პოლიტიკას – ეს არის შინაური კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება. ყველა პრობლემა, დაწყებული ყარაბახიდან, აფხაზეთიდან, ცხინვალის რეგიონიდან, ჩეჩნეთიდან – კოსოვომდე უნდა გადაწყვეტილიყო მშვიდობიანი, დემოკრატიული პროცედურების გავლის გზით.

საკმარისი არ არის ვამხილოთ თანამედროვე სეპარატიზმი, აუცილებელია გაირკვეს რით იკვებება იგი და რა შეიძლება მას დავუპირისპიროთ. პირველ რიგში შეიარაღებული სეპარატიზმი მოიცავს ძალიან ბევრ დაინტერესებულ და უპასუხისმგებლო (ზოგიერთ შემთხვევაში გულწრფელად დაბნეულ, მაგრამ ხშირად საკუთარი ეროვნული ინტერესების აშკარა მოღალატე მარიონეტ) მოქმედ სუბიექტს, რომლებიც სრულებითაც არ არიან თავისუფალნი თავიანთ არჩევანში, აირჩიონ სამშვიდობო და ეფექტური სტრარეგია. სეპარატიზმის ინიციატორები მხოლოდ სიტყვით გამოდიან, როგორც „თავიანთი ხალხის“ კეთილისმყოფელნი, სინამდვილეში კი ისინი ასრულებენ გარეშე დაინტერესებული, აგრესიული ძალის შეკვეთას. ამას ემატება მათი ვიწრო ეგოისტური მოსაზრებები–თავი განიმტკიცონ, როგორც „სახელმწიფოს ლიდერებმა“, და შექმნან ახალი ბიუროკრატია. ფასი, რომელიც უნდა გადაიხადონ თანატომელებმა სეცესიის პროექტის რეალიზაციისათვის, არ არის მთავარი, თვით სეცესია ცხადდება საღვთო პრინციპად, რომელიც არ ექვემდებარება არანაირ განხილვას, იმიტომ რომ იგი სხვის მიერაა შეკვეთილი.

მეორე მხრივ, ლოზუნგს დამოუკიდებლობის მოპოვებისა ყოველთვის ახლავს არსებული სახელმწიფოს საწინააღმდეგო პროპაგანდა, რომელიც ეხება ქვეყნის სხვა მცხოვრებლებსაც. თვით სუბიექტის სეცესიის

მდგომარეობა იხატება განზრახ დამახინჯებული ფორმით. აფხაზური სეპარატიზმი იყენებს მითს იმის შესახებ თითქოს მას ორიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი არსებობის ისტორია ჰქონდეს, რომელიც აფხაზებმა თითქოს დაკარგეს. თუმცა ამ ე.წ. „აფხაზურ სახელმწიფოსთან" დაკავშირებით სიმართლე სხვაგვარია: ეს იყო პირობითი სახელი (აფხაზთა სახელმწიფო) და რეალურად ის არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ აფსუებს ჰქონდათ სუვერენული (აფსუური ეთნოსის) სახელმწიფოებრიობა. მითუმეტეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ აფსუური დამწერლობა სულ ახლახან, XIX-XX საუკუნეებში შეიქმნა, და როგორ წარმოუდგენიათ თვით აფხაზ ისტორიკოსებს ასეთ ვითარებაში აფსუების სახელმწიფოს ორი ათასწლოვანი ისტორია დამწერლობის გარეშე. ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ოსები იყენებენ ჩრდილოეთ ოსეთთან გეოგრაფიულ მოსაზღვრეობას და მათთან ერთიან პოლიტიკურ სივრცეში მოისაზრებენ თავს და ეს მაშინ, როცა ისინი კავკასიის ქედის სამხრეთით რუსეთის იმპერიის უხეში ზეწოლისა და ამის შედეგად აშკარა განადგურების საფრთხის გამო აღმოჩნდნენ ხიზნები. ყარაბახში დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის გამოიყენებოდა საბჭოთა დემაგოგია, რომ თითქოს ყველა ერს აქვს უფლება თავისი სურვილისამებრ გამოაცხადოს დამოუკიდებლობა. არსებობდა ასევე მითები კულტურული გენოციდის და ანტისომხური გენოციდის შესახებ. კოსოვოში სეპარატიზმს საფუძვლად ედო დიდი ალბანეთის იდეა, იყო პროპაგანდისტული კამპანია სერბების მიერ ალბანური უმცირესობის შევიწროებისა. ობიექტური ანალიზი არ იძლევა საბაბს ამ სეპარატისტულ მოძრაობებში მოვნახოთ შინაგანი ძლიერი არგუმენტები. რაც კიდევ ერთხელ ამყარებს ჩვენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თანამედროვე

სეპარატიზმი იკვებება პოლიტიკურად და გეოსტრა–ტეგიულად დაინტერესებული გარეშე ძალებისაგან და სწორედ ამ უკანასკნელებს მიუძღვით მასში ლომის წვლილი. ასეთ ვითარებაში სეპარატიზმის რესურსი მძლავრია, მითუმეტეს ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწი–ფოში მძვინვარებს ის.

როგორც ჩანს, დადგა დრო გავაანალიზოთ, რომ დეზორიენტირებულ მოქალაქეთა ხელში ჩავარდნილი იარაღი ხდება ძირითადი პირობა იმისა, რომ სეპარატიზმის პოლიტიკური ლოზუნგი გადაიქცეს ღია ძალადობად, რომლის რეგულირება ძალიან ძნელია. მაგრამ, როგორც სჩანს, ყველაფერი მანამ დარჩება ძველებურად, სანამ ყოველივე ამის შემოქმედ კონფლიქტის ძირითად გარე ინპსირატორებს არ აიძულებენ მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა და მათი ხალხების ბედსა თუ მათ მიერვე აღებულ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

ზოგჯერ სეპარატიზმს კვებავს ქვეყნის გარეთ მცხოვრები დიასპორა, რომელიც ყოველთვის ემოციურ და ფინანსურ მხარდაჭერას აღმოუჩენს ხოლმე მაინტრიგებელ სარისკო პროდუქტებს. ზოგჯერ, მაშინაც კი, როცა ისინი არასოდეს არ ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში და არც აპირებენ აქ ცხოვრებას. იქ სადაც ამ დიასპორას აქვს მაღალი სტატუსი, შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს სახელმწიფო პოლიტიკაზე და ქვეყანაში შექმნილი სეცესიური სიტუაციიდან გამოსავლის თავისი ვერსია მოახვიოს თავს, ან კიდევ მიიღოს მისგან საჭირო რეზოლუციები, სამართლებრივი აქტები და ასიგნაციები. ყარაბახმა, კოსოვომ და ნაწილობრივ ჩეჩნეთმა დაგვანახა, რომ დიასპორა, განსაკუთრებით კონფლიქტის დროს ჩამოყალიბებული ახდენს ამ კონფლიქტის უზურპაციას და ახშობს „ხალხის თავისუფალ ნებას".

ზოგჯერ ხდება, რომ დიასპორა იძულებულია კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის მომხრე გახდეს და ეწინააღმდეგება შეიარაღებულ სეპარატისმს. ეს იმ შემთხვევაში, როცა შესაძლოა იგი გახდეს მიზეზი მათი საცხოვრებელი ტერიტორიებიდან აყრისა.

თანამედროვე დიასპორები ისეთი ძლიერია, რომ შეუძლიათ შეწყვიტონ კონფლიქტები, ან გაახანგრძლივონ იგი ათწლეულების მანძილზე და დაეხმარონ მეომარ მხარეს ფულით და პოლიტიკური მხარდაჭერით. მაგალითად, ინდოეთში და დასავლეთის ქვეყნებში მცხოვრები თამილების დიასპორა უკვე ოც წელზე მეტია შეიარაღებულ თამილ სეპარატისტებს აფინანსებს შრილანკაში. კოსოვოს სეპარატისტებიც იარაღს ნაწილობრივ თავიანთი დიასპორის ხარჯზე ღებულობდნენ. ჩვეულებრივად ითვლება, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები მოქალაქეები, რომელთაც „ფესვები" აქვთ რომელიმე ქვეყნიდან, მოსალოდნელი არის ჩაერიონ ამ ქვეყნის საქმეებში, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ერთხელაც არ არიან ნამყოფი იქ და მშობლიური ენაც არ იციან. კოსოვოში ალბანული წარმოშობის ამერიკის მოქალაქეები ფაქტობრივად ღიად მოანაწილეობდნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე არსებულ შეიარაღებულ გამოსვლებში. თუ კი ამას დაუმატებთ იმასაც, რომ ამერიკაში მცხოვრები ირლანდიელები ფულისა და თავიანთი სიმპატიის გამოხატვით მრავალი ათწლეულების მანძილზე ეხმარებიან ოლსტერის პატრიოტულ დაჯგუფებებს, გამოდის, რომ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი უძლურია სეპარატიზმის გავრცელებაში ძლიერი ხელშემშლელი როლი ითამაშოს.

საქართველოში არსებული ოსურ-აფხაზური სეპარატიზმი ბოროტად იყენებს საერთაშორისო ორგანიზაციების ზრუნვას. ისინი მოიშველიებენ ხოლმე საერთშასორისო დეკლარაციებსა და კონვენციებს,

როგორც თითქოსდა მათ დამცველ მექანიზმს. არადა საქმე სრულიად სხვაგვარადაა. ქართული სახელმწიფოს სასარგებლოდ ღაღადებს ისტორია და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაციებსა და მიღებულ დოკუმენტებში კონფლიქტში ქართული მხარეა გამართლებული. მსოფლიო ჯერ კიდევ ინტენსიურად აკეთებს „უმცირესობათა სამართლის" იდეოლოგიის პოლიტიკურ კორექტურას და აკრიტიკებს მათ პოზიციას უმრავლესობისა და სახელმწიფოს სასარგებლოდ. ქართულ სინამდვილეში აფხაზურ-ოსური სეპარატიზმი ცდილობს საკუთარი დამახინჯებული სცენარის სხვისთვის თავს მოხვევას.

სეპარატიზმი ვერ გახდებოდა გლობალური პრობლემა, ის რომ არ იყოს სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ მიმართული იარაღი. ეს მომენტი არსებობდა წარსულშიც, როდესაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ვ. ვილსონი, ჟ. კლემანსო და ლ. ჯორჯი ანიჭებდნენ „სუვერენიტეტს" სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხებს, ან მეორე მსოფლიო ომის დროს სტალინი და სხვა გამარჯვებულები ცვლიდნენ საზღვრებს იმავე ლოზუნგით.

ახალი მსოფლიოს მომწყობთა უპასუხისმგებლო ენთუზიაზმი რუსეთსა და თანამედროვე მსოფლიოშიც ისე დიდია, რომ ისინი არ თაკილობენ ორმაგ მიდგომებს და განსაზღვრულ ფალსიფიკაციას. ამასთან, ხშირ შემთხვევაში გეოპოლიტიკურად გამოუსადეგარი სეპარატიზმი ვერ პოულობს მხარდაჭერას.

ქართველებისათვის ერთიანი სახელმწიფოს არსებობა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა და მის არსებობას მანამ ემუქრება საშიშროება, სანამ იარსებებს უცხო, დაინტერესებული მხარის მიერ ინსპირირებული და მის მიერვე ნასაზრდოები მარიონეტული რეჟიმები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

აფხაზეთის საკითხი ანტიკური პერიოდის წერილობითი წყაროების მიხედვით

ანტიკური პერიოდის წერილობით წყაროებში ხშირად არის მოხსენიებული დასავლურ ქართული ტომები. ამ პერიოდის ავტორები საუბრობენ კოლხეთის სამეფოს საზღვრების და ამ სახელმწიფოში შემავალ ტომთა ვინაობის შესახებაც. მათი ნაშრომების გაცნობის შემდეგ სრულიად ნათელი ხდება, რომ თანამედროვე აფხაზეთი და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორიები უშუალოდ კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. მათ ეს არა ერთხელ აქვთ მოხსენიებული თავიანთ წიგნებში და, როგორც წესი, ეს მათთვის სადაოც კი არ არის. შევეცდებით მიმოვიხილოთ მათი ნაშრომები ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით.

ერთ–ერთი პირველი ცნობები კოლხური ტომების განსახლების არეალზე დაცულია ,,არგონავტიკაში“. იქ საუბარია, რომ კოლხები ცხოვრობენ ბიძერების ზემოთ, ზღვისა და მიწის უკიდურეს მხარეში (II), პონტოს უკიდურეს საძღვარზე, იმ ადგილას, სადაც ფასისი ერთვის ზღვას(II). მდინარე ფასისი ა. როდოსელის თანახმად მოედინება კირკეს ველზე(II), რომელიც იწყება ამირანტის მთიდან[1]. ა. როდოსელი არა ერთგან საუბრობს თავის ,,არგონავტიკაში“, რომ არსებობს ,,კოლხთა ურიცხვი ტომი“. ,,არგონავტიკის“ მე–4 თავში საუბარია, რომ

,,იარაღსხმულ კოლხთა რაზმებმა მყის მიაშურეს მთავარ მოედანს.

---

[1]აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი აკაკი ურუშაძისა, თბ., 1970, გვ. 347

რამდენი ტალღა აბობოქრდება, ზღვას ნიავქარი რომ ჩაუქროლებს?
რამდენი ცალი ფოთოლი ცვივა ფოთოლცვენაში ტყის ყველა ხიდან?
რომელი დათვლის? სწორედ ამდენი კოლხი გამჩნდა მდინარის პირას"[2].

ა. როდოსელის ამ ცნობიდან ირკვევა, რომ კოლხები მრავალრიცხოვანნი ყოფილან, რაც იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ მათ მხოლოდ ფასისისა და ზღვის შესართავთან არ უნდა ეცხოვრათ. ისინი, სავარაუდოდ, ცხოვრობნენ ფასისის როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთის მიმართულებითაც. თუმცა, კონკრეტულად რა ტერიტორიებს მოიცავდა კოლხეთის სახელმწიფო, ა. როდოსელი არ საუბრობს.

ჩვენთვის საინტერესო მრავალი ცნობა აქვს დაცული ჰეკატაიოს მილეტელს, რომელიც მოღვაწეობდა დაახლოებით ძვ.წ. 549-472 წლებში. თავის წიგნში – „დედამიწის აღწერა" – მას ჩამოთვლილი აქვს ქართული ტომები კორაქსები, კოლები, მოსხები, ხოიები, ბექირები, ბიძერები, მაკრონები, მარები, მოსინიკები, ტიბარენები და ხალიბები. ჰეკატაიოს მილეტელის თანახმად კორაქსები და მოსხები კოლხური ტომებია[3]. ჰეკატაიოს მილეტელი საუბრობს კოლების მთაზე, და მდინარე ფასისზე. მისი ცნობებით კორაქსები ცხოვრობდნენ მერმინდელი ბზიფის რაიონში, კოლხები კი ბზიფის აუზსა და თანამედროვე სოხუმს შორის. ჰეკატაიოს მილეტელთან დაცულია ცნობები „კორაქსების ზღუდეზე", რომელიც ნ. ლომოურის თანახმად უნდა იყოს მდინარე ბზიფის ხეობაში[4].

---

[2]აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა, თარგმანი აკაკი ურუშაძისა, თბ., 1975, გვ. 161

[3]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976

[4]ნ. ლომოური,ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 35, 1963, გვ. 3-35

ამრიგად, ჰეკატაიოს მილეტელის თანახმად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიზე ცხოვრობდნენ ქართველური ტომები.

ქართველურ ტომთა შესახებ ცნობები მოიპოვება ჰეროდოტესთანაც. ის მოღვაწებდა ძვ.წ. 484-425 წლებში. მისი წიგნი „ისტორია“ შედგება ცხრა ნაწილისაგან. მას ამ ნაშრომში ჩამოთვლილი ჰყავს შემდეგი ქართველური ტომები: კოლხები, სასპერები, ხალიბები, მაკრონები, მოსხები, ტიბარენები, მოსინიკები და მარები. უშუალოდ კოლხთა ტომის განსახლების არეალზე არ საუბრობს, მაგრამ წერს, რომ კოლხებსა და მარებს ერთი მეთაური ჰყავთო[5].

ფრიად მნიშვნელოვანია ჩვენთვის აგრეთვე, ფსევდო–სკილაქს კარიანდელთან დაცული ცნობები. იგი წერს, რომ კოლხების სახელმწიფოში მოედინება შემდეგი მდინარეები: გვიენოსი, ქერობიოსი, ქორსოსი, არიოსი, ფასისი, რისი, „ყაჩაღთა მდინარე“ და აფსაროსი[6]. თ. ყაუხჩიშვილის თანახმად, მათ უნდა შეესაბამებოდეს შემდეგი თანამედროვე მდინარეების სახელები – მდინარე გვიენოსი უნდა იყოს თანამედროვე მოქვის წყალი, რომელიც ქალაქ ოჩამჩირესთან ჩამოედინება. მდინარე ფასისი კი გახლავთ თანამედროვე მდინარე რიონი. მათ შორის ფსევდო–სკილაქსს სამი მდინარე აქვს დასახელებული: ქერობიოსი, ქორსოსი და არიოსი. მდინარე ქერობიოსი უნდა იყოს თანამედროვე ოქუმი, მდინარე ქოროსი – ენგური, არიოსი კი – მდინარე ხობი[7].

ფსევდო–სკილაქსი საუბრობს აგრეთვე კოლხეთის სამეფოში შემავალ ტომებსა და მათი განსახლების არეალზე. იგი წერს, რომ სინდები ცხოვრობდნენ ტამანის ნახევარკუნძულიდან დაახლოებით დღევანდელ ნოვო–

---

[5]თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 341

[6]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976. გვ. 82

[7]თ. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 87

როსიისკამდე, ხოლო, ნოვოროსიისკიდან მოყოლებული ტუაფსემდე არსებულ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ კერკეტები და ტორები[8]. გ. მელიქიშვილის მტკიცებით, „კერკეტები“ უნდა უკავშირდებოდეს ეგრების სახელს.[9] ფსევდო–სკილაქსის ცნობებზე დაყრდნობით ნ. ლომოური წერს, რომ კორაქსები და კოლები ცხოვრობდნენ დაახლოებით ბზიფის შესართავის რაიონში[10].

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთი და მის ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია, ფსევდო–სკილაქსის თანახმად, კოლხეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილადაა გამოცხადებული, სადაც ბინადრობდნენ ქართველური წარმოშობის ტომები.

კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორია რომ დღევანდელი აფხაზეთის ბევრად უფრო ჩრდილოეთითაც გრძელდებოდა ამას კიდევ ერთხელ ადასტურებს ბერძენი ისტორიკოსი დიონისიოს პერიეგეტი. ის თავის „დედამიწის აღწერილობაში“ წერს, რომ ქალაქი პანტიკაპეიონი დააარსა კოლხეთის მეფის აიეტის შვილმაო[11]. ქალაქი პანტიკაპეიონი კი მდებარეობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში.

ჩვენთვის საინტერესო ცნობები დაცულია აგრეთვე ფლავიუს არიანესთანაც. ის მოღვაწეობდა ახ.წ. 95-175 წლებში. 131 წელს მან, რომის იმპერატორ ადრიანეს დავალებით, მოიარა შავიზღვისპირეთი – ტრაპეზუნტიდან დიოსკურიამდე. ის თავის წიგნში – „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო“ – წერს, რომ ქალაქი ძველი ლაზიკა იგივე ნიკოფსისიაო. ნიკოფსია კი გაიგივებულია თანამედროვე

---

[8]Гаидукевич В. Ф. Боспорское царство, 1949, С. 215-217

[9]Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 89

[10] ნ. ლომოური,ბერძენი ლოგოგრაფოსების ცნობები ქართველი ტომების შესახებ, 1963, გვ. 22

[11]თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1, თბ., 1967, გვ. 101-165

მდინარე ნეგოფსუხუსთან არსებულ ძველი ქალაქის ნანგრევებთან[12]. ფლავიუს არიანეს თანახმად, ტრაპეზუნტიდან ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსია) ბინადრობენ შემდეგი ტომები: კოლხები, სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბასკები, სანიგები და ძილქები[13]. ფლავიუს არიანეს თანახმად, მდინარე აფსაროსიდან (თანამედროვე ჭოროხი) დაახლოებით მდინარე ჰიპოსამდე (თანამედროვე კოდორი) არსებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ლაზები. მათ ძირითადად ეკავათ ზღვისპირა ზოლი. ლაზების ჩრდილოეთით, კოდორის ხეობაში ცხოვრობდნენ აფსილები. აფსილების მეზობლად ცხოვრობდნენ აბასგები, ჩრდილოეთით მდინარე აქეუნტამდე (თანამედროვე შახე) ცხოვრობდნენ სანიგები. მათ ეკუთვნოდათ ქალაქი სებასტოპოლისი[14].

ლაზებისა და სანიგების ეთნიკური კუთვნილების საკითხი მეცნიერთა შორის სადაო არაა. ისინი მიჩნეული არიან ლაზურ–მეგრულ ტომებად. აზრთა სხვადასხვაობაა აფშილებსა და აბასგებთან დაკავშირებით. მათ ქართველური წარმოშობის ტომებად აღიარებს თანამედროვე მეცნიერთა უმეტესობა, მაგალითად მ. ინაძე[15], პ. ინგოროყვა[16], დ. მუს–

---

[12]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 99

[13]ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნათელა კეჭაღმაძისა, თბ., 1961

[14]ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, გვ. 42-45

[15] მერი ინაძე, ანტიკური ხანის შაეი სღეის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1960 წ. №2, გვ. 145-162

[16]პაველ ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954

დ. მუსხელიშვილი[17], ივ. ჯავახიშვილი[18] და მრავალი სხვ. ხოლო ს. ჯანაშია წერს, რომ „მეგრული მოდგმის ტომის... არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს, უეჭველობით არის საგულისხმებელი“[19], და რომ „საკუთრივ აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთის მხრივ სვანური შტოსი, მეორე მხრით ჭანურ–მეგრულისა“[20].

საკუთრივ ფლავიუს არიანე არაფერს ამბობს ამ ტომთა ეთნიკური ვინაობის შესახებ, მაგრამ მომდევნო პერიოდის ავტორები ცდილობენ ახსნან მათი ეთნიკური კუთვნილება. მაგალითად, სტეფანე ბიზანტიონელი აფსილებს უწოდებს სკვითურ ტომს; იოანე ცეცე აბასგებს უკავშირებს მასაგეტების ტომს, ხოლო კოლხებზე წერს აზიელი სკვითები არიანო; ლიბანიოსი კოლხთა მეფე აიეტს სკვითთა მეფეს უწოდებს; აპოლონიოს როდოსელის სქოლიანტის თანახმად მაკრონები სკვითური ტომებია[21]; კოლხთა სკვითური წარმომავლობა თანამედროვე მეცნიერთა ნაშრომების თანახმად არ დასტურდება და იგი სრული აბსურდია. ანალოგიური მსჯელობით შეიძლება ვთქვათ, რომ აფსილები და აბასგები ისეთივე სკვითები არიან, როგორც კოლხები და მაკრონები.

საინტერესო ცნობებია დაცული ძვ.წ. V საუკუნეში დაწერილ ანონიმურ პერიპლუსში, რომელიც, ფაქტობრი–

---

[17]დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977

[18]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 427

[19]ს. ჯანაშია, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 11, 15

[20]იქვე, გვ. 15

[21]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 102

ვად წარმოადგენს მოგზაურობას შავი ზღვის გარშემო. მასში საუბარია ლაზთა განსახლების არიალზე: „დიოსკურისიდან ანუ სებასტოპოლისიდან მდინარე აფსაროსამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი კოლხებად წოდებული, ახლა ლაზებად სახელშეცვლილი“[22].

მრავალი ჩვენთვის საინტერესო ცნობაა დაცული სტრაბონთან, რომელიც მოღვაწეობდა დაახლოებით ძვ.წ. 64–ახ.წ. 24 წლებში. მის ნაშრომში „გეოგრაფია“ მრავალი ცნობაა დაცული ზოგადად საქართველოს შესახებ[23]. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტრაბონის მიერ აღწერილი კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრები. იგი წერს: „... ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან.

როგორც უკვე ვთქვით, თავიდანვე ეს სანაპირო მიემართება აღმოსავლეთისაკენ და უყურებს სამხრეთს, ხოლო ბატადან ნელ–ნელა ბრუნდება, შემდეგ შემობრუნდება დასავლეთისაკენ და სრულდება პიტიუნტთან და დიოსკურიასთან: კოლხიდის ეს ადგილები ხომ ესაზღვრებიან დასახლებულ სანაპიროს.

დიოსკურიის შემდეგ დანარჩენი სანაპირო კოლხიდისა არის და მის მომდევნო ტრაპეზუნტთან ჰქმნის მნიშვნელოვან მოხრილობას. შემდეგ პირდაპირ მიემართება, ჰქმნის მარჯვენა გვერდს პონტოსას, რომელიც უყურებს ჩრდილოეთს...“[24] სტრაბონი იქვე აგრძელებს – „დიოსკურია ამისთანა უბეში მდებარეობს და უჭირავს უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მთელი ზღვისა, ამიტომ [ამბობენ]

---

[22]ს. ყაუზჩიშვილი, გეორგიკა, II, 1965, გვ., 18

[23]თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, 1957

[24]თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ., 120-121

მასზე, რომ ისაა ევქსინის უშორესი ადგილი და უკიდურესი საცურაოდ...

ხოლო თვით დიოსკურია არის საწყისი იმ ყელისა, რომელიც კასპიისა და პონტოს შუაშია და საერთო სავაჭრო ადგილი მის ზემოთ და მახლობლად მცხოვრები ტომებისათვის.

[ერთთა აზრით ქალაქში] თავს იყრის 70 ტომი, ხოლო მეორენი ამბობენ, რომ 300-იო..."[25]

სტრაბონის თანახმად კოლხეთის მეფემ, ასანდრემ, I საუკუნის დასაწყისში მდინარე დონის ხეობაც თავის სახელმწიფოს შეუერთა[26]. მანამდე იქ სახელმწიფო არავის ჰქონდა. ასანდრემ ყირიმის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ მხარეში დიდი კედელი ააგო, რომელსაც მრავალი სათვალთვალო კოშკი ჩაუშენა.* სტრაბონი იქვე მოგვითხრობს, რომ ასანდრემ სამეფო ტახტი წაართვა ფარნაკეს ძვ.წ. 47 წელს და 40 წლამდე მართავდა კოლხეთს. ასანდრეს შეებრძოლა მითრიდატე პერგამელი და კოლხეთის დაპატრონებას შეეცადა, მაგრამ ასანდრემ ის დაამარცხა და მოკლა. ასანდრეს დროს კოლხეთი ვრცელდებოდა დონამდე. ამრიგად, სტრაბონის თანახმად, კოლხეთი მოიცავდა დღევანდელ დასავლეთ საქართველოს, ყირიმს და ტრაპიზონის მხარესაც. კოლხეთი წინათ შუა ყირიმამდე რომ ვრცელდებოდა, აღიარა რუსმა მკლევარმა იური პროცენკომაც. იგი წერდა, რომ ქუთაისის გუბერნიას კოლხეთი ეწოდებოდა და იგი

---

[25]იქვე, გვ. 122-123

[26]თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), თბ. 1957 წ. წიგნი 2, თავი 2, 11,13

*ნათელა ფოფხაძე მის მიერ შედგენილ წიგნში „ჩვენო საქართველო"(ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ)", თბილისი, 2002 წ. გვ. 19, გვესაუბრება, რომ ასანდრეს მიერ აგებული გალავნის სურათი 2001 წელს გამოქვეყნდა პარიზში ჟურნალ „არქეოლოგიაში"

ქალაქ ქერჩამდე იყო გადაჭიმული[27].

სტრაბონს მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება სვანებთან დაკავშირებითაც. ის მრავალრიცხოვან და ძლევამოსილ ხალხად მოიხსენიებს მათ – „[სვანები] თითქმის სუკეთესონი არიან სიმამაცისა და ძალის მხრივ: ფლობენ ისინი ირგვლივ [ყველაფერს] და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის: ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრეფენ ლაშქარს 200 000 [კაცის რაოდენობით]: მართლაც მთელი ხალხი მეომარია, მაგრამ არაორგანიზებული“.[28]

ბუნებრივია, რომ ასეთი მრავალრიცხოვანი ხალხი, როგორადაც მას ახასიათებს სტრაბონი, მხოლოდ თანამედროვე სვანეთის ტერიტორიაზე ვერ დაეტევოდა და რომც დატეულიყო, თავს ვერ გამოიკვებავდა. ისინი განსახლებული უნდა ყოფილიყვნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც. ანალოგიურ დასკვნებამდე მიდის მრავალი მკლევარი, რომელთა შესახებაც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

საინტერესო ცნობებია აგრეთვე დაცული კლავდიოს პტოლემაიოსთან, რომელიც მოღვაწეობდა ახ.წ. 100-178 წლებში. მისი ნაშრომი ქართულად აქვს თარგმნილი ნ. ლომოურს[29]. კლავდიოს პტოლემაიოსის თანახმად კოლხეთის სახელმწიფო იწყება მდინარე კორაქსიდან (თანამედროვე ბზიფი) და გრძელდება მდინარე ფასისამდე (თანამედროვე რიონი), სადაც ცხოვრობენ ლაზები, მანრა–

---

[27]И. Просенко, Об историй Грузий, Тб., 1886 г., с., 40-41

[28]თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, გვ., 126

[29]ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაიოსი, გეოგრაფიული სახელმძღვანელო. ცნობები საქართველოს შესახებ: მასალები, № 32, 1955, გვ., 32-65

ლები და ეკრიკტიკის ქვეყნის მცხოვრებნი[30].

„მანრალები“, საერთოდ, მხოლოდ პტოლემაიოსს ჰყავს მოხსენიებული, ხოლო „ეკრიკტიკე“ ლათინ ავტორებსაც – პომპონიუს მელას და პლინიუსს. დ. მუსხელიშვილი მანრალებს არგვეთის ტერიტორიაზე ათავსებს[31]. იმავე დასკვნებამდე მივიდა ს. კაკაბაძეც[32].

პტოლემაიოსი ერთადერთია, რომელსაც დასახელებული ჰყავს სუანოკოლხები, რომლებიც, მისი ცნობებით, უნდა ცხოვრობდნენ ჰენიოხებსა და მდინარე კორაქსს (ბზიფს) შორის[33]. ეს სივრცე კი მოიცავს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას. სუანოკოლხები თანამედროვე მეცნიერებაში ერთხმად სვანებად და კოლხებადაა მიჩნეული. აღნიშნულ საკითხს უფრო ვრცლად შევეხებით ქვემოთ.

კლავდიოს პტოლემაიოსი მრავალ მდინარეს ასახელებს, რომლებიც მდებარეობენ კოლხეთში. მაგალითად, მდინარე ჰიპოსი (თანამედროვე კოდორი), მდინარე კვანეოსი (მოქვის წყალი), მდინარე ხარიუსტოსი (ხობი), ფასისი (რიონი). პტოლემაიოსის თანახმად კოლხეთის ჩრდილოეთი საზღვარი არის მდინარე კორაქსი (ბზიფი). თ. ყაუხჩიშვილის თანახმად მდინარე ბზიფის ძველი ქართული სახელი უნდა იყოს კაპოეტის წყალი.[34]

---

[30]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 160

[31]დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, 1972, გვ. 103

[32]ს. კაკაბაძე, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს გენეზისი, საისტორიო მოამბე, 1924, I წ.., გვ. 30

[33]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 161

[34]თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 162

თანამედროვე ქალაქებთან იდენტიფიკაცია კლავდიოს პტოლემაიოსთან მოხსენიებული ქალაქებისა არაა მნელი. მაგალითად, დიოსკური უნდა იყოს სოხუმი, ან მისი ნაწილი, სიგანეონი გახლავთ თანამედროვე ქალაქი გუდავა, რომელიც მდებარეობს ერისწყლის პირას და სხვ.

კლავდიოს პტოლემაისი კოლხეთის სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, ჩრდილოეთის მიმართულებით, ასახელებს მდინარეებსა და ქალაქებს, რომელნიც სხვა ანტიკური ხანის ავტორებს კოლხეთის შემადგენელ ნაწილად აქვთ მოხსენიებული. მაგალითად, პტოლემაიოსი ასახელებს სარმატიის ტერიტორიაზე არსებულ სოფელ აქაიას, რომელიც ფლავიუს არიანეს თანახმად უნდა მდებარეობდეს კოლხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ გელენჯიკსა და ტუაფსეს შორის. პტოლემაიოსის თანახმად, აქაიას სამხრეთით მდებარეობს ქალაქი ტაბოსი, რომელიც ფლავიუს არიანეს მიხედვით არის იგივე ქალაქი „ძველი ლაზიკა“, ხოლო ანონიმის თანახმად კი ძველი ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია, რომელიც ამ ავტორების თანახმად კოლხეთის ქალაქს წარმოადგენდა. პტოლემაიოსს ნახსენები აქვს „მაგარი კედელი“, რომელიც არქეოლოგ კუფტინის თანახმად უნდა მოთავსდეს პიტიუნტის (ბიჭვინთის) ადგილას[35].

სვანებისა და ლაზების განსახლების არეალთან დაკავშირებით მეტად მიშვნელოვანი ცნობები აქვს მოცემული მემნონს, რომელიც მოღვაწეობდა მეცნიერთა ერთი ნაწილის თანახმად ახ.წ. I-II საუკუნეებში. ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით ძვ.წ. I საუკუნის მიწურულს, ან ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე. ქართულ ენაზე თარგმნილია მისი ნაწარმოები „ჰერაკლეის ისტორია“.[36]

---

[35]თ. ყაუხჩიშვილი, იქვე, გვ. 163

[36]თ. ყაუხჩიშვილი, მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები, ნაკვ. 34, 1962, გვ. 137-194

მემნონის აღნიშნული ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა გამოყენებული, არადა ის ფრიად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს სვანური და ლაზური ტომების ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მემნონი წერს: პონტოს მეფე მითრიდატემ ძვ.წ. 89-88 წლებში რომაელების წინააღმდეგ დიდი ომი დაიტყო. მან დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფენი. დაიპყრო ისინი და კავკასიონის გადაღმა მდებარე ტერიტორიამდე მათზე თავისი ძალაუფლება განავრცო. ამან კი ის ძალიან გაადიდგულა. რომის სენატმა მას უბრძანა სკვითების მეფისათვის წართმეული ტერიტორიები უკან დაებრუნებინა.

როგორც ზემოთ ვნახეთ, სკვითების მეფის ქვეშ ჩვენ კოლხთა მეფე უნდა მოვისაზროთ. მემნონის თანახმად კი მიტრიდატეს სახელმწიფოს საზღვრები პირიქითა კავკასიაშიც გადადიოდა.

მემნონის ცნობით ლაზები და სანიგები ცხოვრობდნენ სადღაც დიოსკურიასთან ახლოს. საკუთრივ სანიგები, რომლებიც ყველაზე ადრე ამ ფორმით მემნონთან გვხდებიან, ლოკალოზდებიან თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე.

ამრიგად, ანტიკურ წერილობით წყაროებში დეტალურადაა საუბარი კოლხეთის სახელმწიფოს საზღვრებსა და ქართველური ტომების განსახლების არეალზე. ამ წყაროთა თანახმად ცხადზე უცხადესია, რომ ანტიკურ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანადაა მოქცეული კოლხეთის შემადგენლობაში და იქ ბინადრობენ ქართული ეთნიკური ტომები.

აფხაზეთის საკითხი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით

ლეონტი მროველის თანახმად თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით. ლიხის მთიდან მდინარე ყუბანამდე იყო ეგროსის წილი – „ხოლო ეგროსს მიეცა ქვეყანა ზღვის ყურისა, და უჩინა საზღვარი: აღმოსავლეთით მთა მცირე, რომელსაცა აწ ჰქვიან ლიხი, დასავლით ზღვა, ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწვდების წვერი კავკასისა, ხოლო ამან ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი, აწ მას ადგილსა ჰქვია ბედია“.[1] თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობით აფხაზეთს ეგრისი უწოდეს ქართლოსის ძმის – ეგროსის სახელის გამო. მისი აზრით, ეგროსი აფხაზთა და მეგრელთა საერთო წინაპარი იყო. აფხაზი გახლდათ ეგროსის შვილიშვილი და სწორედ ამის გამო ეწოდათ აფხაზებს აფხაზები.[2]

მცირე ხაზარეთის მდინარე ეს იგივე მდინარე ყუბანია, ხოლო მაშინდელი ეგრისის ცენტრი ბედია კი ამჟამად თანმედროვე აფხაზეთში მდებარეობს. ლეონტი მროველი საერთოდ არ ახსენებს ტერმინს „აფხაზეთი“. როგორც ჩანს, ის მისი მოღვაწეობის პერიოდში (XI ს.) არ არსებობდა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად ტერმინი „აფხაზი“ შედარებით მოგვიანებით ჩნდება – „ხოლო

---

[1]ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 5

[2]თ. ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ტფ., 1848, გვ. 35

ანაკოფიის დასავლეთით არს აფხაზეთი, პირველად წოდებული აგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინაითგან წილი ეგროსისა არს ზღვამდე, მის გამო ეწოდა „ეგრი“–ვე, არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მას უწოდეს აბასა, ხოლო ქართველთა – აფხაზეთი“.[3] რას გულისხმობს ვახუშტი ბატონიშვილი სიტყვა განდგომაში? როდესაც მეფე ფარნავაზმა ძვ.წ. IV-III საუკუნეებში საფუძველი ჩაუყარა ერთიან ქართულ სახელმწიფოს, „ელინების“ შიშით მასში შესვლაზე უარი თქვეს მდინარე ეგრისწყლის იქით მცხოვრებმა ქართველებმა, რომელსაც ქართველი ისტორიკოსი მათ ღალატად უთვლის. მოგვიანებით ეს ტერიტორიები შევიდა ლაზიკის შემადგენლობაში. მაგრამ, ახ.წ. IV საუკუნის ბოლოს ბიზანტიის იმპერიამ ლაზიკისაგან გამოყო კოდორის ჩრდილოეთით მდებარე მხარე და მისი სამეფოს შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. ასე ჩამოყალიბდა აფხაზთა საერისთაო. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად საზღვარი ქართლის სამეფოსა და საბერძნეთს შორის ახ.წ. V საუკუნეში გადიოდა მდინარე ეგრისწყალზე: „გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისა, ქვეყანა ზღვის პირისა, რომელ არს აფხაზეთი, და რქუა ესრეთ: „ეგრის წყალიდან ვიდრე მდინარე მცირისა ხაზარეთისა – ესე საზღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან“.[4] ალექსანდრეში რა თქმა უნდა ალექსანდრე მაკედონელი იგულისხმება. ამრიგად, ახ.წ. V საუკუნეში ეგრისწყლის იქით, მდინარე ყუბანამდე არსებული ტერიტორია ქართული წყაროებით ქართველური ტომებითაა დასახლებული (წინააღმდეგ შემთხვევაში მას ღალატად არ ჩაუთვლიდნენ ფარნავაზის დროინდელ საქართველოდან განდგომას) და საბერძნეთის შემადგენლობაში შედის. მაგრამ ეს (ბერძნე–

---

[3]ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 784
[4]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 177

ბისადმი კუთვნილება), როგორც ჩანს, უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ამის თქმის საშუალებას გვაძლევს ჩვენ ის მრავალრიცხოვანი ქართული და უცხოური წყაროები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ისევ ქართველურ ტომებს ასახელებენ. ამ საკითხებზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი.

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალმა ცოლად შეირთო კეისრის ქალიშვილი, მას იმპერატორმა მზითევად გამოატანა ეგრისწყალსა და მდინარე კლისურას შორის არსებული ტერიტორია: „დაუწერა ეგრისწყალსა და კლისურას შუა ქვეყანა მზითვად“.[5] ამრიგად, ამ ქორწინების შემდეგ ისტორიული საქართველოს ნაწილი შემოსულა საქართველოს შემადგენლობაში. სინამდვილეში, საქმე სხვაგვარად იყო. ვახტანგ გორგასალმა ჩრდილო კავკასიაში ლაშქრობის შემდეგ გადმოვიდა დასავლეთ საქართველოში და მდინარე ყუბანიდან მდინარე ეგრისწყალამდე არსებული ტერიტორია დაიკავა. ეს მიწები ბიზანტიის იმპერიას თავისად მიაჩნდა. იმპერატორმა, მზითევის სახით, სწორედ ამ ტერიტორიის ნაწილი გადასცა ქართლს. ვახტანგ გორგასალმა კი მდინარე კლისურას იქეთ არსებული ტერიტორია, ვინემ მდინარე ყუბანამდე, უკან დაუბრუნა იმპერატორს: „და სხვა აფხაზეთი უკუსცა ვახტანგ ბერძენთა“.[6] როგორც ჩანს, საქართველოს ამ ძველ კუთხეს ამ დროისათვის უკვე რქმევია აფხაზეთი.

VII საუკუნეში დაწყებულმა არაბთა შემოსევებმა ძალიან დაასუსტა ბიზანტიაც და საქართველოც. სწორედ ამიტომაც ბიზანტიამ გეზი აიღო მისი სავარაუდო მოკავშირისა და ანტიარაბული კოალიციის წევრის,

---

[5]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 177
[6]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 177

საქართველოს გაძლიერებაზე. რა თქმა უნდა, ეს დროებითი და კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან მოტანილი საჭიროებით იყო ნაკარნახევი. ამას ქართული მხარეც კარგად ხედავდა და ცდილობდა სიტუაცია მისთვის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ყოველ შემთხვევაში, იმ პერიოდისათვის ბიზანტია ქართული სახელმწიფოს მიმართ დიდ დათმობებზე მიდიოდა. „ქართლის ცხოვრების" თანახმად, იმპერატორმა აფხაზთა ერისთავს ლეონს უბრძანა: „ყოვლადვე საზღვართა ქართლისათა ჩვენგან ქმნილ არს ვნება ამიერითგან ნუღარამცა ხელმწიფების ვნებად მათდა და საზღვართა მათდა ეგრისათა".[7] ამ დროს არაბებს გამოქცეული ქართლის ერისთავი მირი და მისი ძმა არჩილი აფხაზეთს აფარებდნენ თავს. მირი თავის საერისთაოს უყოფს თავის 7 ქალიშვილს და ძმა არჩილს, ოღონდ იმ პირობით, რომ სიძე აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქართლის საერისთაოს წარჩინებული. მირი თავის ძმას არჩილს უტოვებს ანდერძს: „რამეთუ შენ ხარ უცოლო, და მე ვარ უძეო, აწ რადგან მოიყვანიან მამათა ჩვენთა ცოლნი ასულნი ერითავთა ჩვენთანი, მისცენ მათ ასულნი ჩემნი და განუყვენ მათ ქეყანანი ქართლისანი".[8] მეფე მირის 7 ქალიშვილიდან 6 უშუალოდ შეირთეს ცოლად ქართლის ერისთავებმა. მე–7 ქალიშვილის შერთვა მოისურვა ლეონ აფხაზთა ერისთავმან. მაგრამ მირის მიერ დატოვებული ანდერძის თანახმად, სიძე აუცილებლად ქართლის ერისთავი უნდა ყოფილიყო და ლეონს მისი შერთვის უფლება არ ჰქონდა. გამოსავალი იყო აფხაზთა საერისთავოს ქართლთან შეერთება. მაგრამ მისცემდნენ კი ამის უფლებას ლეონს ბიზანტიელები? წყაროებიდან ირკვევა, რომ ლეონს დამოუკიდებლობა

---

[7]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 239–240
[8]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 241

ჰქონდა მოპოვებული და ბიზანტიას აღარ ემორჩილებოდა. მასაც გადაუწყვეტია ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და აფხაზეთის საერისთაოს ქართლის საერისთაოსთან გაერთიანება–„მომცა მე კეისარმან ქვეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქვენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემთ კლისურითგან ვიდრე მდინარე დიდად ხაზარეთად, სადაც დაწვდების წვერნი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათა შენთა თანა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენადვე იყოს".[9] სწორედ ამის შემდეგ ლეონმა ცოლად შეირთო მირის ქალიშვილი გურანდუხტი. ლეონმა მირის სხვა სიძეებისაგან განსხვავებით მიიღო გვირგვინი.

ამ ამბების შემდეგ გაძლიერდა ჩრდილო კავკასიაში არსებული ხაზართა სახელმწიფო. ამან კიდევ უფრო დაასუსტა ბიზანტიელთა ზეგავლენა ზოგადად დასავლეთ ამიერკავკასიაში. ბიზანტიელთა კონკურენტი ხაზარები გამოიყენა აფხაზთა ერისთავმა ლეონ II–მ და მასთან დაიჭირა ახლო ურთიერთობა–„ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, განდგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითს მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ–იდვა მეფე აფხაზთა, რამეთუ მიცვალებულ იყო იოვანე და დაბერებულ იყო ჯუანშერ და შემდგომად ამისა ჯუანშერიცა მიიცვალა".[10] წყაროს თანახმად ლეონ II–ს ხაზართა დახმარებით განუდევნია ბიზანტიელები საკუთრივ აფხაზეთის საერისთაოდან და ეგრისიც კი შემოუერთებია. აქ ორი კითხვა იბადება: 1. მან თავის თავს მეფე უწოდა.

---

[9]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 242

[10]ქართლის ცხოვრება, I. თბ., 1955, გვ. 251

ჰქოჰდა კი მას ამის უფლება? 2. ვინ არიან წყაროში მოხსენიებული იოვანე და ჯუანშერი? ეს ორი კითხვა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. წყაროში მოხსენიებული იოვანე და ჯუანშერი გახლავთ ქართლის ერისთავის, მირის ძმის, არჩილის შვილები. თვითონ მირი კი უძეოდ გარდაიცვალა. ამრიგად, მეფობა ლეონმა მიიღო ქართლიდან, რადგანაც ერთადერთი გამგრძელებელი მმართველი დინასტიისა ის გახლდათ. ამრიგად, აფხაზთა სამეფო, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ქართლის სამეფოს მმართველი დინასტიის გამგრძელებელი გახლავთ.

აფხაზთა სამეფო, რომელმაც მთელი დასავლეთ საქართველო მოიცვა, იყო ჩვეულებრივი ქართული სამეფო. მასში უძველესი დროიდანვე ცხოვრობდნენ ქართველური ტომები.

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, ეგრის–აფხაზთა სამეფო დაიყო რვა საერისთაოდ:

„1. დასვა აფხაზეთს და მისცა აფხაზეთი, ჯიქეთი ვიდრე ზღამდე და ხაზართა მდინარემდე.

2. დასვა ცხუმს და მისცა ეგრის–იქით ანაკოფია ალანითურთ.
3. დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენისწყლამდე.
4. ვინაიდან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი ჭოროხის სამხრეთისნი და განუდგნენ ოძრახოს ერისთავს. უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თვისი.
5. დასვა რაჭა–ლეჩხუმს.
6. დასვა სვანეთსა.
7. შორაპანისავე ... ლიხამდე სრულიას არგვეთისა.
8. დასვა ქუთათისს ვაკისა ... რიონის დასავლეთით ცხენისწყლამდე.

მანვე აღაშენა ქუთათისი ქალაქი და ციხე ჰყო საყდართა აფხაზთა მეფისა...“.[11]

ვახუშტი ბატონიშვილის ეს ცნობა მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი ის, რომ აფხაზთა სამეფო რომ ტიპიური ქართული სახელმწიფო გახლდათ, ამაზე მეტყველებს დედაქალაქად ქუთაისის გამოცხადება და არა რომელიმე უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქალაქისა. გარდა ამისა, საერისთაოებად დაყოფის პერიოდში საკუთრივ აფხაზთა საერისთაო ეწოდა ცხუმის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიას, ხოლო ცხუმსა და მის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას ეწოდებოდა ეგრისი. ამიტომაც, სავსებით სამართლიანად შეიძლება ვუწოდოთ მას ეგრის–აფხაზთა სამეფო, როგორადაც მას მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო დიდი მეცნიერის ნიკო ბერძენიშვილის სიტყვები: „ჰეროსის, ქართლოსის და ეგროსის ხვედრი ქვეყნები – მათ შორის სვანეთი, აფხაზეთი ... ყველა ესენი „ქართველები“ იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე, აქ არ შეიძლება სხვადასვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე, საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“.[12]

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, თავის ნაშრომში „ქართველთა გააფხაზება უძველესი აფხაზეთი ქართული წყაროების თანახმად“, წერს, რომ „ქრისტესშობამდე პირ–

---

[11]ქართლის ცხოვრება, IV. თბ., 1973, გვ.796

[12]ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს სიტორიის საკითხები, VIII, თბ., 1990, გვ. 668

ველი ათასწლეულის მეორე ნახევარში თანამედროვე აფხაზეთის და კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ზღვისპირა ტერიტორიები დასახლებული ყოფილა ჰენიოხებით, აქაელებით და კერკეტებით, არც–ერთი აღნიშნული ტომი არ მიიჩნევა ადიღეურ ტომად, ისინი უფრო ქართველურ სამყაროს უკავშირდებიან"[13]

მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი თავის ,,ქართველი ერის ისტორიაში" საუბრობს კოლხეთში მცხოვრები ტომების შესახებ. მისი გამოკვლევებით კოლხეთის სახელმწიფოში, რომელიც მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს, ბინადრობდა ქართველთა სამი შტო: ლაზ–მეგრელები, აფშილ–აფხაზები და სვანები – ,,თუ პროკოფი კესარიელისა და სხვათა ზემოთ მოყვანილ ცნობებს დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ კოლხეთში ლაზებს სამხრეთი, ზღვის პირა ნაწილი, ეკავათ და მათი მოსახლეობა რიონის ჩრდილოეთითაც ყოფილა, მაგრამ V-VI სს. ლაზების სოფლები და ქალაქები რიონის სამხრეთით სრულებით ამოვარდნილი ყოფილა და მცხოვრებნი მხოლოდ რიონის ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. ლაზების აღმოსავლეთით და თვით ლაზთა შორისაც მეგრელებიც იქნებოდნენ, მათი მოსახლეობა, ალბათ, იბერიის საზღვარამდე ანუ ციხე სკანდა–შორაპნამდე აღწევდა. კოლხეთის ჩრდილოეთი მაღლობი ადგილები აფშილებსა და აფხაზებს სჭერიათ; პირველთა ქვეყანაში ციხე წიფელდა ყოფილა, ხოლო უკანასკნელებს მთა ადგილებში უცხოვრიათ. აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია. როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ეკუთვნოდა: ლაზ–მეგრელებს, აფშილ–აფხაზებს და სვანებს. პოლიტიკური ბატონობა ლაზთა ანუ მეგრელთა ხელში ყოფილა და ყველანი

[13]http://www.amsi.ge/istoria/div/, გვ. 5

მათი მეფეების უზენაესს უფლებას ემორჩილებოდნენ, თუმცა თითეულ ტომს საკუთარი მთავარიცა ჰყოლია. ძველად, როგორც ეტყობა, უპირატესობა და ძალა კოლხების ხელში იქნებოდა, – ეს იქედან ჩანს, რომ მთელ ამ ქვეყანას მათ თავიანთი სატომო სახელი – კოლხეთი – მიანიჭეს; ლაზები მერე გაძლიერებულან."[14] ლაზ–მეგრელთა და სვანთა ქართველობა სადაო არაა. ივ. ჯავახიშვილს სრულიად სამართლიანად აფშილ–აფხაზებიც ქართველური წარმოშობის ტომებად მიაჩნია.

ზ. ანჩაბაძის თანახმად, IX-X საუკუნეების ,,ქართლი–ს ცხოვრებასა" თუ უცხოურ წყაროებში მოხსენიებულ აფხაზთა მეფეების, აფხაზების თუ აფხაზთა სამეფოს ქვეშ იგულისხმებიან დასავლეთ საქართველოს, ეგრის-აფხაზეთის მეფენი, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი (მეგრელ-ჭანები, ქართები, სვანები, საკუთრივ აფხაზები) და დასავლეთ საქართველო, ანუ ეგრის-აფხაზეთის სამეფო[15]

ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ამ სახელმწიფოს ეწოდოს ეგრის-აფხაზეთის სამეფო და მის მეფეებს ეგრის-აფხაზეთის მეფენი, როგორც მას ვახუშტი ბაგრატიონი უწოდებდა. ასეთი სახელწოდება ისტორიულ ტრადიციას არ ღალატობს, რადგან IX-X საუკუნეების რიგი წყაროები ამ სახელმწიფოს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ეგრისს, მის მეფეებს კი ეგრისის მეფეებს, ხოლო მის მცხოვრებლებს ეგრისელებს უწოდებდა.[16] სახელწოდება ,,ეგრის-აფხაზთა სამეფო" უკეთ გამოხატავს ამ სახელმწიფოს როგორც შედგენილობას, ისე არსებით შინაარსსაც[17].

---

[14]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1, თბ., 1960, გვ. 427

[15] Ш. А н ч а б а д з е , Из истории средневековй Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 117-120

[16]ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი , სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი, ქართული თარგმანი და კომენტარები ე. ცაგარეიშვილისა, თბ., 1965, გვ. 38, 64, 92, 109, 111, 119, 257

[17]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 219

აფხაზეთის საკითხი პავლე ინგოროყვას შრომების მიხედვით

პავლე ინგოროყვა თავის წიგნში „გიორგი მერჩულე“, წერს, რომ „აფხაზთა სამეფო“ იყო ქართველური ტომებით – ქართებით, მეგრელებითა და სვანებით დასახლებული უხსოვარი დროიდან. მკლევარს ამის დამამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ისტორიული ფაქტები და არგუმენტები:

1. VIII საუკუნეში, როდესაც დაარსდა „აფხაზთა სამეფო“, იგი დასახლებული იყო ქართველური ტომებით. ეს არა მარტო აღნიშნული დროისთვის იყო ასე, არამედ უხსოვარი დროიდან, ანტიკურ ხანაში და შუა საუკუნეებშიც. „აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) – ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები–ქართები, მეგრელები და სვანები.“ (გვ., 116)
2. უძველესი პერიოდიდანვე აფხაზები წარმოშობითა და ენით იყვნენ ქართველები. (გვ. 116)

პ. ინგოროყვას თანახმად, აფხაზეთის საზღვრები ჩრდილოეთით არის მდინარე ნიკოფსია. ამ მდინარესთან არსებობს ამავე სახელწოდების ქალაქი, რომელიც

აფხაზეთის შემადგენლობაში შედის.[1] მდინარე ნიკოფსია ერთვის შავ ზღვას ტუაფსესა და გელენჯიკს შუა, ტუაფსედან 20 კოლომეტრის ჩრდილოეთით.(გვ. 119)

მდინარე ნიკოფსია ჩრდილოეთიდან გამოჰყოფს აფხაზეთს ჯიქეთიდან. ჩრდილოეთის საზღვრად სხვა ქართულ წყაროებში დასახელებულია, აგრეთვე, „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, რომელიც ქალაქ ნიკოფსიის სექტორის მდინარე ყოფილა[2]. სამხრეთით კი აფხაზეთის საზღვარი გადის კელასურის ზღუდე–კედელზე, რომელიც იწყება მდინარე კელასურის შესართავიდან (ქალაქ სოხუმიდან 4 კილომეტრით სამხრეთით), მიჰყვება კელასურის ხეობას, შემდეგ უხვევს აღმოსავლეთისაკენ და ქეშის მთის ხაზით გადადის კოდორის ხეობაში. ასე გამოიყოფა აფხაზეთი ეგრისიდან. აფხაზეთის ჩრდილო–აღმოსავლეთი საზღვარი არის კავკასიონი. ხოლო სამხრეთ–დასავლეთი კი შავი ზღვა. (გვ. 121)

VIII-X ასევე მთელ საშუალო საუკუნეებში, აფხაზეთის ტერიტორაზე ცხოვრობდნენ აფსაზური ტომები, რის გამოც მას აფხაზეთი ეწოდებოდა.

აფხაზეთის საერისთაოს შემადგენლობაში შედიოდა ოთხი ადგილობრივი ტომი: 1. აფხაზები; 2. სანიგები ანუ ჰენიოხები; 3. აბსილები (აფსილები); 4. მისიმიანები. გარდა ამისა, აფხაზეთის ჩრდილოეთ ტერიტორიებზე ჩამოსახლებულნი ყოფილან ჯიქები, რომელსაც პავლე ინგოროყვა აფხაზეთის ჯიქეთს უწოდებს.

პ. ინგოროყვას თანახმად, ანტიკური პერიოდის საისტორიო წყაროებში აფხაზთა ტომები განსახლებულნი იყვნენ : 1. მდინარე ბზიფის ხეობის შუა და ზემო ნაწილში; 2. მდინარე ფსოუს ხეობის ზემო ნაწილში; 3. მდინარე მზიმთის

---

[1]იქვე გვ. 117

[2]ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 98; 157; 209

ხეობის შუა და ზემო ნაწილში, რომელსაც ქვია აგრეთვე აფხაზთა მდინარე. აღნიშნული ტერიტორია აფხაზთა ტომებს უჭირავს, როგორც ანტიკურ, ისე მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში.

ზღვისპირა აფხაზეთი, რომელშიც შედის ტერიტორია სოხუმის, ლიხნის, ბიჭვინთის, გაგრისა და ადლერისა, ანტიკურ პერიოდში დასახლებულნი ყოფილან ჰენიოხებით (სანიგებით). ანტიკური ხანის დასასრულს, ახალი წელთაღიცხვის III-IV საუკუნეებში ეს მხარე მეზობლად მყოფი აფხაზთა ტომის ფარგლებზში მოექცა. სწორედ ამ დროიდან მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ის ეკუთვნოდა აფხაზთა ტომებს. ამ მხარის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა ცხუმი (სოხუმი), ხოლო საეკლესიო ცენტრი გახლდათ ბიჭვინთა. (გვ. 123)

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცალკე იყო გამოყოფილი შიდა ჰენიოხეთი, რომელსაც ეჭირა სოჭის რაიონი – დაწყებული აფხაზთა მდინარიდან ვიდრე მდინარე ახეუნთამდე. (გვ.124)

აფხაზეთის ჯიქეთი, ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი, მოიცავდა თანამედროვე ტუაფსეს რაიონს. ის იწყებოდა მდინარე ახეუნთადან მდინარე ნიკოფსიამდე. ჯიქები ამ ტერიტორიაზე გვიან მოსულები უნდა იყვნენ, ადრე აქ ჰენიოხები ბინადრობდნენ. ანტიკური და ქართული წყაროების მიხედვით ჯიქების თავდაპირველი საცხოვრისი ყოფილა იმიერ კავკასია[3]. აღნიშნული აფხაზეთის ჯიქეთის ცენტრი გახლდათ ქალაქი ნიკოფსია, რომლის ძველი სახელიც უნდა იყოს ქალაქი ლაზიკა. (გვ. 125)

ისტორიულად, აფხაზეთის აღმოსავლეთ ნაწილში შედიოდა აბსილეთი და მისიმიანეთი.

აბსილები წარმოადგენდნენ აფხაზურ ტომებს. მას

[3]ქართლის ცხოვრება, I გვ. 135

ერქვა აგრეთვე აბსილი ანუ აფსილი (იგივე აფშილი). ის მოიცავდა შემდეგ ტერიტორიებს – იწყებოდა მდინარე კელასურიდან და გრძელდებოდა კოდორის ხეობამდე. ჩრდილოეთიდან ის ესაზღვრებოდა კავკასიონის ქედს. აფსილეთის მთავარი პუნქტი იყო წიბელი (თანამედროვე წებელდა).

რაც შეეხება მისიმიანეთს, ისიც აფხაზეთის ერთ–ერთი მხარეა და მოიცავდა კოდორის ხეობას. მისი მთავარი პუნქტი გახლდათ ჩხარი, იგივე ჩხალი, რომელსაც ერქვა აგრეთვე რკინის ციხე.

ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი მხარის გარდა აფხაზეთის შემადგენლობაში შედიოდა კიდევ ერთი პროვინცია, რომელიც აფხაზეთის უშუალო ნაწილს არ წარმოადგენდა. ის მდებარეობდა აფხაზეთსა და შიდა ეგრესს შორის. მას ძველქართულ წყაროებში ეწოდებოდა „ეგრისწყალსა და კლისურასა შუა ქვეყანა".[4] ის მოიცავდა ქალაქ ბედიის სექტორს, საკუთრივ ბედია ეკუთვნოდა ეგრისს, ხოლო მისი ჩრდილო-დასავლეთით იწყებოდა ე.წ. ბუფერული ზონა. ამ ბუფერული ზონის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ყოფილა კელასურის კედელი, დანარჩენი საზღვრები ფანავის ქედი და სამხრეთ-დასავლეთით შავი ზღვა.

ამრიგად, ბუფერული ზონა მოიცავდა თანამედროვე ოჩამჩირის რაიონს და გულრიფშის რაიონის სამხრეთ ნაწილს. ბუფერული ზონა ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში შედიოდა ეგრისის შემადგენლობაში. ის აფხაზეთთან დაკავშირებული იყო მხოლოდ პოლიტიკურად. (გვ. 128)

პ. ინგოროყვას თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა ეთნიკური ვინაობა იყო შემდეგი – აფხაზეთის ტერიტორია ანტიკურ პერიოდსა და მთელი შუა

[4]ქართლის ცხოვრება, I, გვ. 119.

საუკუნეების განმავლობაში დასახლებული ყოფილა ქართველური ტომებით. კერძოდ:

1. ეგრის–წყლიდან ვიდრე კელასურამდე ცხოვრობდნენ ეგრისელები ანუ მეგრელ–ლაზები;
2. აფხაზეთის მთიანეთი დასახლებული ყოფილა „მოსხებით“, იგივე მესხებით;
3. შიდა ჰენიოხეთში (სოჭის რაიონი) ბინადრობდნენ ჰენიოხები, იგივე სანიგები;
4. ზღვისპირა აფხაზეთში (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი) ანტიკურ პერიოდში ბინადრობდნენ ჰენიოხები,ხოლო ამ ხანის მიწურულიდან კი მესხები.
5. აბსილეთში ბინადრობდნენ ორი ქართველური ტომი: მეგრელ–ლაზები და მესხები;
6. მისიმიანეთშიც, აგრეთვე, ნარევი მოსახლეობა ცხოვრობდა. ესენი იყვნენ: მეგრელ–ლაზები და სვანები. ამ მხარეში მოსახლე ტომს ჰქვიოდა „სვან–კოლხები“ ანუ „ეგერ–სვანები“ (ე.ი. მეგრელ–სვანები); ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვეს სხვა ქართველმა მეცნიერებმაც. კერძოდ, მეცნიერი ნ. ლომოური[5],,სუანოკოლხებს“ გაგრა–ბიჭვინთის სექტორში მცხოვრებლად მიიჩნევს. ხოლო, მკლევარი თ. მიბჩუანი[6] თავის სტატიაში წერს, რომ „სუანო–კოლხები“ არიან სუანები და

---

[5]ნ. ლომოური, კლაუდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ, იხ. მასალები „საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, თბ., 1980, ნარკვ. 32, 1955, გვ. 44

[6]თ. მიბჩუანი, „ვინ იყვნენ სუანო–კოლხები?“, გაზეთი „სახალხო განათლება“, 6.12.1989

კოლხები. თ. მიბჩუანის მიგნებით, „სომხურ გეოგრაფიაში“ გვხდება ცნობა იმის შესახებ, რომ VII საუკუნეში დღევანდელ ადლერსა და ბიჭვინთას შორის მოიხსენიება სვანი მოსახლეობა.

7. ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთით, სადაც მდებარეობდა აფხაზეთის ჯიქეთი, ანტიკურ ხანაში ბინადრობნენ ჰენიოხები, რომელიც მეცნიერ პავლე ინგოროყვას მოსაზრებით ეკუთვნოდნენ მეგრელ–ლაზთა ტომს. ანტიკური ხანის ბოლოდან მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში ამ მხარეში ცხოვრობდა შერეული მოსახლეობა ჰენიოხებისა და ჯიქების. (გვ. 131)

ა. ინგოროყვას თანახმად, აფხაზთა ტომის სახელწოდების პირვანდელი სახე იყო მოსხი, რაც დასტურდება ანტიკური წყაროების მიხედვით.

აფხაზეთის საკითხი თანამედროვე პერიოდის ისტორიოგრაფიაში

ზოგადად აფხაზეთის საკითხი საკმაოდ აქტუალურია ახალი პერიოდის როგორც ქართულ, ისე უცხოურ ისტორიოგრაფიაში. განსაკუთრებით ბოლო ოცი წლის მანძილზე უამრავი ნაშრომი დაიწერა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის დადგენასა თუ მათი თანამედროვე აფხაზეთში აბორიგენობის საკითხთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი იკვლევს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ტოპონიმებს, ზოგი კი არკვევს თვით ტერმინ „აფხაზის“ ქვეშ ჩვენ რა უნდა ვიგულისხმოთ – ადიღეური ეთნოსი თუ იგი ქართველურ სამყაროს უნდა დავუკავშიროთ. მკლევართა ნაწილი უშუალოდ XX საუკუნის 90-იან წლებში არსებულ აფხაზეთის კონმფლიქტზე საუბრობს და არკვევს მისი წარმოქმნის მიზეზებს. ნაწილი ამ კონფლიქტის წარმოშობას საბჭოთა კავშირს აბრალებს და აფხაზეთის ავტონომიის ჩამოყალიბებას, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში მოხდა, მოსკოვის მიერ გამიზნულად „ჩადებულ ნაღმს“ უწოდებს. მეცნიერთა ნაწილს კი აფხაზეთის კონმფლიქტი აფსუა სეპარატისტების ნამოქმედარად მიაჩნია, თუმც არც ისინი გამორიცხავენ, რომ აფუა სეპარატისტებს ზურგს უმაგრებს მესამე ძალა – რუსეთი.

აღნიშნულ ქართულ ნაშრომთა დედააზრი და ქვეტექსტი გახლავთ ამ პერიოდისათვის ჯერ–ჯერობით

ქართული იურიდიული სივრცის მიღმა არსებული აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული სინანულის გამოხატვა. ისინი ერთგვარად ცდილობენ, დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნების რწმენა დაუბრუნონ ქართველებს. მრავალ გზას და მეთოდს გვთავაზობენ აფხაზეთის უკან დაბრუნების საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ჯერ–ჯერობით უნივერსალური გზა აფხაზეთის უკან დაბრუნებისა არაა ნაპოვნი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტ სივრცეში განთავსებულია უამრავი აფსუა სეპარატისტის ნაშრომი. ძირითადად რუსულ და ინგლისურ ენებზე. ისინი დამახინჯებულად და არასწორად განიხილავენ „აფხაზეთის“ ისტორიას, აფხაზთა ეთნიკურ ვინაობას და უძველეს საცხოვრისს. საუბედუროდ, ქართველ მეცნიერთა მხრიდან მათ სათანადო პასუხი იმავე ინტერნეტ საიტებზე არა აქვთ გაცემული, რაც უცხოელების თვალში, შესაძლოა, ბევრ კითხვით ნიშანს სვამდეს...

XX საუკუნის დასაწყისში აფხაზმა საპარატისტებმა დაიწყეს ერთგვარი იდეოლოგიური საფუძვლის მომზადება. ამის თვალსაჩინო მაგალითია ნ. ვორონოვის ბროშურა – „Абхазия – не Грузия“ (М., 1907), რომელშიც აშკარად გაყალბებულია საქართველოს ისტორია უხსოვარი დროიდან მოყოლებული დღემდე და ტენდენციურადაა გაშუქებული ქართულ–აფხაზური ურთიერთობა. ამ ნაშრომში საუბარია, რომ აფხაზეთი არაა ქართული ტერიტორია, ხოლო აფსუური ენა ისტორიულად აბაზგური ენააო. მაგრამ, თუ აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენდა ბროშურას, ანუ მცირე ზომის წიგნს და ვერ იყო საფუძვლიანი ნაშრომი, რომ ქცეულიყო ე.წ. „აფხაზური“ ისტორიოგრაფიის სეპარატიზმით აღსავსე იდეოლოგიურ საყრდენად, ასეთი ნაშრომად მოგვევლინა ს. აშხაწავას მიერ 1925 წელს გამოცემული წიგნი „Пути развития Абхазской истории“. მასში, დეტალურადაა განხილული

აფხაზეთისა და აფხაზური ტომების ისტორია და ყველა ასპექტში არის გაყალბებული.

„აფხაზური სეპარატიზმის“ ერთგვარი იდეოლოგები გახდნენ: მ. ტრაპში, შ. ინალიფა, გ. გულია, მ. გუნბა, გ. ტურჩანინოვი, ი. ვორონოვი, მ. კოროსტოვცევი, ვ. კოჟინოვი, ვ. არძინბა და სხვ.[1] ისინი აცხადებენ, რომ აფხაზეთის სახელმწიფოს აქვს 1200 წლის ისტორია. ბოლო დროს კი ი. ვორონინის მტკიცებით, აფხაზეთის სახელმწიფო 2500 წლის ყოფილა[2].

ამას დაემატა აფხაზი სეპარატისტების კიდევ ერთი იდეოლოგის – შ. ინალ-იფას 1976 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი „Вопросы этно-культурной истории абхазов“, რომელშიც ავტორს არა მარტო კოლხები, არამედ მათი შთამომავალი ლაზებიც აფხაზ–აფუებად ჰყავს წარმოდგენილი[3].

შ. ინალ-იფა თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „ძვ.წ. II საუკუნის ბოლოსათვის აფხაზეთი შედიოდა უშუალოდ პონტოს სამეფოს შემადგენლობაში, რომელსაც სათავეში ედგა მეფე მითრიდატე მეექვსე. ძვ.წ. I საუკუნის შუა ხანებში კი – როდესაც რომაელმა სარდლმა პომპეუსიმა 66 წელს დაამარცხა მითრიდატე, იგი იმავე წელსვე შეიჭრა აფხაზეთში,“[4] უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდის ანტიკურ წყაროებში აფხაზები და აფხაზეთი საერთოდ არ არის მოხსენიებული, როგორც ეს ჩვენ ვნახეთ ზემოთ.

შ. ინალ–იფას აბსურდული დასკვნები სრულიად სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ქართველი მეცნი–

---

[1]გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხა'სები, თბ., 1998, გვ. 24.

[2]ზ. პაპასკირი, ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე, „საბჭოთა აფხაზეთი“, 1990, 11 მაისი

[3]შ. ინალ-იფა, აფხა'სთა ეთნო-კ'ულტურული ისტორიის საკითხები, თბ., 1976, გვ. 202.

[4]Ш. Инал-ипа, Абхазы, Сухуми., 1960, с. 40-41.

ერების მიერ, მაგრამ მას დახმარება აღმოუჩინა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სწავლულმა მდივნმა, ტრაპეზნიკოვმა, რომელმაც ძალიან მაღალი შეფასება მისცა შ. ინალ–იფას წიგნს. ტრაპეზნიკოვის სიტყვებით, თურმე ქართველებს „ძალა არ შესწევდათ“ მის გასაგებად[5].

ძალიან გააღიზიანა აფხაზი სეპარატისტები პავლე ინგოროყვას 1954 წელს გამოცემულმა წიგნმა „გიორგი მერჩულე“. მრავალ სხვა საკითხთან ერთად პავლე ინგოროყვა აღნიშნულ წიგნში ასაბუთებდა, რომ აფსუები XVII საუკუნეში გადმოსახლდნენ აფხაზეთში, სადაც უხსოვარი დროიდან ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. პ. ინგოროყვას ამ დასკვნას აფხაზმა სეპარატისტებმა უწოდეს „ანტიმეცნიერული თეორია“[6].

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საწინააღმდეგო მოსაზრებანი, თუ გინდ მეცნიერულად დასაბუთებული, ძალიან აღიზიანებდა აფხაზ სეპარატისტებს. მაგალითად, როდესაც პროფესორმა ხ. ბღაჟბამ გამოსცა ნაშრომი – „აფხაზური ენის ბზიფური დიალექტი,“ ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი მიუღებელი დარჩა აფხაზი სეპარატისტებისთვის. სეპარატისტთა მოთხოვნები მოსკოვმა დააკმაყოფილა და აღნიშნული წიგნი საერთოდ აკრძალეს, ხოლო მისი ავტორი პარტიიდან გარიცხეს, რაც მაშინ ძალინ დიდ სასჯელად ითვლებოდა ხოლმე[7].

XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ–ერთი უმთავრესი საკითხი იყო აფხაზთა ეთნიკური

---

[5] ა. სონღულაშვილი, საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი, თბ., 2004, გვ. 190

[6] გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური რთიერთობის საკითხები, თბ., 2006, გვ. 27-28.

[7] ი. კეცხელაძა, საქართველოს ისტორიის ქრონიკები (1970-1990), I, თბ., 2004, გვ. 226.

ვინაობისა და მათი უძველესი საცხოვრისის დადგენა.

აღნიშნულ საკითხს შეეხო მრავალი მკლევარი. დ. გოგოლაძე წერს, რომ ანტიკური პერიოდის წყაროების თანახმად (ჰეკატე მილეტელსა (ძვ. წ. VI ს.) და ფსევდო სკილაქს კარიანდელს (ძვ. წ. IV ს.) თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. VI-I საუკუნეებში დასახელებული ჰყავთ იქ მცხოვრობი კოლხური ტომები (კოლხები, კოლები და კორაქსები, ჰენიოხები, მესხები, სანიგები და აფშილები.) აბაზგები კი, მხოლოდ ახ.წ. II საუკუნეში მოიხსენიება.[8] დ. გოგოლაძე იქვე საუბრობს, რომ „აფხაზის“ ფუძე უნდა იყოს წარმომდგარი „აფხა“ და „ფხა“–დან. მისი აზრით, ის ახლოს დგას ქართული სამყაროსათვის დამახასიათებელ ტოპონიმებთან – სოფელი „აფხავი“ (ანანურთან), „ფხოვი“, ასევე სოფელი „აფხაზეთა“, რომელიც XII საუკუნეში არსებობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში[9].

გ. გაბუნია მიიჩნევს, რომ გვიანანტიკურ ხანაში „აფხაზეთად“ იწოდებოდა მდინარეების ბზიფის, ფსოუსა და მზიმთას შორის არსებული ტერიტორია, რომელიც ამ პერიოდში „აბაზგიად“ მოიხსენიებოდა[10].

დ. ლეთოდიანს საუბარი აქვს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების ეთნიკური ვინაობის საკითხებზე, სადაც ის აღნიშნავს, რომ ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი (ძვ. წ. 64-63 – ახ. წ. 23/24 წწ.) შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე არ ასახელებს აბაზგებს.

---

[8] დ. გოგოლაძე, „აფხაზთა“ საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 6.

[9] იქვე, 35

[10] გ. გაბუნია, საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს შექმნის ისტორიიდან, „კლიო“, №15, 2002, გვ. 66.

მისი აზრით, ისინი სტრაბონის გარდაცვალების შემდეგ დასახლებულან მითითებულ ტერიტორიაზე[11].

სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით გ. გასვიანი მიიჩნევს, რომ ანტიკურ პერიოდში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სვანები[12]. მისივე დასკვნით, ეგრის–აფხაზთა სამეფოს, IX საუკუნის მეორე ნახევარში განაგებდა შავლიანების სვანური საგვარეულო[13].

აღნიშნული საკითხით დაინტერესდა დიდი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი თ. გამყრელიძე. ის თავის ნაშრომში აღნიშნავს, რომ „შავიზღვისპირეთის ეთნოკულტურული ვითარება ახ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში გვკარნახობს შესაძლებლობას „აფხაზ"/„აბაზგ"- ებში საკუთრივ დასავლურ-ქართველური წარმომავლობის ტომები დავინახოთ, რომლებიც ახლო მონათესავენი უნდა ყოფილიყვნენ ძველ კოლხეთში მობინადრე სვანური და მეგრულ-ლაზური ტომებისა. თვით უძველესი სახელწოდება ამ ტომებისა „აფხაზ" – რომელიც ბერძნულ მეტყველებაში „აბაზგ" – /„აბაზღ" ფორმად გარდაიქმნა, აგებულების თვალსაზრისით სავსებით „ქართველურია"..."[14].

ასეთივე საინტერესო დასკვნები აქვთ გაკეთებული თ.

---

[11]დ. ლეთოდიანი, აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991, გვ. 4

[12] გ. გასვიანი, სვანთა განსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანეთში, ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1993, № 3-4, გვ. 5

[13]გ. გასვიანი, აფხაზეთის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები", თბ., 1998, გვ. 113

[14]თ. გამყრელიძე, „აფხაზ" – „აბაზგ"-ი და „აბაზა – აფსუა" (ვინ იყვნენ ეთნიკურად და ენობრივად ამ სახელებით აღნიშნული ხალხები?), გაზ. „ერი", 1991, 10 აპრილი

გამყრელიძესა და ვ. ივანოვს მათ ერთობლივ ნაშრომში, სადაც, ნათქვამია, რომ ძვ.წ. მე-2 ათასწლეულში, არგონავტთა კოლხეთში მისვლისას, კოლხეთი მოიცავდა მთელ დასავლეთ საქართველოს და აქ ქართველური ენა უნდა ყოფილიყო ამ დროისათვის გავრცელებული ყველგან[15].

აკადემიკოს ნ. მარის თანახმად, სვანების ტომი უძველეს პერიოდში ატარებდა „აბასხის" სახელს. ტერმინ „აბასხის" თავდაპირველი ფორმა შეიძლება ყოფილიყო ბასხ //ბასყ, რომელიც იხსნება სვანური ენით და ნიშნავს მარწყვს. თ. მიბჩუანი მიიჩნევს, რომ სიტყვა „აფხაზი" VIII საუკუნემდე არ უნდა არსებულიყო საერთოდ, ხოლო ამ სიტყვის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს როგორც დასავლეთ ქართული, ისევე აღმოსავლეთ ქართული ტომები[16].

სრულიად ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოს სახელის წარმოქმნა რამდენადმე დამოკიდებულია მასში მცხოვრებ ტომებზე. თუ რომელიმე ტომი აჯობებს სხვა, მეზობლად მცხოვრებ ტომს (თუგინდ ეთნიკურად მის მონათესავეს) და თავისი ჰეგემონობის ქვეშ მოაქცევს „სხვებს," მისი სახელი გავრცელდება მათზე და დაერქმევა ამ სახელმწიფოსაც. ასე უნდა გვესმოდეს ჩვენც კოლხეთის სახელმწიფოს სახელიც, რომ იქ ეთნიკური კოლხები კი არ ცხოვრობდნენ მხოლოდ, არამედ სხვა დასავლეთ ქართული ტომებიც. უბრალოდ, ჰეგემომობა იყო კოლხების ხელში. შემდეგ, გვიანანტიკურ ხანაში, ჰეგემონობა დასავლეთ საქართველოში გადავიდა ლაზთა ტომების ხელში, რაც

---

[15]Т.В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейский язык и индоевропейцы, II, тб., 1984, с182-183.

[16]თ. მიბჩუანი, სვანი და სვანეთი ტერმინთა ეტიმოლოგიისათვის, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია", თბ., 1993, გვ. 466, 467

კონკრეტული საშინაო და საგარეო ფაქტორებით იყო განპირობებული და სახელმწიფოსაც ეწოდა ლაზეთი, იგივე ლაზიკა. ადრეული შუა საუკუნეებიდან ნელ–ნელა ძლიერდება აბაზგების ქართული ტომი, რომელმაც თავისი სახელი უწოდა დასავლეთ საქართველოსაც. აბაზგიიდანაა ნაწარმოები სახელი აფხაზეთი[17]. ამ სახელმწიფოს პოლიტიკური და კულტურული მოღვაწეები კი, რა თქმა უნდა, მიეკუთვნებოდნენ ქართველურ ეთნიკურ ჯგუფს[18].

აფხაზეთის უძველესი ავტოქტონი მოსახლეობისა და აფხაზური ტომების ეთნიკური ვინაობის დადგენას არა ერთი ნაშრომი მიუძღვნა მკლევარმა მ. ლორთქიფანიძემ[19]. მკლევარი მიმოიხილავს აფხაზეთის სამეფოს ისტორიას უხსოვარი დროიდან დღემდე. მ. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ აფხაზთა სამეფო, უხსოვარი დროიდან მოყოლებული: უდაოდ, ქართველური ტომებით დასახლებული ქართული სახელმწიფოა. ამის დასტურია როგორც ანტიკური, ასევე სხვა ხანების მრავლრიცხოვანი ქართული და უცხოური წერილობითი წყარო. გარდა ამისა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი დედაქალაქი იყო ქუთაისი და არა აფხაზეთის საერისთაოს ცენტრი ანაკოფია. თანაც, როდესაც აფხაზეთი ეკლესიურად გამოეყო კონსტანტინეპოლს, ქართულისაგან განსხვავებული ეთნოსი რომ სახლებულიყო ამ სახელმწიფოში, ჩამოყალიბდებოდა დამოუკიდებელ ეკლესიად და არ დაემორჩილებოდა მცხეთის საკათალი–

---

[17]ს. ყაუხჩიშვილი, რას გვიამბოენ ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 14

[18]დ. მუსხელიშვილი, ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1992, №3, გვ. 15-16

[19]მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; მ. ლორთქიფანიძე, ეგრის-აფხაზეთი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990 და სხვ.

კოსოს. თანაც წირვა–ლოცვის ენა არ იქნებოდა ქართული[20]. მ. ლორთქიფანიძე სხვა სტატიაში ყურადღებას ამახვილებს აფხაზთა სამეფოსა და მისი ერისთავის, იოანე მარუშისძის განსაკუთრებულ როლზე ერთიანი ქართული მონარქიის შექმნის პროცესში. რაც, მკლევარის აზრით, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ აფხაზთა სამეფო ტიპიური ქართული სამეფოა[21]. აღნიშნულ საკითხს შეეხო მეცნიერი ო. ჯაფარიძე.[22] მისი აზრით უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, დასავლეთ ამიერკავკასიაში ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. ა. კახიძისა და შ. მამულაძის გამოკვლევით, დასავლეთ საქართველოში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა იმის უტყუარი დასტურია, რომ აქ უძველესი დროიდან ანტიკური ხანის ჩათვლით არსებობდა საერთო კოლხური, ე.ი. ქართველური კულტურა. ის, მართალია, წარმოდგენილია ცალკეული რეგიონალურ-ლოკალური ვარიანტებით, მაგრამ მთლიანობაში კოლხური ანუ ქართველური კულტურაა. ეს კულტურა დასავლურ ქართული ტომების მიერ არის შექმნილი, რომლებიც სახლობდნენ აქ, როგორც ბარის, ასევე მთისწინა და მთიან ზოლშიც[23].

უძველეს პერიოდში საქართველოს ჩრდილო–დასავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრები ტომების ეთნიკური ვინაობით დაინტერესებული იყო გ. მელიქიშვილიც.* მისი

---

[20]მ. ლორთქიფანიძე, არა უწყიან თუ..., „ლიტერატურული საქართველო“, 1990, 16 ოქტომბერი.

[21] მ. ლორთქიფანიძე, აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში, „ანალები“ №1, 2005, გვ. 10.

[22]ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის,თბ., 1976

[23]ა. კახიძე, შ. მამულაძე, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, თბ., 2000

*აღნიშნულზე უფრო ვრცლად ჩვენ ვსაუბრობთ ქვემოთ

აზრით ეს ტომები უნდა იყოს სვანები[24].

ანტიკურ პერიოდში რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად მოქცეულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში, ამ მოსაზრებას იზიარებენ შემდეგი მეცნიერები: პროსენკო[25], მერი ინაძე[26], დ. მუსხელიშვილი[27], პ. ინგოროყვა[28], ზ. ვ. ანჩაბაძე[29], ნ. ფოფხაძე[30], მ. ლორთქიფანიძე[31], ივ, ჯავახიშვილი[32] და სხვ.

მკლევარ დ. მუსხელიშვილის თანახმად, ახ. წ. IV საუკუნიდან იწყება ეგრისის სამეფოს გაძლიერება, რომელმაც დაიმორჩილა აფშილები, აბაზგები და სანიგები, ქართლის სამეფოს წაართვა არგვეთი და მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა. დ. მუსხელიშვილის თანახმად, აფშილეთი მდინარე ეგრისწყლიდან (ღალიძგა) კოდორამდე უშუალოდ შედიოდა ლაზიკას სამეფოს შემადგენლობაში, ხოლო კოდორის ჩრდილოეთით მდებარე აფშილეთი აფხაზეთის შემადგენლობაშია. ეს უკანასკნელი კი

---

[24]Г. А. Меликишвили, К вопросу об етнической принадлежности населения древнеи Грузий, იხ. Очерки историй Грузий, I , 1987 г., с., 182-183;

[25]И. Просенко, Об историй Грузий, Тб., 1886 г., с. 40-41

[26]მერი ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის, სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1960 წ. №2, გვ. 145-162

[27]დ.მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბილისი 1977 წ, გვ. 46

[28]პაელე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954 წ., გვ. 131

[29]З. В. Анчабадзе, Очерк этнической историй Абхазского народа, Сухум, 1976 г.

[30]ნ. ფოფხაძე, „ჩვენო საქართველო"(ივანე ჯავახიშვილი აფხაზეთის შესახებ)", თბილისი, 2002 წ. გვ. 19

[31]მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 17

[32]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 427

ლაზიკას სამეფოს ვასალი გახლდათ[33]. ახ.წ. IV-X საუკუნეებში მთელი დასავლეთ საქართველო ლაზების სამეფოს შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო ივ. ჯავახიშვილის თანახმადაც[34].

ხ.ს. ბგაჟბამ შეისწავლა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეპიგრაფიკა, რომელიც, მისი დასკვნით, მთლიანად ქართულია[35].

რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე თავიანთ წიგნში – „სიმართლე აფხაზეთზე" აღნიშნავენ, რომ XIII საუკუნის საისტორიო წყაროებში „აფხაზეთი" და „საქართველო" ერთმანეთის სინონიმებია (თბ., 1990, გვ. 32-33). ასეთივე დასკვნები აქვთ გაკეთებული კ. ტაბატაძეს[36], ჯ. სტეფნაძეს[37] და სხვ.

საგანგებოდ შეისწავლა საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები რუსულ საისტორიო წყაროებში გ. პაიჭაძემ. მისი აზრით, რუსული ტერმინი „ობეზ"–ი უკავშირდება ტერმინ „აბაზგ" / „აფხაზ"–ს და მისგანაა ნაწარმოები. შინაარსობრივად კი „ობეზ"–ი ნიშნავს საქართველოსა და ქართველებს[38].

ა. სონღულაშვილი თავის წიგნში – „აფხაზი თუ აფსუა" საუბრობს სიტყვა „ლაშას" მნიშვნელობაზე (თბ., 2007, გვ. 59-60). „ქართლის ცხოვრებაში" წერია, რომ „ლაშა" „აფსართა ენით" ნიშნავს სოფლის განმანათლებელს.

---

[33]Д.Л. Мусхелишвили. Историческая география Грузии IV- X вв. Очерки истории Грузии, II Т,б., 1988, с. 383-386

[34]ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 420

[35]Х..С. Бгажба. Из истории письменности в Абхазии, თბ., 1967, გვ. 13

[36]კ. ტაბატაძე, საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი ტერმინები X-XV სს. სპარსული წყაროების მიხედვით, კრ. „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია ", თბ., 1993, გვ. 218.

[37]ჯ. სტეფნაძე, მეფეთ-მეფე გიორგი მესამე, თბ., 1999, გვ. 62

[38]Г.Г.Пайчадзе. Название Грузии в русских письменных источниках, Тб., 1989

მკლევარს მიაჩნია, რომ იგი XVIII საუკუნეში უნდა ჩაემატებინათ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში და იგი თავიდან არ უნდა წერებულიყო იქ. ანალოგიური მოსაზრება აქვს გამოთქმული მ. ლორთქიფანიძესაც[39]. აღნიშნულს იზიარებენ სხვა ქართველი მკლევარებიც.

შ. ბადრიძე „აფსარს“ უკავშირებს არა ადიღეურ სამყაროს, არამედ ჭოროხის სახელს „აფსაროსს“. მისი აზრით, ის იხსნება ბერძნული ენით, სადაც სიტყვა „აფსარი“ ნიშნავს თევზს[40]. თ. მიბჩუანი „აფსარს“ აგრეთვე თევზს უკავშირებს.[41] იმავე ნაშრომში იგი გამოთქვამს ვარაუდს მის სვანურ ღვთაება აფსატ–თან კავშირზე, რომელიც მონადირეთა მფარველი უნდა ყოფილიყო[42]. რ. გორდეზიანი კი მას უკავშირებს კოლხეთის მეფე აიეტის ვაჟის, აფსირტეს სახელს[43] (მედეას ძმა).

რაც შეეხება სახელ „ლაშას,“ ის ვ. ითონიშვილს ქართულ ტერმინად მიაჩნია, რომელიც ტაიჭს უნდა ნიშნავდეს[44]. ა. სონღულაშვილი კი, ზემოთ დასახელებულ წიგნში, მას უკავშირებს ლაშარის ჯვარს, რომელიც ფშავის მთავარი სალოცავი გახლდათ (გვ. 61). დ. ჩუბინიშვილის განმარტებით ლაშა ქართულად ნიშნავს ბალახს[45]. რ. მიშველაძის მიგნებით სიტყვა „ლაშა“ იმერულ დიალექტზე ნიშნავს დიდ ტუჩიანს და მას მსოფლიოს 25 ენაზე აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა[46].

---

[39]მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 82

[40] შ. ბადრიძე, საქართველოს ისტორია, წიგნი I, თბ., 1994, გვ. 29-30

[41] თ. მიბჩუანი, აფხაზეთის ტოპონიმიკა, კრ. „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბ., 1998, გვ. 164

[42]იქვე, გვ. 164

[43]რისმაგ გორდეზიანი, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პრობლემები, თბ., 1993, გვ. 27

[44]ეახტანგ ითონიშვილი, არაგეი და არაგველები, თბ., 1989, გვ. 25

[45]დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984, გვ. 645.

[46]რ. მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ., 1993, გვ. 237

აღნიშნულ საკითხს შეეხო აკადემიკოსი ნ. მარიც. მოგეხსენებათ, რომ ნ. მარს დევნიდა სსრკ-ს ხელისუფლება. მას ჩამოართვეს აკადემიკოსის და პროფესორის წოდებები და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს[47]. ნ. მარმა გამოსცა სტატია „აფხაზურისა და რუსულის ეროვნული ნათესაობა"[48], სადაც ის საუბრობს, რომ აფხაზური სიტყვა „ა-ლაშა" გვხდება აგრეთვე ვოგულების ეროვნულ ენაშიც, რომლებიც ბინადრობენ რუსეთის სახელმწიფოს ჩრდილოეთში. ნ. მარის აზრით, სიტყვა „ალაშა" წარმოითქმის რუსული სიტყვა „ლოშად"–ის მსგავად და ამდენად, რუსული და აფხაზური ენები ერთმანეთის მონათესავე ენებია, ხოლო რუსები და აფხაზები – მონათესავე ხალხები. ეს ყოვლად მცდარი მოსაზრებაა, რადგან, როგორც მოგეხსენებათ, სხვადასხვა ენების ნათესაობის გარკვევისას უპირატესობა ენიჭება არა გარეგან ფონეტიკურ მსგავსებას, არამედ მის შინაგან აზროვრივ დამთხვევას. თორემ გარეგნული ფონეტიკური მსგავსებით ყველა ენაში შეიძლება მოიძებნოს იდენტური ჟღერადობის სიტყვები.

ამრიგად, სიტყვები „ლაშა" და „აფსარი" უფრო მეტად ქართველურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს, ვინემ აფსუა–ადიღეურს.

XX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოში ადიღეური წარმოშობის აფსუების ჩამოსახლების საკითხს. თითქმის ერთხმად აფსუების საქართველოში ჩამოსახლებას დაახლოებით XVII საუკუნეს უკავშირებენ.

---

[47]ი. მეგრელიძე, „ნიკო მარი", გაზეთი „სახალხო განათლება", 1992, 12 იანვარი

[48]Н. марр, Труди, т. 5, 1936 г., с., 43-44

რ. თოფჩიშვილი, თავის წიგნში: „კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია," წერს, რომ ადიღეური ეთნოსის საქართველოში ჩამოსახლება უნდა დაწყებულიყო XV საუკუნიდან. ხოლო, XVI-XVII საუკუნეებში ეს მიგრაცია კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს იძენს (თბ., 2007, გვ. 32).

გ. გასვიანისა და თ. გასვიანის თანახმად აფხაზეთში არა მარტო აფსუები ჩამოსახლებულან, არამედ ჩერქეზებიც (ჯიქ–უბიხები, შაფსუღები, ნატუხაელები და სხვ.), რომლებიც ძირითადად ტუაფსე-სოჭი-ადლერის მხარეში დამკვიდრებულან[49].

XVI-XVII საუკუნეებს უკავშირებს მ. ცინცაძე ადიღეელების საქართველოში გადმოსახლებას, რასაც ავტორი ეკონომიკური და პოლიტიკური მოტივებით ხსნის[50]. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ბ. ხორავაც[51]. მისი აზრით, კავკასიის მთიანეთიდან საქართველოში ჩამოსახლებულ აფსუებში ჯერ კიდევ არ იყო ფეხმოკიდებული ფეოდალური ურთიერთობანი და ისინი კულტურულად ბევრად უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ, ვიდრე ქართველები. აფსუების აფხაზეთში XVI-XVII საუკუნეებში ჩამოსახლებაზე საუბრობს აგრეთვე გ. ანჩაბაძეც. მისი გამოკვლევით, აგრეთვე, რუსულ წყაროებში XVIII-XIX საუკუნეების აფსუა–აფხაზები აბაზინების სახელითაა მოხსენიებული, მოგვიანებით კი მათ შეცდომით ეწოდათ „აფხაზი."[52] აღნიშნული მოსაზრებები გაზიარებული აქვს ზ. პაპასკირს[53].

---

[49]გ. გასვიანი, თ. გასვიანი, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე, თბ., 2006, გვ. 146-147

[50]მ. ცინცაძე, საქართველო-ადიღეს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1982, გვ. 7.

[51]ბ. ხორავა, აფხაზთა მუჰაჯირობა, თბ., 2004, გვ. 89

[52]გ. ანჩაბაძე, ქართულ-აფხაზური ურთიერთობის საკითხები, თბ., 2006, გვ. 12

[53]ზ. პაპასქირი, ზოგი რამ აფხაზეთის წარსულზე და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაზე, „საბჭოთა აფხაზეთი", 1990, 11 მაისი

ის, გარდა ამისა, საუბრობს, რომ სამურზაყანოს ტერიტორიაზე მოხდა მეგრელთა და აფხაზთა ერთმანეთში შერევა. ელდარ მამისთვალაშვილი არაბულ და კათოლიკე მისიონერთა წერილებზე დაყრდნობით წერს, რომ ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებშიც კი ცხუმში აფსუები არ ცხოვრობდნენ[54] და ისინი გვიან პერიოდში უნდა იყვნენ ჩამოსახლებული აქ. თუ კონკრეტულად როდის ჩამოსახლდნენ აფსუები საქართველოში, ამის გარკვევას ცდილობს მკლევარი ი. ტაბაღუა. ი. ტაბაღუას თანახმად, რომელიც ეყრდნობა იტალიელი ჯოვანი ჯულიანო და ლუკას მიერ 1630 წელს მოწყობილი მოგზაურობის ჩანაწერს, ამბობს, რომ ამ პერიოდისათვის აფსუები ახალ ჩამოსახლებულნი არიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ისინი გაფანტული არიან ზღვის სანაპიროზე, ცხოვრების წესით ძალიან გვანან ჩერქეზებს და მათი ენა განსხვავდება მეზობელი ხალხიხების ენისაგან[55].

თ. მიბჩუანის აზრით, აფსუების საქართველოში ჩამოსახლება არ იყო უმტკივნეულო პროცესი. არამედ მდინარე კოდორიდან ენგურამდე ძალიან ბევრი ქართველი გაჟლიტეს მათ[56]. ამ პერიოდში არა მარტო ქართული მოსახლეობა გაწყდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, არამედ მოსულებმა მასიურად დაიწყეს აქ

---

[54]ელდარ მამისთვალაშვილი, საქართველოსშავი ზღისპირეთის ისტორიიდან, გაზ. სახალხო განათლება, 1989 წ. 18. X. გვ. 2

[55]ი. ტაბაღუა, საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში, III, თბ., 1987, გვ. 169- 171

[56]. მიბჩუანი, აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე, თბ., 1994, გვ. 19

არსებული ეკლესიების ნგრევაც.[57] ამას კი მოჰყვა საკათალიკოსო სოფლების განადგურებაც. მაგალითად, სოფელ ნიჟარეულში 60 ოჯახიდან მხოლოდ 6 ოჯახიღა დარჩა[58]. ჩრდილო კავკასიელთა საქართველოში ჩამოსახლების პროცესი XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა[59].

რაც შეეხება აფხაზეთში ჩამოსახლებულ აფსუათა შესახებ სტატისტიკურ ცნობებს ისინი თავმოყრილი აქვს მკლევარ ა. თოთაძეს. მისი გამოკვლევით, 1886 წელს ქალაქ სოხუმში ცხოვრობდა მხოლოდ 3 აფსუა, მოსახლეობის უმრავლესობა კი იყო ქართველი. 1926 წლის აღწერით მთელ აფხაზეთში ცხოვრობდა 55 918 აფსუა (ანუ მთელი მოსახლეობის 27,8 %), ხოლო 67 494 კი ცხოვრობდა ქართველი ეროვნების ადამიანი (ანუ მთელი მოსახლეობის 33,3 %). 8 920 აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს თვლიდა. ანუ ისინი უნდა იყვნენ გააფხაზებული ქართველები[60]. ქართველთა გააფხაზებაზე წერს, აგრეთვე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ზემოთ დასახელებულ წიგნში, სადაც გვარებიც კი აქვს მათი ჩამოთვლილი, ვინც გააფხაზდა. სულ აფხაზეთის ტერიტორიაზე 1928-1930 წლებში ცხოვრობდა 210 000-ზე მეტი ადამიანი, რომლიდანაც 123 412 იყო ქართველი და აფსუა, ხოლო დანარჩენი სომხები, ბერძნები, თურქები და სხვ.

XX საუკუნის ისტორიოგრაფიაში მრავალი ნაშრომია მიძღვნილი აფხაზთა მუჰაჯირობისადმი. საერთოდ, ცნობილია, რომ აფხაზეთიდან მოსახლეობა გადასაახლეს

---

[57] Э. В. Хоштария – Броссе, история и современность. Абхазская проблема в конфликтологическом аспекте, Тб., 1996, с. 86

[58] თ. ქორიძე, აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსოს საზღვრები XVI-XVIII საუკუნეებში, „კლიო", №12, 2001, გვ. 59

[59] გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998, გვ. 30-31

[60] ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993, გვ. 65

ხუთჯერ. ეს მოხდა: 1. 1840-1841 წლებში – გენერალ მურავიოვის დამსჯელი ექსპედიციის შემდეგ; 2. 1853-1856 წლებში, ე.წ. ყირიმის ომის დროს; 3. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების (1864 წ) შემდეგ; 4. ყველაზე მეტი რაოდენობით გადაასახლეს აფხაზები 1866–1867 წლებში; 5. ე.წ. ლიხნის აჯანყების პერიოდში და, განსაკუთრებით, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის მსვლელობის დროს.

სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით კოპეშავიძე მიიჩნევს, რომ XIX საუკუნის 60-70–იანწლებში აფხაზეთში ცხოვრობდა 80 000-მდე აფსუა, ხოლო გადასახლების შემდეგ, რომელშიც რუსეთს მიუძღვის ბრალი, 40 000-მდე ადამიანი დარჩენილა[61]. 1810 წელს აფხაზთა სამთავრო, რომელსაც გიორგი შერვაშიძე (ქელეშბეგი) მეთაურობდა, შევიდა რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში. რუსეთმა დაიწყო აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის შევიწროვება. ამას მოჰყვა უკმაყოფილო აფხაზების არა ერთი შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რუსეთმა მთელი სისასტიკით ჩაახშო. თ. აჩუგბას[62] თანახმად, აფხაზთა ერთ–ერთი ასეთი აჯანყება მოხდა 1821 წელს, რომელიც რუსეთის გენერალმა გორჩაკოვმა ჩაახშო. მან სოხუმი და მისი შემოგარენი სოფლები გადაწვა. იგივე განმეორდა 1824 წელსაც. რუსებმა სოხუმი კიდევ ერთხელ 1837 წელს დალაშქრეს. ამ სადამსჯელო ექსპედიციას რუსეთის მხრიდან ხელმძღვანელობდა ბარონი გ. როზენი. 1840-1841 წლებში რუსმა პოლკოვნიკმა მურავიოვმა დაარბია დალის რაიონი, რისთვისაც მას გენერლის წოდება მიანიჭეს. აფხაზეთში, რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა 1841-1842 წლებშიც. 1846 წელს

---

[61]გ. კოპეშავიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 4

[62]თ.აჩუგბა, აფხაზთა დასახლება აჭარაში, ბათუმი, 1988

განსაკუთრებით გააქტიურდა წებელდა, 1850 წელს კი – გუფისა და ჭლოუს გლეხობა. ამბოხებულმა აფხაზებმა მარტო 1846 წელს აფსაზეთში განლაგებული რუსების სიმაგრეებზე მიიტანეს 88 შეტევა. 1857 წელს მათ იერიში მიიტანეს გაგრის ციხე–სიმაგრეზეც. მათ ამ ამბოხებაში ეხმარებოდნენ უბისებიც[63]. 1859 წელს კი სომხური წარმოშობის რუსი გენერალი ლორის–მელიქოვი თავს დაესხა ფსხუელებს და სასტიკად გაუსწორდა მათ.

1866 წელს აფხაზეთში მოეწყო დიდი ანტირუსული აჯანყება. მიზეზი იყო ის, რომ სოხუმის წოდებრივ–საადგილმამულო კომისიისათვის გლეხებს უნდა გადაეცათ საგლეხო რეფორმებისათვის საჭირო მასალები. გლეხები ამ მასალების გადაცემის წინააღმდეგნი იყვნენ და მათ მოკლეს „სოხუმის განყოფილების“ უფროსი პოლკოვნიკი კონიანი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი უხეშობით გლეხებთან მიმართებაში. 20 000-მდე აფხაზი გლეხი გამოვიდა რუსეთის ძალადობის წინააღმდეგ. რუსეთმა მთელი სისატიკით ჩაახშო ეს აჯანყებაც.

საკმაოდ დიდი ნაშრომი მიუძღვნა აფხაზთა მუჰაჯირობას ბეჟან ხორავამ[64]. ის წერს, რომ „1877 წ. აფხაზეთიდან მუჰაჯირობაში წასულთა რიცხვის გაანგარიშება შესაძლებელია 1878 წ. ბოლოს სოხუმის სამხედრო განყოფილების უფროსის პოლკოვნივ პ. არაკინის მასალების მიხედვით.

ამრიგად, 1878 წელს სოხუმის სამხედრო განყოფილების ოჩამჩირის ოლქის სამურზაყანოს უბანში (9 სასოფლო თემი) 24 461 სული ცხოვრობდა. სამურზაყანოს მუჰაჯირობის პროცესი ამჯერადაც არ შეხებია. ოჩამჩირის ოლქის კოდორის უბანში (9 სასო–

---

[63]Очерки истории Абхазской АССР, I, Сухуми, 1960, с. 123-125

[64]ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004

ფლო თემი) 3 935 ოჯახი ცხოვრობდა. აქედან 1 071 ოჯახი გადასახლდა. „კავკაზსკი კალენდრის“ რედაქციას საჭიროდ მიუჩნევია კოდორის უბნის მოსახლეობის სულადობრივი გაანგარიშება, რისთვისაც ამოსავლად აუღია გუმისთისა და გუდაუთის უბნების კომლობრივ-სულადობრივი მონაცემები. კერძოდ, თითოეული კომლის წევრთა საშუალო ოდენობის განმსაზღვრელად, არგუმენტირებული ვარაუდით, ოთხნახევარი სული მიუჩნევიათ. ასეთი გაანგარიშებით თურქეთში გადასახლებამდე კოდორის უბანში მოსახლეობის ოდენობა დაახლ. 17 707 სული უნდა ყოფილიყო, საიდანაც თურქეთში დაახლ. 4 819 სული გადასახლდა, ხოლო დაახლ. 12 888 ადგილზე დარჩა. ბიჭვინთის ოლქის გუმისთის უბნიდან (8 სასოფლო თემი), სადაც 2 221 ოჯახი (9 985 სული) ცხოვრობდა, ყველა გადასახლდა. გუდაუთის უბნის (17 სასოფლო თემი) 5 293 ოჯახიდან (23 545 სული) 17 160 მცხოვრები (3 775 ოჯახი) გადასახლდა, ხოლო 6 385 სული ადგილზე დარჩა. ამრიგად, 1877 წელს მუჰაჯირობაში აფხაზეთის დაახლ. 31 964 მცხოვრები წავიდა. თუ 1867 წ. მუჰაჯირობის შედეგად მთლიანად დაიცალა კოდორის ხეობის ზემო წელი – წებელდა და დალი, 1877 წლის მუჰაჯირობის შედეგად თითქმის დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი. მუჰაჯირობის შემდეგ გაუკაცურებული აფხაზეთი დამთრგუნველი სანახავი იყო“ (გვ. 19).

აფხაზეთის ტერიტორიიდან, გარდა აფსუებისა, იდევნებოდა, აგრეთვე, ეთნიკურად ქართული მოსახლეობაც. ამ დევნას, რა თქმა უნდა, ახორციელებდა რუსეთის ხელისუფლება, მაგრამ, თ. გასვიანის მტკიცებით, ამაში ერია იმ აფსუათა ხელიც, რომელნიც რუსეთის მარი–

---

[5]თ. გასვიანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და აფსუათა აგრესიული სეპარატიზმის საოცნებები, თბ., 2003

ონეტები იყვნენ აფხაზეთში[65]. ასეთი მედროვე ხალხი კი, რომელიც საკუთარ თანატომელთა გადასახლება–განადგურების ხარჯზე ძლიერდება, ოღონდ საკუთარი ტყავი გადაირჩინოს და ყველაფერზე წამსვლელი არის. ა. სილაგაძე მიიჩნევს, რომ სწორედ მათზე დაყრდნობით მომწიფდა აფხაზეთში ნელ–ნელა აზრი, რომ აფხაზეთი არ არის საქართველო და აფხაზეთი რუსეთია[66].

ამის შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსებმა დაიწყო ქართული ენის აკრძალვაც. კ. ტოლიაშვილის გამოკვლევით, XIX საუკუნის მიწურულისათვის ქართული ენა არა მარტო გუდაუთაში, არამედ ქართველებით დასახლებულ გალის რაიონშიც იკრძალებოდა[67].

რ. ჯალაღონია, ნ. გოგუა, დ. ქობალია მიუთითებენ, რომ ამ დროს რუსებმა დაიწყეს იმ მითის შექმნა, თითქოს მთელი კავკასია დასახლებული იყო „ტუზემცებით“, რომლებიც შეცდომით გაჩენილ ბიოლოგიურ არსებებს წარმოადგენდნენ[68].

განსაკუთრებით საინტერესო და აქტუალურია თანამედროვე პერიოდის ისტორიოგრაფიაში აფხაზთა ანთროპოლოგიური კუთვნილების საკითხი. მ. აბდუშელიშვილი ანთროპოლოგიურად განიხილავს აფხაზთა სამ ჯგუფს. მის მიერ შესწავლილია ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რაიონების აფხაზები და, აგრეთვე, ის აფხაზები, რომელნიც მუჰაჯირობის დროს დასახლდნენ ბათუმის რაიონში. მისი დასკვით, ოთხივე ეს ჯგუფი მთლიანად მიეკუთვნება ქართულ ანთროპოლოგიურ ტიპს,

---

[66]ა. სილაგაძე, საქართველო 92, თბ., 1993,გვ . 41

[67]კ. ტოლიაშვილი, რელიგიური მდგომარეობა აფხაზეთში XIX საუკუნის მიწურულს, „კლიო“, №14, 2002, გვ. 85.

[68]რ. ჯალაღნია, ნ. გოგუა, დ. ქობალია, საქართველო რუსული იმპერიალიზმის სამიზნე, თბ., 2007, გვ. 14

რომელიც გახლავთ ე.წ. წინააზიური რასის შავიზღვისპირული ტიპი. მკლევარის თანახმად იგი კარდინალირად განსხვავდება ადიღეური და მათი მონათესავე ჯგუფებისაგან, რომლებიც მიეკუთვნებიან პონტოური რასის ადიღეურ ჯგუფს[98]. აღნიშნული მოსაზრება გაზიარებულია ბევრ სხვა მეცნიერთანაც.

მოგეხსენებათ, რომ აფსუებს არ გააჩნდა თავისი დამწერლობა. პირველად აფსუათა ენის ანბანი შეიქმნა 1862 წელს. მისი შექმნა დაკავშირებულია ცნობილი მეცნიერის უსლარის სახელთან, რომელმაც ის რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნა. მაგრამ რუსული გრაფიკით აფხაზური ბგერების გადმოცემა ძალიან გართულდა, ამიტომაც რამდენჯერმე სცადეს მისი გამარტივება. მაგალითად, 1892 წელს პედაგოგმა კ. მაჭავარიანმა და მისმა მოწაფემ, შემდგომში აფხაზური ლიტერატურის ფუძემდებელმა დიმიტრი გულიამ შეადგინეს ახალი აფხაზური ანბანი, რომელსაც საფუძვლად დაუდეს ქართული გრაფიკა. შემდეგ იყო ნიკო მარის მცდელობა, რათა შეექმნა აფხაზური ანბანი ლათინური გრაფიკის საფუძველზე, მაგრამ ის ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. 1938 წელს ისევ დიმიტრი გულიამ, რომელსაც დახმარება აღმოუჩინეს ქართველმა მეცნიერებმა - აკაკი შანიძემ და სიმონ ჯანაშიამ, შექმნა ახალი, უფრო დახვეწილი აფხაზური ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე. პირველი წიგნი აფსუების ენაზე გამოსცა დიმიტრი გულიამ. ეს იყო მისი ლექსების კრებული და ის გამოიცა 1912 წელს ქალაქ თბილისში. მაგრამ, 1954 წელს აფხაზური ანბანი ისევ რუსული გრაფიკის საფუძველზე იქნა შემუშავებული.

---

[98].Г. Абдушелишвили. Антропология древного и современного населения Грузии, Тб., 1964.

თუ რამ გამოიწვია აფხაზური ანბანის ისევ რუსულ გრაფიკაზე გადაყვანა, ეს დეტალურად აქვს აღწერილი თ. გვანცელაძეს[70]. ავტორის თქმით, „1922 წლიდან საბჭოთა კავშირში დაიწყო დამწერლობათა ლათინიზაციის პროცესი. 1936 წელს ეს პროცესი შეაჩერეს და უკვე ლათინიზირებულ ანბანთა რუსულ გრაფიკაზე (კირილიცაზე) გადაყვანას შეუდგნენ, რაც ძირითადად დასრულდა 1941 წლისათვის. ანბანთა რუსიფიკაცია მიზნად ისახავდა შესაბამის ეთნოსთა გარუსების დაჩქარებას. ამ პროცესს ვერ გადაურჩნენ ისეთ მრავალმილიონიან ეთნოსთა ენებიც, როგორებიც იყვნენ: აზერბაიჯანელები, უზბეკები, ყაზახები, ყირგიზები, ტაჯიკები, ვოლგისპირელი თათრები და სხვანი. ამ ფონზე გამონაკლისი აღმოჩნდნენ აფხაზური ენა და საქართველოში გავრცელებული ოსური ენის სამხრეთული ვარიანტი, რომლებსაც 1926-28 წლებიდან მოქმედი ლათინიზირებული დამწერლობანი 1938 წელს შეუცვალეს არა კირილიცით, არამედ ქართულ გრაფიკაზე დაფუძნებული ახალი დამწერლობებით, მაშინ, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელებულ ოსური ენის ჩრდილოურ ვარიანტს ლათინიზირებული დამწერლობა იმავე 1938 წელს კირილიცით შეეცვალა“. სეპარატისტი აფხაზები და ოსები ამას მიიჩნევენ ქართველთა მხრიდან მათი მიზანმიმართულად გაქართველების მცდელობად. მაგრამ საქმე სხვაგვარად უნდა იყოს. როგორც თ. გვანცელაძემ გამოარკვია, ამის მიზეზი იყო ბევრად უფრო ღრმა და სახიფათო: „რუსიფიკაციის საერთო-საიმპერიო ტენდენციებიდან აფხაზური, ოსური და ქურთული ენების ხელოვნურად ამოგდებით აფხაზებს, ოსებსა და ქურთებს უნდა შექმნოდათ შთაბეჭდილება, რომ მათ იმაზე უარესს

---

[70]თ. გვანცელაძე, აფხაზური სამწიგნობრო ენის ქართულ გრაფიკაზე გადაყვანის ისტორიიდან, http://www.amsi.ge/istoria/div/gvanc.html

უპირებდნენ "მოძალადე" ქართველები და სომხები, ვიდრე ელოდათ სხვა ხალხებს, რომელთა ენებიც კირილიცაზე გადაჰყავდათ. თავის მხრივ ეს შთაბეჭდილება გაამწვავებდა ურთიერთობას შესაბამის ხალხებს შორის და გააძლიერებდა სეპარატისტულ განწყობას, სეპარატიზმი კი მძლავრი იარაღი აღმოჩნდებოდა ქართველთა და სომეხთა თავისუფლებისაკენ ლტოლვის ასალაგმავად...

ზემოთ დასახელებულ საგარეო და საშინაო ფაქტორთა გათვალისწინებით 1938 წელს აფხაზური სამწიგნობრო ენის გადაყვანა ქართულ გრაფიკაზე უნდა განვიხილოთ, როგორც საბჭოთა იმპერიის მიერ აფხაზი ხალხის დასასჯელი ღონისძიება, რითაც იმპერია, ერთი მხრივ „განიმტკიცებდა" პოზიციას ქართველი ხალხის თვალში, მეორე მხრივ კი შეფარულად განაგრძობდა ორი მოძმე ხალხის ერთმანეთზე წაქეზების პოლიტიკას. ეს აქცია იმპერიული მიზნებით განხორციელებული დროებითი პროვოკაციული ღონისძიება იყო ისევე, როგორც იმავე პერიოდში განხორციელებული აფხაზეთის ტერიტორიაზე ცარიზმის დროს წარმოქმნილი რუსული ტოპონიმების ქართულით შეცვლა და რუსულ-აფხაზური სკოლების რეორგანიზება ქართულ-აფხაზურ სკოლებად".

მრავალი ნაშრომი მიეძღვნა აგრეთვე აფხაზეთის თემას, რომელებშიც 1918-2005 წლებსა და, ზოგადად, აფხაზეთში მიმდინარე პროცესები და აფხაზეთის პრობლემაა განხილული. მაგალითად, Б. Е. Сагария, Национаольно-государственное строительство в Абхазии (1921-1931 гг.), Сухуми, 1970; 1917-1921 года, ჟურნ. „პოლიტიკა", 1993, №8; შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001; ჩ. М. Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая вандея, М., 1993; ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური ისტორია (1921-1923 წლები), თბ., 1999; გ. გასვიანი, აფხაზეთი ძველი და ახალი აფხაზები, თბ., 1998; გ. გასვიანი, ქართველი

მეცნიერები პაექრობას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, თბ., 2003; ნ. ფოფხაძე, სიმართლე აფხაზეთის შესახებ ყველამ უნდა იცოდეს, გაზ. „ჭეშმარიტების მაძიებელი“, № 2, 2000; გ. ჭელიძე, ჰეი აფხაზეთო, აფსუს, აფსუაე! წიგნის სამყარო, 1990, 10 ოქტომბერი; ზ. რატიანი, წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო, თბ., 1995; ს. კუტალეიშვილი, ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ქართულში, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, №1-4, 1997; Л. И. Лавров, Етнография Кавказа, Л., 1982; ვ. ბენიძე, აფხაზური სეპარატიზმი და მისი შედეგები, „საისტორიო ვერტიკალები“, №2, 2002; მ. ლორთქიფანიძე, აფხაზეთის სტატუსის საკითხისათვის საქართველოში, „ანალები“, №1, 2005; საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ., 2003; მ.ნათმელაძე, ა.დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000), თბ., 2004; გ.მჭედლიძე, ისტორია უდისტანციოდ, ქუთ., 1999; ა.სილაგაძე, საქართველო 92, თბ., 1993; ა.სურგულაძე, პ. სურგულაძე,საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1992; მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (კონსპექტური კურსი), თბ., 1997 და სხვ.* (*ამ პერიოდის აფხაზეთის პრობლემები ქვემოთ დეტალურად მაქვს მიმოხილული)

აღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით მეც მაქვს რამოდენიმე სტატია გამოქვეყნებული. მაგალითად, XX საუკუნის 90-იანი წლების ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ქრონიკა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათუმი 2007 წელი, გვ., 180-197; ეთნიკური კონფლიქტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში XX საუკუნის 90-იან წლებში (ცხინვალის რეგიონის მაგალითზე), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, III, ბათუმი 2008 წელი, გვ., 207-222; ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერა დოკუმენტური მასალების მიხედვით

(2000-2005 წლებში), სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, ბათუმი 2009 წელი, გვ., 213-226; აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მცდელობანი 2000-20005 წლებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, V, ბათუმი 2010 წელი, გვ., 146-160; აფხაზეთის კონფლიქტური კერა დოკუმენტური მასალების მიხედვით (2000-2005 წლებში), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისადმი მიძღვნილ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა I სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2010 წელი (თეზისები); ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი – საერთაშორისო პოლიტიკისა თუ ეთნიკური არათავსებადობის შედეგი (2000-2005 წლებში)", საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ტბელობა 2010", (ნაშრომი გადაცემულია დასაბეჭდად კრებულის სახით შედგენილ კონფერენციის მასალებში); სეპარატიზმის ანატომია და მისი ძირითადი რესურსები (თეორიული მიმოხილვა), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „დიდაჭარობა 2010", (ნაშრომი გადაცემულია დასაბეჭდად კრებულის სახით შედგენილ კონფერენციის მასალებში); ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, საერთაშორისო პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი", თბილისი 2011 წელი, გვ. 176-180; გარდა ამისა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტებზე სათანადო ადგილას მაქვს საუბარი ჩვენს მიერ გამოცემულ წიგნში: ვახტანგ გურული, ნუგზარ ზოსიძე, სულხან ალექსაია, საქართველოსა და მსოფლიოს ისტორია (უძველესი დროიდან XXI საუკუნემდე), თბილისი, 2011 წელი;

აფხაზეთის ტოპონიმების საკითხისათვის

მოგეხსენებათ, რომ ტოპონიმებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის დადგენაში, თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე რომელი ეთნიკური ჯგუფის ხალხები ბინადრობდნენ უძველესი დროიდანვე.

თანამედროვე აფხაზეთის ძველ გეოგრაფიულ სახელებზე ანუ ტოპონიმებზე დაყრდნობით მეცნიერი პავლე ინგოროყვა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ: აფხაზეთის „ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვპოულობთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით. ამის მიხედვით სრულიად აშკარა ხდება მისი უსაფუძვლობა, რომელიც ამ მხარის ძირითად მოსახლეობას ჩერქეზულ შტოს მიაკუთვნებდა. ამრიგად, გეოგრაფიული სახელწოდებანი იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, რომ თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი“.[1] იმავე ნაშრომში პ.ინგოროყვა აანალიზებს აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ყველა ტოპონიმს, რომელიც კი გვხდება ჩვენ საისტორიო წყაროებში უძველესი დროიდან და ასკვნის, რომ ეს ტოპონიმები ყველა ქართველურ სამყაროსთანაა დაკავშირებული.[2]

---

[1]პ. ინგორიყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 146
[2]იქვე, გვ., 146–188

იგივე დასკვნებს აკეთებს მკლევარი თ. მიბჩუანიც თავის ნაშრომში – ,,ვინ იყვნენ სუანო–კოლხები?“[3]

აღნიშნულ საკითხს შეეხო გიორგი ფიფიაც. მისი გამოკვლევით, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ჰიდრონიმები ფრიად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ჩვენ. მაგალითად, ჰიდრონიმები ენგურ–ღალიძგას შორის – საერთოდ მხოლოდ ქართველურია. ჰიდრონიმები კოდორ–გუმისთას შორის არის სულ რვა. აქედან მხოლოდ ერთია აფხაზურ–ადიღეური და დანარჩენი შვიდი ქართველურ სამყაროს მიეკუთვნება. ჰიდრონიმები გუმისთა–ბზიფსა და ბზიფ–ფსოუს შორის კი შერეულია. მკლევარი ასკვნის, რომ გვიან ჩამოსახლებული აფხაზურ–ადიღეური წარმოშობის ხალხები სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულა და მთელი აფხაზეთიც კი არ მოუცავს[4].

ლ. სულამანიძე, ზემოთ დასახელებულ ნაშრომში საუბრობს, რომ ნ. მარიდან დაწყებული ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას, ა. ჩიქობავას და ქ. ლომთათიძეს ჩათვლით ფიქრობენ, რომ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირა ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები მიეკუთვნება აფხაზურ–ადიღეურ–ჩერქეზულ ენობრივ სამყაროს. პ. ინგოროყვა კი არ ეთანხმებოდა ზემოთ დასახელებულ მკლევართა აღნიშნულ დასკვნას. მისი თქმით, აღნიშნული დასკვნა ჩამოთვლილ მკლევარებს გაკეთებული აქვთ მხოლოდ ოთხი სიტყვის (სუფსა, აჭყვა, მალთაყვა, აკამფსისი) ანალიზის საფუძველზე.

პ. ინგოროყვა თავის წიგნში – ,,გიორგი მერჩულე“, წერს: ,,საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება

---

[3]თ. მიბჩუანი, ,,ვინ იყვნენ სუანო–კოლხები?“გაზეთი ,,სახალხო განათლება“, 6.12.1989 გვ. 165

[4]გ. ფიფია, ,,აფხაზეთის ტოპონიმიკის საკითხის გამო“, გაზეთი ,,სახალხო განათლება“, 5.7.1990

გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომელიც ხალხის ისტორიის ძირითად საკვანძო საკითხებს ეხება,–ასეთი საბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებითად სამი სიტყვის) საეჭვო ეტიმოლოგიზაციის საფუძველზე".(გვ. 184-185)

პ. ინგოროყვა სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა, რომ ქართულ ენაში სიტყვა ,,ფას"–ი, ფს–ი (აქედან ფას–ის–ი) უძველესია და ნიშნავს წყალს. ამას ადასტურებს მისი მრავალი განშტოება ქართულში, სადაც ყველგან წყალს უკავშირდება.[5] პროფესორი გ. ნებიერაძე[6] აღნიშნავს თავის სტატიაში, რომ აკამისი არის არა ჩერქეზული, არამედ ბერძნული წარმოშობის სიტყვა. ამ სიტყვაში შემავალი ,,ფსა" არაა ჩერქეზული, ბერძნულში გავრცელებულია ,,ფს" კომპლექსი იმდენად, რომ ბერძნულ დამწერლობაში მისთვის სპეციალური ასოც კი არსებობს.

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე ზემოთ დასახელებულ ნაშრომში საუბრობს, რომ ,,ყვა", ისევე როგორც ,,ფსა"–უძველეს ქართულში აღნიშნავდა წყალს (გვ. 12).

აღნიშნულ საკითხს ეხება აგრეთვე ბიძინა თავაძე თავის ნაშრომში ,,VIVAT HISTORIA: ანუ რას ვიამბობენ მცენარეთა სახელწოდებანი აფსუა-აფხაზთა აბორიგენობაზე საქართველოში". ის წერს: ,,ქვემოთ ჩვენ ქართველოლოგიას, და ე.წ. აფხაზოლოგიას, შევთავაზებთ ფრიად საყურადღებო მონაცემებს, მცენარეთა სახელწოდებების შესახებ აფსუურ ენაში, რომელნიც წინასწარ ვიტყვით აბსოლუტურად გამორიცხავს აფსუების აბორიგენობას

---

[5] პ. ინგოროყვა, დასახებული ნაშრომი, გვ. 185

[6] გ. ნებიერაძე, იბერიულ–კავკასიური ჰიპოტეზა გაზეთი ,,სახალხო განათლება", 26.4.1990

საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში“.[7]

აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები სხვა მკლევარებსაც აქვთ საგანგებოდ შესწავლილი. მაგრამ, ამჯერად მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ბოლო დროს გამოცემულ წიგნზე, რომლის ავტორია სიმონ გოგიტიძე და წიგნის სახელია „ქაშქა–აბეშლა: აფხაზურ(აფსუა)–ადიღეური თუ ქართველური მოდგმა“ (ბათუმი, 2010). მკლევარი საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს აფხაზურ ტოპონიმებს და ასკვნის, რომ ქაშქა–აბეშლას ტერიტორიაზე ხეთურ და ასურულ წყაროებში მოხსენიებულია 170–ზე მეტი სახელწოდების (ქვეყნის, ოლქების, ადამიანთა საკუთარი, დინასტიური და ა. შ.) სემანტიკა–ეტიმოლოგია ქართულია და ყველა მათგანი განეკუთვნება ქართველურ სამყაროს, უფრო მეტად კი მეგრულ–ლაზურს. გარდა ამისა, ამ ტოპონიმებს არავითარი კავშირი არ აქვთ ადიღეური მოდგმის ჯგუფებთან. ეს უკანასკნელნი კი, ძირითადად, რუსი დამპყრობლების მიერ უკანასკნელი ორი–სამი საუკუნის განმავლობაში ყუბანისპირეთისა და მიმდებარე რაიონებიდან იქნენ ჩამოსახლებული საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში.

ს. გოგიტიძის აზრით, „ტოპონიმები და ანთროპონიმები, რომლებიც ქაშქებს ჰქონდათ დაახლოებით 3,5–3 ათასი წლის წინ (მაგ. ტიბია, ფითაურია, ფათალია, ფატანია, ციანა, დადა, თუთუ, დადილუ, თათილი, ქანუ, ქასუ, თახანი, მუთა, ფიფია, შარია, თურია, ქუქავა, ფასავა, გახარია, ხარია, ფაცია, ფაია, ლითა, ნუნუ, თალი, ვაშა და ა. შ.), დადასტურებას პოულობს ქართველურ ისტორიულ წყაროებსა და თანამედროვე საქართველოში ზუსტად ასეთივე ფორმებით.“ (გვ., 4)

---

[7]http://www.amsi.ge/istoria/div/VIVAT_HISTORIA.pdf, გვ. 2

ს. ბახია-ოქროაშვილის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე აფხაზეთმა არა ერთხელ განიცადა ნგრევა და მასზე ილაშქრა სხვადასხვა დამპყრობელმა აფხაზეთის ქალაქებმა მაინც შეინარჩუნა ძველი სახელები (მაგალითად, ბიჭვინთა, გაგრა, ოჩამჩირე, ანაკოფია და სხვ.), რომლებიც ქართველური წარმოშობის ტომების მიერ უნდა იყოს დარქმეული და ამავე ენებითვე იხსნებიან[8].

ამრიგად, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ტოპონიმები და ანთროპონიმები ცხადყოფენ, რომ ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ ის ტომები, რომლებიც მთლიანად მიეკუთვნება ქართველურ სამყაროს. ეს ტოპონიმები და ანთროპონიმები კიდევ ერთხელ ღაღადებენ იმ ისტორიულ ჭეშმარიტებას, რომ თანამედროვე აფხაზეთი საქართველოს ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც კახეთი, ქართლი, ეგრისი და საქართველოს სხვა მხარეები...

---

[8] ს. ბახია-ოქროაშვილი, აფხაზეთის ტოპონიმია და ანთროპონიმია, კრ. „კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, თბ., 2005, გვ. 65

საეკლესიო და ადმინისტრაციულ–საკანცელარიო ენა შუა საუკუნეების ეგრის–აფხაზეთის სამეფოში

ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებანია გამოთქმული შუა საუკუნეების ეგრის–აფხაზეთის სამეფოს საეკლესიო და ადმინისტრაციულ–საკანცელარიო ენასთან დაკავშირებით. მკლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ IX-X საუკუნეებამდე ეს ენა უნდა ყოფილიყო ბერძნული, რადგანაც ამ პერიოდში აფხაზთა სამეფო ბიზანტიის სახელმწიფოს პოლიტიკური გავლენის ქვეშაა მოქცეული. მაგრამ ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ პერიოდის აფხაზეთში სახელმწიფოს პოლიტიკურ სტრუქტურებსა და ეკლესიაში წირვა–ლოცვის ენად უნდა ყოფილიყო ქართული ენა.

განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიისაგან გამოყოფისა და მის მცხეთის საკათალიკოსოსადმი დაქვემდებარების თარიღთან დაკავშირებით.

აკადადემიკოს ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ეს უნდა მომხდარიყო VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე. ის ამას უკავშირებს, ერთის მხრივ, ბიზანტიის სახელმწიფოში არსებულ ხატმებრძოლობას და, მეორეს მხრივ, საკუთრივ

ბიზანტიის დასუსტებას. მისი თქმით, სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა ეგრის–აფხაზთა სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებაც.[1]

ეგრის–აფხაზეთის სამეფოს ეკლესიის ბიზანტიის იმპერიისაგან გამოყოფის პროცესს ნ. ბერძენიშვილი პირობითად ორ ეტაპად ყოფს. მისი აზრით, „პირველ ხანებში, საფიქრებელია, პოლიტიკურად ჯერ წელმოუმაგრებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ"[2], რის შემდეგაც ეგრის–აფხაზეთის გაერთიანებული ეკლესიის მეთაურს ეწოდა „აფხაზთა კათალიკოსი". ის თავიდან ისევ ბიზანტიის ეკლესიას ექვემდებარებოდა[3]. ამის შემდეგი ნაბიჯი კი იყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიის მცხეთის საკათალიკოსოსადმი დამორჩილება[4]. „ამიერიდან მცხეთის საკათალიკოსოსა და აფხაზთა მეფეებს შორის სრული შეთანხმება უნდა მომხდარიყო. მცხეთა ლიხთ-იმერეთის კულტურულ-რელიგიური გაერთიანება-შემოერთებისათვის მიიწევდა, აფხაზთ მეფეები კი იმერეთ-ამერეთის პოლიტიკურ მთლიანობას უყრიდნენ საფუძველს"[5].

მეცნიერი პ. ინგოროყვა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვების თარიღად IX საუკუნის პირველი ნახევრს ასახელებს[6].

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 119-120

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III ,თბ., 1966, გვ. 49

[3] იქვე

[4] იქვე, გვ. 45

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, 3, თბ., 1966, გვ. 50

[6] პ. ინგორიყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 244

კ. კეკელიძის აზრით კი ეს უნდა მომხდარიყო X საუკუნის მეორე ნახევარში[7]. რაც შეეხება ს. ყაუხჩიშვილს, მისი მტკიცებით დასავლეთ საქართველოს კათედრები X საუკუნის დასაწყისში უნდა გამოყოფოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს[8].

ზ. ანჩაბაძეს კი საერთოდ საეჭვოდ მიაჩნია აფხაზეთის არქიეპისკოპოსის კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარება X საუკუნის დასაწყისამდე[9]. მისი აზრით, ამის შემდეგ, მოგვიანებით უნდა მომხდარიყო დასავლეთ საქართველოს ეკლესიური დამოუკიდებლობის მოპოვება და მისი მცხეთის საკათალიკოსოსადმი დამორჩილება.

ივ. ჯავახიშვილის აზრით ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა არგვეთი, რომელიც მცხეთის საკათალიკოსოს ეკუთვნოდა[10]. ეს კი, ბუნებრივია, დიდად უწყობდა ხელს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიათა გაერთიანებას.

ნ. ბერძენიშვილი მიიჩნევს, რომ ეგრის-აფხაზეთის მეფეებმა თავიდანვე დაიწყეს ძველი (ბიზანტიური) საეპისკოპოსო კათედრების მოშლა და პარალელურად ახალი ქართული კათედრების დაარსება,[11] რაც აბსოლიტურად სწორი ნაბიჯი გახლდათ. მთელი X საუკუნის მანძილზე ნელ–ნელა მოიშალა გუდაყვის (ძიღანევის) კათედრა და ფოთის კათედრა, ხოლო ამავე დროს აშენდა ჭყონდიდის, მოქვის, ბედიისა და სხვა საყდრები, რომელნიც , წარმოადგე–

---

[7] კ. კეკელიძე, ეტიუდები ... 4, გვ. 357

[8] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 4, ნაწილი 2, თბ., , გვ. 193-201

[9] З. А н ч а б а д з е , Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959, გვ. 146

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი , ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 119-120

[11] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი , სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, იქვე, გვ. 51.

ნდნენ ქართულ საეპისკოპოსო კათედრებს. ასე ნაბიჯ–ნაბიჯ, თანდათანობით იდევნებოდა ბიზანტიის ეკლესიის გავლენა ეგრის-აფხაზეთის სამეფოდან.

ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფესორ ბიჭიკო დიასამიძეს. ის საკმაოდ არგუმენტირებულად და მრავალრიცხოვან ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ დასავლეთ საქართველოში საკანცელარიო, სამწერლობო და წირვა–ლოცვის ენად IX-X საუკუნემდე ბევრად ადრე გამოიყენებოდა ქართული ენა,[12] რაც ხაზს უსვამს ამ მხარის ერთიან ქართულ სივრცეში ოდითგანვე ინტეგრირებულობას და ქართული ეთნიკური ელემენტის აშკარა უპირატესობას ბიზანტიელ დამპყრობლებთან შედარებით.

აღნიშნულ საკითხს საგანგებოდ შეეხო მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე თავის ნაშრომში – „ქართველთა გააფხაზება უძველესი აფხაზეთი ქართული წყაროების თანახმად“. ის წერს: „ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს ერთ ნაწილში თვით IV-V საუკუნეებამდე გავრცელებული იყო ბერძნული საეკლესიო ენა, ამიტომ უნდა დაისვას კითხვა: თუკი ქართლის სამეფო მოიცავდა დასავლეთ საქართველოს (წმიდა ნინოს შემდეგ და ვახტანგ გორგასლის დროს IV-V საუკუნეებში), ხომ არ იყო დასავლეთ საქართველოში ქართული საეკლესიო ენა. დ. მუსხელიშვილის თანახმად, დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში V საუკუნეში საეკლესიო ენა ყოფილა ქართული ენა ...

არც თუ დიდი ხნის წინ მიჩნეული იყო, რომ დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობა გავრცელდა VI

---

[12]გ. დიასამიძე, ქრისტიანობის გავრცელების ისტორიისათვის დასავლეთ საქართველოში (1-10 სს.), თბ., 2000, გვ. 45-46

საუკუნეში და მაშინ ეს მხარე შევიდა ბერძნული ეკლესიის იურისდიქციაში, მაგრამ არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა დაადგნა, რომ ლაზიკაში ქრისტიანობა გავრცელდა წმიდა ნინოს ეპოქაში (IVსაუკუნეში). V საუკუნეში ვახტანგ გორგასალმა ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ერთიანობა, გააძლიერა ეკლესია, ამიტომ უკვე IV საუკუნიდანვე დასავლეთ საქართველოში, ისევე როგორც მთელ ქართულ ეკლესიაში, საეკლესიო ენა იმ დროისათვის (1600 წლის წინ) დასავლეთ საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის საერთო სახალხო ლიტერატურულ ენას წარმოადგენდა, ამას ისიც ადასტურებს, რომ სამეგრელოსა და სვანეთში ქრისტიენობამდეც, წარმართობის დროს კულტმსახურების ენას წარმოადგენდა ქართული ენა (გვ., 15).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფრიად მნიშვნელოვანია იოანე სომეხთა კათალიკოსის ერთი ცნობა, რომლის თანახმადაც მცხეთის ეკლესიის მეთაური კირიონ პირველი იყო აგრეთვე მამამთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა“.[13] ამრიგად, ამ წყაროს თანახმად, მეხუთე საუკუნეში მაინც, ეგრისის ეკლესია ექვემდებარებოდა მცხეთის საკათალიკოსოს.

მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის თანახმად, „აფხაზეთის, ანუ ქვემო იბერიის საკათალიკოსოში შევიდა სამი საეკლესიო ოლქი, აქედან ორი – აბაზგიისა და ლაზიკისა – ბერძნულენოვანი იყო საეკლესიო თვალსაზრისით, ხოლო ეგრის–არგვეთის ეკლესია, ანუ სკანდა–შორაპნის ხაზის აღმოსავლეთით მდებარე საეკლესიო ოლქი ყოველთვის ქართულენოვანი იყო და ასეთად დარჩა აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნამდე, რაც, ვახუშტი ბაგრატიონის აზრით, მოხდა VIII საუკუნისათვის.

---

[13]პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 243

მთელ ეკლესიაში, აფხაზეთის სამეფოს ყოველ კუთხეში აღსდგა და თანდათან ვრცელდებოდა ქართულენოვანი წირვა–ლოცვა"[14] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, აფხაზეთის ეკლესიას ქვემო იბერიის საკათალიკოსოს უწოდებს, რაც ხაზს უსვამს იბერიის (ანუ საქართველოს) ეკლესიურ ერთიანობას.

მკლევარ–მეცნიერთა ზემოთ მოყვანილი მოსაზრებებიდან გამომდინარე, მინდა ვთქვა, რომ ეგრის–აფხაზეთის სამეფოში საეკლესიო და სახელმწიფო ადმინისტრაციულ ენად ქართული ადრეული შუასაუკუნეებიდანვე გამოიყენებოდა. ის ჯერ კიდევ პირველი ერთიანი ქართული მონარქიის მესარძიკვლის, მეფე ფარნავაზის მიერ იყო გავრცელებული ძვ.წ. IV-III საუკუნეებიდანვე მთელ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში.

---

[14]ანანია ჯაფარიძე, თავის ნაშრომში „ქართველთა გააფხაზება უძველესი აფხაზეთი ქართული წყაროების თანახმად", გვ. 20

აფხაზი – ქართველური თუ ადიღეური მოდგმა

აფხაზებთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი აფხაზებს მიიჩნევს ჩრდილოკავკასიიდან გადმოსახლებულ ადიღეველებად. თუმცა სადაოა გადმოსახლების დრო. ნაწილი ფიქრობს, რომ აფხაზები საქართველოს ძირძველ მიწაზე დასახლდნენ ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში, მეცნიერთა მეორე ნაწილის აზრით კი ეს პროცესი დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის XVII საუკუნიდან. ქართველ მკლევართა უმეტესობა მიიჩნევს, რომ საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზები, რომლებიც აქ უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ, ისეთივე ქართველური ტომები იყვნენ, როგორც მათთან ერთად მცხოვრები ეგრები, კოლხები სვანები, ხალიბები, ქართები და სხვა. მაგრამ, XVII საუკუნეში ჩამოსახლებულმა ჩრდილო კავკასიელმა აფსუებმა, რომლებიც რეალურად არიან ადიღეური წარმოშობისანი, თავიანთ თავს უწოდეს „აფხაზი". ალბათ ჩვენი შეცდომაცაა, რომ დროზე ვერ გავაკეთეთ სათანადო რეაგირება ამ ტერმინთა გაიგივების გამო და თავ-თავიანთი სახელი არ დავარქვით ყველაფერს. ეს შეცდომა კი დღეს დროებით ტერიტორიების დაკარგვად დაგვიჯდა.

სწორად აღნიშნავს ავთანდილ სონღულაშვილი თავის წიგნში „აფხაზი თუ აფსუა", რომ „კოლხეთის სახელმწიფოს გაჩენიდან რვაასი წლის შემდეგ, სახელდობრ, ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეში ძველი კოლხეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე იხსენიებიან

აბაზგები, რომელნიც მოძრაობის შემდეგ სახლდებიან გზიფსა და გუმისთას შორის, ანუ იმ ტერიტორიაზე, სადაც 800 წლის წინათ სახლობდნენ კოლხური ტომები – კოლები და კორაქსები, ხოლო შემდგომ, ასევე – სანიგები (სანები, ჭანები). აბაზგები რიგ ქართველ მეცნიერთ მიაჩნიათ დღევანდელი აფსუების წინაპრებად, რაც არ მტკიცდება. მაგრამ, რომც ვთქვათ, და დავუშვათ, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფსუები არიან აბაზგების შთამომავალნი, სულერთია, ასეთ შემთხვევაშიც აფსუები ვერ ჩაითვლებიან დღევანდელი აფხაზეთის მკვიდრ აბორიგენ ეთნოსად, რადგან მათი შესაზლო წინაპრები, აბაზგები საქართველოში, კოლხეთში, მოვიდნენ დიდი ხნის შემდეგ, როცა, როგორც ითქვა, აქ უკვე რვა საუკუნე იყო გასული, რაც ქართული სახელმწიფო, კოლხეთი არსებობდა, სახელმწიფო, რომლის წარმოქმნის დროს არის ეთნოსის მკვიდრობის განმსაზღვრელი ნიშანი. სახელმწიფოებრივად ორგანიზებულ ეთნოსს, უკვე თავისი ტერიტორიული სამშობლო გააჩნია და ის ეთნოსი ითვლება ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის აბორიგენ მკვიდრად, რომელიც სახელმწიფოს წარმოქმნის პროსესში ამ ტერიტორიაზე სახლობდა და ამ სახელმწიფოს ქმნიდა, ხოლო შემდგომ ამ სახელმწიფოში მოსულ-დასახლებული უცხო ტომები და ეთნოსები აქ აბორიგენ მკვიდრად არ ჩაითვლებიან და მათ აქ ცალკე სახელმწიფოს შექმნის უფლება არა აქავთ."[1]

აფხაზებთან დაკავშირებით თითქმის ყველა მეცნიერი აღნიშნავს, რომ ისინი უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ისინი

---

[1]ავთანდილ სონღულაშვილი, „აფხაზი თუ აფსუა", თბ., 2007, გვ. 10

არიან აბორიგენები და ავტოქტონები, თუმც სადაო მათი ეთნიკური კუთვნილება. ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ურთიერთ გამომრიცხავი მოსაზრებაა გამოთქმული. ჩვენ შევეცდებით წარმოგიდგინოთ ისინი და გავერკვეთ ჭეშმარიტებაში.

აფხაზების ეთნიკური კუთვნილების საკითხის გარკვევას მივყავართ დასავლეთ საქართველოში უძველეს პერიოდში მცხოვრები ქაშქა-აბეშლას ტომთა ეთნიკური კუთვნილების საკითხის გარკვევამდე, რომლის ირგვლივაც დიდი პოლემიკაა ატეხილი მეცნიერულ წრეებში. მეცნიერთა ნაწილი – ი. დიაკონოვი, ი. ვორონოვი, შ. ინალიფა, ვ. არძინბა, ე. ფორერი და სხვ. – მათ აფხაზურ-ადიღეურ ტომებად მიიჩნევს. მეცნიერთა მეორე ნაწილი, კერძოდ: ი. ჯავახიშვილი, გრ. გიორგაძე, კ. თოფურია და სხვ., კი მათ ქართველურ ტომებად თვლის. ეს არის ძირითადი მოსაზრებანი, რაც გამოთქმულია ქაშქა-აბეშლას ტომების ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით. არსებობს სხვა, სამეცნიერო წრეებში ნაკლებად გაზიარებული მოსაზრებანიც.

მოგეხსენებათ, რომ ასურულ წარწერებში ქაშქის სინონიმად გამოიყენება აბეშლა[2]. მაგრამ რამდენად შეესიტყვება იგი აფსილს, ეს ჯერ კიდევ გასარკვევია.

მკლევარ ი. ვორონოვის მიგნებით, ქაშქა-აბეშლას ტომები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე

---

[2]ს. გოგიტიძე, ქაშქა-აბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადიღეური თუ ქართველური მოდგმა?, ბათ., 2010, გვ. 18; ასევე, გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 93-95

მოვიდნენ მცირე აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიებიდან და ისინი მიეკუთვნებოდნენ აფხაზურ-ჩერქეზულ ეთნიკურ ჯგუფს[3].

ტენდენციურ მკლევარ შ. ინალიფას სიტყვით, აბეშლა უნდა შეესაბამებოდეს ტერმინ აფსილს, რომელიც, მისი აზრით, ადიღეური წარმოშობისა უნდა იყოს. ამ დასკვნას იგი მხოლოდ გარეგნული ფონეტიკური მსგავსებით აკეთებს. მისი აზრით, სახელწოდებანი აბეშლა, აფსილი და აფსუა მომდინარეობენ ერთ-ერთი ადგილობრივი ეთნონიმიდან[4].

ვ. არძინბა ჯ. მაკუინის წიგნის ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ქაშქა და აბეშლა მიეკუთვნება აფხაზურ-ადიღეურ ენათა ჯგუფს[5].

აკადემიკოს ნ. მარის თანახმად, მთელ სამხრეთ კავკასიაში უძველესი პერიოდიდანვე ცხოვრობდნენ და ავტოქტონები იყვნენ კასები. მისი აზრით, მათთან უნდა იყვეს კავშირში კასპიის ზღვისა და კავკასიის სახელები[6].

გ. გიორგაძე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ქასქა-აბეშლას ტომები ეთნიკურად უფრო მეტად დასავლეთ ქართულ (კოლხურ) ეთნოსს უნდა უკავშირდებოდეს, ვინემ აფხაზურ-ადიღეურს.[7]

მკვლევარი დ. ბუდიანიძე მიიჩნევს, რომ ქასქები ეთნიკური წარმომავლობით კოლხურ-სვანური უნდა იყვნენ. კვლევარს აღნიშნული დასკვნა მრავალი

---

[3]Вороновю Ю. Н. Археологическая карта Абхазий, Сухум, 1969, с. 74

[4]Инал-ифа Ш. Д. Абхазцы, Алашара, с. 85

[5]Макунин Дж. Хетты и их современники в Малой Азии, Ь., 1983, ბოლოსიტყვაობა

[6]Марр Н. К. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа, Известия Академии наук 1916 г., с. 1392-1394

[7]გ. გიორგაძე, ხეთური და ასურული ლურსმნული ტექსტების ქასქების (ქაშქების) და აბეშლაების ეტნიკური წარმომავლობისატვის, ახალციხე, 2000, გვ. 15-17

მაგალითით აქვს დასაბუთებული.[8]

აღსანიშნავია მკვლევარი ს. ბადა, რომელმაც თავის ვრცელ ნაშრომში გაანალიზა ქაშქების ტომის ეთნიკური ვინაობა და გააკეთა დასკვნები, რომ ეს უნდა იყოს ლაზურ-მეგრული ეთნოსი.[9]

აღსანიშნავია კ. თოფურიას მოსაზრება, რომ ქაშქები უფრო მეტად კოლხური წარმომავლობისა უნდა იყვნენ, ვინემ აფხაზურ-ადიღეური.[10]

საგანგებოდ შეეხო ქაშქების პრობლემას ირ. ტატიშვილი თავის სტატიაში „ხეთები ქაშქების შესახებ". მისი აზრით, ქაშქების ეთნიკური ვინაობა და ლინგვისტური მონაცემები ჯერ კიდევ ბოლომდე დადგენილი არ არის, მაგრამ ამ საკითხის კვლევა დაკავშირებული უნდა იყოს ქართველური ენებისა და ხეთური ენების კვლევასთან.[11]

განსაკუთრებით მინდა ყურადღება შევაჩერო აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილზე და მის მოსაზრებაზე ქაშქა-აბეშლას ტომთა ეთნიკურ ვინაობასთან დაკავშირებით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე დიდი პოლემიკა მიმდინარეობს სამეცნიერო წრეებში გიორგი მელიქიშვილის აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებებზე.

გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ ქაშქების სახელი პროტოხეთური ენის მონაცემებით იხსნება, მაგრამ ხშირად მეცნიერები აფხაზურ და პროტოხეთურ ენას

---

[8]დ. ბუდიანიძე, მითოსური პარალელები – ლიტერატურული საქართველო, თბილისი 2006, 16 ივნისი, გვ. 13; ასევე, გ. გიორგაძე, ვის ეკუთვნის ქაშქები, გაზეთი თბ., 1999, 9 აპრილი, გვ. 3

[9]ს. ბადა, ლაზ-მეგრელთა ისტორია, თბ. 2006, გვ. 282

[10]კ. თოფურია, ვის ეკუთვნის ქაშქები, გაზეთი თბ., 1999, 9 აპრილი

[11]ირ. ტატიშვილი, ხეთები ქაშქების შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, II, ბათ., 2007, გვ. 15

ერთმანეთთან ახლოს მდგომ ენებად განიხილავენ. ამრიგად, გ. მელიქიშვილის აზრით ქაშქების ქვეშ ჩვენ აფხაზურ-ადიღეური ან პროტოხეთური წარმომავლობის ტომები უნდა ვიგულისხმოთ, თუმც არც ისაა გამორიცხული, რომ ტერმინი ქაშქა ზოგჯერ კრებსითი მნიშვნელობით გამოიყენებოდეს და ამ ტერმინის ქვეშ ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის ტომები იგულისხმებოდეს. ამიტომ მკვლევარის თანახმად ტერმინ ქაშქას ქვეშ შესაძლებელია არა ერთი ქართველური ტომიც მოვიაზროთ.[12]

აღნიშნულ პრობლემას გ. მელიქიშვილი სხვა ნაშრომებშიც შეეხო, რომლებშიც მკვლევარი ქაშქა-აბეშლას ტომებს აფხაზურ-ადიღეური და პროტოხეთური ტომების მემკვიდრეებად აცხადებს.[13]

გიორგი მელიქიშვილი ერთ–ერთ ნაშრომში მიუთითებს, რომ ქაშქების სალაპარაკო ენა უნდა ყოფილიყო პროტოხეთური, რომ ისინი ეთნიკურადაც ახლოს იდგნენ პროტოხეთებთან, ხოლო ტერმინ ხეთების ქვეშ კი ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ზოგიერთი ქართველური და ხურიტული ენები.[14] ამრიგად, მკვლევარი არ გამორიცხავს ქაშქების ქართველურ ეთნოსთან სიახლოვესაც.

გ. მელიქიშვილმა 1954 წელს წიგნად გამოსცა

---

[12]გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I, თბ., 1973, გვ. 360

[13]გ. მელიქიშვილი, ძიებანი საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძველი ისტორიის დარგში, თბ., 1999, გვ. 93-95; მისივე Население северных областей Наири-Урарту и его роль в древне-восточной истории, М., 1960, с. 7

[14]Меликишвили Г. А. К истории древней Грузии, Тб., 1959, с. 168-169

თავისი სადოქტორო დისერტაცია (რუსულ ენაზე).[15] აღნიშნულ ნაშრომშიც მკლევარი ამტკიცებს, რომ ქაშქები ენათესავებიან პროტოხეთებს, რომელთა სამშობლოა წინა აზია, ამიერკავკასია და ჩრდილო კავკასიის უდიდესი ნაწილი. ამ წიგნს მიენიჭა სსრკ 1956 წლის ლენინური პრემია. ამ ნაშრომზე დაყრდნობით გამოაქვეყნეს თავიანთი ნაშრომები თეიმურაზ მიქელაძემ[16] და ბორის პიოტროვსკიმ.[17]

აკადემიკოს გ. მელიქიშვილის ზემოთ მოტანილი მოსაზრება გააკრიტიკა ისტორიის დოქტორმა პროფესორმა ლევ ლიპინმა.[18]

ლიპინი წერს: მელიქიშვილმა თვითონ შეთხზა, რომ სიტყვა „აბეშლა" ამოკვეთილია სამი ათასი წლის წინ ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) მიერ დაპყრობილი ქვეყნების სიაში (დღევანდელ შუა თურქეთში და არა დღევანდელ აფხაზეთში), რომ თითქოს, მეორე ასეთივე წარწერაში, სიტყვა „აბეშლას" ნაცვლად წერია სიტყვა „კაშკა", რომელიც მეცნიერმა გ. მელიქიშვილმა ჟღერადობით მიამსგავსა სიტყვა „ქაშაგნი"-ს. გ. მელიქიშვილის მეორე ვარაუდით, ეს სახელი, „აბეშლა", I-II საუკუნეებში ლათინურ ენაზე შედგენილი აღწერის დროს ქალაქ დიოსკურიას (დღევანდელი სოხუმის ნაწილი) მახლობლად მოხსენიებული მოსახლეობის „აბსილაი"-ს (აბსილი, აბსილები) მსგავსია. ამიტომ, დღევანდელ შუა თურქეთის ძველი ავტოქტონი მცხოვრები აბეშლები, I საუკუნეში დიოსკურიასთან მცხოვრები აბსილები, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრები

---

[15]Меликишвили Г. А, Древневосточные материалы по историй народов Закавказия Наири-урарту, Тб., 1954 г.

[16]თ. მიქელაძე, ჟურნალი „დროშა", 1956 წელი, №12, გვ. 12

[17]Б. Пиотровский, Вопроси историй, 1956 г. №3, с. 112

[18]Л. Липин, Советское востоковедение, 1956 г., №3, с. 158-163

ქაშაგები და ქართული წყაროების აფშილები ერთი და იგივე ხალხია, რომელთა სამშობლო ზემოთ ჩამოთვლილი ტერიტორიაა.

პროფესორი ლ. ლიპინი გმობს გ. მელიქიშვილის უცნაურ მეთოდს. როგორც ის ამბობს გ. მელიქიშვილმა ერთ უსაფუძვლო ვარაუდზე დააფუძნა მეორე ასევე მცდარი ვარაუდი, შემდეგ კი, ბუნებრივია, აქედან ასეთივე მცდარი დასკვნა გამოიტანა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის გამოუჩდნენ კრიტიკოსები აკადემიკოს გ. მელიქიშვილს ქაშქა-აბეშლას ტომთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით, გვინდა შეგახსენოთ, მისი რედაქტორობით გამოცემული წიგნები, სადაც ქაშქა-აბეშლას ტომები, ანუ, როგორც ავტორი უწოდებს, აფხაზური ტომები, დასავლეთ ქართულ ეთნიკურ ჯგუფად არიან მოხსენიებული. მაგალითად, 1966 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორებია მ. კ. დუმბაძე, ი. მ. კაჭარავა, გ. ა. მელიქიშვილი, შ. ა. მესხია, პ. კ. რატიანი (გამომცემლობა „განათლება"), სახელმძღვანელო საშუალო სკოლის უფროს კლასებისათვის, მეექვსე გამოცემა, თავი I–IV. მელიქიშვილი მე-11 გვერდზე წერს, რომ „საქართველოს ტერიტორიაზე ძველად სხვადასხვა ტომებს უცხოვრიათ. მათ შორის იყვნენ აფხაზური ტომებიც, რომლებიც დასავლეთ ქართულ ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნება". გ. მელიქიშვილი ანალოგიურად წერს სსრკ-ში გამოქვეყნებულ „ვსემირნაია ისტორიის" ტომებშიც. იქვეა მოთავსებულია რუკაც.[19] გ. მელიქიშვილი „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში" მიუთითებს: „ეთნიკურად აფხაზები ენათესავებიან მცირე აზიის უძველეს მკვიდრ

---

[19]Всемирная история, т., VI, с. 312-331

მოსახლეობას – ქაშქა-აბეშლას ტომებს, რომელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I -ის (ძვ.წ. XII საუკუნე) წარწერები. სავარაუდოა, რომ ძველ ასურულ „აბეშლას" ენათესავებოდნენ გვიანდელი აფსილები, რომლებსაც პირველად იხსენიებს პლინიუსი (I ს.). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძველ აფხაზური სატომო გაერთიანება – აბაზგები – პირველად იხსენიება არიანეს „პერიპლუსში" (II ს.). აბაზგებისა და აფსილების, აგრეთვე აქეველების, სანიგებისა და შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს სხვა უძველესი მოსახლეობის ეთნიკური ელემენტების მეტ-ნაკლები მონაწილეობით VIII საუკუნისათვის ძირითადად დასრულდა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება. მაგრამ კონსოლიდაციის პროცესი თითქმის XVIII საუკუნემდე გრძელდებოდა...

უძველესი დროიდან აფხაზებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ ადიღეურ და ქართველ, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ტომებთან. ამ სიახლოვემ თავი იჩინა ანთროპოლოგიურ ტიპში და მრავალ კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებაში. აფხაზები თავიდანვე ეზიარნენ ქართულ კულტურას. მათი კულტურულ-პოლიტიკური საქმიანობა სცილდებოდა საკუთრივ აფხაზურ ფარგლებს. ისინი აქტიურ როლს ასრულებდნენ მთელ დასავლეთ საქართველოს მომცველ ეგრის-აფხაზეთის სამეფოში (VIII-X სს.), აგრეთვე გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში (XI-XII სს.)".[20]

ამრიგად, აკადემიკოს გ. მელიქიშვილს ზოგად ქართული ინტერესებიდან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებანი არ გამოუთქვამს ქაშქა-აბეშლას ტომების ეთნიკური ვინაობის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ, ის

---

[20] „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედია", ტ., II, თბ., 1977, გვ. 29

წერდა, რომ ქაშქა ზოგჯერ კრებსითი მნიშვნელობით გამოიყენებოდა და ამ ტერმინის ქვეშ ეთნიკურად სხვადასხვა წარმომავლობის ტომები უნდა იგულისხმებოდეს, რომ ქაშქას ტომები ეთნიკურადაც ახლოს იდგნენ პროტოხეთებთან, ხოლო ტერმინ ხეთების ქვეშ კი ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ ზოგიერთი ქართველური და ხურიტული ენები. ამრიგად, აკადემიკოსი გ. მელიქიშვილი არ გამორიცხავს ქაშქების ქართველურ ეთნოსთან სიახლოვესაც.

როგორი იყო უძველეს პერიოდში საქართველოს პოლიტიკური სურათი? რომელი ტომები სახლობდნენ იქ? ასურეთის მეფის ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) ანალებში საუბარია, რომ „ზღვის ხალხების" შემოსევებმა გაანადგურეს ხეთების სამეფო და მცირე აზიაში მცხოვრები ტომები აიძულეს გადასახლებულიყვნენ სხვადასხვა მიმართულებით. ქაშქა-აბეშლას ტომებსაც დაუტოვებიათ თავიანთი ძველი საცხოვრებელი ტერიტორია და ზოგიერთი ასურეთს შესევია.[21] ხოლო სხვები, მკლკევარ ს. გოგიტიძის მიხედვით ჩრდილო-დასავლეთ კავკასიისაკენ დაიძრნენ,[22] დაუკავებიათ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია და დასახლებულან ყუბანისპირეთამდე. სტრაბონი (ძვ.წ. 64-ახ.წ. 24 წწ.) და პლინიუსი (ახ.წ. 23-79 წწ.) აფსუათა ტომს საერთოდ არ მოიხსენიებს თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. მხოლოდ პლინიუსი საუბრობს აფსუებზე და მათი ლოკალიზაციას ახდენს კავკასიის ჩრდილოეთით, კასპიის ზღვისაკენ, ვოლგის შეერთების ადგილას.[23]

---

[21]Дъяконов И. М. АВИИУ-ВДИ, 1951, № 2., с. 279

[22]ს. გოგიტიძე, იქვე, გვ. 60

[23]ნ. ფოფხაძე, სიმართლე უნდა ითქვას თუ ასეთია, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1994, 20 აპრილი

ამრიგად, პლინიუსის თანახმად, ადგილის შიშორის გამო გამორიცხულია ამ აფსუებს რაიმე საერთო ჰქონდეთ ქართველურ ტომებთან.

კაბადოკიის მმართველი ფლავიუს არიანე (95-175 წწ.) პირველია, ვინც გვაწვდის ცნობას თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ აბაზგების, აფსილებისა და სანიგების სამთავროებზე.[24] მას საუბარიც კი არ აქვს აფსუაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ს. გოგიტიძე ზემოთ დასახელებულ ნაშრომში – „ქაშქა-აბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადირეული თუ ქართველური მოდგმა?," განიხილავს მრავალი ისტორიკოსის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას და თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ 170 ტოპონიმს, რის შემდეგაც იგი ასკვნის, რომ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან ქართველური წარმოშობის ტომები ცხოვრობდნენო. წიგნის ერთ ადგილას ავტორი სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას: „აქვე დავსძენდით, რომ იმავე ტერიტორიაზე სადაც ქაშქა-აბეშლას ტომები ბინადრობდნენ, ანტიკურ ხანაში მოსახლეობდნენ ქართველური მოდგმის ტომები – მაკრონები, დრილები, ბექირები, მოსინიკები, მარები, ხალიბები, ტიბარენები, შკვითინები სასპერები, ჭანები, ხალდები და სხვა.[25] საკითხავია, საიდან გაჩნდნენ მრავალრიცხოვანი ქართველური (მეგრული, სვანური) ტომები აქ, თუკი

---

[24]თ. ყაუხჩიშვილი, ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, V, თბ., 1983, გვ. 159

[25]ს. გოგიტიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საისტორიო გეოგრაფია (ძვ. წ. XII-IV სს.), ბათ., 2002; მისივე, დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუტვნიკებისათვის), ბათ., 2006

ისინი ძველაღმოსავლურ ხანაში არ მოსახლეობდნენ?"[26]

მკლევარ ნ. ლომოურის მტკიცებით მთელი დასავლეთ საქართველო უძველესი დროიდან დასახლებული იყო ქართველური ტომებით და ამას ამტკიცებს უამრავი არქეოლოგიური მასალაც. არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა კოლხური ანუ ქართველური ტომები უნდა ყოფილიყო.[27] ანალოგიური დასკვნები აქვთ გაკეთებული ო. ჯაფარიძე,[28] ა. კახიძესა და შ. მამულაძეს.[29] ნ. ლომოურის თანახმად, აღნიშნული ტერიტორიები შედიოდა კოლხას სამეფოს შემადგენლობაში, მოგვიანებით კი ეგრის-ლაზიკას, შემდეგ აფხაზეთის ქართულ სამეფოებში. ამის შემდეგ ისინი ერთიანი ქართული მონარქიის შემადგენლობაშია, რომლის დაშლის შემდეგ თანამედროვე აფხაზეთი ეკუთვნოდა სამეგრელოს სამთავროს, ხოლო საქართველოს პოლიტიკურად კიდევ უფრო დაქუცმაცების დროიდან კი არსებობდა ცალკე სამთავროს სახით[30]

როგორც ზემოთ ვნახეთ, ძვ. წ. VI საუკუნიდან მოყოლებული ვინემ ახ. წ. II საუკუნის ჩათვლით, მსოფლიოში არც ერთი მწერალი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ასახელებს ადიღეური წარმოშობის აფსილებს.

---

[26]ს. გოგიტიძე, ქაშქა-აბეშლა: აფხაზურ (აფსუა)-ადიღეური თუ ქართველური მოდგმა?, ბათ., 2010, გვ. 86

[27]Н. Ю. Ломоури, Абхазия, Тб., 1970г. с. 9

[28]ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976

[29]ა. კახიძე, შ. მამულაძე, ჭოროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, თბ., 2000

[30]იქვე, გვ. 10

ცოტათი მოგვიანებით, დიუბუას თავის რუკაზე დიოსკურიის (სოხუმის) სამხრეთით დატანილი აქვს აფსილები. მაგრამ, მისი განმარტებითაც, ისინი ქართველური წარმოშობის ტომები უნდა იყვნენ. ტექსტში კი დიუბუა მიუთითებს, რომ აფსილები არიან მეგრელები და მათ წინათ ჰენიოხები ეწოდებოდათ.[31]

სტრაბონი საუბრობს, რომ სვანებს შეეძლოთ 200 ათასიანი ჯარის გამოყვანა.[32] გამოდის, რომ სვანების განსახლების არეალი უძველეს პერიოდში ბევრად უფრო დიდი იქნებოდა. სტრაბონის თანახმად, არა მარტო თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, არამედ ჩრდილოეთ კავკასიაც, ვინემ ყუბანამდე და ყირიმამდე, ეკავათ სვანებს. მთელი თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია რომ უძველესი დროიდან დასავლეთ ქართული ტომებით იყო დასახლებული, ამაზე მეტყველებს ამ ტერიტორიაზე არსებული უამრავი ტოპონიმი, რომელიც სუფთა ქართული წარმომავლობისაა. სწორედ ტოპონიმებზე ამახვილებს სხვა მრავალ ფაქტებთან ერთად ყურადღებას დიდი ქართველი მკლევარი პავლე ინგოროყვაც.[33]

მ. თამარაშვილი ქაშქას ტომებს დასავლეთ ქართულ ანუ კოლხურ ეთნიკურ ჯგუფს აკუთვნებდა[34]. ანალოგიური დასკვნები აქვს დ. გოგოლაძეს. მისი აზრით, დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდანვე ქართველური წარმოშობის ტომები

---

[31]ნ. ფოფხაძე, სიმართლე კი ასეთია, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 1994, 20 აპრილი; მისივე, გაზეთი ახალგაზრდა ივერიელი, 1990, 14 ივლისი; აგრეთვე მისივე, გაზეთი გუდაუთა, 1998, №4

[32]Страбон, География, лен., 1964, с., 473

[33]ს. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 146-188

[34]მ. თამარაშვილი, საქართველოს ეკლესია დასაბამითგან დღემდე, რომი, 1910, გვ. 56 (ფრანგულ ენაზე)

ცხოვრობდნენ.[35]

მკლევარი დ. მუსხელიშვილი წერს, რომ აფშილს არაფერი არ აქვს საერთო აფსუასთან და ეს უკანასკნელი გვიან ჩამოსახლდა აფხაზეთის წერიტორიაზე.[36]

აღნიშნულ საკითხს შეეხო კიდევ ერთი დიდი ქართველი მეცნიერი თ. გამყრელიძეც. მისი აზრით, აბაზგ-აფხაზები აფშილებისაგან განსხვავებულ ჯგუფს უნდა წარმოადგენდეს და აფსუა-აფხაზთა აფხაზებად მონათვლა ქართულენოვან სამყაროში უნდა მომხდარიყო და აქედან გავრცელდა ყველა სხვა ენაში.[37]

ე. ალექსეევას გამოკვლევით არ დასტურდება არქეოლოგიური მასალების მიხედვით სეპარატისტი აფხაზი მკლევარების მიერ წამოყენებული მტკიცებულებანი, რომ თითქოს, ძვ. წ. III-II ათასწლეულებში აფხაზურ-ადიღეურ ტომებს ეკავათ უზარმაზარი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიიდან ვინემ მცირე აზიამდე.[38]

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულ მეცნიერთა ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, ქაშქა-აბეშლას ტომები ეთნიკურად ქართველურ მოდგმას უნდა მივაკუთვნოთ. მაშინ ისმის კითხვა, თუ როდიდან ჩნდება თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ა ფსუები? ამ კითხვას

---

[35]დ. გოგოლაძე, „აფხაზთა" საერისთავოს, დღევანდელი აფხაზეთის ძველ ეთნოსთა ვინაობისა და ეთნოსის მკვიდრობის საკითხი, თბილისი, 1995, გვ. 6-8

[36]დ. მუსხელიშვილი, აფშილთა ეთნიკური კუთვნილები საკითხისათვის, ჟურნალი არტანუჯი, №10, 2000, გვ. 17-24

[37]თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან, სქაუქტ, გვ. 581-602

[38]Е. Алексеева, Древная и средновековая история карачаево-черкезии, Тб., 1997

მეცნიერები შემდეგ პასუხს სცემენ:

გ. გასვიანი თვლის, რომ თანამედროვე აფხაზეთში ადიღეური წარმოშობის აფსუები გვიან შუა საუკუნეებში უნდა ჩამოსულიყვნენ ყუბანისპირეთიდან და ადიღე – ჩერქეზეთიდან.[39]

ვ. ტატიშჩევი წერდა, რომ აფხაზეთი უშუალოდ შედის სამეგრელოს შემადგენლობაში, ხოლო ეხლა მას ყუბანიდან ჩამოსახლებული ადიღეური მოსახლეობა ავსებსო.[40]

მკლევარი მ. ლორთქიფანიძე, რომელმაც არა ერთი წიგნი მიუძღვნა აფხაზთა პრობლემას, თავის ერთ-ერთ წიგნში წერს, რომ XVII საუკუნეში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელი ტომები. უცნობია რა ეწოდებოდა ამ ხალხს თავის ჭეშმარიტ სამშობლოში. ქართველებმა კი აქ მოსახლე ქართველი აფხაზების დარად უწოდეს აფხაზი.[41]

საგაზეთო სტატიის ავტორები ვ. ზუხბაია, კ. უბილავა და ა. თოფურია წერენ, რომ XVII საუკუნეში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე შემოიჭრნენ ჩრდილო კავკასიის მკვიდრი ადიღეური ტომები და მეგრულ ენაზე მოლაპარაკე აფხაზებს თავს მოახვიეს აბაზინური ენა.[42]

---

[39]გ. გასვიანი, ქართველი მეცნიერები პავლე ინგოროყვას შეხედულებებზე აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, თბ., 2003, გვ. 2; მისივე, Абхазия. Древние и новые абхазы, Тб., 2000, с., 51-52

[40]В. Ню Татишев, История Российская, , М,-Л., 1962, с. 171

[41]მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990, გვ. 20

[42]ვ. ზუხბაიამ, კ. უბილავა, ა. თოფურია, უნაკლო ენციკლოპედიისათვის, გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 1998, 4 აპრილი

აფხაზეთის კონფლიქტი 1918-1989 წლებში

1918 წლის 26 მაისი გახლავთ უმნიშვნელოვანესი თარიღი საქართველოს ისტორიაში. ამ დღეს შეძლო საქართველოს სახელმწიფომ დამოუკიდებლობის გამოცხადება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჯერ კიდევ უამრავი სიძნელე ჰქონდა გადასალახავი. გადასაწყვეტი იყო საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ბედი, რადგან მათი ხელყოფა ისევ გრძელდებოდა.

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა გახლდათ აფხაზეთის საკითხი, რომლის დაუფლებასაც სცდილობდა, ერთის მხრივ, დენიკინი და თურქეთი და, მეორეს მხრივ, წითელი რუსეთი. სეპარატისტული მოძრაობა ცხინვალის რეგიონში, ე.წ. „სამხრეთ ოსეთშიც" მძვინვარებდა. ოსი სეპარა–ტისტების უკან იდგა საბჭოთა რუსეთი. რაც შეეხება აფხაზეთის სეპარატისტულ მოძრაობას, მას კვებავდა როგორც თურქეთი, ასევე დენიკინი და წითელი რუსეთი. ისინი ცდილობდნენ ამ მოძრაობისათვის ხან ეთნიკური, ხან რელიგიური და ხანაც აგრარული ხასიათი მიეცათ. სინამდვილეში მათ მიზანს შეადგენდა საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაყოფა–დანაწილება და მისაკუთრება. ეს კი, ბუნებრივია, შეაფერხებდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს განვითარებას.

რუსი საერო თუ სასულიერო პირები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სოხუმის ოლქისათვის (ოკრუგი) ჩამოეჭრათ და წაერთმიათ მიწები, რაც უნდა

გადაცემოდა შავიზღვისპირეთის გუბერნიას, ხოლო აფხაზეთის ქართული მართლმადიდებლური ეპარქია უნდა დაქვემდებარებოდა რუსეთის სინოდს. იგეგმებოდა, აგრეთვე, რუსი მოახალშენეების აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩამოსახლება-დამკვიდრების პროცესის გაგრძელება.

თბილისში, კავკასიის მეფისნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ რომანოვთან, 1916 წლის 26 აპრილს, შედგა შეხვედრა აფხაზი დეპუტაციასთან, რომელშიც შედიოდნენ: თავადი ალ. შერვაშიძე, თავადი პ. ანჩაბაძე, აგრეთვე ბ. ზუხბაია და ა. ჩუკბარი. დეპუტაციამ მეფისნაცვალს სხვა და სხვა მოთხოვდა წაუყენა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სკოლების გახსნა, სადაც სწავლება ქართულ და აფხზურ ენებზე იქნებოდა. მოითხოვეს ასევე, რომ აფხაზეთის ეპარქია დარჩენილიყო საქართველოს ეგზარქატის, ხოლო სოხუმის ოკრუგი – ქუთაისის გუბერნიის, ანუ საქართველოს შემადგენლობაში, რასაც აღტაცებით შეხვდნენ თბილისში.[1]

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციამ დიდი არეულობა გამოიწვია მთელს იმპერიაში და, ბუნებრივია, კავკასიაც არ იყო გამონაკლისი. სწორედ 1917 წლის შემოდგომიდან დაიწყო აფხაზი სეპარა–ტისტების გააქტიურება. იმავე წლის ნოემბერში სოხუმში მოიწვიეს გლეხთა ყრილობა, რომელზეც ჩამოაყალიბეს პირველი კონტრევოლუციური „აფხაზეთის სახალხო საბჭო", რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ა. შერვაშიძე. საბჭომ გეზი აიღო „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირთან" დაახლოებაზე.

---

[1]გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა 1918-1921 წლებში, თბილისი, 2003, გვ. 130-131; ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1919-1921 წწ.), თბილისი, 2001, გვ. 137

ჩატარდა არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა არ მიუღია აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას.[2]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზ ლიდერთა ნაწილი მოსახლეობას საქართველოსთან დაახლოებისაკენ მოუწოდებდა. მართლაც, 1918 წლის 9 თებერვალს, ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს, თბილისში შედგა აფხაზეთისა და სამურზაყანოს ლიდერთა შეხვედრა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან. მოლაპარაკებაზე აფხაზურ მხარეს წარმოადგენდნენ მემარჯვენე ნაციონალისტურ პოზიციაზე მდგომი „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" წევრები: ა. შერვაშიძე, ნ. მარღანია, მ. ემხვარი, რ. ჩქოტუა, მ. ცაგურია. ხოლო ქართული მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ „ეროვნული საბჭოს" აღმასკომის წევრები: ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გვაზავა, პ. საყვარელიძე, ნ. ქარცივაძე. ქართულმა მხარემ აფხაზთა დეპუტაციას შესთავაზა აფხაზეთი შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში მისი სრული ავტონომიის შენარჩუნებით და აფხაზებს კავშირი გაეწყვიტათ „კავკასიის გაერთიანებულ მთიელთა კავშირთან". ამ წინადადებას თავიდანვე დათანხმდა სამურზაყანოს წარმომადგენელი მ. ემხვარი, რომელმაც დაითანხმა ა. შერვაშიძე და აფხაზთა დეპუტაციის სხვა წევრებიც.[3] შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდეგ საკითხებზე, რაც წერილობით იქნა გაფორმებული:

1. შეიქმნას ერთიანი აფხაზეთი ენგურისა და მზიმთას ფარგლებში, რომლის შემადგენლობაშიც შევა საკუთრივ აფხაზეთის გარდა სამურზაყანო და დღევანდელი სოხუმის ოკრუგი;

2Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия-историческая област Грузий, Тб., 1997 г., с. 97-99

3А. Ментешашвили, Грузинско-Абхазские отношения в первой четверти XX века, сб. Розыскания по историй Абхазий, Тб., 1999 г., с. 260-263

2. ერთიანი აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის ფორმა შემუშავებული იქნება ნაციონალური თვითგამორკვევის პრინციპის გათვალისწინებით „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" სხდომაზე;
3. იმ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთი და საქართველო მოისურვებენ დადონ სხვა სახელმწიფოსთან პოლიტიკური კავშირი, პირველ რიგში უნდა მოხდეს მათ შორის შეთანხმება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;[4]

აფხაზეთის სახალხო საბჭო გეგმავდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის დამყარებულიყო ურთიერთობა, როგორც ორ თანასწორ მხარეს შორის. ეს პროექტი უარყო ქართულმა მხარემ. 1918 წლის 9 თებერვალსვე თბილისში საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტსა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დადებულ იქნა შეთანხმება, რომლის საფუძველზეც აფხაზეთი დარჩა საქართველოს შემადგენლობაში.[5] ამავე შეთანხმების თანახმად აფხაზეთს ენიჭებოდა შინაურ საქმეებში ფართო ავტონომია. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობა ღებულობდა ვალდებულებას, რომ დახმარებოდა აფხაზეთს იმ ტერიტორიების (გაგრის რაიონი და სხვა) დაბრუნებაში, რომელებიც 1904 წელს მეფის რუსეთის გადაწყვეტილებით ჩამოაშორეს სოხუმის ოკრუგს და შეუერთეს შავი ზღვის გუბერნიას. ამ გადაწყვეტილებამ უკმაყოფილება გამოიწვია საბჭოთა რუსეთის მმართველ წრეებში, რომლებმაც 1918 წელსვე

---

[4] გ. შარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133; ალ. ბენდიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 140

[5] საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, რედაქტორი პროფესორი ვ. ურული, თბილისი, 2003, გვ. 66

ბოლშევიკი სეპარატისტების ხელით აფხაზეთში აჯანყების ინსპირირება მოახდინეს. მათ მიერ წაქეზებული აფხაზი სეპარატისტები მოითხოვდნენ აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას და საბჭოთა რუსეთთან გაერთიანებას. დაიწყეს შეიარაღებული აჯანყების მომზადება. ამ მიზნით ისინი საგანგებოდ შეიკრიბენ 1918 წლის თებერვლის ბოლოს ქალაქ ბათუმში. აღნიშნულ თათბირს ესწრებოდნენ მ. ორახელაშვილი, ე. შამბა, ნ. ლაკობა, გ. ათარბეგოვი.[6]

1918 წლის მარტში დაიწყო შეიარაღებული აჯანყება გაგრაში. 21 მარტს აჯანყებულებმა დაიკავეს ქალაქი სოხუმი და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მათ ამ აჯანყებისას დახმარება აღმოუჩინეს საბჭოთა რუსეთიდან შემოსულმა კაზაკთა ორი ათასიანმა წითელმა რაზმმა.[7] კაზაკებმა გუდაუთასთან დაამარცხეს ქართული ჯარის ნაწილები და სოხუმში შევიდნენ. ქართული მხარის საჯარისო ნაწილებმა მხოლოდ კოდორის უბანში მოახერხეს გამაგრება. აფხაზეთში სეპარატისტული საბჭოთა ხელისუფლების დროებითი ცენტრალური ორგანო გახდა საოლქო-სამხარეო რევკომი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ე. ეშბა.

საბჭოთა რუსეთის აშკარა ჩარევით რევკომი დაუყოვნებლივ შეუდგა თავდაცვითი ღონისძიებებისა და სოციალუსტურ გარდაქმნათა განხორციელება. აფხაზი სეპარატისტების მთავარ გაზეთს წარმოადგენდა „სოხუმსკაია პრავდა," რომელშიც იბეჭდებოდა ანტიქართული მოწოდებები.

აფხაზი სეპარატისტები სარგებლობდნენ იმ ფაქტით, რომ 1918 წლის აპრილ-მაისში ძალიან მძიმე ვითარება იყო აჭარაში და ქართული ინტელიგენციის

---

[6]Дзидзария Г. А. Советская власть в Абхазий 1918 году, Сохум, 1972г., с. 19-23

მთელი ყურადრება სწორედ აქეთკენ იყო მიპყრობილი. თურქეთს, იმის შემდეგ, რაც დაიკავა ბათუმი, ქართული ჯარი და სახალხო გვარდია ძლივს აკავებდა მდინარე ჩოლოქთან. ბათუმში თავი მოიყარა თურქეთის დესანტმა, რომლის ნაწილის აფხაზეთში გადასხმაც იგეგმებოდა. მიუხედავად ამისა, ამიერკავკასიის სეიმმა საჭიროდ ჩათვალა დაუყოვნებლივ გაეგზავნა აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ სამხედრო შენაერთები. 1918 წლის მაისში აფხაზეთში შევიდა საქართველოს სახალხო გავრდიაც ვალიკო ჯუღელის ხელმძღვანელობით. ქართულმა საჯარისო ნაწილებმა წამოიწყეს შეტევები სამურზაყანოდან (ოჩამჩირის რაიონიდან) და დაიწყეს ბრძოლები აფხაზი სეპარატისტებისაგან სოხუმის განთავისუფლებისათვის. ვალიკო ჯუღელმა შესძლო როგორც აფხაზი სეპარატისტების, ისე ბათუმიდან მოსული თურქთა დესანტის დამარცხება და 17 მაისს ქართულმა ნაწილებმა დაიკავეს სოხუმი. აფხაზმა სეპარატისტებმა ჯერ გუდაუთისკენ, შემდეგ გაგრისაკენ დაიხიეს. სახალხო გვარდიას შეეძლო განევითარებია შეტევები ამ მიმართულებითაც, მაგრამ ცნობილი გახდა, რომ ტუაფსეში საბჭოთა რუსეთმა დიდ ძალებს მოუყარა თავი და ჯუღელი მოერიდა ზედმეტ სისხლის ღვრას.[7]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე თბილისს ეწვია აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია, რომელშიც შედიოდნენ: რ. კაკუბა, გ. თუმანოვი, ვ. გურჯუა და გ. აჯალოვი. გაიმართა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან. აღსანიშნავია, რომ ეროვნული საბჭოს 6 ივნისის სხდომაზე რ. კაკუბა მხარს უჭერდა ქართველ-აფხაზთა სიახლოვეს. თუმცა, ის აღნიშნავდა, რომ აფხაზეთში არსებობს სხვადასხვა

[7]საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 66

პოლიტიკური ორიენტაციის დაჯგუფებანი, რომელთა ნაწილი მხარს უჭერს თურქეთთან დაახლოებას, ნაწილი ცდილობს აფხაზეთი საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში იხილოს, ხოლო გარკვეული მცირე დაჯგუფება ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა რესპუბლიკისადმი სიმპატიებით არის გამსჭვალული. სწორედ ამიტომაც რ. კაკუბა საქართველოს მთავრობას სთხოვდა აფხაზეთიდან არ გამოეყვანა ქართული არმიის ნაწილები.[8] 1918 წლის 11 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და აფხაზეთის სახალხო საბჭოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელშიც საუბარია შემდეგზე:

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან იქმნებოდა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოსტი აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარდგინებით;
2) საშინაო მმართველობა და თვითმმართველობა აფხაზეთში ეკუთვნოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს;
3) აფხაზეთის მმართველობისათვის საჭირო კრედიტი და თანხა გაიცემოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახსრებიდან და გაიხარჯებოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ;
4) რევოლუციური წესრიგის სასწრაფოდ დასამყარებლად და მტკიცე ხელისუფლების ორგანიზაციისათვის აფხაზეთის სახალხო საბჭოს დასახმარებლად და მის განკარგულებაში საქართველოს მთავრობა აგზავნიდა სახალხო გვარდიის რაზმს;

---

[8] ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია 1783-1990 წწ., თბილისი, 1992, გვ. 207-208

5) აფხაზეთში იქმნებოდა ინტერნაციონალური რაზმი აფხაზეთის სახალხო საბჭოს განკარგულებაში;
6) სოციალური რეფორმები აფხაზეთში ტარდებოდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ საქართველოს საერთო კანონების საფუძველზე ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
7) აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობა დემოკრატიულ საწყისებზე მოწვეული იქნება შესაძლებლობების მიხედვით უახლოეს მომავალში აფხაზეთის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოოდ გადასაწყვეტად.[9]

აღნიშნულ დოკუმენტს, რომლის თანახმადაც აფხაზეთს ეძლეოდა ფართო ავტონომია და ეკონომიკური და სამხედრო დახმარება, საქართველოს მხრიდან ხელს აწერდნენ მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი შ. ალექსი-მესხიშვილი, ხოლო აფხაზთა მხრიდან – „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" რწმუნებული რ. კაკუბა, გ. თუმანოვი, ვ. ღურჭუა და გ. აჯამოვი.[10]

აღნიშნული შეთანხმება მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზი სეპარატისტებისათვის და „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" ლიდერებმა განიზრახეს აფხაზეთის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. ქართული მხარისათვის აშკარა გახდა, რომ აღნიშნული საკითხის მშვიდობიანი მოგვარება შეუძლებელი იქნებოდა. საჭირო გახდა ქართული ჯარის ჩარევა კონფლიქტში. სამხედრო ოპერაციას სათავეში ჩაუდგა გენერალი გიორგი მაზნიაშვილი. ქართულმა ჯარმა და სახალხო გვარდიამ მისი მეთაურობით დაამარცხა ყუბანიდან შემოსული კაზაკთა წითელი რაზმი და აფხაზი სეპარატისტები.

---

[9]საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 67
[10]А. Ментешашвили, დასახელებული ნაშრომი, გვ. 272-274

გენერალმა მაზნიაშვილმა 1918 წლის ივნისში დაიკავა სოხუმი,[11] ხოლო იმავე წლის 22 ივნისს შევიდა გაგრაში, 2 ივლისს აიღო ადლერი, 6 ივლისს – სოჭი და 26 ივლისს-ტუაფსე. ამრიგად, აფხაზეთი ისევ დარჩა საქართველოს შემადგენლობაში. აღნიშნული კი არ შედიოდა საბჭოთა რუსეთის გეგმებში და ის ძალიან გაღიზიანდა, მაგრამ მას უამრავი საშინაო პრობლემა ქონდა ჯერ მოსაგვარებელი. მოგეხსენებათ, რომ რუსეთში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ (1918 წლის გაზაფხული), ქვეყნის სამხრეთში საბჭოთა ხელისუფლება დაემხო და აქ რეალურ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი რუსეთის მოხალისეთა არმია გენერალ ალექსეევის სარდლობით. სამხრეთ რუსეთის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ყუბანის რესპუბლიკა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ხედავდა, რომ აფხაზეთის საკითხის გადაჭრა აუცილებელს ხდიდა ურთიერთობის მოგვარებას ყუბანის რესპუბლიკასა და მოხალისეთა არმიის სარდლობასთან. საქართველოს მთავრობამ წინადადებით მიმართა ყუბანის რესპუბლიკის მთავრობას, რათა დაეწყოთ მოლაპარაკება საზღვრების დადგენის მიზნით. მოლაპარაკება დაიწყო 1918 წლის 25 სექტემბერს. მოლაპარაკებას ესწრებოდნენ: ყუბანის რესპუბლიკის (ბიჩი, ვორობიოვი), მოხალისეთა არმიის სარდლობის (გენერალი ალექსეევი, გენერალი დენიკინი და სხვა) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები (საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და გენერალი გიორგი მაზნიაშვილი). ყუბანის რესპუბლიკისა და მოხალისეთა არმიის სარდლობამ აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ, ამავე დროს, საქართველოს დემო–

---

[11]Очерки историй Абхазской АССР, Ч., 1, Сухум, 1960 г., с. 108-111

კრატიულ რესპუბლიკას ბრალი დასდეს რუსეთის ტერიტორიების მიტაცებაში. ისინი სოჭისა და გაგრის რაიონებს არ თვლიდნენ საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებად და ცდილობდნენ მათ მიტაცებას. ქართულმა მხარემ დაასაბუთა აღნიშნული მიწების მისდამი კუთვნილების საკითხი, მაგრამ რუსებს აზრი მაინც არ შეუცვლიათ.[12]

აფხაზმა სეპარატისტებმა 1918 წლის ოქტომბერში, ოლქის კომისარ მარღანიასა და პოლკოვნიკ ჩხოტუას მეთაურობით, შეეცადნენ მოეხდინათ აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფა.[13] ამისათვის ისინი არ ერიდებოდნენ არც ადგილობრივ და არც გარეშე ძალების გამოყენებას. თურქეთში გადახვეწილი შარვაშიძის ხელშეწყობით თურქმა მედესანტეებმა კოდორის ხეობაში შემოიტანეს დიდძალი იარაღი, რათა აფხაზ სეპარა–ტისტებს სისრულეში მოეყვანათ თავიანთი ჩანაფიქრი, მაგრამ გენერალ მაზნიაშვილის ნაწილებმა გაატარეს კონტრ ზომები და დროზევე აღკვეცეს ეს მზაკვრული გეგმა.[14]

„აფხაზეთის სახალხო საბჭოში" სულ უფრო იზრდებოდა აფხაზი სეპარატისტების ანტიქართული გამოსვლები და ამასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 10 ოქტომბერს მიიღო სპეციალური დადგენილება:

---

[12]Очерки историй Абхазской АССР, Ч., 2, Сухум, 1964 г., с. 189-191; ასევე, ს. კილაძე, ვინ გადასცა სოჭის ოლქი რუსეთს, "კვირის პალიტრა", 2007, გვ. 21-23; ასევე, http://www.amsi.ge/istoria/div/soWi.html; ასევე, ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები და მასალები, ტფილისი, 1919

[13]ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 208

[14]Дзидзария Г. А. ასახელებული ნაშრომი. 200-202

1) დათხოვნილ იქნას „აფხაზეთის სახალხო საბჭო" მისი ახლანდელი შემადგენლობით და დანიშნულ იქნას ახალი არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლებების საფუძველზე;
2) არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნას ცენტრალური საარჩევნო კომისია ვარლამ შერვაშიძის, ისიდორე რამიშვილის, ვასილ ღორჭუას და გიორგი შანშიაშვილის შემადგენლობით;
3) „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" არჩევამდე, დროებით, დაინიშნოს სოხუმის ოკრუგის კომისრად ბენია ჩხიკვიშვილი;
4) „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" დათხოვნასთან დაკავშირებით აფხაზეთის საქმეთა მინისტრად პოლკოვნიკ რ. ჩხოტუას რწმუნება ჩაითვალოს ამოწურულად[15];

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე აფხაზეთში დაინიშნა „აფხაზეთის სახალხო საბჭოს" ახალი არჩევნები, რამაც ძალიან გაანაწყენა გენერალი ანტონ დენიკინი და მისი ნებით ჩამოყა–ლიბებული ყუბანის მთავრობა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა გაგრის მთელ ოლქზე. ამ ნიადაგზე საკმაოდ დაიძაბა ურთიერთობა საქართველოსა და დენიკინს შორის. 1918 წლის დეკემბერში გენერალმა დენიკინმა ტუაფსეს რაიონში თავი მოუყარა მისი არმიის ნაწილებს და აფხაზეთში შემოჭრისათვის დაიწყო მზადება[16].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დახმარება ინგლისის მთავრობას სთხოვა. ქართული მხარე თანახმა იყო სოჭის რაიონიდან გაეყვანა

---

[15]Дж. Гамахария, Б. Гогия, დასახელებული ნაშრომი, გვ. 101
[16]ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 209

საჯარისო ნაწილები, თუ ინგლისი იქნებოდა გარანტი იმისა, რომ დენიკინელთა ჯარები არ შევიდოდა იქ. ინგლისი, რომელიც ყოველთვის შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან ამოდიოდა ხოლმე, აღნიშნულ პოლიტიკურ მომენტშიც ანტიქართული პოზიცია დაიჭირა.[17] როგორც კი სოჭის რაიონიდან ქართული ჯარები გამოვიდნენ, ინგლისმა არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწია დენიკინელთა არმიას და სოჭში შემოუშვა იგი. სწორედ ინგლისის ანტიქართული პოზიციით რამდენადმე წახალისებულმა დენიკინმა 1919 წლის დამდეგს საბრძოლო ოპერაციები გააგრძელა გაგრის რაიონშიც. დენიკინელთა სამხედრო ქვედანაყოფები ცდილობდნენ აფხაზეთის ოკუპაციას მდინარე ბზიფამდე. ამდენად, საქართველოს მთლიანობას სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამასთან დაკავშირებით, იმავე წლის 14 ივნისს, პარიზის საზავო კონფერენციაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა კარლო ჩხეიძემ წერილობით მიმართა კონფერენციის თავმჯდომარეს და დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებს. კარლო ჩხეიძე მოითხოვდა მიეღოთ საჭირო ზომები, რათა გენერალ დენიკინის სამხედრო ნაწილებს არ დაერღვიათ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები.[18]

1919 წლის გაზაფხულზე საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეულ იქნა „აფხაზეთის სახალხო საბჭო", რომლის თავმჯდომარედა აირჩიეს არზაყან ემუხვარი. ახალარჩეულმა „აფხაზეთის სახალხო საბჭომ"

---

[17]ს. კილაძე, ვინ გადასცა სოჭის ოლქი რუსეთს, http://www.amsi.ge/istoria/div/soWi.html, გვ. 5

[18]ალ. ბენდიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 145-146

საქართველოს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა ავტონომიის აქტი არზაყან ემუხვარის ხელმოწერით. ამ აქტში საუბარია შემდეგზე: „აფხაზეთის პირველმა სახალხო საბჭომ, რომელიც არჩეული იქნა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორუფლებიანი და ფარული არჩევნების საფუძველზე, თავის სხდომაზე 1919 წლის 20 მარტს აფხაზეთის ხალხების სახელით დაადგინა:

1. აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, ამის თაობაზე ეცნობოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას;
2. ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად და ცენტრალურ და ავტონომიურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის განსაზღვრისთვის არჩეულ იქნას შერეული კომისია საქართველოს დამფუძნებელი კრების და აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა თანაბარი რაოდენობით, გამომუშავებული დებულებები, თუ მათ მიიღებენ საქართველოს დამფუძნებელი კრება და აფხაზეთის სახალხო საბჭო, შეტანილ უნდა იქნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში.“[19]

განსაკუთრებით უნდა მიეთითოს „აფხაზეთის სახალხო საბჭოს” თავმჯდომარის არზაყან ემუხვარის როლზე იმ დროს შექმნილ მეტად მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში. რამდენადმე მოვლენებს წინ გავუსწრებთ და გვინდა ავღნიშნოთ, რომ არზაყანი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები 1921 წელს იძულებული შეიქმნენ დაეტოვებინათ საქართველო.

---

[19] გ. შარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 137

საბჭოთა რუსეთის მიერ დევნილი არზაყან ემუხვარი საქართველოს მთავრობის წევრებთან ერთად იზიარებდა ემიგრაციის მწარე ხვედრს და ის დღეისათვის განისვენებს დაბა ლევილის ქართულ სასაფლაოზე. რამდენადმე სიმბოლურია ალბათ ის, რომ მისი საფლავი მდებარეობს დამოუკიდებელი საქართველოს მეთაურის ნოე ჟორდანიას საფლავის გვერდით. როგორც განუყოფელია და მის ძველ ისტორიულ ტერიტორიას წარმოადგენს აფხაზეთი საქართველოსათვის, ასეთივე განუყოფელია საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკისა და აფხაზეთის პირველ ეროვნულ მთავრობათა თავმჯდომარეების ტრაგიკული ბედი.[20]

ისტორიაში ძალიან ხშირად მეორდება გარკვეული მოვლენები. რამდენადმე მსგავსებაა დღევანდელი და მაშინდელი საქართველოს ირგვლივ განვითრებულ მოვლენებს შორისაც. ისევე როგორც დღეს, მაშინაც ცდილობდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას და აფხაზეთის დედასამშობლოდან მოწყვეტას. როგორც გ. შარაძე აღნიშნავს: „სწორედ აქ გამოჩნდა არზაყან ემუხვარის დიდი ტაქტი და სახელმწიფოებრივი შორსმჭვრეტელობის უნარი, განსაცვიფრებელი სიმტკიცე და ნებისყოფა."[21]

აბსოლუტურად სწორად აღნიშნა ბატონმა შარაძემ არზაყან ემუხვარის უდიდესი მამულიშვილობა და მართლაც, როდესაც აფხაზმა სეპარატისტებმა წამოაყენეს აფხაზეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან გაერთიანების იდეა, არზაყან ემუხვარი მას შემდეგი ლოზუნგით დაუპირის–

---

[20]გ. შარაძე, არზაყან ემუხვარი, წიგნი „უცხოეთის ცის ქვეშ", ტომი II, თბილისი, 1999, გვ. 47-49

[21]გ. შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, გვ. 137-138

პირდა – „არ მოვწყდეთ ჩვენ დედასამშობლოს და გავერთიანდეთ საქართველოსთან."[22] რაც მართლაც განხორციელდა 1919 წლის 20 მარტს ახლადარჩეული აფხაზეთის ეროვნული საბჭოს მიერ, რომელსაც სათავეში ედგა არზაყან ემუხვარი. ბატონი არზაყანი მალე საქართველოს დამფუძნებელმა კრებამაც დაამტკიცა აღნიშნულ თანამდებობაზე.

ახლად არჩეულ აფხაზეთის ეროვნულ საბჭოში სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლებს საქართველოსთან დამოკიდებულებაში განსხვავებული პოზიცია ეჭირათ. ამრიგად, სასწრაფოდ იყო საჭირო განესაზღვრად აფხაზეთის პოლიტიკური მოწყობის საკითხი, რომელიც უნდა ასახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაში. აღნიშნული კონსტიტუციის განხილვა ძალიან გაჭიანურდა. სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ იგი დამფუძნებელ კრებას განსახილველად წარუდგინა 1920 წლის 14 ივნისს, მაგრამ მისი მიღება ისევ გადაიდო.

1920 წლის 29 დეკემბერს საქართველოს დამფუძნებელი კრების სპეციალურმა საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებების" პროექტი. აღნიშნული პროექტი საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 1921 წლის 21 თებერვალს. ამავე დღესვე მოხდა საქართველოს კონტიტუციის მიღებაც. აღნიშნულ დებულებაში წერია, რომ „აფხაზეთი მდინარე მეხადირიდან მდინარე ენგურამდე, შავი ზღვის სანაპიროდან კავკასიონამდე ითვლება საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილად და ამ საზღვრებში

---

[22] იქვე, გვ. 138

ავტონომიურად მართავს თავის შინაურ საქმეებს."[23] 1921 წლის 21 თებერვალს მიღებულ საქართველოს კონსტიტუციის 107–ე მუხლში წერია შემდეგი: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქი), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი), ენიჭებათ ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა."[24]

აღნიშნული დებულების თანახმად, აფხაზეთს ენიჭებოდა ავტონომია და ჰქონდა უფლება აერჩია ორი წლის ვადით ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო „სახალხო საბჭო", რომლის დეპუტატთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 30 კაცით. დებულების თანახმად, განსაზღვრული იყო ავტონომიური აფხაზეთის აღმასრულებელი ორგანო, ე.წ. „აფხაზეთის კომისარიატი", რომლის წევრებს ირჩევდა სახალხო საბჭო. აღნიშნული დოკუმენტის VII მუხლი აფხაზეთის სახელმწიფო ენად აცხადებდა ქართულ ენას, ოღონდ, „სახალხო საბჭოს" შეეძლო სკოლებში და დაწესებულებებში საქმის წარმოებისათვის გამოეყენებია ადგილობრივი ენაც.

საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს გაფორმებულ ხელშეკრულებაში (მუხლი IV, I) პირდაპირ იყო მითითებული, რომ „რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდაო შემადგენელ ნაწილებად, გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებული ხელშეკრულების I და III მუხლების ძალით, აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები:

---

[23]ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 361
[24]იქვე, გვ. 361

თბილისის, ქუთაისის და ბათომის ყველა მაზრებითა და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები."[25] ამრიგად, 1920 წლის 7 მაისის დოკუმენტით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილად აღიარა აფხაზეთი. აგრეთვე, აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წლის მაისში აფხაზეთი (სოხუმის ოკრუგი) საქართველოს შემადგენელ ნაწილად აღიარა გერმანიამ, ხოლო 1920-1921 წლებში ანტანტის სახელმწიფოებმა და თურქეთმა საქართველოს დეფაქტო და დეიურედ აღიარებისას აფხაზეთი მის შემადგენელ ნაწილად ცნეს. ამრიგად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ შეძლო აფხაზეთის ისტორიული ტერიტორიების შენარჩუნება.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა განახორციელა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია, მაგრამ არც ამას არ დასჯერდა და დაიწყო საქართველოში „ნაღმების" ჩადება, რაც გამოიხატა საქართველოს ავტონომიებად დაყოფაში. საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაცია და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მოსკოვმა 1921 წლის 4 მარტისათვის დაასრულა. ამავე დროს შეიქმნა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტი (რევკომი). მოსკოვში მომწიფდა მეტად ვერაგული გეგმა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ უნდა შექმნილიყო აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. აღნიშნული გეგმა ნელ-ნელა მოდიოდა რეალიზაციაში. 1921 წლის მარტის დასაწყისშივე საგანგებოდ შეიკრიბა აფხაზეთის რევოლუციური კომიტეტის, რუსეთის XI

---

[25]Ю. В. Ключников, А. Сабанин, Международная политика новеишего времени в договорах, нотах и декларасиях, част, Москва, 1926 г., с. 176-183

წითელი არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭოსა და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს წარმომადგენელნი, რომლებმაც გაერთიანებულ სხდომაზე გამოაცხადეს აფხაზეთის დამოუკიდებელი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. იმავე სხდომაზევე აფხაზეთის კომუნისტურ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციას უწოდეს აფხაზეთის კომუნისტური პარტია.[26] აღნიშნული დადგენილება კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული 1921 წლის მარტის შუა რიცხვებში შეკრებილ აფხაზეთის რევკომისა და აფხაზეთის კომუნისტური (ბოლშევიკური) ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა თათბირზე. კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ საქართველოს ავტონომიებად დაყოფის უშუალო შემოქმედი გახლდათ საბჭოთა რუსეთის მაშინდელი მთავრობა, მაგრამ ფიქტიურად ყოველივე ამის ინიციატორებად ცხადდებოდნენ აფხაზეთის რევკომის წევრები: ეფრემ ეშბა, ნესტორ ლაკობა და სხვა აფხაზი სეპარატისტები. ამ პერიოდის აფხაზეთში მიმდინარე პროცესები ვრცლადაა ასახული აფხაზი ბოლშევიკების ლიდერის ნესტორ ლაკობას წერილებსა და გამოსვლებში.[27] 1921 წლის 29 მარტს ამიერკავკასიის ხელმძვანელი ამხანაგების თათბირზე კიდევ ერთხელ გადაწყდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნა. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ნ. ლაკობას საქართველოს კომპარტიის IV ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვა, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის საკითხი დაყენებულ იქნა 1921 წლის 29 მარტს ბათუმში გამართულ თათბირზე და ამ

---

[26]Д. Тоидзе, К вопросу о политическом статусе Абчазий 1921-1931, Сб. Разыскания по историй Абхазий, Тб., 1999 г., с. 291-292

[27]Н. Лакоба, Статьи и речи, Сухум, 1987 г.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ კავბიუროს წევრები: სერგო ორჯონიკიძე, სერგო ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, ნესტორ ლაკობა, შალვა ელიავა და ეფრემ ეშბა.[28] ბათუმში გამართულ თათბირზე დაადგინეს შემდეგი:

1. საბჭოთა აფხაზეთის რუსეთთან და საქართველოსთან ფედერაციაში გაეთიანების საკითხი დარჩეს ღიად აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე;
2. აფხაზეთი გამოცხადდეს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად;
3. აფხაზეთის კომუნისტურ (ბოლშევიკურ) ორგანიზაციას ეწოდოს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) აფხაზეთის საორგანიზაციო ბიურო (ორგბიურო), რომელიც იმუშავებს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს დირექტივების საფუძველზე;
4. საქართველოს რევოლუციური კომიტეტის დეკრეტები აფხაზეთის რევოლუციურმა კომიტეტმა უნდა გამოიყენოს, როგორც მასალა, რათა არ მოხდეს რევკომების შეუთანხმებლობა;[29]

ბათუმის თათბირის დადგენილებანი მოიწონა 1921 წლის 14 მაისს გამართულმა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმაც, აგრეთვე, იმავე წლის 21, მაისს ბათუმის თათბირის დადგენილებანი დადასტურებული იქნა საქართველოს რევკომის მიერაც. აღნიშნული თათ-ბირის დადგენილებანი მოიწონა იმავე წლის 28 მაისს გამართულმა აფხაზეთის მშრომელთა ყრილობამაც.

---

[28]Н. Лакоба, იქვე, გვ. 14

[29]Д. Тоидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 295-296

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით 1922 წლის 15 თებერვალს გამართულ აფხაზეთის საბჭოების I ყრილობაზე ე. ეშბამ აღნიშნა, რომ აუცილებელია გამოცხადდეს აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მას მოყვა ის, რომ „პასუხისმგებელ მუშაკთა სხდომაზე აუცილებლად იქნა მიჩნეული დროებით მაინც გამოცხადებულიყო აფხაზეთის დამოუკიდებლობა.[30] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით სეპარატისტ აფხაზებსაც კარგად ესმოდათ თავიანთი მოთხოვნის უკანონობა და მას დროებით ღონისძიებად თვლიდნენ. მაგრამ საბჭოთა რუსეთის მაშინდელმა მთავრობამ, როგორც ჩანს, იოსებ სტალინის მოწოდებით უნდა გაუქმებულიყო აფხაზეთის სსრ-ს შექმნის გეგმა. ბუნებრივია, აფხაზი სეპარატისტები იძულებული გახდნენ დაყოლოდნენ ცენტრიდან წამოსულ ახალ დირექტივებს. მართლაც, 1921 წლის 23 ივლისს გამართულ რკპ (ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რევკომის წევრების თათბირზე ოფიციალურად განაცხადა ნესტორ ლაკობამ, რომ შეუძლებელია აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბიკის ჩამოყალიბება და მანვე დააყენა საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაციული კავშირის შექმნის საკითხი. 1921 წლის 15 ოქტომბერს რკპ (ბ) აფხაზეთის ორგბიუროსა და აფხაზეთის რევკომების წევრების თათბირმა, აფხაზი ეროვნების მოსახლეობის სიმცირისა და სხვა გარემოებების გამო, უარყო თავისი სიმპატიები დამოუკიდებელი აფხაზეთის შექმნასთან დაკავშირებით და საჭიროდ სცნო საქართველოსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც იქნებოდა გარანტი მათ შორის მტკიცე კავშირ-ურთიერთობების

---

[30]Революционные комитеты Абхазий в борьбе за установление и упрочение Советской власти. Сборник документов и материалов, Сухум, 1961 г., с. 350

დამყარებისა. ამ კავშირ-ურთიერთოებების გაფორმებას წინ აღუდგა ზოგიერთი აფხაზი საზოგადო მოღვაწე, მაგრამ აღნიშნული იდეა მოწონებულ იქნა 1921 წლის 1 ნოემბერს ჩატარებულ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის აფხაზეთის ბიუროს მიერაც. 1921 წლის 1 ნოემბერს გაიმართა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს სხდომა, რომელზეც მიიღეს შემდეგი დადგენილება:

1. ეკონიმიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად იქნა მიჩნეული აფხაზეთის დამოუკიდებლობა;
2. დაევალოს ეფრემ ეშბას წარმოადგინოს დასკვნა საქართველოს ფედერაციაში ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთის შესვლის შესახებ, ან რუსეთის ფედერაციაში ავტონომიის სახით აფხაზეთის შესვლის შესახებ.

ამ ამბებიდან ცოტა ხნის შემდეგ ეფრემ ეშბა რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კავკასიის ბიუროს თხოვდა, რომ აფხაზეთი მიეღოთ ამიერკავკასიის ფედერაციაში და ყოველივე ეს უნდა განხორციელებულიყო საქართველოზე გვერდის ავლით.[31] აღნიშნული დადგენილებანი გახლავთ კიდევ ერთი მცდელობა აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებისა. აღნიშნული განპირობებული იყო იმით, რომ იმ ეტაპისათვის ჯერ კიდევ არ იყო მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის მაშინდელ მთავრობაში. მაგრამ იმის შემდეგ, რაც მოსკოვში აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მკაფიო პოზიცია შეიმუშავეს, 1921 წლის 16 დეკემბერს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასა და

---

[31] Д. Тоидзе, დასახელებული ნაშრომი, გვ. 307-308

აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც აფხზეთი შევიდა საქართველოს შემოდგენლობაში და ამიერიდან აფხაზეთი იწოდა სახელშეკრულებო რესპუბლიკად.[32] იმავე დღესვე აღნიშნული ხელშეკრულება დაადასტურა საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების ყრილობამაც. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც. მასში აღნიშნულია, რომ აფხაზეთი საქართველოს უკავშირდება განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულებით. აღნიშნული კონსტიტუცია დამტკიცებულ იქნა 1922 წელს საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე.[33]

აფხაზეთს საქართველოში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკად ცნობდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1924 წლის კონსტიტუციაც.[34] აღნიშნულ კონსტიტუციაში საუბარია, რომ აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის და ნახიჩევანის ავტონომიური ოლქები სსრ კავშირის ეროვნებათა საბჭოში აგზავნიდნენ თითო წარმომადგენელს.[35]

ამრიგად, აფხაზეთის დამოუკიდებელ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადება მოხდა 1921 წლის მარტში, მაგრამ ეს დროებითი მოვლენა იყო. 1921-1931 წლებში აფხაზეთი საქართველოში განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულებით იყო გაერთიანებული, შემდგ კი ის შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური რესპუბლიკა.

---

[32]Дж. Гамахария, Б. Гогия, დასახელებული ნაშრომი, გვ. 141

[33]გ. ერემოვი, საბჭოთა საქართველოს კონსტიტუცია, თბილისი, 1980, გვ. 26

[34]იქვე, გვ. 47

[35]იქვე, გვ. 89

საქართველოს კომუნისტურმა (ბ) ხელმძღვანელობამ კრემლის კარნახით გაასხვისა საქართველოს ტერიტორიები, მათ შორის იყო აფხაზეთის მიწებიც, კერძოდ პილენკოვო, რომელიც მიეკუთვნა რსფსრ-ს. სულ გასხვისებულ იქნა 15, 853 კვ. კილომეტრის საქართველოს ტერიტორია, რომელზეც ცხოვრობდა 294, 257 ადამიანი.[36]

საბჭოთა კავშირისთვის თავიდანვე დამახასიათებელი იყო რეპრესიები, რომლებიც განსაკუთრებით გამწვავდ XX საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებიდან. რეპრესირებულთა შორის იყვნენ ქართველები და აფსუებიც.

განსაკუთრებით სეპარატისტული და მოსკოვის მიერ წაქეზებული გახლდათ აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუცია, რომელშიც საუბარია შემდეგზე:

1. დაამხეს რა აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოფილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, აფხაზეთის მუშებმა, გლეხებმა და წითელარმიელებმა შექმნეს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა და დაამყარეს სუვერენიტეტი და პროლეტარიატის დიქტატურა...
2. აფხაზეთის სსრ განსაკუთრებული საკავშირო ხელშეკრულებით გაერთიანებულია საქართველოს სსრ–ში, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში და უკანასკნელის შემადგენლობაში – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში;

---

[36]ა. სურგულაძე, პ.სურგულაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 246

3. აფხაზეთის სსრ არის სუვერენული სახელმწიფო, რომელიც თავის ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას სხვა რომელიმე ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად. აფხაზეთის სსრ სუვერენიტეტი, ა/კ რსფსრ და სსრ კავშირში მისი ნებაყოფლობითი შესვლის გამო შეზღუდულია, მხოლოდ ამ კავშირების კონსტიტუციაში მითითებულ ფარგლებში და საკითხებში.[37]

საბჭოთა კავშირის მთავრობა ძალიან დიდ ყურადღებას უთმობდა ავტონომიებს და მათ შორის აფხაზეთის ავტონომიასაც. 1927 წელს საქართველოს სსრ კონსტიტუციას დაემატა ახალი IV და V თავები, რომლებიც ეხებოდნენ „ავტონომიურ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკებს და ოლქებს" და „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას."[38]

1937 წელს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ცალკე (თავი მე-5) დაეთმო აფხაზეთისა და აჭარის სსრ რესპუბლიკების ხელისუფლებას, ხოლო მე-6 თავში კი საუბარია მმართველობის ორგანოებზე.[39]

1978 წელს მიღებულ იქნა სსრ კავშირის კიდევ ერთი ახალი კონსტიტუცია, რომელშიც ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს განსაზღვრავდა 82-ე, 83-ე, 84-ე, 85-ე მუხლები. აქ ეწერა, რომ ავტონომიური რესპუბლიკა არის გარანტი თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების სოციალური და ეკონომიკური განვითარებისა. მისი

---

[37]Съезды советов союза СССР союзных советских социалистических республик Закавказия, Сборник документов, 1923-1937 гг., Т., м., 1964 г., с. 686-694

[38]გრ. ერემოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 30

[39]იქვე, გვ. 31

საზღვრები არ შეიძლება შეიცვალოს თვითნებურად. აქვე მკაფიოდ იყო ხაზგასმული ისიც, რომ საქარათველოს სსრ-ს შემადგენლობაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკები.[40]

იმავე 1978 წელს მიღებულ იქნა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუცია, რომლის 135-ე მუხლის ეხებოდა ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს უფლებებს. მასში საუბარია შემდეგზე: „აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს უფლება აქვთ გააუქმონ ამ ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და მათი სხვა ორგანოების აქტები".[41] იმავე წელსვე მიღებულ იქნა აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციაც, რომელიც შესაბამისობაში იყო საქართველოს სსრ კონსტიტუციასთან.[42]

საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში ხშირი იყო აფხაზი სეპარატისტების ანტიქართული გამოსვლები, რომელსაც ადგილი ქონდა 1957, 1964, 1967 წლებშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1978 წელს აფხაზი სეპარატისტების მიერ მოწყობილი ანტიქართული გამოსვლები. აფხაზმა სეპარატისტებმა 1978 წლის დასაწყისში გაუგზავნეს წერილი საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. აღნიშნულ წერილში საუბარი იყო საქართველოს კომუნისტური ხელისუფლებისა და ქართული ინტელიგენციის არაკომპენტენტურობაზე. წერილის ავტორები მიიჩნევდნენ, რომ საქართველოში ილახება აფხაზების ინტერესები, ხელოვნურად ხდებოდა აფხაზთა ისტორიის გაყალბება

---

[40]Конституция СССР принятя на очередной седмой сессиеи верховного совета СССР девятого созыва, 7 октября 1977 г. С. 26

[41]გრ. ერემოვი,დასახელებული ნაშრომი, გვ. 33

[42]იქვე, გვ. 34

და მათი კულტურის დაკნინება, აგრეთვე მათი დემოგრაფიული შევიწროება. ეს წერილი დაიწერა მაშინ, როდესაც სინამდვილეში საქმე პირიქით იყო. კერძოდ, სოხუმში პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა უნივერსიტეტი, არსებობდა აფხაზური ტელევიზია, აფხაზური თეატრი და გამომცემლობა „ლაშარი" და სხვა. ანუ არანაირად არ იყო შევიწროებული აფსუური ეთნოსი საქართველოში.

ა. სონღულაშვილი თავის წიგნში – „აფხაზი თუ აფსუა" (თბ., 2007), წერს, რომ „XX საუკუნის 30-იან წლებში აფხაზური სეპარატისტული მოძრაობა გააქტიურებას იწყებს და ფიქსირდება ცალკეული ორგანიზაციების და ჯგუფების შექმნა. ომის წლებში აფხაზური მოძრაობის ცალკეულმა წარმომადგენლებმა სცადეს დაესვათ საკითხი საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის შესახებ, მაგრამ შეთქმულება მალე გამომჟღავნდა და მისი მოთავეები ს. ბასარია, მ. ადლეიბა და სხვები მართლმსაჯულებას ვერ ასცდნენ.

ომის შემდგომ წლებში აფხაზური მოძრაობა ახალ ძალას იკრებს, განსაკუთრებით აქტიურობენ თბილისში სასწავლო და სამეცნიერო განათლებამიღებული ახალგაზრდები, მათ შორის უმარ შაკრილი და, განსაკუთრებით უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, სამეცნიერო ხარისხის მქონე – თამარ შაკრილი" (გვ., 135).

იმავე ნაშრომში ის წერს, რომ „თვითგანდიდებისა და ქართველთაგან განკერძოების ტენდენცია გაუღვივდათ აფხაზ-აფსუებს განსაკთრებით 50-იანი წლებიდან, როდესაც სტალინი გარდაიცვალა და საბჭოთა სისტემა ღრმა კრიზისმა მოიცვა.

გაზვიადებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე აფხაზური სეპარატიზმის გეგმას 50-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, როცა საბჭოთა კავშირის ახალმა მესვეურებმა – ხრუშჩოვმა, სუსლოვმა,

კოსიგინმა, მიქოიანმა, ანდროპოვმა და სხვებმა სახელმწიფოებრივი აგიტაცია გააჩაღეს ქართველების წინააღმდეგ. სწორედ კრემლსა და აფხაზეთის კურორტებზე შეიქმნა და დაიხვეწა აფხაზეთის საქართველოსაგან ჩამოცილების და რუსეთისადმი მიერთების პროგრამა"(გვ. 136-137). არქივში მიაკვლია ა.სონღულაშვილმა მასალებს, რაც კიდევ უფრო ნათელს ფენს აფხაზეთში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დატრიალებულ ტრაგედიას. როგორც ჩანს, ამ ყველაფერს სწორედ მაშინ ეყრებოდა საფუძველი – „1960 წლის 11 მაისს აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ბღაჟბამ თხოვნით მიმართა საქართველოს კპ ცკ პირველ მდივანს ვ. მჟავანაძეს, რათა ნება მიეცათ იმავე წლის ივნისში აღენიშნათ რუსეთთან შეერთების 150 წლის იუბილე. აფხაზური მოძრაობის მომდევნო ეტაპი 1966-1968 წლებთან არის დაკავშირებული.

ცნობილია, „31"-ის, „77"-ის და „130"-ის წერილები, რომლებშიც აშკარად იგრძნობოდა ანტიქართული განწყობილება, რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის რესპუბლიკის შესვლის სურვილი" (გვ., 143-144).

ამრიგად, ა. სონღულაშვილის თანახმად, დღევანდელი აფხაზეთის კომფლიქტი, მართალია, პირდაპირ მოსკოვის მიერ არის ინსპირირებული, მაგრამ ამაში რამდენადმე ურევია აფსუების ხელიც...

XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესი, გაძლიერდა საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობანი. საბჭოთა კავშირმა დათმო მთელი აღმოსავლეთ ევროპა, ხოლო უშუალოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან კი ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. საბჭოთა კავშირის მაშინდელი მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა, რათა ნგრევის პროცესი შეეჩერებია. მისი შეჩერების ერთ-ერთი ფორმა გახლდათ ეროვნული მოძრაობის ძალების დაქსაქსვა და ცალკეულ

რესპუბლიკებში ჩადებული ნაღმების, ე.წ. ავტონომიური რესპუბლიკების ამოქმედება. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ განსაკუთრებით გააქტიურდნენ საქართველოში აფხაზი და ოსი სეპარატისტები. აშკარად მოსკოვის კარნახით, 1989 წლის 18 მარტს, სოფელ ლიხნში ჩატარდა აფხაზი ეროვნების რამოდენიმე ათასი კაცის ყრილობა, რომლებსაც მხარი დაუჭირეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პარტიის საოლქო კომიტეტის და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა, აგრეთვე სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები. აფხაზმა სეპარატისტებმა შეიმუშავეს ე.წ. „ლიხნის მანიფესტი", რომელიც წარმოადგენდა მიმართვას მაშინდელი საბჭოთა კავშირის მმართველი ელიტისადმი.[43]„ლიხნის მანიფესტი" წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის სასტიკ ფალსიფიკაციას. აფხაზი სეპარატისტები ბრალს სდებენ ქართველებს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ აფსუათა მუჰაჯირობაში, რომელშიც სინამდვილეში ცარისტული რუსეთი იყო დამნაშავე. არც ის არის სწორი XX საუკუნის 30-იან წლებში მოწყობილი რეპრესიები ქართველებს, რომ დააბრალეს აფხაზმა სეპარატისტებმა, რადგან რეპრესირებულთა პროცენტული რაოდენობით ქართველები ერთ-ერთ პირველ ადგილას დგანან საბჭოთა კავშირის მასშტაბით. რაც შეეხება 1951 წელს აფხაზეთიდან შუა აზიასა და ყაზახეთში გადასხლების საკითხებს, ამას, ძალიანაც რომ მოგვენდომებია, იმ პერიოდის კომუნისტური დიქტატურის პირობებში, კრემლთან შეთანხმების გარეშე მაინც ვერ შევძლებდით. ეს დაკვეთა კრემლიდან მოდიოდა და გადასახლებულთა

---

[43]გაზეთი Бзып//Бзыбь, 1989 წლის 25 მარტი

შორის ბევრად მეტი ქართველი იყო. ამრიგად, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ ქართველიცა და აფხაზიც ორივე ერთ ბედ ქვეშ იყო და ორივე განიცდიდა შევიწროებას. ლიხნის მანიფესტის შემდგენელთა უკან აშკარად მესამე ძალა – რუსეთი იდგა, რომლის ფარული რეჟისურითად მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა აფხაზეთშიც.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის სათავეებთან

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი პირდაპირ დაკავშირებულია ოსებთან და ინსპირირებული რუსეთის სახელმწიფოს მიერ. ამას უკვე აღარავინ მალავს და ღიად აცხადებენ. ბუნებრივია, იბადება კითხვები: ვინ არიან ოსები? სად არის მათი სამშობლო? როდიდან არიან ისინი საქართველოს ისტორიულ ტერიტორაზე, სამაჩაბლოში ჩამოსახლებული? და რატომ არის რუსეთი ამ კონფლიქტის ინსპირატორი?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მოითხოვს სამაჩაბლოს ისტორიულ და გეოსტრატეგიულ ანალიზს.

თანამედროვე სამაჩაბლოს ანუ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტს საფუძველი ჩაუყარა იმ პეიოდიდან, როდესაც საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე იწყება ოსთა გამოჩენა. მეგობრობის მოყვარე ტოლერანტ ქართველ ერს იმ პერიოდში არ მოეჩვენა ეს საშიშად, მაგრამ „მეგობრად“ მოსული დღეისათვის „მტრად“ გვექცა და გვედავება იმ მიწას, რომელიც უძველესი დროიდანვე ქართული ტომებით იყო დასახლებული.

საკუთრივ, ოსეთთან დაკავშირებული გამოკვლევანი მრავალფეროვანი და მრავლის მეტყველია. ოსების საკითხით დაინტერესებულნი იყვნენ ვახუშტი ბატონიშვილი, ლეონტოვიჩი, კოვალევსკი, გ. როზენი, მ. ბროსე და სხვ. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლებას მრავალრიცხოვანი ნაშრომი

მიეძღვნა ბოლო 20 წლის განმავლობაში, ანუ იმ დროიდან, როდესაც თავი იჩინა დღემდე გადაუჭრელმა კონფლიქტმა. ამ მონოგრაფიებიდან და სტატიებიდან აღსანიშნავია შემდეგი: ა.თოთაძე, ქართველი და ოსი ხალხის თანაცხოვრების ისტორია და მომავალი, თბ., 2010; ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში, თბ., 2009; ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002; ვ. ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995; ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991; მ. ტყავაშვილი, ოსების 1810-1811 წლების აჯანყება ლეონ ბატონიშვილის ხელმძღვანელობით, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2008, №2; ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწაზე, გაზ. „ცხოვრება“, 1991, 9 თებერვალი; ჯ. კვიციანი. კავკასია და კავკასიელები, თბ., 2010; Самедов А., Механизмы влияния Российской федерации на разрешение конфликтов на Кавказе. Баку, 2007; ა. მენთეშაშვილი. ოსური სეპარატიზმი 1918-1920 წლებში. იხ. „ოსთა საკითხი“, თბ., 1996; Абаев В. Трагедия Южной Осетии: путь к согласию. „Независимая газета“ от 22 января 1992г, №13; რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების ადგილი, თბ., 2008; Агусти Алемань. Аланы в древных и средневкоых письменных источниках. М., 2003; ნ. ლომოური. ოსთა საქართველოში ჩამოსახების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ჟრნ. „ცისკარი“, №5, 1992; ო. ლორთქიფანიძე. სეპარატისტთა პასუხად – ჭეშმარიტება, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 იანვარი, 1991; პ. ზაქარაია. შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, თბ., 1996; А.Цуциев. Атлас этнополитической истории Кавказа (1774-2004) М., 2006; რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005 და სხვა. ასევე მრავალი ნაშრომია ზოგადად სამაჩაბლოს რაიონთან დაკავშირებით შექმნილი სხვა დროსაც.

სწორედ ამ და სხვა მრავალრიცხოვანი ნაშრომებზე, აგრეთვე, მდიდარ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობითა და მათი ანალიზით, შევეცდები პასუხი გავცე დასმულ შეკითხვებზე, და გავარკვიო, რატომ არის დღეისათვის ქართულ–ოსური ურთიერთობები ჩიხში შესული...

მკლევარი რ თოფჩიშვილი, ანტიკურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, მიიჩნევს, რომ თანამედროვე ოსები ადრე ჩრდილოეთ კავკასიის სტეპებში მოსახლე ალანების მონათესავე ხალხია. მისი მტკიცებით, თანამედროვე ოსები არ არიან მაშინდელი ალანების პირდაპირი შთამომავლები. მკლევარის აზრით, თანამედროვე ოსური ეთნოსი ჩამოყალიბდა შედარებით უფრო გვიან, კერძოდ XIII საუკუნეში. ეს უნდა მომხდარიყო მოსული ალანებისა და ადგილობრივი ჩრდილო კავკასიელების ურთიერთშერევის გზით.[1]

ოსური ეთნოსის წარმოშობასთან დაკავშირებით ვ. აბაევი წერს, რომ „... მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს, რომ ოსები წარმოშობით არ არიან დაკავშირებული მეზობელ კავკასიელ ხალხებთან. კავკასიაში ისინი მოვიდნენ ჩრდილოეთიდან. კერძოდ, სამხრეთ-რუსეთის ველებიდან. წარსულში მათ ეწოდებოდათ ალანები. ხოლო „ალანები, ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის მოწმობით (ჩვ. წ.-აღ. I საუკუნე), – სკვითური ტომია, რომლებიც ცხოვრობენ აზოვის ზღვისა და დონის მხარეს".[2]

---

[1]რ. თოფჩიშვილი. ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების ადგილი, თბ., 2008, გვ. 85-86

[2]Курьер Юнеско, 1977, №1.

თავის წიგნში – „ქართველი და ოსი ხალხის თანაცხოვრების ისტორია და მომავალი“ (თბ., 2010), ა.თოთაძე წერს: „თანამედროვე ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, რომ ოსთა წინაპრები სარმატული წარმოშობის ირანულენოვანი მომთაბარე ალანური ტომები იყვნენ. ამავე დროს მეცნიერებაში სხვა მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომლის თანახმად ალანები არა ირანულენოვანნი, არამედ ერთ-ერთი თურქული მოდგმის ხალხი იყო. ახლახან ქართულ ისტორიოგრაფიას შეემატა პროფესორ რ. თოფჩიშვილის საინტერესო ნაშრომი, სადაც განხილულია ოსთა წინაპარი ალანების თავდაპირველი განსახლების არეალი და ალანების როლი ოსთა ეთნოგენეზის პროცესში. წიგნს დიდ ღირსებას მატებს ის ფაქტი, რომ ავტორი მნიშვნელოვანწილად ეყრდნობა კატალონიელი ისტორიკოსის ავგუსტი ალემანის ნაშრომს, რომელმაც ალანებისა და მათი მონათესავე ტომების შესახებ მსოფლიოში არსებული ყველაენოვანი წყარო მოიძია, თარგმნა და სათანადო კომენტარებით გამოსცა. ყველა წყაროს თანახმად, ალანთა ეთნოგენეზი კავკასიიდან ძალიან შორს მოხდა და ჰუნების შემოსევამდე (IV საუკუნის 70-იანი წლები) მათი განსახლების არეალი მხოლოდ ევრაზიის ვრცელი სტეპები იყო. ამის შემდეგ იკავებენ ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ველებს. პროფესორ რ. თოფჩიშვილის დასკვნით, თანამედროვე ოსების ერთ-ერთი წინაპრების, ირანუნელოვანი ალანების ეთნოგენეზი შუა აზიის ტერიტორიაზე მოხდა. ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნიდან ალანები დასავლეთის მიმართულებით იწყებენ მოძრაობას და მომთაბარეობენ თანამედროვე სამხრეთ რუსეთისა და უკრაინის სტეპებში. IV საუკუნის 70-იან წლებში მათ სამომთაბარეო არეალს, კასპიის ზღვის ჩრდილოეთი ტერიტორიიდან აზოვის ზღვამდე, ჰუნები შემოესივნენ. ამის შემდეგ ალანების ნაწილი დასავლეთ

ევროპის მიმართულებით მიდის სათარეშოდ ჰუნებთან და სხვადასხვა გერმანულ ტომთან ერთად და საბოლოოდ ევროპელებს მთლიანად შეერივნენ. ალანების ნაწილი დუნაიმდე აფართოებს სამომთაბარეო არეალს, ნაწილი კიდევ ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობში სახლდება და ქმნის სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფოს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა. XIII საუკუნეში ალანები მონღოლებმა დაიმორჩილეს. ამ საუკუნის შუა ხანებში ცენტრალური კავკასიის მთიანეთში მათი შესახლება დაწყებული იყო, მათი ძირითადი ნაწილი მთიან ხეობაში XIV-XV საუკუნეებში შესახლდა, აითვისეს ადგილობრივ მთიელთა კავკასიური მოდგმის ხალხების ტერიტორია და მათ შეერივნენ. ამის შედეგად, ფაქტობრივად, ახალი ეთნოსი ჩამოყალიბდა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების განმავლობაში ალანები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე ბინადრობდნენ ამუ-დარიიდან მდინარე დუნაიმდე, მაგრამ არც ერთი წერილობითი წყარო ალანებს საქართველოში არ ასახელებს. ალანებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის ის მონაკვეთი, რომელიც ადგილობრივი კავკასიური მოდგმის ხალხების საცხოვრისი იყო“ (გვ. 59-61).[3]

გ. მელიქიშვილის თანახმად, ახ.წ. III-V საუკუნეების შემდეგ ალანთა ნაწილი აზოვის ზღვის ჩრდილო-ღმოსავლეთსა და მდინარე დონის, ახლანდელი კრასნოდარისა და როსტოვის მიდამოებშიც ცხოვრობდნენ. ხოლო, ბიზანტიური წყაროების ცნობით, VI საუკუნეშიც კი ალანები თანამედროვე „ჩრდილო ოსეთის“ ტერიტორიაზეც არ ბინადრობდნენ. ისინი ჯერ კიდევ

---

[3]Агусти Алеманъ. Аланы в древных и средневкоых письменных источниках. М., 2003

არ იყვნენ ჩამოსახლებული აქ და მათი საცხოვრისი იყო დრევანდელი ყარაჩაის მიწა-წყალი.[4]

აკადემიკოს ო. ლორთქიფანიძის თანახმად, თანამედროვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია მთლიანად შედიოდა შიდა ქართლის შემადგენლობაში. არქეოლოგირი გათხრების შედეგად ამ ტერიტორიაზე აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები იძლევიან იმის თქმის საშუალებას, რომ ძვ.წ. IV-III ათასწლეულებიდან მოყოლებული დღემდე აქ ისეთივე კულტურაა გავრცელებული, როგორიც დამახასიათებელი იყო მთელი აღმოსავლეთ საქართველოსათვის. ო. ლორთქიფანიძე იქვე წერს, რომ ფარნავაზის დროინდელ პირველ ქართულ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა დღევანდელი სამაჩაბლოს ტერიტორიაც. იგი უშუალოდ ეკუთვნოდა შიდა ქართლს და სპასპეტის საგამგეოს წარმოადგენდა. შუა სუკუნეებში დღევანდელი სამაჩაბლოს ტერიტორია შედიოდა ქსნის საერისთაოს შემადგენლობაში. XVII-XVIII საუკუნეებში კი იწყება ამ ტერიტორიებზე ოსების ჩამოსახლება.[5]

პ. ზაქარაიას თანახმად, ოსური ეთნოსის კულტურის ნაკვალევი შიდა ქართლის ტერიტორიაზე არსად არ ჩანს. „შიდა ქართლის იმ ნაწილში, რომელსაც „სამხრეთ ოსეთი“ ერქვა, ყველაფერი, რაც მიწიდან არქეოლოგებმა ამოიღეს და რაც მიწის ზემოთ ძეგლი დგას, ქართულია. ეს თავისთავად იმაზე მიგვითითებს, რომ აქ ყოველთვის ქართველი მკვიდრობდა და თუ ვინმე რამეს ქმნიდა და აშენებდა, ისევ ქართველი იყო. ერთ-ერთი უძველესი დიდი ეკლესია, რომელმაც მრავალჯერ გადაკეთების

---

[4]საქართველოს ისტორია, შემდგენელი აკად. გ. მელიქიშვილი, თბ., 1980, გვ. 67

[5]ო. ლორთქიფანიძე. სეპარატისტთა პასუხად-ჭეშმარიტება. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 იანვარი, 1991

შედეგად ჩვენამდე მოაღწია გუმბათოვანი ტაძრის სახით, ესაა ნიქოზის ტაძარი. იგი ცხინვალის ახლოს მდებარეობს. მის კედლებზე გვხვდება ქართული წარწერების ფრაგმენტები. იგი თავდაპირველად აიგო მე-5 საუკუნეში. მემატიანე ჯუანშერის ცნობით, მეფე ვახტანგ გორგასალმა „აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა და დასუა ეპისკოპოსი, სადა-იგი ეფლა გუამი წმიდისა რაჟდენისი“[6] – აღნიშნავს მკლევარი.

ანალოგიური ცნობაა დაცული ვახუშტი ბატონიშვილთანაც. იგი წერს: „მეფემან კათალიკოზად პეტრე დაადგინა მცხეთას და სამოელ მუნვე ზემო ეკლესიასა ეპისკოპოსად; ხოლო სხუანი ეპისკოპოსნი დასხნა: კლარჯეთს, ერუშეთს, წუნდას, მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმიდას, ჭერამს, ჩელეთს, ხორნაბუჯს, აგარაკს, ნიქოზს წმიდის რაჟდენის საფლავსა ზედა“.[7] ვახუშტი ბატონიშვილის თნახმად, ყოფილა ნიქოზის ეპიკოპოსი, რომლის სამწყსოში შედიოდა ცხინვალიც.

პროფესორმა გ. ოთხმეზურმა შეისწავლა შიდა ქართლის რეგიონის 32 ეპიგრაფიკული ძეგლი, რომელნიც თითქმის ყველა აღმოჩნდა ქართული. ძალიან მცირე არის ბერძნული და სომხური წარწერები. მისი თქმით, შიდა ქართლში ოსური მოსახლეობის არავითარი კვალი არ შეინიშნება, „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია მთლიანად ქართული წარწერებითაა მოფენილი... როგორც ეპიგრაფიკული ძეგლები ცხადყოფენ, აქ მოსახლეობა ქართული იყო. მხარის გამგებელი ერისთავები თუ ადგილობრივი დიდი ფეოდალები ქართველები იყვნენ, ხოლო მათი სახელ–

---

[6]პ. ზაქარაია. შიდა ქართლის მთიანეთის ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, თბ., 1996, გვ. 125. 69

[7]ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 32

მწიფო და საეკლესიო ენა ქართული იყო".[8]

რ. მიმინოშვილმა ყურადღება გაამახვილა დარიალის ეტიმოლოგიაზე, რომელიც, მისი თქმით, კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ოსები ამიერკავკასიაში არ სახლობდნენ და შემდეგ უნდა იყვნენ გადმოსახლებული. „ოსთა ლოკალიზაციას ქედის ჩრდილოეთით თუნდაც დარიალის ეტიმოლოგია ადასტურებს – იგი „დარი ალანს" – ალანთა კარს ნიშნავს. არ შეიძლებოდა ამ „კარის" ორსავე მხარეს როდესმე ოსეთი ყოფილიყო... ეს იყო კარი, რომლის აქეთ ოსეთი არასოდეს ყოფილა".[9]

შიგა ქართლის ტერიტორიაზე გავრცელებული ტოპონიმები მთლიანად მიეკუთვნება ქართველურ სამყაროს. ეს კი იმის კიდევ ერთი დასტურია, რომ აქ ქართული ტომები ბინადრობდნენ უძველესი დროიდანვე. დღევანდელი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმები (ჩხორეთი, საცხუმეთო, ჩხუნეთი, ცხმორი, ლარგვისი, ლაგური და სხვ.) სვანური და ლაზურ–მეგრული წარმოშობის არის. გამოთქმულია ვარაუდი, რომ „შესაძლებელია შიდა ქართლი წარმოადგენდა იმ ტერიტორიის ნაწილს, სადაც მოხდა წინარე ქართველური ენის დაშლა ქართულ, სვანურ და ზანურ ენებად".[10]

ე. ხოშტარია–ბროსეს თავის ნაშრომში მოყვანილი ჰყავს მრავალი დოკუმენტი იმის დასამტკიცებლად, რომ XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში ჩამოსახლებული ოსები სახლდებიან ადგილობრივი ქართული მოსახლეობის განდევნის გზით. მკლევარს მოაქვს ამ დოკუმენტების

---

[8] გ. ოთხმეზური. შიდა ქართლის მთიანეთის ეპიგრაფიკა. იხ. წიგნი: ოსთა საკითხი, გვ. 156.

[9] რ. მიმინოშვილი. აჩრდილი დაბრწის.. გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 17 ნოემბერი, 1989

[10] ე. გვასალია. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები (შიდა ქართლი), თბ., 1983, გვ. 168

შესაბამისი მრავალი წყარო: „Документы по социальной истории Грузии, Крепостни ческие отношения. XV-XVIII вв.“, т. I. Под редакцией Н. А. Бердзенишвили, Тбилиси , 1940 г.; „История Осетии в документах и материалах“, т. I, составители Г. Л. Тогошвили и И. Н. Цховребов, Цхинвали, 1962 г., „Межкавказские политические и орговые связи Восточиой Грузии (конец 60-х – начало 90-х годов XVIII в.)“. Документы подобрал и подгатовил к печати В. Н. Гамрекели. Вып. I. Тбилиси, 1980 г., Вып. II, Тбилиси, 1991 г.“.[11]

ნ. ლომოური წერს, რომ ალანები და ოსები არაა ერთმანეთის იდენტური და ოსების ალანების უშუალო მემკვიდრეებად გამოცხადება არაა სწორი. ოსური ეთნოსი გახლავთ ალანებისა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული, „ამ შერწყმის შედეგად წარმოშობილი ახალი ეთნიკური წარმონაქმნი ენობრივად ირანელები არიან, რადგან შერწყმის პროცესში გაიმარჯვა მოსულთა ენამ, ანთროპოლოგიურად „კაეკასიურ“ ტიპს ეკუთვნიან, რადგან ანთროპოლოგიურად გაიმარჯვა ადგილობრივმა ტიპმა. კულტურულად ეს ახალი წარმონაქმნი ალანური და „კავკასიონური“ კულტურების მემკვიდრეა“.[12]

თანამედროვე ოსები რომ ალანთა პირდაპირი შთამომავლები არ არიან და რომ არც კავკასია, არ იყო მათი თავდაპირველი სამშობლო, ამაზე მეტყველებს თანამედროვე ოსთა ანთროპოლოგიური მონაცემები. ე. ითონიშვილის თანახმად, ანთროპოლოგიური კლასიფიკაციით თანამედროვე ოსები დიდი ევროპეიდული რასის ბალკანურ-

---

[11] Хоштария-Броссе Э. Документы свидетельствуют, газ. „Вестник Грузии,“ 8 Марта 1991 года. გვ. 67

[12] ნ. ლომოური. ოსთა საქართველოში ჩამოსახების ისტორიის ძირითადი ასპექტები. ჟრნ. „ცისკარი“, №5, 1992, გვ. 105

კავკასიურ ქვერასას განეკუთვნებიან, ხოლო ეთნო–ლინგვისტური კლასიფიკაციით კი ინდოევროპულ ენათა ოჯახის ირანულ ხალხებს, რომელთანაც გაერთიანე–ბულია სპარსელები, ტაჯიკები, ქურთები, ავღანელები, ლუ–რები, ბახთიარები, ბელუჯები, ნურისტანელები, თათრები და თალიშები.[13]

ამრიგად, ალანები ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე მოსული ხალხია და მათი სამშობლო კავკასიაა არაა. თანაც, მოხდა ისე, რომ ჩრდილოკავკასიელებთან შერევის შემდეგ, ანთროპოლოგიურად გაიმარჯვა კავკასიურმა რასამ, ხოლო ლინგვისტურად კი მოსული ალანების ირანულმა ენამ. სწორედ ასეთია დღეისათვის მეცნიერთა დასკვნები ოსებთან დაკავშირებით.

ვ. ითონიშვილის თანახმად, „ოსები იყოფიან ორ ძირითად სუბეთნიკურ ჯგუფად: „ირებად“ (ან „ირონებად“) და „დიგორებად“ (ან „დიგორელებად“). თავის მხრივ ირონები შედგებიან ლოკალური ეთნოტერი–ტორიული ჯგუფებისაგან: ალაგირელებისგან, თუალე–ბისგან, ქურთათელებისგან, თაგურელებისგან და ზახელე–ბისგან. ირონების სუბეთნოსს ეკუთვნიან საქართველოში მცხოვრები ოსებიც...“.[14]

„ქართლის ცხოვრებაში“ დაცულია ცნობები ქართველებისა და ოსების ურთიერთობის შესახებ. კერძოდ, XI საუკუნეში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი წერს, რომ „კათალიკოსი ქართლისა... განაგებდეს სიმართლით... სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით-წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთისა და ჩერქეზის საზღვრამდის,

---

[13] ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 93-94

[14] ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში, თბ., 2009; ასევე, ვ. ითონიშვილი, კაეკასია და კაეკასიელები, თბ., 2007, გვ. 80-81

სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო ქართლსა სამცხე-საათაბაგოსა".[15] გამოდის, რომ ქრისტიანობა ჩრდილოკავკასიაში არსებულ ოსთა სახელმწიფოში ვცელდებოდა საქართველოდან.

XIII საუკუნეში, მონღოლთა ლაშქრობების შედეგად, საქართველო დასუსტდა, რაც გამოიყენეს ოსებმა და დაიწყეს საქართველოს ტერიტორიების დარბევა. ჟამთააღმწერელის თანახმად, 1292 წელს „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყვევნად ქართლისა".[16] იდენტურ ცნობებს გვაძლევს ვახუშტი ბატონიშვილიც: „იწყეს ოვსთა ოხრება და ტყუევნად ქართლისა და ქალაქი გორი მოსტყუევნეს და დაიპყრეს".[17]

ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, 1292 წლიდან მოყოლებული დაიწყო ოსებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება.

„განასხნა" მონღოლებთან ერთად შემოსული ოსები გიორგი ბრწყინვალემ, წაართვა, „წარუხუნა" ოსებს ქართლში დაპყრობილი ციხეები და დაბები, შემუსრა „ჯავკასსა შინა მყოფნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა და მოხარკე ჰყვნა ყოველნი იგინი და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, ვინაითგან გზანი ყოველნი თვით დაიპყრნა".[18]

მართალია, გიორგი ბრწყინვალემ ამჯერად მოახერხა აგრესორი ოსების მოგერიება, მაგრამ თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ საქართველო ისე დაუძლურდა, რომ ოსების ახალი ტალღის შეჩერება ვეღარ შეძლო. ამიერიდან იწყება საქართველოში ოსების ჩამოსახლება, მაგრამ მას თავიდან ისეთი ინტენსიური ხასიათი არ ჰქონია.

---

[15]ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1995, გვ. 232
[16]ქართლის ცხოვრება, ტ. II. თბ., 1955, გვ. 296
[17]ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973. გვ. 256
[18]ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 66

ა. თოთაძის მიგნებით, „სახელწოდება ცხინვალი წარმოდგება მცებარე რცხილიდან. ძველ ქართულში ამ მცენარეს ქრცხილას უწოდებდნენ, ამიტომ ძველ ქართულ წარწერებშიც ცხინვალი მოხსენიებულია ქრცხინვალის სახელწოდებით. 1344 წელს ერთ–ერთ სიგელში იგი მოხსენიებულია, როგორც ვაჭრებით დასახლებული პუნქტი, რასაც, უეჭველია, მისი ადგილმდებარეობაც უწყობდა ხელს, ხოლო როგორც ქალაქი, ცხინვალი პირველად 1392 წლის მცხეთურ სიგელში იხსენიება. ისტორიული წყაროების ცნობით XIV-XVI საუკუნეებში ცხინვალი დასახლებული იყო სვეტიცხოვლის მონასტრის ყმებით. მცხეთის კათალიკოსს XVIII საუკუნეშიც ჰყავდა ცხინვალში ყმა ვაჭრები.

ბატონიშვილ ვახუშტის მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში 14 მნიშვნელოვანი სავაჭრო პუნქტია, რომელთაგან უმთავრესი ქალაქებია მხოლოდ ორი თბილისი და გორი. დანარჩენი 12 „მცირე ქალაქებს“ წარმოადგენენ, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ცხინვალი“.[19] სამაჩაბლოს სათავადო დაახლოებით XV საუკუნეში უნდა ჩამოყალიბებულიყო.[20] მან იარსება 1850 წლამდე.[21]

ვ. ითონიშვილის თანახმად, XVIII საუკუნის შუა ხანებში იწყება ქართლში ოსთა მასობრივი ჩამოსახლება და მათმა რიცხვმა 5000 კომლი შეადგინა.[22] ჯ. გვასალიას თავის ნაშრომში მოცემული აქვს ერეკლე II-ეს მიერ 1770 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის სტატისტიკა. ირკვევა, რომ არაგვის საერისთაოში (ზახა, თრუსო, ჭერივი, ხადა

---

[19]ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993, გვ. 79

[20]ჯ. გვასალია, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983, გვ. 26

[21]საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 19773, ტ. IV, გვ. 188-189

[22]ვ. ითონიშვილი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ. 13

და ღუდა) ცხოვრობდა 1200 კომლი ოსი; სამაჩაბლოში ცხოვრობდა – 860 კომლი ოსი; ქსნის საერისთაოში კი – 2000 კომლი,[23] ხოლო XVIII საუკუნის 70-იანი წლებში ოსები აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებზე ჯერ კიდევ არ იყვნენ დასახლებული.

კ. ხარაძის მიგნებით, მდინარე ქსნის მარჯვნივ მდებარე ჭურთის ხევში ვახუშტი ექვს ქართულ სოფელს ასახელებს,როცა იოანე ბაგრატიონს მხოლოდ ორი ქართული სოფელი აქვს მოხსენიებული. ამრიგად, ოთხი ქართული სოფელი ოსურ სოფლად გარდაქმნილა სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში.[24]

XVIII-XIX საუკუნეებში ოსების საქართველოში ჩამოსახლებამ, მეცნიერ გ. თოგაშვილის თანახმად, მასობრივი ხასიათი მიიღო.[25] ანალოგიური დასკვნები აქვს გაკეთებული ოს მეცნიერ პროფესორ ბ. კალოევსაც: „XIX საუკუნის განმავლობაში ოსების დიდი რაოდენობა დამკვიდრდა საქართველოს დუშეთისა და გორის რაიონებში, XX საუკუნის დასაწყისში ზედა და ქვედა კახეთის ტერიტორიაზე 30-ზე მეტი ოსური დასახლებული პუნქტი წარმოიქმნა. ეს ოსები დაფუძნდნენ თავადების მიწებზე.“[26]

მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნურად, ჩამოსახლებით გზით იზრდებოდა ოსების რიცხვი საქართველოში, 1900 წლისათვის ჯერ კიდევ უმნიშვნელო იყო მათი რაოდენობა ცხინვალში. ნ. გეხტმანის თანახმად, 1922

---

[23] ჯ. გვასალია, დასახელებული ნაშრომი, გვ. 170

[24] კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, შიდა ქართლი, თბ., 1992, გვ. 96

[25] გ. თოგოშვილი. ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969, გვ. 26

[26] Б.Калоев. Осетины, М.. 1967, с. 61

წლისათვის ცხინვალში ცხოვრობდა მხოლოდ 613 ოსი, რომელიც ქალაქის მთელი მოსახლეობის 13 % შეადგენდა. ცხინვალში ამ დროს ოსებზე მეტი ცხოვრობდნენ ებრაელები რომელნიც გახლდათ – 1651 (36,3 %), ქართველები – 1436 (31,7 %) და სომხები – 765 (16.8 %) სული.[26] ავთანდილ სონღულაშვილის თანახმად, კი „ჯერ კიდევ 1921 წელს ცხინვალის გარშემო 26 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ".[27]

აღნიშნული სტატისტიკური მონაცემები იმის კიდევ ერთი უტყუარი დასტურია, რომ ოსების სამშობლო არაა ცხინვალის რეგიონი და ისინი ამ ძირძველ ქართულ ტერიტორიაზე ჩამოსახლებულნი არიან.

„ექსპერტთა კლუბის" ექსპერტს ვასილ კვირიკაშვილს ფრიად საინტერესო დოკუმენტები მოაქვს თავის სტატიაში „სამხრეთ ოსეთი" – ტერმინის წარმოშობის ისტორია", რომლის ანალიზი, კიდევ ერთხელ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" XIX საუკუნის 30-იან წლებამდე საერთოდ არ არსებობდა და ის ცარისტული რუსეთის მიერ გამიზნულად არის შერქმეული ისტორიულად საქართველოს ძირძველი კუთხის – სამაჩაბლოსათვის. ვ. კვირიკაშვილი წერს: „ ცნობილია, რომ XIX საუკუნემდე წერილობით წყაროებში ქართული, რუსული და სხვ. - არ არის დაფიქსირებული არც ერთი შემთხვევა, სადაც გამოყენებული იქნებოდა ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" და საერთოდ, ოსეთის დაყოფა სამხრეთისა და ჩრდილოეთის ნაწილებად. პირველად ასეთი გამონათქვამი წერილობითი სახით გამოცხადდა XIX საუკუნის 30-იან წლებში და მაშინაც ძალიან

---

[26]Н. Гехтман, Экономическая география Грузии, Тб., 1924, с. 42-43

[27]ა. სონღულაშვილი, „სამხრეთ ოსეთი" საქართველოში, თბ., 2009, გვ. 127

იშვიათად იხმარებოდა. ამაზე მოწმობენ ოსი ავტორების მიერ გამოცემული ქართული, რუსული და სხვა უცხოური ისტორიული მოწმობების, დოკუმენტების და პუბლიკაციების კრებულები, რომლებიც შედგენილია მე-XIX საუკუნეში პრესაში დაბეჭდილი სტატიებისა, ასევე რევოლუციამდელი ქართული პრესის ანალიტიკურ-ბიბლიოგრაფიული გამოკვლევების საფუძველზე. მაგალითად: „ოსეთის ისტორია დოკუმენტებსა და მასალებში (უძველესი დროიდან მე-XVIII საუკუნის ბოლომდე), ტ. 1 (რუსულ ენაზე), ცხინვალი, 1962. შემდგენლები- პროფ. გ. თოგოშვილი და ი. ცხოვრებოვი. კრებულში შესულია ქართული ისტორიული და ლიტერატურული წყაროების 238 ერთეული, რომლებიც ასახავენ ამა თუ იმ ხარისხში ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ჩვენი წ.ა. III საუკუნიდან XVIII საუკუნის ჩათვლით. კრებულის დოკუმენტების უმრავლესობა დაკავშირებულია ოსების დასახლებასთან შიდა ქართლში და დვალეთის სამოურაოში. აქ თავმოყრილია რწმუნების სიგელები, ნაჩუქრობის და გარიგებების ბარათები, რომლებიც წარმოადგენენ ბატონყმობის ურთიერთობების ან დამამაგრებელ ან გამანთავისუფლებელ მოწმობებს, რომლებიც თავის დროზე გაცემული იყო როგორც ქართველებზე, ასევე ოსებზეც. აქვეა თავმოყრილი დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ოსების ფეოდალურ ურთიერთობებს თავის თავად-მებატონეებთან – ფალავანდიშვილებთან, მაჩაბელებთან, ერისთავებთან და სხვა. ამ 238 წყაროში „სამხრეთ ოსეთის“ დასახლების გამოყენების არც ერთი ფაქტი არ არის დაფიქსირებული შიდა ქართლის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც წარმოადგენს ცხინვალის რეგიონი. „სამხრეთ ოსეთის ისტორია დოკუმენტებსა და მასალებში", შემადგენელი ი. ცხოვრებოვი (რუსულ ენაზე), ტომი 2, ცხინვალი, 1960. მე-II ტომში შესულია 398 არქიული დოკუმენტი, რომლებიც

ასახავენ 1800-1864 წლებს. ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" გამოყენებულია მხოლოდ ორ დოკუმენტში №393 და №394, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო განათლებასთან. „სამხრეთ ოსეთის ისტორიის...." მე-3 ტომში გამოყენებულია 1864-1900წ.წ. დათარიღებული 428 არქიული დოკუმენტი. აქ ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" დაფიქსირებულია 19 დოკუმენტში - №342-343, 347-348, 350-351, 356, 359, 363, 384-387, 391, 393, 395, 401, 404, 442. წერილობითი წყაროები, რომლებიც ჩართულნი არიან ამ კრებულებში (კრებულები სხვათაშორის გამოცემულია ცხინვალში) წარმოადგენენ არქიული მასალების გადაბეჭდილ ვარიანტს თბილისისა და პეტერბურგის ისტორიული არქივებიდან. ეს მასალები შეიცავენ ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც ასახავენ XIX საუკუნის განმავლობაში ოსების სოციალურ, ეკონომიურ, რელიგიურ და საგანმანათლებო ცხოვრების პირობებს. ამგვარად, 826 დოკუმენტიდან, რომლებიც თავმოყრილია ორივე კრებულში, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" გვხვდება სულ 21 შემთხვევაში და ყველა ისინი დაკავშირებულია ე.წ. „კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღდგენის საზოგადოების" მოღვაწეობასთან, რომელიც შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობასთან 1863-1900 წლებში მუშაობდა და რაც ამტკიცებს აღნიშნული საზოგადოების „საქმიანობის" ჭეშმარიტ პრიორიტეტებზე...

რაც შეეხება კავკასიურ რუსულ პერიოდულ პრესას, 500-ზე მეტ პუბლიკაციაში, რომლებიც დაკავშირებულია ოსების ისტორიის, ეთნოგრაფიის და ყოფის საკითხებს და რომლებიც იბეჭდებოდა 87 წლის განმავლობაში (1828 წლიდან 1915 წლის ჩათვლით), ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" გვხვდება მხოლოდ 13 შემთხვევაში შემდეგი ინტერვალებით 1830, 1873, 1883, 1891, 1900 და 1909 წლებში. არანაკლებ საინტერესოა, რომ 61 წლის განმავლობაში (1852-1913 წლები) ქართული

ჟურნალ–გაზეთების ფურცლებზე ტერმინი ,,სამხრეთ ოსეთი" დაფიქსირებულია მხოლოდ ორჯერ. ბევრზე მეტყველებს ,,ჩრდილოეთისა და სამხრეთ ოსეთის" ტერმინების თითოჯერ გამოყენება ,,არქეოლოგიური კომისიის აქტების" მრავალტომეულში, რომელიც მოიცავს კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა 1392-1862 წლების პერიოდის ისტორიის ათი ათასზე მეტ დოკუმენტს. ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ოფიციალურ დოკუმენტებში (1860 წ.) ,,სამხრეთ ოსეთის" ტერმინის პირველი გამოჩენა არის ამ ეთნიკური ტერმინის მაშინდელი რუსეთის გეოგრაფიულ ლექსიკონში ჩანერგვის მცდელობის დასაწყისი".[28]

მკლევარილელა სარალიძე თავის სტატიაში სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ: ,,ჩრდილო კავკასიიდან საქართველოში გადმოსვლისას ოსები უმთავრესად სახლობდნენ დიდი და პატარა ლიახვის და ქსნის ხეობაში. ოსური მოსახლეობის დიდი ნაწილი დასახლდა ასევე გორისა და დუშეთის მაზრებში. ხოლო, შედარებით მცირე რიცხვი რაჭისა და შორაპნის მაზრებში. ოსეთი ჩრდილო კავკასიის ერთ–ერთი კუთხეა, რომელთანაც საქართველოს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ამჟამად ოსებს კავკასიის ცენტრალური ნაწილი უკავიათ და განსხლებულნი არიან კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე. ეს არის ახლანდელი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რომლის ტერიტორია 8 ათასიკვ. კილომეტრია. აღმოსავ-ლეთით მას ესაზღვრება ჩეჩნეთ–ინგუშეთი; სამხრეთით – საქართველო; დასავლეთით – ყაბარდო-ბალყარეთი; ჩრდილოეთით – სტავროპოლის მხარე.

---

[28]http://www.amsi.ge/istoria/div/soWi.html, გვ. 1-3

ბუნებრივია, არც ერთი მოსაზღვრე რესპუბლიკა იმის გამო, რომ თავის დროზე იქ ოსები ჩასახლდნენ, საკუთარ ტერიტორიაზე ახალ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს არ დაუშვებს. ოსი ხალხის მთელი ისტორია არის უწყვეტი და თანმიმდევრული მიტაცება მეზობელი ხალხების ტერიტორიებისა კავკასიაში. არ არის არც ერთი მეზობელი ხალხი, რომელთა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ არ მიეთვისებინოთ."[29]

ცარისტული რუსეთის გეგმა, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" ექცია საქართველოზე ზემოქმედების ობიექტად, შემდეგ ასეთივე წარმატებით გააგრძელა მოსკოვმა. მან, შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს იყო გამიზნულად ჩადებული „ნაღმი", რომელიც მყისვე ამოქმედდებოდა თუკი საქართველო მოისურვებდა საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას. თუმც, გასათვალისწინებელია აგრეთვე საქართველოს გეოსტრატეგიული მდგომარეობა, რომელიც მას მიმზიდველს ხდის, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე რუსეთისთვის. ამიტომ, სრულიად სამართლიანად აღნიშნავს მ. ლორთქიფანიძე, რომ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარება „დამოკიდებულია რუსეთსა და შეერთებულ შტატებს შორის. ჩვენ სწორედ ამ ორი ზესახელმწიფოს ინტერესებში უნდა ჩავჯდეთ."[30]

ა.თოთაძის გამოკვლევით, ხელოვნურად, ძირითადად, მიგრაციების გზით ხდებოდა ოსების რაოდენობის ზრდა სამაჩაბლოსა და, ზოგადად, საქართველოში. ამას კი პირდაპირ უწყობდა ხელს ჯერ ცარისტული და შემდეგ მისი მემკვიდრე საბჭოთა რუსეთი.

---

[29] ლ. საითაძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922 წწ.), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 2010, #1(7), გვ., 132-168

[30] გაზ, „საქართველოს რესპუბლიკა", 11 აგვისტო, 2004

თოთაძის მოჰყავს წლების მიხედვით ოსური მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები საქართველოში, რომელიც მართლაც რომ დამაფიქრებელია. ამ სტატისტიკაზე თვალის გადევნებით, კიდევ ერთხელ დარწმუნდები, რომ ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი გახლავთ ხელოვნურად ინსპირირებული რუსეთისა და ოსური ეთნოსის მიერ.

მაგალითისათვის, აქვე განვიხილოთ ცხინვალის მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები ა. თოთაძის მიხედვით.

ცხინვალის მოსახლეობა[31]

	1886 წ.	1922 წ.	1926 წ.	1959 წ.	1970 წ.	1979 წ.	1989 წ.
ქართველი	1135	1436	1920	4652	5475	5584	6905
ებრაელი	1953	1651	1772	1649	1475	652	396
სომეხი	744	765	827	860	768	712	734
ოსი	--------	613	1152	12432	20846	25319	31537
რუსი	--------	64	114	1583	1180	1737	1836
სულ:	3832	4543	5818	21641	30311	34791	42333

როგორც ამ ცხრილიდან ჩანს, 1886 წლისათვის ცხინვალში არც ერთი ოსი არ ცხოვრობდა. მათი რიცხვი მაღალი არც 1922 წელს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გამოცხადების დროს იყო აქ მცხოვრებთა საერთო რაოდენობასთან შედარებით. სულ რაღაც ოთხ წელიწადში – 1922 წლიდან 1926 წლამდე – ოსების რაოდენობა თითქმის გაორმაგებულია,რაც საკვირველია, მაგრამ უფრო გამაოგნებელია ოსთა რიცხობრივი ზრდა 1926 წლიდან 1959 წლამდე – 10- ჯერ, ანუ 900 პროცენტითაა გაზრდილი. ოსთა საკმაოდ დიდი მატებაა დაფიქსირებული შემდეგ

[31]ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, გვ. 82

წლებში ჩატარებულ აღწერების დროსაც.

გასაგებია, რომ ასეთი ზრდა მოსახლეობისა ასე მცირე დროში, ბუნებრივი გზით შეუძლებელია. ის აშკარად ხელოვნურად, მიგრაციების გზითაა გაზრდილი. თუ გავითვალისწინებთ საბჭოური წყობის რეალობას, როცა, ფაქტობრივ ერთი ცენტრიდან იმართებოდა ყველაფერი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გადმოსახლება იყო მოსკოვის მიერ ინსპირირებული და მიზანმიმართულად საქართველოში ჩადებული „ნაღმი“, რომელიც მაშინვე ამოქმედდებოდა, როცა კი საქართველო დაიწყებდა დამოუკიდებლობის მოთხოვნას. ეს „ნაღმი“ რუსეთს მისცემდა საშუალებას ხელში ჰქონოდა საქართველოზე ზემოქმედების ბერკეტი, რითაც იგი ისევ ერთ–ერთ მთავარ ფიგურად დარჩებოდა კავკასიურ პოლიტიკაში.

ე.წ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან

ე.წ. „სამხეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა გახლავთ საბჭოთა კავშირის მიერ ჩადებული „ნაღმი“, რომელიც მაშინვე ამოქმედდებოდა, როდესაც საქართველო დააყენებდა საბჭოთა კავშირიდან გასვლის მოთხოვნას. თანამედროვე პერიოდის ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებანი და გამოყენებული საარქივო მასალა იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნით აშკარად მოსკოვი იყო დაინტერესებული.

რამდენადმე აბსურდულია, რომ გეოგრაფიულად საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ცხინვალის რეგიონს ერქვას „სამხრეთი ოსეთი“. ისტორიულად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამაჩაბლოს არაფერი აქვს საერთო ჩრდილოეთ ოსეთთან. ეს გახლავთ მიზანმიმართულად დაშვებული „შეცდომა“, რომელსაც საკმაოდ ღრმა მიზეზები უდევს საფუძვლად.

საინტერესოა, როდიდან ჩნდება ტერმინი „სამხრეთ ოსეთი“? წყაროებიდან ირკვევა, რომ ის ცარისტული რუსეთის არსებობის პერიოდში შექმნილა. კერძოდ, 1830 წელს გამოცემული გაზეთი „Тифлисские ведемости“ სამაჩაბლოს მოიხსენიებს „სამხრეთ ოსეთად,“ რომლის ქვეშაც მოიაზრება დიდი და პატარა ლიახვის, ქსნისა და მეჯუდას ხეობების მთიანი ტერიტორია. იქვე ჩამოთვლილია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შვიდი

მთავარი ხეობა – მალრანდვალეთის, ქეშელთის, ჯავის, პატარა ლიახვის, მეჯუდის, ჭურთის და ჟამურის.[1]

ზოგადად, სამაჩაბლო ე.წ. „სამხრეთ ოსეთად“ მოიხსენიება კავკასიის არქეოლოგიური კომიტეტის აქტებშიც.[2] როგორც ლ. სარალიძე ამბობს, ეს ტერმინი ჯერ კიდევ 1802 წელს შედგენილ, რუსი გენერალ კნორინგის დოკუმენტშიც იხსენიება.[3] ე.წ. „სამხრეთ ოსეთი,“ მოხსენიებული აქვს, აგრეთვე, ოს ისტორიკოსს ი. ცხოვრებოვსაც, კერძოდ თავისი დოკუმენტების კრებულში #209 დოკუმენტში.[4]

ამრიგად, სახელი „სამხრეთ ოსეთი” ცარისტული რუსეთის დარქმეულია საქართველოს ტერიტორიის ნაწილისათვის. ეს, როგორც ჩანს, თავიდანვე შორს გამიზნული ქმედება გახლდათ, ანუ ქართველების ისტორიულ ტერიტორიაზე რუსებს სურდათ შეექმნათ მათთვის საიმედო საყდენი.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საკითხი განხილულია მრავალ წიგნში. მათ შორის აღსანიშნავია: ა. სონღულაშვილი, სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბილისი, 2009; ლ. თოიძე, საქართველოს პოლიტიკური

---

[1] ს. ითონიშვილი, ქართულ–ოსური ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1995, გვ., 33

[2] Акты Кавказской археологической комиссии, Т., Тифлис, 1866, с. 3

[3] ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7)თბ., 2010, გვ., 134

[4] Док. №209, 1830 г. мая 24- Предписание командующего отдельным Кавказским корпусом генерал-фельдмаршала Паскевича тифлисско-му военному губернатору генерал-адъютанту Стрекалову о назначении военной экспедиции в Юго-Осетию для подавления восстания крестьян, История Юго-Осетии в документах и материалах (1800-1864 гг.), Составитель И. Н. Цховребов, Том II, Госиздат Юго-Осетии, Сталинир-1960.

ისტორია (1921-1923 წლებში), თბილისი უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1999; ანზორ თოთაძე, ქართველი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორია და მომავალი, თბილისი 2010; ლ. სარალიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) და ოსეთის საკითხი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხი, II, გამომც., „უნივერსალი“, თბ.„ 2007; ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7)თბ., 2010, გვ., 132-164; ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბილისი, 1991; უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968; ა. თოთაძე, საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტი, თბ., 1993; გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წწ. თბ., 1969; ა. ფარნიევი, ოსები საქართველოში (შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში და ვინ მოითხოვს მას?), გაზეთი, „ერთობა“, #119, 11 ივნისი, 1918; რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლება და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997; ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლების საკითხისათვის საქართველოში, იხ. წიგნში: ოსთა საკითხი, თბ., 1996; ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე, იხ. წიგნში: ოსთა საკითხი, თბ., 1996; საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბ., 2003; მ.ნათმელაძე, ა.დაუშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (1921-2000), თბ., 2004; ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002; ა.სურგულაძე, პ. სურგულაძე,საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1992; მ. გაფრინდაშვილი, საქართველოს უახლესი ისტორია (კონსპექტური კურსი), თბ., 1997 და სხვ.

მკლევარი ლ. სარალიძე[5] აღნიშნავს, რომ ქართულ–ოსური კონფლიქტის გაჩენა პირდაპირ არის დაკავშირებული რუსეთთან. სწორედ მის მიერ არის ის ინსპირირებული, „სწორედ, საქართველოს დამოუკიდებლობა გახდა ის რეალური მიზეზი, რათა მესამე ძალა – რუსეთი აქტიურად ჩართულიყო კონფლიქტის გღვივებაში. სამწუხაროდ, რუსეთი კვლავაც არ ღალატობს საკუთარ ტრადიციებს და დღესაც უხეშად ერევა დამოუკიდებელი საქართველოს შინაურ საქმეებში. უფრო მეტიც, ქართულ - ოსური კონფლიქტის საბაბით, უკანონოდ აქვს დაპყრობილი საქართველოს ისტორიული ტერიტორიები.“[6]

ლ. თოიძის თანახმად, შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა თვითგამორკვევის შესახებ განცხადება პირველად 1917 წელს, ამიერკავკასიის ოსთა ჯავის ყრილობაზე დააყენეს. ამავე ყრილობაზე მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „იმ ოლქებში, რომლებიც ხასიათდებიან შერეული მოსახლეობით და სადაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით შეუძლებელია ეროვნულ-ტერიტორიული თვითმმართველობის შექმნა, შეიქმნას ეროვნულ–ტერიტორიული თვითმმართველობები კულტურულ–საგანმანათლებლო მიზნით. თუკი კავკასიის ხალხები მიიღებენ ეროვნულ–ტერიტორიულ ავტონომიას, მაშინ ოსებს, რომლებიც გაერთიანდებიან ერთ ეროვნულ ერთეულად, უნდა მიეცეთ თავისუფალი თვითგამორკვევის უფლება.“[7]

შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა ჯერ ცალკე სამაზრო

---

[5]ლ. სარალიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.) და ოსეთის საკითხი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხი, II, გამომც., „უნივერსალი“, თბ.., 2007

[6]ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7) თბ., 2010, გვ. 135

[7]ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, თბ., 1991

ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა მოითხოვეს. ამიერკავკასიის მთიან ზოლში მცხოვრები ოსების სახელით, 1917 წლის 10 აპრილს, ნიკოლოზ ზურაბის ძე ჯიოევი წერს წერილს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის თავმჯდომარეს , რომელშიც ის ითხოვს ოფიციალურად ოსებისათვის ცალკე სამაზრო ერთეულის შექმნას.[8]

1917 წლის 15-17 დეკემბერს ქალაქ ცხინვალში გაიმართა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" დელეგატთა მეორე ყრილობა. ამ ყრილობაზე არჩეულ იქნა ოსეთის ეროვნული საბჭო და მიიღო შემდეგი შინაარსის რეზოლუცია: „დამფუძნებელ კრებაზე ნაციონალური საკითხის გადაწყვეტა საერთო რუსულ ორიენტაციას დაემყაროს; მხარდაჭერილ იქნას სამხარეო ხელისუფლება კავკასიაში. საბჭო სრულ კონტაქტში უნდა მუშაობდეს მეზობელი ერების დემოკრატიებთან. ყრილობა გადაუდებლად თვლის სკოლების, ადმინისტრაციების, სასამართლოების, ჯარის ნაციონალიზაციის საკითხის ცხოვრებაში გატარებას, „სამხრეთ ოსეთის" ერთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფას. ნაციონალური პროგრამის საბოლოო სახით ჩამოყალიბება და მისი ცხოვრებაში გატარება დაევალოს ზემოთ ნახსენებ ეროვნულ საბჭოს."[9]

აღნიშნული რეზოლუცია მრავალმხრივაა საყურადღებო. პირველ რიგში ის, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ცალკე ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულად ჩამოყალიბება კავკასიაში, უშუალოდ „რუსული ორიენტაციის დამყარებად" ცხადდება. ანუ, რეზოლუცია თავად „ამბელს" ამ სეპარატისტული იდეის მთავარ ავტორის. მეორეს მხრივ კი, რეზოლუციაში საუბარია, რომ კავკასიაში ნაციონალური და სამხარეო ხელისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე. მაგრამ, აქვე იბადება კითხვა, დღესათვის რუსეთის ხელისუფლება უჭერს კი

---

[8] ლ. თოიძე, იქვე, გვ. 13

[9] იქვე, გვ. 15-16; ასევე, ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7), გვ. 136

მხარს ჩრდილო კავკასიაში დემოკრატიულ პრინციპებს და აძლევს იქ მცხოვრებ ეთნოსებს დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლების ორგანოების შექმნის უფლებას? რა თქმა უნდა არა. მაშინ ზემოთ ნახსენებ, აშკარად რუსეთთან შეთანხმებულ რეზოლუციაში რატომ ეწერა ასეთი რამ? ეს აშკარად იმით იყო განპირობებული, რომ რუსეთი ცხოვრებაში ატარებდა და დღემდე ატარებს „ორმაგი სტანდარტის პოლიტიკას". როგორც თავის დროზე აცხადებდა დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო, ინგლისისათვის არ არსებობს მუდმივი მეგობრები და მტრები, არამედ არსებობს მუდმივი ინტერესები. ანალოგიურ სიბრტყეზე უნდა განვიხილოთ ჩვენც რუსეთის ქმედებაც. მისთვის იმ ეტაპზე „დემოკრატია" „სამხრეთ ოსეთის" შექმნა, მხარს უჭერს კავკასიაში ნაციონალურ დემოკრატიას და დამოუკიდებელი სამხარეო ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბებას. მაგრამ დღეისათვის მისი ეს პოზიცია კარდინალურად არის შეცვლილი...

1918 წლის 4 იანვარს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ მიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერიდან ყველა საკითხი, რომელიც შეეხებოდა ოს ერს, შეეთანხმებინათ მასთან, როგორც ე.წ. „სამხრეთი ოსეთის" ხელმძღვანელ ცენტრთან.

1918 წლის 10 იანვარს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ ამიერკავკასიის კომისარიატს წარუდგინა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" მოწყობისა და საზღვრების შესახებ პროექტი. აღნიშნულ პროექტში საუბარია შემდეგზე: „სამხრეთ ოსეთის" ხალხის ნათლად და გარკვევით გამოხატულ ნებაზე დაყრდნობით, ჩვენ ვთლით, რომ ამიერკავკასიაში მიწის საკითხის სამართლიანი განხორციელება წარმოუდგენელია განსაკუთრებული სამაზრო ადმინისტრაციული ზეწოლის ჩამოყალიბების გარეშე რაჭის, გორისა და დუშეთის მაზრების იმ მთიანი ნაწილების მხრიდან, რომლებიც „სამხრეთ ოსეთის" მოსახლეობითაა დასახლებული... გასაგები ხდება ოსების ბუნებრივი სწრაფვა, ყოველ შემთხვევაში იმ ზოლში, სადაც ისინი კომპაქტურა მასად ცხოვრობენ, შექმნან ერთი ადმინისტრაციული ერთეული, სპეციალურად მათთვის შექმნილი მართვის ორგანოებით. ვინაიდან ეს ზოლი სივრცულად... და მოსახლეობის რაოდენობის

მიხედვით, სრულად აკმაყოფილებს ახალი მაზრის ჩამოყალიბების აუცილებელ ნორმას, ამიტომ ყველაზე უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ოსებით დასახლებული მთელი ეს ტერიტორია განსაკუთრებულ სამაზრო ორგანიზაციად გამოყოფილიყო... წარმოშობის, ენისა დაკულტურული განვითარების მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის ამ ერთგვაროვანი მასის, ნაციონალური ადმინისტრაციის მქონე, მხოლოდ ერთ მთიან მაზრად ან ოლქად გაერთიანებითაა შესაძლებელი მშობლიური ოსური ენის გამოყენების დაწესება ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში... ამიერკავკასიაში რუსების თვითმპყრობელობის დასაწყისში, ჩვენთვის საინტერესო მთელი მთიანი ზოლი შეადგენდა „სამხრეთ ოსეთის“ ერთ სამხედრო-ადმინისტრაციულ ოლქს, ამასთან, ამ ოლქის შემადგენლობაში შედიოდა ნარის ხეობა, რომელიც შემდგომში თერგის ოლქს იქნა მიკუთვნებული. ამ დებულების ლოგიკური დასკვნაა მთა-ოსური რაიონის დამოუკიდებელ სამაზრო-ტერიტორიულ ერთეულად გამოყოფის სრული აუცილებლობა... ეს იქნება ხელშეწყობა ოსების სწრაფ და ამასთან, შესაძლოა, უმტკივნეულო გადასვლაზე პატრიარქალურ-გვაროვნული წყობილებიდან და ჩვეულებრივი სამართლის იერარქიული გადმონაშთებიდან ჩვენი ეპოქის კულტურული მონაპოვრების ათვისებისაკენ. თუ ამიერკავკასიის დემოკრატია დაინტერესებულია მთა-ოსეთის ეკონომიკური განვითარებით, ის ყოველმხრივ უნდა უწყობდეს ხელს ამ რაიონის გამოყოფას განსაკუთრებულ სამაზრო ტერიტორიულ ერთეულად. ბოლოს, დამოუკიდებელი სამაზრო ერთეულის ასეთი წარმოქმნა აადვილებს „სამხრეთ ოსეთის“ ხალხისათვის ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემას... „სამხრეთ ოსეთის“ სამაზრო ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბება ცხოვრებისეული აუცილებლობითაა ნაკარნახევი, რადგანაც ასეთის ერთეულის არსებობის შემთხვევაში შესაძლებელია:

1. ოსი ხალხის ფსიქოლოგიაზე მისადაგებული ადმინისტარაციული მართვის სისტემის აგება;
2. ოსური ენის თანმიმდევრული გამოყენება ყველა დაწესებულებაში;

3. მყარი საფუძვლის ჩაყრა მთა-ოსეთის რაიონის კულტურულ-ეკონომიკური განვითარებისათვის;
4. ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის მკვეთრად გამარტივება „სამხრეთ ოსეთის" სინამდვილეში;

ცხინვალის გარეშე მთაა ოსეთის მოსახლეობა დაკარგავს ბუნებრივ გასასვლელს ბარში და მნიშვნელოვანწილად წაგებს კულტურულ-ეკონომიკური თვალსაზრისით."[10]

ეს მოთხოვნა გახლავთ ყოვლად უკანონო და ისტორიულად გაუმართლებელი, რომელიც სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროსა და გლეხთა ცენტრის რწმუნებულმა ა. ფარნიევმა. მან სტატიაც კი გამოაქვეყნა გაზეთ „ერთობაში", რომელშიც გააკრიტიკა სეპარატისტი ოსების უკანონო მოთხოვნები: „ შარშან ამირკავკასიის წარმომადგენლების პირველ კრებაზე, 5 ივნისს, ჯავაში ნ. ჯიოევმა გაუბედავად აღძრა ოსების ცალკე გამოყოფის – დამოუკიდებლობის საკითხი, კრებამ უარი უთხრა. მაშ, ფრთხილად, აწონ დაწონე, ნუ აჯებით უპასუხისმგებლო პოკიტიკანებს...

ამ ხეობაში ცხოვრობენ ოსები დაახლოებით: ჯავის საზოგადოებაში – 700 კომლი, როკის ხეობაში – 400 კომლი. თითოეულ კომლზე რომ ვიანგარიშოთ საშუალოდ 10 სული მცხოვრები, სულ იქნებიან 16000 სული. თბილისი და ქუთაისის გუბერნიებში კი ცხოვრობენ არა ნაკლებ 100000 სულისა. მაშ, დანარჩენი 84000 ოსის ინტერესებს ვის ვანდობთ, ისინი ვის მიეკედლონ... მე ვფიქრობ ისინი, ვინც ოსების დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე ოცნებობენ, მათ ან არაფერი გაეგებათ ქვეყნიერების ავ-კარგისა ან და განგებ სურთ შეატაკონ ქართველი და ოსის დემოკრატია ერთმანეთს და დალუპონ ის, რაც მოიპოვა ხალხმა."[11]

---

[10] ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, გვ. 16-18

[11] ა. ფარნიევი, ოსები საქართველოში (შესაძლებელია თუ არა ოსების დამოუკიდებლობა საქართველოში და ვინ მოითხოვს მას?), გაზეთი, „ერთობა", #119, 11 ივნისი, 1918

უ. ბახტაძის თქმით საქართველოს ეროვნული საბჭო თავის წარმომადგენელსაც კი აგზავნიდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნმული საბჭოს ყრილობებზე. ამით ის რამდენადმე მიესალმებოდა კიდეც ამას. ეს იყო წარმოუდგენელი შეცდომა, რომელიც შემდეგ საქართველოს ძვირად დაუჯდა...

სულ ექვსჯერ იქნა არჩეული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული საბჭოს შემადგენლობა.[12]

1918 წელს ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ოსებმა მოაწყო აჯანყება საქართველოს წინააღმდეგ. მათ გარდა აგრარული ინტერესებისა, ამისაკენ უბიძგებდა ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა – „დემოკრატიული საქართველოს დესტაბილიზაციის მიზნით 1918 წელს საქართველოს სოფლებში გაჩაღებულმა აგრარულმა მოძრაობამ ოსი გლეხობაც ჩაითრია. ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის რეზიდენციას 1918-1919 წლებში წარმოადგენდა ჩრდილოეთ ოსეთის ცენტრი ვლადიკავკაზი. ხელმძღვანელი ბოლშევიკები ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს, მათ შორის ოსებს, აქეზებდნენ საქართველოს წინააღმდეგ. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ს. ორჯონიკიძე, პარტიის სამხარეო კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე და ა. გეგეჭკორი...

შორაპნისა და გორის მაზრებში ბოლშევიკების წაქეზებით დაწყებულ აგრარულ მოძრაობას მთავრობა აღშობდა იარაღის გამოყენებით, რა თქმა უნდა იმის განურჩევლად, თუ რომელ ეთნოსს ეკუთვნოდნენ მისი მონაწილენი. ოსმა კომუნისტებმა კი ცხინვალსა და სამჩაბლოში ანარქიის აღკვეთისათვის მთავრობის ბრძოლა მონათლეს ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ ანტიოსურ აქციად და ბოლშევიკური ცენტრიდან წაქეზებით დაიწყეს ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ტერიტორიის საქართველოდან გამოცალკავებისა და მისი საბჭოთა რუსეთთან შეერთების

---

[12]უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968, გვ. 37

პროპაგანდა. 1919-1920 წლებში ოსთა შეიარაღებული რაზმები დათარეშობდნენ როგორც ჩრდილოეთ კავკასიაში და იქაურ ქართველ (ალაგირელ) მოსახლეობას ჟლეტდნენ, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე და იქაურ მიწა-წყლის ქართველ მესაკუთრეებს ანგარიშს უსწორებდნენ..."[13]

1918 წელს ოსების მიერ მოწყობილ აჯანყება განხილულია მეცნიერ შ.ვადაჭკორიას ნაშრომებში. იგი წერს, რომ პირველ მსოფლიო ომში ამიერკავკასიის ფრონტიდან დემობილიზებული გაბოლშევიკებული რუსული სამხედრო ნაწილები ცდილობდნენ თბილისი ალებას. ამიერკავკასიის მთავრობის დამხობისათვისა და თბილისი ასაღებად ბოლშევიკებს მოზადებული ჰყავდათ 16000 ჯარისკაცი. ამ იდეის სისრულეში მოსაყვანად ბოლშევიკებს დიდი იმედი ჰქონდათ შიდა ქართლში აჯანყებული ოსებისა და სომხებისა.[14]

ამის შემდეგაც აგრძელებდნენ ოსი სეპარატისტები აჯანყებას და ცდილობდნენ საქართველოს სახელმწიფოსათვის ისედაც მძიმე პერიოდში „ზურგში ლახვარის ჩაცემას". „ტრაპიზონში მიმდინარე საზავო მოლაპარაკების პარალელურად, ოსმალეთის სამხედრო შენაერთები საქართველოს ისტორიული ტერიტორიების ოკუპაციას ახდენდა. თუკი საქართველოში მცხოვრები ოსები თავის სამშობლოდ საქართველოს აღიქვამდნენ, ოსი ჯარისკაცების ზნეობრივი ვალდებულება — ა.ძასოხოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოში „რევოლუციის მონაპოვართა დაცვა" და „გარეშე მტრებთან" — ოსმალებთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, იმ ძნელბედობის ჟამს, ოსმალო ასკერების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველობას, იარაღის ტარების შემძლე და სამხედრო გამოცდილების

---

[13]ა.სურგულაძე, პ. სურგულაძე,საქართველოს ისტორია (1783-1990), თბ., 1992, გვ. 210

[14]შ. ვადაჭკორია, ეროვნული სახელმწიფოებრიობის საკითხი ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, ნაკვეთი I, (1917— 1918 წწ.), თბ., 2008

მქონე ოსების გარკვეული ნაწილი გვერდში მაინც უნდა ამოდგომოდა. დოკუმენტური მასალით დასტურდება, რომ ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის ნაწილებსადმი თანადგომის ნაცვლად ოსმა სეპარატისტებმა და ბოლშევიკებმა ერთობლივი ქმედებით ქართულ ჯარს ზურგში გალესილი მახვილი ჩასცეს. მხედველობაში გვაქვს 1918 წლის 13 და 14 მარტს ოსების მიერ ცხინვალისა და ჯავის რაიონებში დაწყებული აჯანყება."[15] ანალოგიური აზრია გამოთქმული სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნდნენ შემდეგ გაზეთებში: „ალიონი,"[16] „სახალხო საქმე,"[17] „საქართველო"[18] და სხვა.

„მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ აჯანყებულ ოსებს, ტყვიამფრქვევებითა და ვაზნებით დატვირტული ორი ფურგონი გორიდან საიდუმლოდ ცხინვალში გაუგზავნეს. ასეთ სიტუაციაში ქართული პოლიტიკური ელიტის მესვეურებმა უკიდურეს რადიკალიზმს აჯანყებულ ოსებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა არჩიეს. ამ საპასუხისმგებლო საქმეს ცხინვალის კომისარი გიორგი მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. ბოლშევიკები და ოსი სეპარატისტები რამდენადაც თავს გამარჯვებულად თვლიდნენ, მათი უპასუხისმგებლო მოქმედების შედეგად ამ სამშვიდობო პროცესის დაწყების მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. 1918 წლის 18 მარტს აჯანყებულმა

---

[15] შ. ვადაჭკორია, ოსების 1918 წლის აჯანყებების თავისებურებები და ოსი სეპარატისტების განიარაღების მცდელობის ასახვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, კრებული: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(6), 2009, გვ. 109-110

[16] გაზ. „ალიონი", 1918, 29 მარტი, №22

[17] გაზ. „სახალხო საქმე", 1920, 23 მაისი №832, ასევე, გაზ. „სახალხო საქმე", 1920, 13 ივნისი, №849

[18] გაზ. „საქართველო", 1918, 23 მარტი, №64

ოსებმა ცხინვალი აიღეს და გაძარცვეს. წამებით მოკლეს გიორგი მაჩაბელი, სანდრო კეცხოველი, პეტრე ეფრემიძე, კოსტა კაზიევი, კოტე ცერცვაძე. 140 წითელგვარდიელი ტყვედ აიყვანეს. 19 მარტს ოსების ეროვნული საბჭოს სახელით ცხინვალში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს და დაბა ცხინვალის კომენდატად კულუმბეკოვი დანიშნეს. ისარგებლეს რა დროებითი წარმატებით, ოსმა სეპარატისტებმა სოფ. ჯავა, დაბა ცხინვალი და მისი მიმდებარე ტერიტორიები გორის მაზრას თვითნებურად ჩამოაცილეს და მისი მმართველობა ოსების ეროვნულ საბჭოს დაუქვემდებარეს. ეს ნაბიჯი საქართველოს ეროვნული საბჭოსა და ამიერკავკასიის მთავრობისადმი ოფიციალურად დაუმორჩილებლობას, ომის გამოცხადების ტოლფას ქმედებას წარმოადგენდა"[19]

1918 წლის 19 მარტს, ამიერკავკასიის მთავრობის გადაწყვეტილებით, აჯანყებული ოსების წინააღმდეგ ცხინვალში გაგზავნილ იქნა ქართული გვარდია ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, რომელმაც ამ ჯერად შეძლო ამ აჯანყების ჩაქრობა.

ამრიგად, 1918 წელს ოსების მიერ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყება გახდათ, ერთის მხრივ, ამიერკავკასიის ბოლშევიკური სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობისა და, მეორეს მხრივ, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნული საბჭოს მიერ ინსპირირებული ქმედება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკამ მოიგერია.

---

[19] შ. ვადაჭკორია, ოსების 1918 წლის აჯანყებების თავისებურებები და ოსი სეპარატისტების განიარაღების მცდელობის ასახვა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, კრებული: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2(6), 2009, გვ. 110-111

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს ოსების მხრიდან შემდეგშიც ჰქონდა ადგილი – „რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მითითებით 1919 წ. 12 ივნისს ჯავაში შეიკრიბა არალეგალური პარტიული კონფერენცია, რომელმაც შექმნა რკპ (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი, ამ ორგანოს დავალება მიეცა „დაერაზმა ოსი მოსახლეობა" დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დამხობისათვის. 1920 წ. მაისში სამხრეთ ოსეთში ამ რაზმებმა დროებით წარმატებას მიაღწიეს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. შეიქმნა სამხრეთ ოსეთის რევკომი, რომელმაც 8 ივნისს გამოსცა ასეთი ბრძანება: „ცხადდება საბჭოთა ხელისუფლება ტერიტორიაზე ონიდან დუშეთამდე... მთელი ძალაუფლება ეკუთვნის სამხრეთ ოსეთის რევკომს... ეცნობოს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, რომ სამხრეთ ოსეთის მშრომელთა სურვილია რუსეთთან შეერთება."[20] აჯანყებულ სეპარატისტ ოსებს ეხმარებოდნენ ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსული რაზმებიც.[21]

აშკარად რუსეთი რომ იდგა ოსი სეპარატისტების უკან, ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ჩიჩერინის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის 1920 წლის 17 მაისს გამოგზავნილი ნოტა, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „ჩვენ შეშფოთებით გავიგეთ, რომ, „სამხრეთ ოსეთში", სადაც გამოცხადებულია საბჭოთა რესპუბლიკა, ასეთი ხელისუფლების მოსპობისათვის გაგზავნილია ქვეითი ჯარები. თუ ეს სწორია, ჩვენ მტკიცედ მოვითხოვთ გაიწვიოთ თქვენი ჯარები ოსეთიდან, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ ოსეთს ისეთი ხელისუფლება უნდა ჰყავდეს, როგორიც სურს. საქართველოს ჩარევა ოსეთის საქმეებში იქნება სრულიად გაუმართლებელი ჩარევა უცხო

---

[20] ზ.სურგულაძე, პ. სურგულაძე,საქართველოს ისტორია (1783-1990), გვ. 210-211

[21] ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7)თბ., 2010, გვ. 145

საქმეებში."[22]

აღნიშნულზე, 1920 წლის 20 მაისს, საქართველოს მთავრობამ რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის ჩიჩერინის უპასუხა ნოტითვე. მასში საუბარია შემდეგზე: „საქართველოს მთავრობა უაღრესად შეცბუნებულია თქვენი ნოტის იმ ნაწილით, რომელშიც ლაპარაკია საქართველოს მთავრობის განზრახვაზე იარაღის ძალით ჩახშოს „სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა რესპუბლიკა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია მივაქციო თქვენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ საქართველოს ფარგლებში „სამხრეთ ოსეთი" არ არსებობს, არამედ საქართველოს ფარგლებში არსებობენ ოსური სოფლები, რომლებიც მდებარეობენ თბილისი გუბერნიის გორის მაზრაში, ეს სოფლები შეადგენენ საქართველოს უდავო ტერიტორიას... ეს ტერიტორია ხელშეკრულებით შედის საქართველოს საზღვრებში და ოქ სხვა ხელისუფლება, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებისა დაუშვებელია."[23]

იმის შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ ასე აშკარა დახმარება აღმოუჩინა მათ, სეპარატისტმა ოსებმა 1920 წლის 7 ივნისს აიღეს ცხინვალი და 8 ივნისს გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება.

აღნიშნული აჯანყება 1920 წელს საქართველოს სახალხო გვარდიამ ჩაახრო. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ვალიკო ჯუღელი.

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ეროვნულმა საბჭომ 1919 წლის იანვარში უარი განაცხადა გორის მაზრისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. იმავე საბჭომ მიიღო დადგენილება მოეწვიათ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სახალხო საბჭო, რომელსაც უნდა განეხილა „ოსეთის განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ოლქად გამოყოფა და მისი მართვა-

---

[22] ე. გახტახე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968, გვ. 69

[23] ე. გახტახე, იქვე, გვ. 70

გამგეობის შემუშავება.“[24]

იმავე ეროვნულმა საბჭომ შეიმუშავა ავტონომიური „სამხრეთ ოსეთის“ კონსტიტუციის პროექტი, რომელიც 1919 წლის 16 ივნისს წარუდგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ კრებას. ამ დოკუმენტს ეწოდებოდა „სამხრეთ ოსეთის“ კანტონის კონსტიტუციის პროექტი. იგი შედგებოდა 5 თავისა და 47 მუხლისაგან. კონსტიტუციის პროექტის თანახმად, „სამხრეთ ოსეთის“ კანტონი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიურ ნაწილად ცხადდებოდა.[25]

1919 წლის ოქტომერში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ აღნიშნული საკონსტიტუციო პროექტი გადაუგზავნა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას, რომელმაც უარი განაცხადა მის დამტკიცებაზე.

აღნიშნულ საკონსტიტუციო პროექტთან დაკავშირებით საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მაშინდელმა თავმჯდომარემ პავლე საყვარელიძემ ერთ–ერთ სხდომაზე აღნიშნა, რომ „დღეს ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი. ამიტომ ჩვენ უნდა განვაცხადოთ: სხვა ერს ჩვენ აქ ვერ შევქმნით, სახელმწიფოში ახალ სახელმწიფოს ველარ დავაარსებთ, ჩვენ ვერ დავუშვებთ ვერც კურიებს, ვერც ავტონომიას და, საზოგადოდ, საკვარო უფლებრივი ხასიათის ორგანიზაციას... ჩვენ ვიღებთ საქართველოს და ვამბობთ, რომ იგი ეროვნული სახელმწიფოა, 95% და უფრო მეტიც აქ ქართველობაა. ამიტომ, ჩვენ ვდგევართ ეროვნული სახელმწიფოს ნიადაგზე და მისი ინტერესების თვალსაზრისით ვსინჯავთ ეროვნულ

---

[24]უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968, გვ. 38

[25]ა. სონღულაშვილი, სამხრეთ ოსეთი საქართველოში?!, თბილისი, 2009, გვ. 99

უმცირესობათა საკითხს...“[26]

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია. იმავე დღესვე ქალაქ ვლადიკავკაზში მოეწყო ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პარტიის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელმაც აუცილებლად მიიჩნია ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ გამოცხადებულიყო ავტონომიურ ოლქად ცენტრით ქალაქ ცხინვალში.

ანალოგიური დადგენილება იქნა მიღებული იმავე წლის 6-8 სექტემბერს გამართულ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რევოლუციური კომიტეტისა და პარტიული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე. სადაც დადგინდა, რომ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა შესულიყო ფედერაციულ კავშირში საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან. იმავე სხდომაზე დაამტკიცეს „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის და საზღვრების პროექტები. კონსტიტუციის პროექტი შეიცავდა 15 მუხლს.

1921 წლის სექტემბრის თვეშივე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია, რომელსაც ადგილზე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ უნდა შეესწავლა ვითარება, იყო თუ არა ავტონომიური ოლქის შექმნის აუცილებლობა. ამ კომისიას ხელმძღვანელლობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ბესარიონ კვირკველია. მან შეისწავლა შექმნილი ვითარება და გააკეთა ობიექტური დასკვნა. ის წერდა, რომ არა თუ ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სსრ,ან ავტონომიური რესპუბლიკის, არამედ ავტონომიური ოლქის შექმნაც კი მიზანშეუწონელი გახლავთო.[27] ეს დასკვნა მატონმა ბ. კვირკველიამ გადააგზავნა საქართველოს საბჭოთა

---

[26] უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968, გვ. 55

[27] ლ. სარალიძე, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის „ ავტონომიური ოლქის შექმნის ისტორიიდან (1917-1922), ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(7)თბ., 2010 , გვ. 150

სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის საქმეთა მმართველთან. აღნიშნული დასკვნა უნდა განხილულიყო რევკომის სხდომაზე. რევკომის სხდომა აშკარა მიკერძოებით და ტენდენციურად წარიმართა და ბ. კვირკველიას დასკვნა დაიწუნეს. უფრო მეტიც – როგორც ჩანს, მისი დატოვება აღნიშნულ თანამდებობაზე საშიშად მიიჩნიეს და თანამდებობიდან გადააყენეს კიდეც. მაგრამ, ირკვევა, რომ ბატონ ბესარიონის ფუნდამენტალურმა გამოკვლევამ და არგუმენტირებულმა დასკვნამ გარკვეული ზეგავლენა მაინც იქონია რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაზე, რომელიც მიიღეს 1921 წლის 31 ოქტომბერს. დადგენილების თანახმად ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" საბ–ჭოთა სოციალუსტური რესპუბლიკის ნაცვლად ავტონო–მიურ ოლქად უნდა გამოცხადებულიყო.

„საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების დამყარებისთანავე, გორის მაზრის ფარგლებში, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს დაწესებით, ფაქტიურად უკანონოდ დაარსდა ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის"ოლქის სახით."[28]

ოფიციალურად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" ავტონომიური ოლქის სტატუსით 1922 წლის 2 მარტის კონსტიტუციის ძალით დაკანონდა იურიდიულად. 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტით ე.წ. „სამხრეთ ოსეთი" გამოცხადდა საქართველოს სსრ შემადგენელ ნაწილად. ამავე დეკრეტით განისაზღვრა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ერთეულის ტერიტორიის საზღვრები. დეკრეტი აყალიბებდა აგრეთვე

---

[28]ლ. სარალიძე, იქვე., გვ. 160

მმართველ ორგანოებს – აღმასრულებელ კომიტეტს და ადგილობრივ საბჭოებს.

ამრიგად, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის შექმნა გახლდათ რუსეთის ხელისუფლების დაკვეთით მომხდარი და საქართველოსათვის ძალით თავს მოხვეული ფაქტია რომელიც ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" მიწები წარმოადგენს ისტორიული საქართველოს განუყოფელ ნაწილს, რომელიც უხსოვარი დროიდან გახლდათ ქართველური ტომებით დასახლებული ტერიტორია.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი 1989-2000 წლებში

XX საუკუნის 80-იანი წლების მე-2 ნახევრიდან აშკარა გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უზარმაზარ იმპერიას დღეები დათვლილი ჰქონდა. როგორც ხდება ხოლმე იმპერიის მსხვრევის შემდეგ, ჩნდება უზარმაზარი სიცარიელე, ეთნიკურად, თუ პოლიტიკურად დაძაბული კერები, ანუ მოქმედებას იწყებენ ის ნაღმები, რომელიც თავის დროზე ჩადებული ჰქონდა „იმპერიის მანქანას". ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგაც. პოსტსაბჭოთა სივრცეში დაისადგურა ღრმა ეკონომიკურმა კრიზისმა და თავი იჩინა ეთნო-პოლიტიკურმა კონფლიქტებმა. პოსტსაბჭოური სივრცის სახელმწიფოებში პოლიტიკური დაძაბულობა პიკს აღწევს. ისინი პოლიტიკური გზის გასაყარზე იდგნენ, მათ უნდა აერჩიათ: ევროპული, ან ისევ სახეცვლილი რუსეთისაკენ მიმავალი გზა. უმველესი კულტურის მქონე საქართველო აშკარა პროევროპულ გზას დაადგა, რამაც გამოიწვია ყოფილი იმპერიის მემკვიდრის – რუსეთის გაღიზიანება. საქართველოშიც ამოქმედდა „იმპერიული მანქანის" მიერ ჩადებული პოლიტიკური ნაღმები, რასაც მოყვა ცხინვალის რეგიონის და აფხაზეთის კრიზისები.

პოლიტიკური კონფლიქტების გაღვივების მიზნით არაფორმალური ორგანიზაციები შეიქმნა ე.წ. „სამხრეთ ოსეთში" (ადამონ ნიხასი) და აფხაზეთში (აიდგილარა).

მათ, ეთნიკურ ნიადაგზე მოითხოვეს საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება. როგორც ოს, ისე აფხაზ სეპარატისტთა უკან, ცხადია, საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა.

სწორედ საბჭოთა იმპერიული მანქანის წაქეზებით, 1989 წლის 10 ნოემბერს გაიმართა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს XII საგანგებო სესია. სადაც სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

„1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად;

ეთხოვოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და სსრკ უზენაეს საბჭოს განიხილონ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების საკითხი".[1]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება სესიის 10 ნოემბერს მოწვევის შესახებ საოლქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო 9 ნოემბერს ორგანიზაცია "ადამონ ნიხასის" წარმომადგენელთა მუქარით და ზეგავლენით. ოლქის პროკურორის პროტესტის საფუძველზე საოლქო საბჭოს აღმასკომმა გააუქმა აღნიშნული გადაწყვეტილება, როგორც კანონსაწინააღმდეგო და სესიის მოწვევის დღედ განისაზღვრა 25 ნოემბერი. მიუხედავად აღნიშნულისა „ადამონ ნიხასის" აქტიური ზემოქმედებით სესია მაინც გაიმართა 10 ნოემბერს. აღნიშნული სესიის გადაწყვეტილება გახლდათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი,

---

1. რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში–სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005, გვ. 14

რომელსაც მოჰყვა 1989 წლის 16 ნოემბრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა. აქ მიღებული დადგენილების თანახმად გადაწყდა: „საქართველოს სსრ კონტიტუციის (ძირითადი კანონის) 115–ე მე-10 პუნქტის საფუძველზე გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მეთორმეტე სესიის გადაწყვეტილება, როგორც კანონთან შეუსაბამო".[2] ხოლო, იმავე წლის 18 ნოემბრის საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით შეიქმნა ამ საკითხების შემსწავლელი კომისია 19 კაცის შემადგენლობით.

1989 წლის ნოემბრის თვიდან 1990 წლის თებერვლამდე ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა ცალკეულ შეტაკებებს ოს შეიარაღებულ არაფორმალურ გაერთიანებებსა და ქართულ მხარეს შორის. „ადამონ ნიხასის" წაქეზებით ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ყველაფერ ამაში ბრალს სდებდა საქართველოს სსრ-ს და მოითხოვდა, რომ: „სსრ კავშირის პროკურატურასა და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე დაისვას საკითხი იმ დანაშაულობების დროულად გამოძიების შესახებ, რომლებიც ჩადენილია სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე აღნიშნული მოვლენების დროს 1989-1990 წლებში, რაც დააჩქარებს აქ ვითარების სტაბილიზაციას".[3]

კონფლიქტში აშკარად რუსული იმპერიალისტური მანქანის ხელი რომ ერია ამ და აშკარად მისი წაქეზებული რომ იყო ოსური სეპარატისტული მოძრაობა, ამას ადასტურებს 1990 წლის 20 სექტემბრის სამხრეთ

---

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №11, 1989, გვ. 8
3. გაზ. „საბჭოთა ოსეთი", №59, 1990

ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეთოთხმეტე სესიის მეოცე მოწვევის სხდომაზე მიღებული დადგენილება, სადაც ნათქვამია, რომ:

„1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნას სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად.

2. ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის შეყვანის შესახებ".[4]

იმავე სხდომაზე მიღებულ იქნა დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულ იქნა გაზეთში „საბჭოთა ოსეთი" (№193, 1990): „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელია მთელი საგარეო და საშინაო ცხოვრების საკითხების გადაწყვეტაში...

„სამხრეთ ოსეთის" საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ჩრდილოეთ ოსეთთან". იმავე სესიაზე მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე ცნობილ იქნას მხოლოდ სსრკ კონსტიტუციისა და სსრკ სხვა საკანონმდებლო აქტების მოქმედება".[5]

ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა ძირძველი ქართული მიწების საქართველოსაგან გამოყოფისათვის და ბოიკოტს უცხადებდა საქართველოს მთავრობის და მისი საკანო-

---

4 გაზ. „საბჭოთა ოსეთი", №180, 1990

5 გაზ.„Советская Осетия", №203, 1990

ნმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებებს. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა ჯარში გაწვეულ ახალგაზრდებს ემსახურათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საპასუხოდ ცხინვალის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ: „ეთხოვოს სსრკ შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს გადაწყვიტოს სამხრეთ ოსეთიდან ახალწვეულთა მიერ სამხედრო სამსახურის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ან ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში გავლის საკითხი".[6] იმავე სხდომაზე სეპარატისტებმა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე „სამხრეთ ოსეთი" მეწარმეობის თავისუფალ ზონად გამოაცხადა".[7]

ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს რესპუბლიკის უზენასი საბჭოს არჩევნებს და მიიღო ანტიკონსტიტუციური საკანონმდებლო აქტი, რომ: „1. არაუფლებამოსილად იქნეს ცნობილი საარჩევნო ოლქების და უბნების ფუნქციონირება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებში".[8] 1990 წლის 16 ოქტომბერს ცხინვალის სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო კანონი საკუთრების თაობაზე, რომლის თანახმადაც: „მიწა და მისი წიაღისეული, წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო წარმოადგენს სამხრეთ ოსეთის ხალხის განუყოფელ საკუთრებას".[9] ოსების მხრიდან ანალოგიურ ანტიკო-

---

6 გაზ. „Советская Осетия", №202, 1990
7 გაზ. „Советская Осетия", №187, 1990
8 გაზ. „Советская Осетия", №202, 1990
9 გაზ. „Советская Осетия", №199, 1990

ნსტიტუციურ ქმედებებს შემდეგშიც არაერთხელ ჰქონდა ადგილი, რომელიც აშკარად ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებისაკენ იყო მიმართული.

ყოველივე ზემოთ თქმული ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ, სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ გადაწყვეტილების მიღება – წარმოადგენდა საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ ტერიტორიული მოწყობის შეცვლის მცდელობას, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ხელყოფას და საქართველოს კონსტი-ტუციის უგულვებელყოფას.

ამასთან დაკავშირებით 1990 წლის 21 სექტემბერს საქართველოს სსრ უზენასი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება: „1. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადა- წყვეტილება „სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტისა და სტატუსის შესახებ” გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ”.[10]

ამ დადგენილების საპასუხოდ ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 1990 წლის 16 ოქტომბერს სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-15 (I) სესიაზე მიიღო გადაწყვეტილება, სადაც ადასტურებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკად გარდაქმნას.[11]

ოს სეპარატისთა დადგენილება – სტატუსის შეცვლის შესახებ – დაგმობილ იქნა იმავე წლის 26 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე.[12]

---

[10] საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №9, 1990, გვ. 9

11 გაზ. „საბჭოთა ოსეთი”, №197, 1990

12 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №1, 1990, გვ. 57-58

საქართველოს მთავრობის ამ გადაწყვეტილებას რამდენადმე ცინიკურად უპასუხა ცხინვალის სეპარატისტულმა რეჟიმმა და მის უკან მდგარმა გარეშე ძალამ, როდესაც ოსი სეპარატისტების მიერ იმავე წლის 28 ნოემბერს გამართულ სხდომაზე მიიღეს დადგენილება: „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკას გადაერქვას სახელი და ეწოდოს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა".[13]

ამას მოჰყვა საქართველოს მხრიდან იმავე წლის 11 დეკემბერს გამართულ რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს სხდომაზე შემდეგი მკაცრი დებულების მიღება:

„1. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

2. გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭო, მისი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო – აღმასრულებელი კომიტეტი და ოლქის სხვა სახელმწიფო ორგანოები".[14]

ისტორიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს გადაწყვეტილება იყო მცდარი და პოლიტიკურად გაუთვლელი ნაბიჯი. რადგანაც, ეს გადაწყვეტილება გამოიწვევდა ოსეთის სეპარატისტული მთავრობის გაღიზიანებას და მოსალოდნელი იყო ოსური ბანდ-ფორმირებების ამოქმედება მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ასეთ გადაწყვეტილებას უნდა ღებულობდეს მტკიცე ხელის მქონე ქვეყანა. არადა ჩვენთან სახელმწიფო მხოლოდ ყალიბდებოდა, ხელისუფლების სტრუქტურები ფაქტობრივად არ არსებობდა, ან მხოლოდ შექმნის პროცესში

---

13 გაზ. „Советская Осетия", №226, 1990

14 საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, 1990, გვ. 10-12

იმყოფებოდა, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ არ იყო შეიარაღებული. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ამ პოლიტიკურად არასწორ დადგენილებას მოჰყვა ქალაქ ცხინვალსა და ჯავის რაიონში სეპარატისტული ძალების დანაშაულებრივი ქმედებები: მოხდა ხელისუფლების უზურპაცია თვითმარქვია ავანტიურისტული ელემენტების მიერ, დაიწყო ტერორისტული აქტები, ადგილი ჰქონდა ადამიანთა მკვლელობებს და დაჭრის შემთხვევებს.

მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით მათ ამ მოსაზრებაში, რადგანაც ჩვენი აზრით ეს იყო სამართლებრივი ომი საქართველოს ახლად ჩამოყალიბებადი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და სამართლებრივი თვალსაზრისით საქართველოს უზენაესი საბჭოს აღნიშნული დადგენილება სავსებით სწორი და არგუმენტირებული იყო, რადგან ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ სეპარატისტულმა რეჟიმმა თვითონ უგულველყო საქართველოში მაშინ მოქმედი კონსტიტუცია და 1990 წლის 20 სექტემბრის უკანონო დადგენილებით თვითონ კანონგარეშეთ დაიყენა თავი. რით შეიძლებოდა წინაღდგომოდა საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება ამ ყოვლად უმართებულო და უკანონო დადგენილებას, თუ არა არგუმენტირებული სამართლებრივი აქტით, რაც მან გააკეთა კიდეც. რაც შეეხება სეპარატისტების გაღიზიანებას, ეს მათ არ სჭირდებოდათ; ისინი უბრალოდ საქართველოსადმი მტრული ძალის დაკვეთას ასრულებდნენ და მაინც ყველანაირად შეეცდებოდნენ დაპირისპირების გაღვივებას. საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული აქტი კი, სამომავლოდ საქართველოს სუვერენული უფლებების ამ რეგიონზე აღდგენის სამართლებრივ საფუძვლად იქცევა, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია.

იმავე წლის 13 დეკემბერს ცხინვალის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება:

„1. შეჩერდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონები და ნორმატიული აქტები".[15]

ოსი სეპარატისტული ძალების უკან რომ საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა, აშკარად ჩანს 1991 წლის 7 იანვრის სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის დასკვნიდანაც, სადაც გაკრიტიკებულია საქართველოს მთავრობა, რომელმაც გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომია. უფრო მეტიც, მათ გადაწყვეტილებაში კატეგორიული ტონიც იგრძნობა: „3. სამი დღის ვადაში ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან გაყვანილ იქნეს შეიარაღებული ფორმინებანი (საუბარია ქართულ ქვედანაყოფებზე–ს.ა.), სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა".[16]

ასევე თანაგრძნობა გამოუცხადა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტულ ხელისუფლებას ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამ, რომლის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: „1. მხარი დაეჭიროს სსრკ პრეზიდენტის ბრძა- ნებულებას „1990 წლის დეკემბერში საქართველოს სსრ-ში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტების შესახებ", რომელიც მიმართულია საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზა-

---

[15]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში–სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005, გვ. 51-52

[16]სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, №2, 1991, გვ. 117-118

ციისაკენ".[17]

ბუნებრივია რომ, ჩრდილოეთ ოსეთის უკანაც საბჭოთა კავშირის ხელისუფალნი იდგნენ. ეს ყოველივე საქართველოს წინააღმდეგ ამუშავებული „ნელი მოქმედების ნაღმის" ერთგვარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა – სადაც ხაზი ესმებოდა ეთნიკურ კუთვნილებას, კულტურულ და ენობრივ ერთობას, გეოგრაფიულ მოსაზღვრეობას და სხვას, რომელიც მათ წისქვილზე ასხამდა წყალს.

სამხრეთ ოსეთში დაიწყო ტერაქტები, დღითი-დღე იზრდებოდა მსხვერპლთა რიცხვი, დაიწყო რეგიონიდან ლტოლვილთა დენა, გადაიბუგა მოქალაქეების, მთელი რიგი დაწესებულებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უძრავ-მოძრავი ქონება. წაიბილწა ისტორიისა და კულტურის ძეგლები, მოკლედ ვითარება უმართავი გახდა.

სადავეების ხელში აღების მიზნით ცხინვალის სეპარატისტულმა მთვარობამ სახელმწიფოს აღმასრულებელი და განმკარგულებელი ხელისუფლება სტაბილიზაციის კომიტეტს გადასცა.[18]

საჭირო გახდა საქართველოს მხრიდანაც მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა. იმ პერიოდში ჭეშმარიტ ეროვნულ ნიადაგზე მდგომ, ქართველ ხელისუფალთათვის რამდენადმე უკან დახევას, თუმცა სწორ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენასი საბჭოს თავმჯდომარესთან მოლაპარაკების გამართვა სამხრეთ ოსეთში ვითარების სტაბილიზაციისათვის. ქართული მხარე რეგიონში მშვიდობის მიღწევისათვის

---

[17] გაზ. „Советская Осетия", №8, 1991

[18] გაზ. „Советская Осетия", №29, 199120. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №58, 1991

თანახმა გახდა შერეული (რუსულ-ქართული) მილიციის რაზმის შექმნისა, რომელიც უზრუნველყოფდა ცხინვალის რეგიონში სტაბილიზაციას და საზოგა- დოებრივ წესრიგს.[19]

საქართველოს ეროვნული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა და ყველა გზას ეძებდა, რათა არ დარღვეულიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და მისი სუვერენიტეტი. მაგრამ, ვერც ამან გაამართლა (და ალბათ ვერც გაამართლებდა, რადგან პოლიტიკური კონფლიქტის შემოქმედს, როდის შეასმენდი რაიმეს...).

მართლაც, თითქოსდა საყოველთაო სამართლ- იანობის მხარდამჭერი რუსეთი, კიდევ ერთხელ იხრება ოსეთის სეპარატისტული მთავრობის მხარეს და 1991 წლის 31 მარტს სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ღებულობს შემდეგ დადგენილებას:

„1. ვთხოვთ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიიღოს გადაწყვე- ტილება სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსისა და სახელმწიფო ხელისუფლების ყველა სტრუქტურის აღდგენის შესახებ.[20]

ისტორიული სამართლიანობის, რამდენადმე ტერირორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დაცვი- სათვის საჭირო იყო საქართველოს სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, რომელიც მოხერხდა 1991 წლის 9 აპრილს და ოქროს ასოებითაა შესატანი საქართველოს უახლეს ისტორიაში.[21]

საქართველოს დამოუკიდებელმა სახელმწიფომ

---

[19]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №58, 1991 წლის 27 მარტი

[20] Ведомости Съезда Народных Депутатав РСФСР и Верховного Совета РСФСР, №14, 1991, გვ. 376

[21] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №4, 1991, გვ. 26-27

იურიდიულად სრულიად გამართლებული გადაწყვეტილება მიიღო 1991 წლის 27 აპრილს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზე:

„1. გაუქმდეს ცხინვალის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს გორის რაიონს.

2. გაუქმდეს ყორნისის რაიონი და მისი ტერიტორია შეუერთდეს ქარელის რაიონს.

გამოეყოს ჯავის რაიონს და გადაეცეს: საჩხერის რაიონს სინაგურის სასოფლო საბჭო (20, 4 ათასი ჰექტარი მიწა). ონის რაიონს კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები (3,6 ათასი ჰექტარი მიწა)".[22]

იურიდიულად სრულიად გამართლებულ ამ გადაწყვეტილებას აღსრულება არ ეწერა, რადგანაც ოს სეპარატისტებს ზურგს უმაგრებდა რუსეთის სახელმწიფოს ძლიერი რეაქციული ძალა.

საქართველოს ეროვნულ ნიადაგზე მდგომი ხელისუფლება ცდილობს ამ ფარსს ფარდა ახადოს და ყველაფერს მისი სახელი დაარქვას. სწორედ ამის დასტურია 1991 წლის 4 მაისის საქართველოს რესპუბლიკის უზენასი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება: „ამა წლის 4 მაისს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის... მოწვეულ სესიაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთის ე.წ. საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის გაუქმებისა და ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ, რომელიც თუმცა არის საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ, „ადმინისტრაციულად ექვემდებარება" რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერა-ციული რესპუბლიკის იურისდიქციას".[23]

---

[22] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები №4, 1991, გვ. 82-83

[23] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №5, 1991, გვ. 12

ანალოგიურად აიხსნება იმავე წლის 14 მაისის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომის დასკვნები: „სსრ კავშირის უზენასი საბჭოს დადგენილება კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ სსრკ ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს თავისუფლებისათვის მებრძოლი რესპუბლიკის დასასჯელად და ამ მიზნით მათი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფასაც არ ერიდება".[24] ამავე ხასიათის დადგენილებაა მიღებული, 1991 წლის 26 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომაზეც.[25]

საქართველოს მთავრობის მკაცრ ტონს განსაკუთრებითი სიმკაცრე მოჰყვა რსფსრ უზენასი საბჭოს 1991 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე, რომლის დადგენილებაშიც ვკითხულობთ: „შეთავაზოს რსფსრ პრეზიდენტს უმოკლეს დროში მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, აუცილებლობის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის მიმართ მკაცრი ეკონომიკური სანქციებიც კი, სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დაუყოვნებლივი მოწესრიგების, ადამიანის უფლებათა აღდგენისა და აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთისათვის დამატებითი მატერიალური დახმარების მიზნით".[26]

ანალოგიური შინაარსის დადგენილება იქნა მიღებული 1991 წლის 1 ნოემბერს რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის დეპუტატთა ყრილობაზეც.[27]

---

[24] საქართველოს რესპუბლიკის უზენასი საბჭოს უწყებები, №6, 1991, გვ. 79-80

[25] საქართველოს რესპუბლიკის უზენასი საბჭოს უწყებები, №8, 1991, გვ. 164-165

[26] Ведомости Съезда Народных Депутатав РСФСР и Верховного Совета РСФСР, №44, 1991, გვ. 1709-1710

[27] Ведомости Съезда Народных Депутатав РСФСР и Верховного Совета РСФСР, №45, 1991, გვ. 1771-1772

ოს სეპარატისტებს და მათ უკან მდგარ მოსკოვს სათანადო პასუხი გასცა 1991 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. მის ბრძანებულებაში ვკითხულობთ: „მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან შეერთების ადრე მიღებული გადაწვეტილებების დადასტურების, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები.საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის, ქვეყნის უშიშროების და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121^4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

„1. ცნობილ იქნეს ბათილიდ და იურიდიოლი ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს, ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება”.[28]

1991 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია. ქვეყანაში, ფაქტიურად სამოქალაქო ომი დაიწყო. 1991 წლის 22 დეკემბერს ქართული ოპოზიციური ძალების ნაწილმა (რუსეთის ფარული რეჟისურით) დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე, რომელსაც 1992 წლის 6 იანვარს მოჰყვა კანონიერი ხელისუფლების დამხობა. ამის შემდეგ ძალაუფლება ჯერ სამხედრო საბჭოს გადა- ეცა, ხოლო, 1992 წლის 7 მარტიდან გადავიდა ედუარდ შევარდნაძისა და ე.წ. სახელმწიფო საბჭოს ხელში.

მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე ოსეთის სეპარატისტული მთავრობა ამზადებდა ცხინვალის რეგიონს საქართველოსაგან გამოსაყოფად. სწორედ ამ მიზნით 1991 წლის 13-14 დეკემბერს ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა ოსი სეპარატისტების ყრილობა, როგორც ისინი უწოდებენ „ოსი ხალხის I ყრილობა დეკლარაცია", რომელზეც გააფორმეს ე.წ. დეკლარაცია, სადაც ისინი მოითხოვენ: ე.წ. სამხრეთ ოსეთის და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებას და ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას.[29] ხოლო, 1991 წლის 21 დეკემბერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ" მიიღო შემდეგი დადგენილება: „1. შეიქმნას თავდაცვის რესპუბლიკური ძალები და რესპუბლიკური გვარდია".[30] იმავე, ცხინვალის სეპარატისტულმა მთავრობამ 1992 წლის 3 იანვარს გამართულ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გადაწყვიტა რეფერენდუმის ჩატარება „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის"[31] და რუსეთთან შეერთების საკითხებთან დაკავშირებით შეამზადა რა ფონი ცხინვალის მთავრობამ 1992 წლის 29 მაისს გამოაქვეყნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტი.[32] ხოლო 1993 წლის 2 ნოემბერს მიიღო „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკი კონსტიტუცია".[33]

---

[28] საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №12, 1991, გვ. 5-6

[29] გაზ. „Советская Осетия", №254, 1991

[30] გაზ. „Южная Осетия", №157, 1991

[31] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში–სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 2005, გვ. 96-97

[32] Южная Осетинская хроника Грузинской огресий 1988-1992, 1996, გვ.,1

[33] გაზ. „Южная Осетия", №132-133, 1993

პოლიტიკური არეულობა საქართველოში, მართლაც, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ სეპარატისტების უკან მდგარი რუსეთი სხვა, უფრო შორს მიმავალ გეგმებს ისახავდა მიზნად. „დაყავი და იბატონე"-ს ფორმულას მან მიუმატა წარსულში მრავალგზის ნაცადი ხერხი –„დაყოფილი ნაწილებიც დაასუსტე", რათა უფრო მორჩილნი იყვნენ ისინი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ცხინვალის რეგიონში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ადგილი ჰქონდა შეტაკებებს ოს ბანდ-ფორმირებებს და ქართულ არმიას შორის.

ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე საქართველოს მთავრობა და, კერძოდ, რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე არა ერთხელ შეხვდა რუსეთის ფედერაციისა და ჩრდილო ოსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნებსა თუ უშუალოდ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს. ასეთი შეხვედრები გაიმართა 1992 წლის 10 ივნისს დაბა ყაზბეგში ე. შევარდნაძესა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. გალაზოვს შორის. მხარეები შეთანხმდნენ ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე.[34] განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმავე წლის 24 ივნისს სოჭში გამართული შეხვედრა (საქართველოს რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია, ჩრდილოეთ ოსეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი), რომელზეც ანალოგიური შეთანხმება იქნა მიღებული.[35] 1992 წლის 4 ივლისს ქალაქ ვლადიკავკაზში გაფორმდა ოქმი: „ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის", რომელშიც ვკითხულობთ:

„1. შეიქმნას შერეული საკონტროლო კომისია

---

[34] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №103, 1992

[35] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №115, 1992

(იგულისხმება საქართველო, რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი–ს.ა.)...

3. დაეკისროს შერეულ საკონტროლო კომისიას შეასრულოს შემდეგი ფუნქციები:

ა) ცეცხლის შეწყვეტის კონტროლის უზრუნველყოფა, შეიარაღებული ფორმირებების გაყვანა, თავდაცვითი ძალების დაშლა, კონფლიქტის ზონაში უშიშროების რეჟიმის უზრუნველყოფა".[36]

იქვე, განსაზღვრულ იქნა შერეული ძალების კონტიგენტი, სულ 1500 კაცი და 900 კაცი რეზერვში, რომელიც პროპორციულად იქნებოდა წარმოდგენილი ქართული, რუსული და ჩრდილოეთ ოსეთის მხარეები. ანალოგიურ შეთანხმებებს შემდეგშიც არა ერთხელ ჰქონდა ადგილი.

იმავე სხდომაზე, სარდლობის უზრუნველყოფის მიზნით, უფროს სამხედრო მეთაურებად დანიშნულ იქნენ:

გენერალ–ლეიტენანტი გენადი ფილატოვი.

გენერალ–ლეიტენანტი პანტელეიმონ გიორგაძე.

გენერალ–მაიორი სტანისლავ სუაროვი.[37]

იმავე სხდომაზე იქნა ჩამოყალიბებული მრავალმხრივი პრეს-ცენტრი. პრეს-ცენტრის ინფორმაციის წყაროს წარმოადგენდა საკონტროლო კომისიის მეთვალყურეთა ჯგუფის და ამ კომისიის სხვა ორგანოების ოფიციალური დოკუმენტები და შეტყობინებები. პრეს-ცენტრს ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის და საზღვარგარეთისათვისაც.

შერეული საკონტროლო კომისიის 1992 წლის 6

---

[36] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... , 2005, გვ. 117

[37] იქვე, გვ. 118

ივლისის თბილისის შეხვედრის დროს დაადგინეს საგუშაგოების განლაგება, ესენია: ქალაქი ცხინვალი–დასავლეთი (სახელმწიფო ავტოინსპექციის პოსტი).

–ქალაქი ცხინვალი–აღმოსავლეთი

–ერედვი, დმენისი–ვანათის რაიონი.

–ქარელი–ზნაურის რაიონი.[38]

1992 წლის 31 აგვისტოს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის" სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო მემორანდუმი: „სამხრეთ ოსეთის მიწების შესახებ", რომელშიც ვკითხულობთ: „სახელწოდება „სამხრეთ ოსეთი" და „ჩრდილოეთ ოსეთი" წარმოადგენს რა ოსეთის ორი ნაწილის გეოგრაფიულ განსაზღვრებას ცენტრალურ კავკასიაში, არასოდეს არ გამოხატავს მის პოლიტიკურ გაყოფას.

ამჟამად სამხრეთ ოსეთსა და ჩრდილოეთ ოსეთს შორის საზღვრის არსებობა არ არის იურიდიულად გაფორმებული და მის არსებობას არ გააჩნია საფუძველი.

საბჭოთა პერიოდში არსებული ოსეთის გაყოფა „ქედის მიხედვით" იყო საქართველოს ხელმძღვანელობისა და სსრკ ქართველი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის (სტალინი, ორჯონიკიძე) გეოპოლიტიკური თვითნებობა.

ამრიგად, იმპერიულ ძალადობაზე დამყარებული „ქედის მიხედვით" ოსეთის გაყოფა გეოგრაფიულად აღმოჩნდა ოსეთის გაყოფის ეტაპობრივი გადაყვანა პოლიტიკურ ჭრილში. ეს „საზღვარი" იურიდიულად არარსებულია, ხოლო სსრკ და საქართველოს სსრ კონსტიტუციების გაუქმების შემდეგ, საერთოდ უკანონოა, ანუ არ გააჩნია სახელშეკრულე-ბო–სამართლებრივი საფუძველი.

შემდეგში ამ საზღვრის გატარება დაუშვებელია

---

[38] იქვე. გვ. 120

სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ სახელმწიფო ორგანოთა მონაწილეობის გარეშე".[39]

1993 წლის 13 იანვარს ქალაქ ვლადიკავკაზში შედგა ჩრდილოეთ ოსეთს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომა, სადაც მიიღეს დადგენილება:

„1. დაეთანხმოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინადადებას ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის კონცეფციის შემმუშავებელი საპარლამენტთაშორისი მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის თაობაზე".[40]

ამას მოჰყვა ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს დადგენილება:

„1. ცნობილ იქნეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა.

2. ეცნობოს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის აღიარების შესახებ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უზენაესს საბჭოს".[41]

კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ე.წ. სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის მთავრობების უკან რუსეთი იდგა წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1993 წლის 22 მარტის სხდომის დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ; „წარდგენილ იქნეს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესიაზე განსახილველად საკითხი„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ" ჩრდილოეთ ოსეთის სსრ უზენაესი საბჭოს დადგენი-

---

[39] გაზ. „Южная Осетия", №86, 1992

[40] გაზ. „Советская Осетия", №15, 1993

[41] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... , 2005, გვ. 148

ლების თაობაზე".[42]

1993 წლის 21-22 მაისს ქალაქ ვლადიკავკაზში გაიმართა ე.წ. „ოსი ხალხის მეორე ყრილობა", სადაც მიიღეს შემდეგი დადგენილება: „დადასტურდეს ერთიანი ოსეთის რუსეთისათვის მიერთების ისტორიული მიზანშეწონილობა. ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის პარლამენტების მიერ ერთობლივად მიღებული ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის პროგრამა ჩაითვალოს მნიშვნელოვან ნაბიჯად ოსეთის სახელმწიფოებრიობის განვითარების გზაზე".[43]

ცხინვალის რეგიონი მრავალმხრივი შეტაკებების შემდეგ ეკონომიკურად ძალზე მოიშალა. მიუხედავად, ოსი სეპარატისტული მთავრობის ანტიკონსტიტუციური და საქართველოს ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებისა, ქართული მხარე მაინც ცდილობდა ვითარების სტაბილიზაციას და ცხინვალის რეგიონის ეკონომიკურ აღმშენებლობას. ყოველივე ამის ნათელი მაგალითია 1993 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში გამართული შეხვედრა რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს შორის, რომელ კომუნიკეშიც ვკითხულობთ:

„მუხლი 1. მხარეები ამოდიან იქედან, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში რაიონების ეკონომიკური აღდგენის საერთო მოცულობის სამუშაოების შესრულე- ბისათვის აუცილებელი ხარჯები, საექსპერტო შეფასებების შესაბამისად, შეადგენს 34,2 მლრდ. რუბლს 1992 წლის 15 ივლისის ფასებით.

მუხლი 2. საქართველოს მხარე კისრულობს ამ

---

[42] Ведомости Съезда Народных Депутатав РФ и Верховного Совета РФ, 1993, №14, გვ. 833

[43] გაზ. „Советская Осетия", №15, 1993

ხარჯების ორ მესამედს".[44]

1993 წლის 2 ნოემბერს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" სეპარატისტულმა მთავრობამ მიიღო კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომელშიც აღნიშნულია:

„მუხლი 1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოა, რომელიც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის საფუძველზე...

მუხლი 9. მიწა, მისი წიაღი, წყალი, მცენარეული და ცხოველთა სამყარო, კულტურული ფასეულობები და საკულტო ძეგლები სამხრეთ ოსეთის ხალხის მონაპოვარია...

მუხლი 23. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას განსაკუთრებული ურთიერთობა აქვს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკასთან.

ჩრდილოეთ ოსეთსა და სამხრეთ ოსეთს შორის საზღვარი ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს არ უნდა უშლიდეს ოსი ხალხის ეთნიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ერთიანობას...

მუხლი 56. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა ხელშეუხებელია. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასა და სხვა სახელმწიფოებსშორის საზღვარი დგინდება და იცვლება შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 57. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა შედგება ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ლენინგორის რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ცხინვალისაგან".[45]

---

[44] ჟურნალი „Дипломатический Вестник", 1993, №23-24, გვ. 44

[45] გაზ. „Южная Осетия", №132-133, 1993

ქართული მხარე ცდილობს აღნიშნულ კონფლიქტში ეუთოს ჩართვას. ამ მიზნით 1994 წლის 14 ივნისს ქალაქ ვლადიკავკაზში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს რესპუბლიკის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის" წარმომადგენლები. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ეუთოს დელეგაციის წევრებიც. მიღებულ იქნა დადგენილება, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ:

„1. ერთობლივად იმუშაონ კონფლიქტის ზონაში ვითარების სტაბილიზაციისათვის.

4. დაიწყონ თანამშრომლობა ეკონომიკის აღსადგენად, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო წარმოების გამოცოცხლების მიზნით.

5. ერთობლივად დაიწყონ საცხოვრებელი სახლების აღდგენა...

9. ხელი შეუწყონ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებასა და კანონის შესრულებას, ევროთათბირის მისიის სამეთვალყურეო ფუნქციის განხორციელებით.

10. ერთობლივად შექმნან მატერიალური და იურიდიული ბაზა ლტოლვილთა სასწრაფოდ დაბრუნებისათვის, მიმართონ სამშვიდობო ძალებს აუცილებელი პირობების მოსამზადებლად ლტოლვილთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლეს კომისარს სათანადო მხარდაჭერისათვის".[46]

ეუთოს წარმომადგენლები ამის შემდეგ აქტიურად ჩაერთნენ კონფლიქტში, მაგრამ ცხინვალის სეპარატისტული მთავრობა და მის უკან მდგარი, კონფლიქტის გაღვივების ინიციატორი რუსეთის ფედე-

---

[46] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №110, 1994

რაცია, თითქოსდა ყველა ამ შეთანხმებას კონფლიქტურ ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის დარეგულირებისთან დაკავშირებით იმისათვის დებდნენ, რომ შემდეგ თვითონვე დაერღვიათ ის და თავიდან განეახლებინათ სამხედრო მოქმედებები. ამის ერთ-ერთი დასტურია 1994 წლის 31 ოქტომბერს მოსკოვში გამართული შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციის, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისა" და ეუთოს წარმომადგენლები. შეხვედრის შედეგად მიღებულ ოქმში აღნიშნულია; „ადასტურებენ, რომ ორმა წელმა, რომელიც სოჭის შეთანხმების შემდეგ გავიდა, პოლიტიკური დიალოგის წინსვლაში არსებითი შედეგი ვერ მოიტანა".[47]

საინტერესოა ამონარიდი ჩრდილოეთ ოსეთ–ალანიის რესპუბლიკის კონსტიტუციიდან, რომელიც მიღებულ იქნა 1994 წლის 12 ნოემბერს:

„მუხლი 16. ჩრდილოეთ ოსეთი–ალანიის რესპუბლიკა აგებს თავის ურთიერთობებს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკასთან ეთნიკური, ეროვნული, ისტორიულ-ტერიტორიული ერთიანობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ინტეგრაციის საფუძველზე".[48]

ამის შემდეგაც არა ერთხელ მოხდა შერეული საკონტროლო კომისიის (საქართველო, რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ეუთო) შეხვედრა, რომელზეც განიხილებოდა ცეცხლის შეწყვეტის, ლტოლვილთა დაბრუნების და სამხრეთ ოსეთის ეკონომიკური რეაბილიტაციის საკითხები. ერთადერთი

---

[47] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... , 2005, გვ. 193-194

[48] ჩრდილო ოსეთ – ალანიის რესპუბლიკის კონსტიტუცია, ქ. ვლადიკავკაზი, 1994, გვ. 6

რეალური შედეგი, რაც იქნა მიღწეული, იყო ცეცხლის შეწყვეტა. ფაქტობრივად ეს განაპირობა იმან, რომ რუსეთი მთლიანად აკონტროლებდა ცხინვალის რეგიონს და ვითარების კიდევ უფრო დაძაბვა მას აღარ სჭირდებოდა.

მნიშვნელოვანია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 1994 წლის 6 დეკემბრის ბუდაპეშტის შეხვედრის რეზოლუცია, რომელშიც ვკითხულობთ: „1. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი საგანგებო ვითარების გამო... მონაწილე სახელმწიფოები კვლავ ადასტურებენ, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცნობილ საზღვრებში. სწორედ ამ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს კონფლიქტების მოწესრიგება საქართველოში".[49]

თუმც არც ამ რეზოლუციას მოჰყოლია რეალური შედეგები. შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი შეხვედრა გაიმართა 1995 წლის 30 ოქტომბერს ქალაქ ვლადიკავკაზში. შეხვედრაზე განიხილეს კონფლიქტის მოწესრიგების საკითხი. ამ მიზნით მხარეები შეთანმდნენ მოემზადებინათ წინადადებები შემდეგ საკითხებზე:

„–უშიშროების ღონისძიებები და გარანტიები;

–მხარეებს შორის ნდობის აღდგენა და განმტკიცება;

–ეკონომიკური აღდგენა და სამეურნეო კავშირების გამართვა;

–სამხრეთ ოსეთის სტატუსი".[50]

ამ შეხვედრის შედეგებიდან განკაკუთრებით საინტერესოა ბოლო პუნქტი, რომელშიც საუბარია „სამხრეთ ოსეთის სტატუსის" შესახებ. ქართული მხარე

---

[49] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №208, 1994

[50] რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში... , 2005, გვ. 231

თანახმაა ცხინვალის რეგიონისათვის ფართო ავტონომიის სტატუსის მინიჭებაზე, მაგრამ ოსეთის სეპარატისტული მთავრობა და მის უკან მდგარი რუსეთი არც ამ პირობაზე არიან თანახმა. უფრო მეტიც ოსმა სეპარატისტებმა 1996 წლის 10 ნოემბერს ცხინვალის რეგიონის მათ მიერ კონტროლირებად ნაწილში საპრეზიდენტო არჩევნები გამართეს.

ბუნებრივია, მათი ეს გადაწყვეტილება იმავრე წლის 26 ნოემბერს დაგმობილ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილებით.[51]

1997 წლის დასასწყისისათვის ცხინვალის რეგიონში კვლავ მოჩვენებითი სიმშვიდე იყო. სამწუხაროდ ქართული იურისდიქცია აქ აღარ ვრცელდებოდა. მიუხედავად შეთანხმებებისა, კონფლიქტის კერა ცხინვალის რეგიონში XX-ე საუკუნის ბოლოსათვისაც ღვიოდა. ჩანდა, რომ კონფლიქტის ინსპირატორი გარე ძალა არ ფიქრობდა ცხინვალის რეგიონის საქართველოსათვის დაბრუნებას და მზად იყო ამისათვის ყველაფერზე წასულიყო (როგორც ეს დღევანდელმა მოვლენებმაც გვიჩვენა). ცხინვალის რეგიონი რუსეთის ფედერაციისათვის გეოსტრატეგიულად ძალიან მნიშვნელო-ვანია, საიდანაც ადვილად კონტროლდება ის ნავთობსადენები, რომლებიც საქართველოზე გავლით ევროპისაკენ მიდის და რის გამოც იგი რუსეთისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ თითქოსდა მედიატორი და „ქართველთა და ოსთა" შემრიგებელი (ის რომ არა, რა გვჭირდა ჩვენ შესარიგებელი?), ძალიან ხშირად ოს სეპარატისტთა აშკარა მფარველადაც გვევლინება. არადა გადის დრო, იღვრება

---

[51] საქართველოს პარლამენტის უწყებანი; საკანონმდებლო დამატება, 1996, №29-30/5, გვ. 2

ათასობით ადამიანის სისხლი. სიკვდილი და ტანჯვა კვლავ და კვლავ ადასტურებს, რომ ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ძალის გამოყენებით, მითუმეტეს, ომის გზით ვერ გადაწყდება და ამგვარი მეთოდები მხოლოდ ამწვავებს ასეთ კონფლიქტებს. მისი გამწვავება კი რუსეთის ფედერაციის წისქვილზე ასხამს წყალს.

აფხაზეთის კონფლიქტი 1989-2000 წლებში

საქრათველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წელი) აფხაზური საზოგადოების ერთ ნაწილში ანტიქართული განწყობილება ყოველთვის შეიმჩნეოდა და თითქმის ყოველ ათწლეულში ერთხელ მსხვილ ანტიქართულ მოძრაობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. ასეთ ანტიქართულ გამოსვლებს ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის 20-იან, 1957, 1964, 1967, 1978 წლებში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების წინ დესტაბილიზაციისა და ეთნიკური კონფლიქტის გაღვივების მიზნით აფხაზეთში შეიქმნა არაფორმალური ორგანიზაცია „აიდგილარა", რომელმაც საქართველოსაგან გამოყოფა და რუსეთთან შეერთება მოითხოვა – დამოუკიდებალი რესპუბლიკის სტატუსით. აშკარაა, რომ აფხაზი სეპარატისტების უკან საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელისუფლება იდგა.

აღნიშნული ძალის კარნახით აფხაზმა სეპარატისტებმა (თუ უშუალოდ მათ ზურგს უკან ამოფარებულმა მოსკოვმა) შექმნეს ე.წ. „ლიხნის მანიფესტი". 1989 წლის 18 მარტს სოფელ ლიხნში მოეწყო აფხაზი ეროვნების რამდენიმე ათასი კაცის თავყრილობა. აქ შემუშავდა წერილი-მიმართვა საბჭოთა ქვეყნის სახელისუფლო ორგანოებისადმი. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნდა გაზეთ: „Бзып Бзыпъ" 1989 წლის 25 მარტის ნომერში.

ამ წერილში აფხაზი სეპარატისტები ამახინჯებენ საქართველოს მთელ ისტორიას. ისინი თავიანთ თავს აფხაზეთის ავტოქტონ მოსახლეობად აცხადებენ, ხოლო ქართველებს ბრალს სდებენ აფხაზეთის დაპყრობასა და მის ძალით შემოერთებაში, რითაც ცდილობენ გაამართლონ აფხაზეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადება.

ლიხნის მანიფესტის შემდგენელთა უკან მესამე ძალა – რუსეთი იდგა, რომლის ფარული რეჟისურითაც მწიფდებოდა ანტიქართული მოძრაობა ოსეთშიც. ქართულ-აფხაზური დაპირისპირება განსაკუთრებით გამძაფრდა 1989 წლის აპრილის თვეში, რომელიც, გარკვეულწილად, 9 აპრილის სისხლიანი აქციის ერთ-ერთი მეზეზი გახდა.

ამის შემდეგ ეთნიკური კონფლიქტი აფხაზეთში შემდეგნაირად განვითარდა: 1989 წლის 14 მაისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა №343-ე განკარგულება: „... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის – შექმნის შესახებ ქალაქ სოხუმში, სადაც აღნიშნულია: დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოყოს ფილიალისათვის შესაბამისი შენობა."[1]

აღნიშნულ წინადადებას აფხაზური მხარე თავიდანვე უარყოფითად შეხვდა. 1989 წლის 15 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ გაუქმდეს 1989 წლის 14 მაისის უკანონო განკარგულება ქალაქ სოხუმში თბილისის სახელმწიფო

---

[1] აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები, 1989-1999 წწ. ნაწილი I, 1989-1995 წწ.., ავტორები და სარედაქციო კოლეგია: ვ. ყოლბაია, თ. ჭახრაკია, რ. გელანტია, დ. ლაცუზბაია, გვ. 51

უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ.[2]

ქართულმა მხარემ მაინც მოახერხა თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნა ქალაქ სოხუმის №1 საშუალო სკოლაში. მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი რამ – 1989 წლის 15 ივლისს შეიარაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა ალყა შემოარტყეს ამ ფილიალის შენობას, დახოცეს და დაჭრეს სრუ- ლიად უდანაშაულო ადამიანები – აბიტურიენტები და მასწავლებლები, დაარბიეს შენობა, დაწვეს და დახიეს საბუთები, ხელყვეს ქართული მწერლობის კლასიკოსთა პორტრეტები.[3] შეტაკების დროს დაიღუპა 14 კაცი.

აფხაზ ექსტრემისტთა აგრესია ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. 1990 წლის 25 აგვისტოს მათ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესია მოიწვიეს. ქვორუმის უქონლობის გამო სესია არ იყო უფლებამოსილი. მიუხედავად ამისა, სესია მაინც ჩატარდა, რომელმაც დაადგინა შემდეგი: „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ქართველი ხალხის განუყოფელ უფლებად ცნობს 1921 წლის თებერვლამდე არსებული საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას, ე.ი. სსრ კავშირიდან მის ფაქტობრივ გასვლას, მაგრამ საქართველოს სსრ უზენაეს საბჭოს გადაწყვეტილებებში არაფერია ნათქვამი რესპუბლიკაში შემავალი ავტონომიების ბედის თაობაზე...”[4]

ამავე დეკლარაციაში აფხაზეთის ასსრ დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ არის გამოცხადებული – „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არის სუვერენული სოციალისტური სახელ–

---

[2]М. Ю. Чумаловю „ Геноцид Абхазий “ М ., 1995 г გვ. 190-193

[3]რ. მიმინოშვილი, გ. ფანჯიკიძე, სიმართლე აფხაზეთზე, თბ., 1990 წ., გვ. 3

[4]გაზეთი „Советская Абхазия“, №164, 1990 წლის 28 აგვისტო

მწიფო, რომელიც შეიქმნა აფხაზი ერის თვითგამორკვევის ხელშეუვალი უფლების განხორციალების, თავისი ბედის განსაზღვრაში ხალხის უზენაესობის საფუძველზე. აფხაზეთის საბჭოთა სოციალუსტური რესპუბლიკის სუვერენიტეტი ვრცელდება აფხაზეთის ასსრ მთელ ტერიტორიაზე...

რესპუბლიკის ყველა ეროვნების მოქალაქეები შაედგენენ აფხაზეთის ხალხს..."[5]

ეს დეკლარაცია გახდა აფხაზეთის ასსრ ახალი კონსტიტუციის საფუძველი. მასში აშკარადაა გაზრდილი აფხაზეთის ასსრ-ს უფლებები და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. 1990 წლის 30 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა: „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია გამოცხადდეს გათილად და იურიდიული ძალის არ მქონედ."[6]

ქართული მხარისაგან მისი დაგმობა არც იყო გასაკვირი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 31 აგვისტოს დადგენილება, რომელშიც ვკითხულობთ:

„... აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო 1990 წლის 25 აგვისტოს დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ", გაუქმდეს, როგორც ანტიკონსტიტიციური, კანონსაწინააღმდეგო და იურიდიულად დაუსაბუთებელი, რაც არღვევს

---

[5]იქვე

[6]საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, №8, 1990 წ., გვ. 15

საქართველოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტერიტორიულ მტლიანობას, ხოლო დეკლარაცია „აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესახებ", უარყოფილ იქნეს, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება აფხაზეთის მოსახლეობის უმეტესობის ძირეულ ინტერესებს და სურვილებს.

2. დაგმობილ იქნეს საქართველოსა და ქართველი ხალხის მისამართით ბრალდებები, რაც გაისმა 1990 წლის 25 აგვისტოს სესიაზე."[7]

მართლაც, რაიმე კომენტარის გაკეთება აღნიშნულ დადგენილებესთან დაკავშირებით ზედმეტია.

1990 წლის 4 დეკემბერს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიამ აღნიშნული საბჭოს თავჯდომარედ ვლადისლავ არძინბა აირჩია. თავდაპირველად საქართველოს ცენტრალურ მთავრობასა და აფხაზეთის ახალ ხელისუფალთა შორის საქმიანი, კონსტრუქციული მოლაპარაკებები მიმდინარეობდა, მაგრამ მოსკოვის წაქეზებით სიტუაცია თანდათან იძაბება. 1991 წლის 17 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ ბოიკოტი გამოუცხადა და 1991 წლის 28 თებერვლის დადგენილებით 1991 წლის 31 მარტისთვის დანიშნა რეფერენდუმი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე.[8]

---

[7]გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი', №171, 1990 წლის 6 ოქტომბერი

[8]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2001). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული, კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე, თბ., 2002 წ., გვ. 53-54

აღნიშნულ დადგენილებას არ დაემორჩილა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავჯდომარე ვ. არძინბა. 1991 წლის 28 თებერვლის აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დადგენილებით გადაწყდა, რომ 1991 წლის 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში, რომელიც სსრ კავშირის შენარჩუნების საკითხს ეხებოდა, აფხაზეთიც მიიღებდა მონაწილეობას."[9]

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აფხაზური მხარის ეს გადაწყვეტილება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.[10]

ქართულ-აფხაზური დავის საგანს შეადგენდა აგრეთვე აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებისა და ლეგიტიმაციის საკითხი. საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 27 თებერვლის დადგენილებაში „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ" ვკითხულობთ: „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არ გაუგრძელებია ვადა, არ მიუღია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონი, არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს."[11]

მოსკოვის მიერ წაქეზებული სეპარატისტული ძალები აფხასეთში აკრძელებდნენ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს. მიუხედავად მოსკოვის წინააღმდეგობისა, ქართულ-აფხაზური ორმხრივი კონსესუსი მაინც მოხერხდა, მდგომარეობა დარეგულირდა – მიღებულ იქნა საარჩევნო კანონი, რომელიც გარკვეული კვოტების პრინციპებს ითვალისწინებდა. კერძოდ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში იქნებოდა

---

[9]გაზეთი „აფხაზეთის ხმა", №37, 1991 წლის 5 მარტი

[10]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №3, 1991 წ., გვ. 24-26

[11]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №2, 1991 წ., გვ. 92

65 დეპუტატი, მათ შორის 28 – აფხაზი, 26 – ქართველი 11 – სხვა დანარჩენი ეროვნების დეპუტატი. მიღწეული შეთანხმების თანახმად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარე იქნებოდა აფხაზური, ხოლო მისი პირველი მოადგილე – ქართული დეპუტაციის წარმომადგენელი. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე – ქართველი, ხოლო მისი პირველი მოადგილე – აფხაზი. რაც მთავარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლის თანახმადაც ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება (გარდა საპროცედურისა) უნდა მიღებულიყო ხმების ორი მესამედით, რომლის მოსაგროვებლად (44 ხმა) აუცილებელი ხდებოდა ქართველ და აფხაზ დეპუტატთა ურთიერთ კომპრომისი.[12]

თუკი ამ ეტაპზე მოხერხდა კომპრომისის მოძებნა, ამის შემდეგ, აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს ძირძველი ქართული კუთხის საქართველოსაგან გამოსაყოფად. მაგალითად, 1991 წლის 2 ივლის აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ დაგმო ქართული ეროვნული გვარდიის შექმნა და ის სსრკ კონსტიტუციის დარღვევად გამოაცხადა,[13] და ეს მაშინ, როცა 1991 წლის 31 მარტს რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე იმავე წლის 9 აპრილს საქართველომ გამოაცხადა სრული დამოუკიდებლობისა და სუვერენობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. ამასთან აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 27 სექტემბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის საბაჟო სამსახურის შექმის შესახებ."[14] რაც იყო

[12] საქართველოს ისტორია, XX საუკუნე· თბ., 2003 წ., გვ. 231
[13] გაზეთი „Абхазия", №32, 1991 წლის 13 აგვისტო
[14] გაზეთი „Республика Абхазия", №15, 1991 წლის 12 ოქტომბერი

ასევე ანტიკონსტიტუციური და უკანონო აქტი. მიტომაც ამ დადგენილების შეჩერების თაობაზე 1991 წლის 8 ოქტომბერს გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის საპასუხო დადგენილება.[15]

ამას მოჰყვა 1991 წლის 22 ოქტომბრის აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ანტიკონსტიტუციური დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ", რომლითაც აფხაზების საკუთრებად გამოცხადდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები.[16]

ეს უკანონო დადგენილება შეჩერებული იქნა საქართველოს პრეზიდენტის 1991 წლის 24 ოქტომბრის ბრძანებულებით.[17]

აფხაზების მხრიდან ანალოგიურ ანტიკონსტიტუციურ ქმედებებს შემდეგშიც არა ერთხელ ჰქონდა ადგილი, რომელიც აშკარად ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტის გაღვივებისაკენ იყო მიმართული.

1991 წლის ბოლოსათვის საქართველოში უკიდურესად დაიძაბა სიტუაცია. ქვეყანაში ფაქტობრივად, სამოქალაქო ომი დაიწყო.

ზვიად გამსახურდიას ოპოზიციამ გამოიყენა საგარეო გართულება – საქართველოს ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობა რუსეთთან და მის წინააღმდეგ შეიარაღებული პუტჩი დაიწყო. 1991 წლის 22 დეკემბერსა და 1992 წლის 6 იანვარს შორის წარმოე-

---

[15]საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, №10, 1991 წ., გვ. 13

[16]გაზეთი „Республика Абхазия", №15, 1991 წლის 12 ოქტომბერი

[17]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, 2002 წ., გვ. 56

ბული ბრძოლების, შედეგად თბილისში სამხედრო-კრიმინალურმა ხუნტამ, უცხოეთის სპეცსამსახურების დახმარებით დაამხო კანონიერი ხელისუფლება. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავი ჯერ სომსეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (ჯაბა იოსელიანი, თანგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა). სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში, რომელიც დევნილი პრეზიდენტის მომხრეებსა და სამხედრო საბჭოს შეიარაღებულ ფორმირებებს შორის მიმდინარეობდა.

ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში (1992 წლის 7 მარტს) მოსკოვიდან საქართველოში ჩამოვიდა ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც სამხედრო საბჭოს მაგივრად, შექმნა სახელმწიფო საბჭო და თავადვე ჩაუდგა მას სათავეში, რითაც რესპექტაბელურობა შესძინა დამნაშავეთა ხელისუფლებას საქართველოში. მანვე დანიშნა საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ჩატარდა 1992 წლის 11 ოქტომბერს. ახალი პარლამენტის თავჯდომარე გახდა

ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები მიანიჭა. საქართველო სცნო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრმა მრავალმა ქვეყანამ. თუმც ეს პროცესი დაწყებული იყო სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებამდეც.

მთელი ამ უმძიმესი პერიოდის მანძილზე აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ამზადებდა რეგიონის გამოყოფას საქართველოსაგან. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავჯდომარის ვლადისლავ არძინბას 1992 წლის 20 იანვარის დადგენილებით აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული ეროვნული გვარდიის ნაწილები უკანონო ფორმირებებად გამოცხადდა და მათ აფხაზეთში ცეცხლსასროლი იარაღის ტარება აეკრძალათ.[18]

[18]გაზეთი „აფხაზეთის ხმა", №5, 1992 წლის 4 თებერვალი

რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

1992 წლის 24 ივნისს ქალაქ სოხუმში შეიარაღებულმა პირებმა ალყა შემოარტყეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას, მძიმედ დააშავეს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი გ. ლომინაძე, რამაც გამოიწვია აფხაზეთის მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ქართული ნაწილის აღშფოთება – დაიუწყო დაუმორჩილებლობა. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით: „იქმნება საშიშროება იმისა, რომ მოვლენების შემდგომი განვითარება გამოიწვევს ქაოსს და სიტუაციას უმართავს გახდის."[19]

იმავე წლის 23 ივლისს, აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ გააუქმა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუცია და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე 1925 წლის კონსტიტუცია აამოქმედა.[20] აღნიშნული ქმედება განახორციელეს აფხაზეთში მცხოვრებთა უმრავესობის აზრის გაუთვალისწინებლად და არც დეპუტატთა უმრავლესობას დაეკითხნენ. იმავე წლის 25 ივლისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავჯდომარემ ე. შევარდნაძემ, სპეციალური დადგენილებით 1925 წლის აფხაზური კონსტიტუციის ამოქმედება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა.[21] აქვე უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის უზენაეს საბჭოშიც იყვნენ საქართველოს ერთიანობის მოსურნე საზოგადო მოღვაწენი. მათი ძალისხმევით იმავე წლის 29 ივლისს აფხაზეთის ასსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო შემდეგი შინაარსის დადგენილება: „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილებით,

---

19გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №118-119, 1992 წლის 1 ივლისი

20გაზეთი „Абхазия", №27, 1992 წლის 30-6 აგვისტო

21გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №139, 1992 წლის 28 ივლისი

მიღებული აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ფრაქცია „დემოკრატიული აფხაზეთის" მონაწილეობის გარეშე, რომელიც წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის დიდ უმრავლესობას პარლამენტში, არის მცდელობა აფხაზეთის ასსრ 1978 წლის კონსტიტუციის შეწყვეტისა და აფხაზეთის სსრ 1925 წლის კონსტიტუციის მოქმედებაში შეყვანისა, რომელიც აცხადებს პროლეტარიატის დიქტატურას და დღევანდელობისათვის სავსებით მიუღებელ რეალიებს."[22] ეს იყო სავსებით მართებული პოზიცია, რასაც სამწუხაროდ მხარს ვერ უმაგრებდა საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების სამართლებრივი ლეგიტიმაცია, რომელიც უზრუნველყოფდა მის ცხოვრებაში გატარებას. ამიტომაც იგი იძულებულია მიმართოს ახალ ძალადობრივ აქტებს, რის გამოც აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციის ეს შანსი გამოუყენებელი დარჩა.

ამის შემდეგ აფხაზმა სეპარატიტებმა იწყეს ადამიანთა გატაცება სამეგრელოს რაიონებიდან და ბანდიტური თავდასხმები რუსეთიდან საქართველოში მომავალ მატარებლებზე მათი გაძარცვის მიზნით. საჭირო გახდა აფხაზეთის სატრანსპორტო მაგისტრალების გაკონტროლება. 1992 წლის 10 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის საზელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შემდეგი: „საქართველის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულებების მე-13 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე 1992 წლის 15 აგვისტოდან შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები ერთი თვის ვადით."[23]

---

[22]გაზეთი „აფხაზეთის ხმა", №121, 1992 წლის 1 აგვისტო
[23]რეგიონალური კონფლიქტები საქარველოში, გვ. 79

აფხაზეთის სატრანსპორტო მაგისტრალების დაცვის გადაწყვეტილება ედუარდ შევარდნაძეს და ქართულ მხარეს ცალმხრივად, მარტო არ მიუღია, ყოველივე ეს არძინბასთან შევარდნაძის სატელეფონო საუბრით იყო შეთანხმებული. 1992 წლის 14 აგვისტოს სატრანსპორტო მაგისტრალის დაცვის მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. სამხედრო მინისტრი თენგიზ კიტოვანი, რომელიც ამ ჯარის სარდალიც გახლდათ, მკაცრად იყო გაფრთხილებული, რომ ჯარი არ უნდა დაბანაკებულიყო ქალაქებში, არამედ განლაგებულიყო მხოლოდ სამაგისტრალო კვანძებზე. კიტოვანმა არ შეასრულა ეს მითითება, რაც საბაბად გამოიყენეს აფხაზეთის შეიარაღებულმა ძალებმა და სროლა აუტეხეს ქართულ ჯარს, რომელმაც სროლითვე უპასუხა.

ქართული პოლიციისა და ჯარის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შეყვანა საქართველოს მთავრობის მხრიდან დიდი შეცდომა იყო (თუ რამ განაპირობა ასეთი წინდაუხედავი ნაბიჯის გადადგმა, დამოუკიდებელი კვლევის თემაა). ფხაზურმა მხარემ ეს ქმედება თვითაღიარებული რესპუბლიკის სუვერენიტეტის დარღვევად შეაფასა და 18-დან 40-მდე წლის ასაკის ზრდასრული მოსახლეობის სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა. ბრძანებაში ვკითხულობთ: „შინაგანი ჯარის პოლკის მეთაურმა ბაზაზე ჩამოაყალიბოს ხუთი ათასეული, თითეულში 500 კაცის ოდენობით."[24] ხოლო იმავე წლის 16 სექტემბერს აფხაზეთის რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავჯდომარემ ვ. არძინბამ ლიხნის მანიფესტის საფუძველზე ახალი დადგენილება მიიღო და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი

---

[24]Абхазия хроника необъявленной войны, Ч. I, 14 Августа – 14 Сентября 1992 г. გვ. 28-29

დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის ოკუპაციის მცდელობას საქართველოს მხრიდან. ამ დადგენილების მიხედვით საქართველო თითქოს მიზნად ისახავდა 100 ათასიანი აფხაზი ხალხის ფიზიკურ განადგურებას,[25] რაც აშკარა სიცრუეა, მაგრამ მათ ასეთი განცხადებისათვის საბაბი მისცა ერთ-ერთი ქართველი სამხედრო მეთაურის უპასუხისმგებლო განცხადებამ.

აშკარად აფხაზების მხარე დაიჭირა რუსეთის ფედერაციის უზენაესმა საბჭომ. მან 1992 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით გადაჭრით დაგმო საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მოქმედება, „რომელიც ცდილობს ძალადობის გზით გადაჭრას რთული ეროვნებათშორისი პრობლემები."[26] ამით კიდევ ერთხელ გახდა აშკარა, რომ რუსეთის სახელმწიფო აფხაზ სეპარატისტთა მხარეზე იყო და გარკვეულწილად მის მიერვეა ინსპირირებული ეს პოლიტიკური კონფლიქტი.

თავდაპირველად კიტოვან-იოსელიანის სამხედრო ნაწილებს აფხაზმა და რუსმა „ბოევიკებმა" საშუალება მისცეს მარშით გაევლოთ მთელი აფხაზეთი მდინარე ფსოუმდე, მაგრამ შემდეგ ჩრდილოკავკასიელი და კაზაკ-რუსი გაწრთვნილი სამხედრო ნაწილების დახმარებით დაიწყეს შემოტევა, რაც საბოლოოდ ქართველთა დამარცხებით დამთავრდა.

აფხაზმა სეპარატისტებმა მათი დახმარებით 1992 წლის 2 ოქტომბერს აიღეს გაგრა, დიდი ბრძოლების შემდეგ 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი, ხოლო 1993 წლის სექტემბრის ბოლოსათვის ოჩამჩირე, გალი და მდინარე ენგურზე გაავლეს საზღვარი. სეპარატისტებმა ტყვედ აიყვანეს და დახვრიტეს აფხაზეთის მინისტრთა

---

[25]გაზეთი „Свободная Абхазия" №2, 1992 წლის 18 საქტემბერი
[26]ჟურნალი „Дипломатический Вестник ", М., №19-20 , 1992წ., გვ. 24-25

საბჭოსა და თავდაცვის საბჭოს თავჯდომარე ჟიული შარტავა. მან საკუთარი სიცოცხლის ფასად ათასობით სოხუმელს აფხაზ სეპარატისტთა ტყვეობაში ჩავარდნა და სიკვდილი ააცილა თავიდან. აფხაზეთიდან გამოიდევნა დაახლოებით 300 ათასი ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქე.

ქართული მხარე არ წყვეტდა მოქმედებას აფხაზეთში მშვიდობის დამყარების მიზნით. ამის დამადასტურებელია 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში გამართული მოლაპარაკება, რომლის ძალითაც 5 სექტემბრის 12.00 საათიდან ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო ორივე მხარიდან. ასევე, ყოველგვარი პირობები უნდა შექმნილიყო აფხაზეთიდან ლტოლვილი ქართველების უკან დასაბრუნებლად.[27] აღნიშნული შეთანხმება დაარღვიეს აფხაზებმა.

აფხაზი სეპარატისტების და თუ გარე წამქეზებლების მრავალგზისმა ვერაგობამ აიძულა საქართველო შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და დათანხმებოდა მდინარე ენგურზე ორივე მხარეს რუსთა „სამშვიდობო" ჯარის ჩადგომას. რამაც, ფაქტობრივად, ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მაინც, შექმნა საქართველოდან აფხაზეთის გამომყოფი საზღვარი. რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 25 სექტემბრის დადგენილებით რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალები სამშვიდობო ძალების რანგში იქნა აყვანილი და კონფლიქტის დემილიტარიზებულ ზონაში ჩააყენეს „მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფისა და მრეწველობის და ტრანსპორტის მდგრადი ფუნქციონირებისათვის."[28] აფხაზეთში საერთაშორისო ეგიდით განლაგებული

---

[27]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №170, 1992 წლის 4 სექტემბერი

რუსეთის ეს სამშვიდობო ძალები დღემდე არ ასრულებენ დაკისრებულ მისიას დ ავერ უზრუნველყოფენ მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში. პირიქით, დიდი მონდომებით ცდილობენ აფხაზ სეპარატისტთა ყველა ანტიქართული ჩანაფიქრის საერთაშორისო მაშტაბით ლეგიტიმაციას, არა მარტო საერთაშორისო აქტების, არამედ მათ მიერვე დადებული ხელშეკრულებების უგულველყოფით.

რუსეთის დახმარებით გათამამებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა აფხაზეთი გამოაცხადეს „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ" და უარი თქვეს ასი ათასობით ლტოლვილის საკუთარ სახლში დაბრუნებაზე, თუ საქართველო არ სცნობდა მათ „დამოუკიდებლობას".

ქართული მხარე ამის შემდეგაც არა ერთხელ შეეცადა ეს ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი აღმოეფხვრა მშვიდობიანი გზით. საქართველო თანახმა იყო წასულიყო დათმობაზე და აფხაზეთი ფართო ავტონომიის სტატუსით შესულიყო საქართველოს შემადგენლობაში. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია 1993 წლის 27 ივლისის სოჭის შეთანხმება, რომელშიც საუბარია, რომ 1993 წლის 28 ივლიის 12.00 საათიდან უნდა შეწყდეს ცეცხლი და აფხაზეთში „1993 წლის 29 ივლისიდან ფუნქციონირებას იწყებს ქართულ-აფხაზურ-რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფები (3-9 კაცის ოდენობით)", ეს საკონტროლო ჯგუფები მეთვალყურეობას გაუწევენ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვას.

დამატებით „კონფლიქტის ზონაში დაუყოვნებლივ შედიან საერთაშორისო მეთველყურენი."[29] ამ საერთაშორისო მეთველყურეებში გაეროს უშიშროების

---

[28]რეგიონალური კონფლიქტები საქარველოში, გვ. 82-83

[29]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №164, 1993 წლის 29 ივლისი

საბჭოს მიერ მოვლენილი წარმომადგენლობა იგულისხმება. ეს შეთანხმებაც დაარღვია აფხაზურმა მხარემ და საომარი მოქმედებები ამის შემდეგაც გააგრძელა.

ისიც აღსანიშნავია, რომ აფხაზები ომის გაგრძელებას, რუსეთის მხრიდან არაოფიციალური მხარდაჭერა რომ არ ყოფილიყო, ვერ შეძლებდნენ. რუსეთი როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის დასუსტებით რომ იყო დაინტერესებული, გვაფიქრებინებს რუსეთის ფედერაციის ეროვნებათა საბჭოს თავჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვის თავჯდომარეობით 1993 წლის 30 აპრილს მიღებული დადგენილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ: „რუსეთის ფედერაციის მთავრობა არ ასრულებს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს რეკომენდაციებს, შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკისათვის შეიარაღების გადაცემა, შეწყდეს ადრე დადებული კონტრაქტებით საბრძოლო ტექნიკისა და წყვია-წამლის მიწოდება."[30]

რუსეთი რომ აფხაზურ მხარეს ამარაგებდა იარაღით, ეს აქსიომაა. მაგრამ, როგორც ამ დადგენილებიდან გამოდის, რუსეთი თურმე ქართულ მხარესაც აწვდიდა ბოლო დრომდე ტყვია-წამალს. ჩანს, რუსეთს ხელს აძლევდა თუკი ორივე მხარე – ქართულიცა და აფხაზურიც დასუსტდებოდა და საერთო ჯამში ამით ქართული სახელმწიფო დაძაბუნდებოდა. აშკარაა, რომ მოსკოვში საკმაოდ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდათ... მაგრამ აქვე უნდა ითქვას, ისიც რომ აღნიშნულ მომენტში ჩვენც დიდი დაკვირვება გვმართებდა

ორიოდე სიტყვით შევეხოთ გაეროს როლს

30.„Ведемости Съезда Народных Депутатов РФ и Верховного Совета РФ", №20, 1993წ., გვ. 1214-1215

კონფლიქტის დარეგულირების საკითხში. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში აქტიურად მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1993 წლის 24 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის №858 დადგენილებით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოვლენილ იქნა გაეროს მეთვალყურენი, თავდაპირველად 6 თვის ვადით, მაგრამ შემდეგ მოხდა ამ ვადის მრავალგზის გადიდება.[31] იმის შემდეგ, რაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოვლენილმა გაეროს მეთვალყურეებმა ადგილზე შეისწავლეს პრობლემა, 1993 წლის 19 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღი №876 რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია: „(გაეროს უშიშროების საბჭო-ს.ა.) ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას. კვლავ ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკასა და აფხაზეთში არსებული ძალებს შორის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების უხეშ დარღვევას აფხაზთა მხარის მიერ და საერთაშორისო ჰუმანური სამართლის დარღვევით წარმოებულ შემდგომ მოქმედებებს. გმობს აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოსა და მინისრთა საბჭოს თავჯდომარის მკვლელობას.” [32]

გაეროს უშიშროების საბჭოს ამ რეზოლუციამ მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ქართულ-აფხაზურ მხარეს შორის შეთანხმებებს აფხაზური მხარე და მათ უკან მდგომი რუსეთი არღვევდა.

მართალია, 1993 წლის სექტემბრის ბოლოს

---

[31]Т. Надареишвили, „Геноцид Абхазий “, 1996 г., გვ. 230-231

[32]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა”, №229, 1993 წლის 19 ოქტომბერი

დასრულდა უშუალოდ საომარი მოქმედებები ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის (ფაქტობრივად ეს იყო საქართველო-რუსეთის ომის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც გრძელდება შემდეგშიაც), მაგრამ ეს მოხდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა 300 ათასამდე ქართველს დაატოვებინეს აფხაზეთი. ბევრი ქართველი შეეწირა „აფხაზეთის" ომს. საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილებაში ნათქვამია, რომ: „საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე – აფხაზეთში ათწლეულების განმავლობაში მოქმედმა სეპარატისტებმა, გარეშე ძალთა მხარდაჭერით და ხელშეწყობით, 1992 წლიდან მოაწყვეს ქართველების გენოციდი და ეთნიკური წმენდა, რომელსაც შეეწირა შვიდი ათასზე მეტი, დაიჭრა და დასახიჩრდა ათი ათასამდე ადამიანი. ბარბაროსულად დახვრიტეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე, საქართველოს პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა და სხვა ხელმძღვანელი პირები. მშობლიური ადგილებიდან გააძევეს აფხაზეთის მოსახლეობის 80 პროცენტი, დამწვარი, გაძარცვული და განადგურებულია 20 000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, დანგრეულია სკოლები, კულტურის ცენტრები, ეკლესიები, ხუროთმოძღვრებისა და ისტორიული ძეგლები...

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქართველთა გენოციდი და ეთნიკური წმენდა გრძელდება საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდგომაც, განსაკუთრებით გალის რაიონში, სადაც 1993 წლის სექტემბრის შემდეგ დაიღუპა 1000-ზე მეტი ადამიანი. ფართო მასშტაბი აქვს მიღებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შელახვას.

საქართველოის პროკურატურისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ

წარმოდგენილი მასალების საფუძველზე აფხაზეთში განვითარებული და მიმდინარე მოვლენები შეფასდეს, როგორც სეპარატისტთა მიერ რუსეთის ანტიდემოკრატიული, რეაქციული და სხვა გარეშე ძალების დახმარებითა და მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული აგრესიული ქმედება...” [33]

პარლამენტის ეს დადგენილება არამარტო იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აფხაზეთში დაღუპულთა, დაკარგულთა და დასახიჩრებულთა ზუსტი სტატისტიკური ცნობებია მოცემული, არამედ იმითაც, რომ რუსეთის სახელმწიფოს ანტიდემოკრატიული ქმედებანი კიდევ ერთხელ არის სააშკარაოზე გამოტანილი და ზუსტი ფორმულირებებია მათთან დაკავშირებით გაკეთებული.

პარლამენტის იმავე დადგენილებაში გაკეთებულია მიმართვა აფხაზური მხარისადმიც, კერძოდ მასში ნათქვამია: „საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე და, საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპების შესაბამისად, მრავალეროვანი აფხაზეთის ფართო საზოგადოებრიობის, ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების მონაწილეობით განისაზღვროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი ფართომაშტაბიანი ავტონომიით ერთიანი ქართული სახელმწიფოს საზღვრებში.”[34]

ანალოგიური შინაარსის დადგენილება მოცემულია 1994 წლის 4 მაისის გაეროს გენერალური მდივნის

---

[33]პარლამენტის უწყებები. საქართველოს პარლამენტის ყოველკვირეული უტყებები, №5-6, 1996 წ., გვ. 56-59

[34]გაზეთი „Свободная Грузия“, №77, 1994 წლის 12 მაისი

მოხსენებით ბარათში. მსგავსი ფორმულირებებია გაკეთებული გაეროს სხვა რეზოლუციებშიც. მაგრამ, ვერც ამან უშველა პრობლემას. ამის შემდეგაც არა ერთხელ შედგა მოლაპარაკება ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის – პრობლემის მშვიდობიანად დარეგულირებისა და აფხაზეთის ფართომასშტაბიანი ავტონომიის სტატუსით საქართველოში შემოსვლასთან დაკავშირებით (გაგების მემორანდუმი მიღებული ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ჟენევის მოლაპარაკებაზე 1993 წლის 30 ნოემბრიდან 1 დაკემბრამდე;[35] მიღებულია კომუნიკე ჟენევაში ქართველთა და აფხაზთა მოლაპარაკების მეორე რაუნდის შესახებ, რომელიც მოხდა 1994 წლის 11-13 იანვარს;[36] ოთხმხრივი შეთანხმება (საქართველო, აფხაზეთი, რუსეთის ფედერაცია და გაერო), ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა შესახებ, გაიმართა 1994 წლის 22-25 თებერვალს ჟენევაში, იმავე წლის 7-9 მარტს ნიუ-იორკში და 29-31 მარტს მოსკოვში და სხვა;[37]). მაგრამ აფხაზური მხარე რუსეთის წაქეზებით ყოველთვის არღვევდა ამ შეთანხმებებს.

საქმეს ვერც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ წარმოგზავნილმა მეთვალყურეთა გაზრდილმა კონტიგენტმა და ვერც საერთაშორისო ორგანიზაციებმა უშველეს და აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებმა 1994 წლის 26 ნოემბერს მიიღეს, როგორც ისინი უწოდებდნენ, „დამოუკიდებელი აფხაზეთის რესპუბლიკის" კონსტიტუცია, რომელიც თავის მხრივ 1925 წლის კონსტიტუციის საფუძველზე იყო

---

[35]Т. Надареишвили „Геноцид Абхазий ", გვ. 286-287

[36]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №12, 1994 წლის

[37]რეგიონალური კონფლიქტები საქარველოში, გვ. 94, 96-97, 102-105, 105-107, 108-110; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №53, 1994 წლის

შემუშავებული. კონსტიტუციაში ნათქვამია:

„ჩვენ, აფხაზეთის ხალხი, ვახორციელებთ რა საკუთარი თვითგამორკვევის უფლებას, საზეიმოთ ვაცხადებთ და ვადგენთ ამ კონსტიტუციას.

(...)

მუხლი1. აფხაზეთის რესპუბლიკა არის სუვერენული, დემოკრატიული სამართლებრივი სახელწიფო, რომელიც ისტორიულად ჩამოყალიბდა ხალხთა თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებით.

(...)

მუხლი 6. აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის აფხაზური. რუსული ენა აფხაზურის თანაბრად აღიარებულია სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების ენად...”[38]

იქვე, მე-10 მუხლით, განსაზღვრულია ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკა (სახელმწიფო დროშა, გერბი და ჰიმნი), 37-ე მუხლით განსაზღვრულია აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა (35 კაცი) და პარლამენტის უფლებემოსილებათა ვადა (5 წლით), 47-ე, 48-ე, 49-ე მუხლებით განსაზღვრულია აფხაზეთის რესპუბლიკის პარლამენტის უფლება-მოვალეობანი, ხოლო 53-ე მუხლით – პრეზიდენტის უფლება-მოვალეობანი, რომ ის განსაზღვრავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.”[39]

აღნიშნული კონსტიტუცია ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და მის მთავარ დებულებას, რომ საქართველოს კონსტიტუცია არის ქვეყნის უზენაეს კანონთა კრებული და ყველა სხვა, მათ შორის ავტონომიურ რესპუბლიკათა კანონები უნდა იყოს მოყვანილი მასთან შესაბამისობაში.

---

[38]გაზეთი „Абхазия”, №4, 1995 წლის 27 ნოემბერი

[39]იქვე

აღნიშნული ანტიკონსტიტუციური ქმედება დაგმობილ იქნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ბუდაპეშტის შეხვედრაზე, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი საქართველოს სუვერენიტეტს და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცნობილ საზღვრებში. მონაწილეთა დასკვნით „სწორედ ამ პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს კონფლიქტის მოწესრიგება საქართველოში."[40]

მე-20 საუკუნის მიწურულამდე ანალოგიური ხასიათის დადგენილებები არა ერთხელ მიიღო, როგორც ქართულმა მხარემ, ისე გაეროს უშიშროების საბჭომ, მაგრამ ვერც ამ დადგენილებებმა დაარეგულირეს ეს კონფლიქტი. საუკუნის მიწურულსაც ვერ იქნა აღდგენილი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და კვლავ ქართული იურიდიული სივრცის მიღმა დარჩა აფხაზეთი.

ზემოთ მოტანილი მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, გარდა აფხაზური და ქართული მხრიდან დაშვებული შეცდომებისა, პირველ რიგში ინსპირირებულია მესამე ძალის – რუსეთის მიერ, რომლის იმპერიალისტური ფორმულა – „დაჰყავი და იბატონე", შორს მიმავალ გეგმებს ისახავს მიზნად და მხოლოდ აფხაზებისადმი უანგარო სიყვარულით არ არის გამსჭვალული. აქვე უნდა აღინიშნოს ქართული მხარის კონფლიქტისადმი სწორი მიდგომა – მისი მშვიდობიანი გზით გადაჭრის სურვილი. თუმც, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მხოლოდ

---

[40]რეგიონალური კონფლიქტები საქარველოში, გვ. 120-121, 124-125, 131-132, 139-140; გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №141, 1996 წლის 17 ივლისი

რჩევების მიწოდება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხრისადმი, პრობლემას ვერ შველის და საჭიროა უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და კონსტრუქციული დიალოგის ფორმატის განახლება მისი მშვიდობიანი მოგვარების მიზნით. მაგრამ ყველაფერ ამას მაშინ ექნება შედეგი, თუკი მოხერხდება რუსეთის უხეში ჩარევის ორმაგი სტანდარტის პოლიტიკის განეიტრალება და მისი დაქვემდებარება საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმებისადმი, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მსოფლიო მოვლენების წარმართველი ძალების მიერ მისდამი მტკიცე და პრინციპული პოლიტიკის გატარებით.

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი 2000-2005 წლებში

ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი არაა ვიწრო ლოკალური ინტერესებით გამოწვეული, არამედ მას საკმაოდ ღრმა ფესვები აქვს. ის განპირობებულია საერთაშორისო ვითარებით – დასავლეთისა და რუსეთის ინტერესთა თანხვედრით, საქართველოს გეოსტრატეგიით და მსოფლიოს ენერგეტიკული პოლიტიკით.

უახლოეს პერიოდში ევროკავშირის ინტერესთა არეალში საქართველო ძირითადად იმის შემდეგ მოხვდა (გარდა იმისა, რომ საქართველოდანაც მოდიოდა სურვილები მასთან თანამშრომლობისა და მასთან ყოფნისა), როცა პრაქტიკულად ამოქმედდა ევროპის ენერგეტიკული და სატრანსპორტო პოლიტიკა და ამ პროექტების არეალში საქართველოც მოექცა. რამდენადმე სწორედ ამ პროექტების გამო საქართველო რუსეთისა და ევროპის დაპირისპირების არეალშია მოქცეული. რუსეთი, ერთის მხრივ კარგად ხედავს, რომ საქართველოზე კონტროლის დაკარგვით, ის მთელი კავკასიის რეგიონზე დაკარგავს კონტროლს. ხოლო მეორეს მხრივ კი ევროპისაკენ მიმავალი ნავთობის ახალი მაგისტრალები თუ მას გვერდს აუვლის და საქართველოზე გაივლის, მის ეკონომიკურ ინტერესებს სერიოზულად დააზარალებს. ამ ორივე მიზეზის გათვალისწინებით რუსეთ-საქართველოს

ურთიერთობა განსაკუთრებით დაძაბულია დღემდე და რომ რუსეთი ვერ ეგუება რეგიონზე კონტროლის დაკარგვასა და ეკონომიკური ინტერესების შელახვას, ამის პირდაპირი გამოძახილია აფხაზური და ოსური კონფლიქტების გაღვივება და მისი ესკალაცია. სწორედ მისი ხელშეწყობით ხდება ოსი და აფხაზი სეპარატისტების წაქეზება და ქართული იურიდიული სივრცის ხელყოფა. ეს არის ის რეალობა, რომელშიც დღეისათვის გვიწევს ჩვენ ცხოვრება. მაგრამ, თუ უშუალოდ ამას როგორ აკეთებს და ოს და აფხაზ სეპარატისტებს როგორ აქეზებს საქართველოს წინააღმდეგ (მათ ზურგს უკან ამოფარებული), ეს კარგად ჩანს იმ მრავალრიცხოვანი დოკუმენტებიდან, რომელიც მიღებულია რუსეთის ფედერაციის მთავრობისა თუ აფხაზური და ოსური დე-ფაქტო მთავრობათა წარმომადგენლების მიერ.

ოსი სეპარატისტები, რომელთაც აშკარად ზურგს უმაგრებდა რუსეთის ფედერაცია, XXI საუკუნის დასაწყისისათვის თავს დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ თვლიდა და 2001 წლის 8 აპრილს მიიღო კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), რომელშიც აღნიშნულია, რომ:

„მუხლი 1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა არის სამხრეთ ოსეთის ხალხის თვითგამორკვევის შედეგად შექმნილი სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო...

მუხლი 2. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დამოუკიდებლად განსაზღვრავს თავის სახელმწიფო სამართლებრივ სტატუსს, წყვეტს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული აღმშენებლობის საკითხებს.

მუხლი 10. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას უფლება აქვს შევიდეს სხვა სახელმწიფოების კავშირში და

გადასცეს კავშირის ორგანოებს თავისი უფლებამოსილების ნაწილი...”[1]

ამ კონსტიტუციის მიღებით ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულმა მთავრობამ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საქართველოს იურიდიული სივრციდან გამოსვლა და იურიდიულად მოამზადა საფუძველი რუსეთის ფედერაციაში შესვლისა.

შერეულმა საკონტროლო კომისიამ 2001 წლის 21 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ. რომელშიც ვკითხულობთ: „საფუძვლად იქნეს მიღებული ლტოლვილთა სპეცკომიტეტის მიერ წარმოდგენილი ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ და ქართულ-ოსური კონფლიქტების შედეგედ დაზარალებულ სხვა პირთა დაბრუნების, მოწყობის, ინტეგრაციისა და რეინტეგრაციის რუსულ-ქართული სამთავრობათშორისი პროგრამის პროექტი მათი დაბრუნების რაიონებში მეურნეობის აღდგენის ღონისძიებების ჩათვლით”.[2] ამავე კომისიის მიერ ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ დადგენილება 2001 წლის 3 ივლისაც იქნა მიღებული,[3] მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა და ლტოლვილთა პრობლემა კვლავ გადაუწყვეტელი დარჩა.

რუსეთის ფედერაციამ 1999 წლის ეუთოს სტამბოლის ერთობლივ შეხვედრაზე დადო პირობა დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა და ნელ-ნელა თავისი ჯარები გაეყვანა საქართველოდან. ამის შეუსრულებლობის გამო 2001 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება: „საქართველოს პარლამენტი უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს რუსე-

---

[1]გაზ. „Южная Осетия”, №33, 2001

[2]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., 2005: გვ. 377-378

[3]იქვე, გვ. 382-383

თის ფედერაციის მიერ ეუთოს 1999 წლის სტამბოლის ერთობლივი განცხადების შეუსრულებლობის გამო...

მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა საშიში პრეცენდენტია და საფრთხეს უქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და მსოფლიო მართლწესრიგს".[4] მიუხედავად ამ სამართლიანი მოწოდებისა, რუსეთი, რომელიც აშკარად ანტიქართულ პოლიტიკას ატარებდა (და საუბედუროდ დღემდე ატარებს), არ ჩქარობდა საქართველოდან თავისი ჯარების გაყვანას.

მოსკოვის წაქეზებით ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ცხინვალის რეგიონში რამდენადმე კიდევ უფრო დაიძაბა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული პირების შეღწევისა და მათ მიერ აქ მყოფი სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებთან შეტაკებების სახით.[5] ამას დაემატა ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმის მიერ 2001 წლის 18 ნოემბრისათვის დაგეგმილი არარსებული ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნა, რომელიც დაგმო საქართველოს პარლამენტმა: „საქართველოს პარლამენტი ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული რეჟიმის ეს გადაწყვეტილება სამართლებრივად უსაფუძვლოა და წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მორიგ მცდელობას."[6]

ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების რუსეთის მხრიდან აშკარად შეუფარავ ესკალაციას

---

[4]გაზ., „აფხაზეთის ხმა", №29, 2001

[5]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., 2005: გვ. 388

[6]www. Parlament. Ge

და ოსურ-აფხაზური სეპარატისტული დე-ფაქტო მთავრობების საქართველოს წინააღმდეგ მხარდაჭერის კლასიკური ნიმუშია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის 2002 წლის 6 მარტის განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: „სახელმწიფო დუმა მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის თანმიმდევრულად გამოხატულ რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებით დაინტერესებას... მოვლენების არახელსაყრელი განვითერების შემთხვევაში სახელმწიფო დუმა მზადაა განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის შემდგომი ჩამოყალიბების სხვა გზა მათი ხალხების ნების დემოკრატიული გამოხატვის საფუძველზე და ბოლო დროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად".[7] ბოლო დროს პრაქტიკაში გამოყენებულ საერთაშორისო სამართლის ნორმებში რუსეთი აშკარად ბალკანეთის ნახევარკუნძულს და აღმოსავლეთ ევროპას გულისხმობს. მას დასავლეთისადმი ერთგვარი შურისძიება ამოძრავებს და აფხაზურ-ოსური კონფლი–ქტების აშკარად გაღვივებითა და ხელშეწყობით ცდილობს ერთგვარად სამაგიერო გადაუხადოს „დანარჩენ მსოფლიოს" იმისათვის, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის საკითხები მის დაუკითხავად და რიგ შემთხვევაში, მისთვის არასასურველად რომ გადაწყვიტეს.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების გაჩენა გარკვეულწილად განაპირობა, ზემოთ აღნიშნუ–ლიდან გამომდინარე დიდ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციბს შორის არსებულმა

---

[7]www. duma. ru

გეოსტრატეგიულმა და პოლიტიკურმა არათავსებადობამ. რუსეთის დუმის ეს განცხადებაც სწორედ ამ ფონზე უნდა განვიხილოთ. საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 20 მარტს დაგმო მოსკოვის მხრიდან გამოხატული აშკარა ანტიქართული პროპაგანდა და განაცხადა:

„...რუსეთის სათათბიროს განცხადება, რომ იგი ითანამშრომლებს „აფხაზეთის" და „სამხრეთ ოსეთის" თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან და „ცალმხრივად მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის ფედერაციის საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, მათ შორის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ურთიერთქმედების საფუძველზე", წარმოადგენს რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ეჭვქვეშ დაყენებას და სეპარატისტების მხარდაჭერას... ამგვარი ტიპის განცხადებები შესაძლებელია აღქმული იქნეს მხოლოდ როგორც პოლიტიკური ფონის მომზადება საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებისათვის".[8]

2002 წლის 24 მაისს ქალაქ სანკტ-პეტერბურგში გაიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ. პუტინისა და აშშ პრეზიდენტ ჯ. ბუშის შეხვედრა, სადაც მათ ერთობლივი განცხადება გააკეთეს: „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მუშაობაში, მხარს ვუჭერთ მის სუვერენიტეტს...".[9] აღნიშნული განცხადება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მოსკოვს პრაქტიკულად არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება (მის მიერვე პროვოცირებულ) აფხაზურ-ოსური კონფლიქტებისადმი, ჩვენთვის ფარატინა ქაღალდის

---

[8]გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №68, 2002)
[9]www. usinfo. state. gov

ტოლფასი განცხადებაა. უფრო მეტიც ის აგრძელებს კონფლიქტის ესკალაციას. ვ. პუტინი ამარტივებს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღებას და ცდილობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობა მისცეს.[10]

ორიოდე სიტყვით შევეხოთ „შერეული საკონტროლო კომისიის“ მოღვაწეობას. ის შეიქმნა 1992 წლის 24 ივნისის ქალაქ სოჭის შეთანხმების მესამე მუხლის თანახმად. კომისიის მუდმივი წევრები იყვნენ საქართველო, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, რუსეთი და ესწრებოდნენ ეუთოს, ევროკომისიის და გაეროს წარმომადგენლები. დაარსებიდან 10 წლის შემდეგ 2002 წლისათვის 22 შეხვედრის ოქმი არსებობდა, რომელიც იყოფოდა სამ ჯგუფად. შერეული საკონტროლო კომისიის ოქმებში ძირითადად ვკითხულობთ, რომ აფხაზური და ოსური კონფლიქტური კერები მოკლე დროში უნდა აღმოიფხვრას, უნდა მოხდეს ამ კერების ეკონომიკური აღორძინება და ლტოლვილთა უკან დაბრუნება. ასევე აქვე საუბარია რიგ მიმდინარე საკითხებზეც, მაგრამ დოკუმენტები თავისი შინაარსით და განცხადებებით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. რუსეთის ფედერაციის განცხადებით აღნიშნული კომისია ქმედითუნარიანია და დიდ როლს თამაშობს ამ კონფლიქტების მოგვარებაში. რეალურად კი საქმე იმაშია, რომ ვერც ეს კომისია და ვერც მის მიერ მიღებული დადგენილებები დიდი ვერაფერი ბედენა იყო. რადგანაც კონფლიქტური კერები ისევ ინარჩუნებდა დაძაბულობის მაღალ მუხტს და რუსეთი ისევ ძველებურად განაგრძობდა სეპარატისტული მთავრობების აშკარა მხარდაჭერას.

---

[10]Собрание Законодателъства Российской Федераций, №22, 2002: 5481-5496

დღითიდღე იზრდებოდა რუსეთის ექსპანსიის მუქარა საქართველოს წინააღმდეგ. ეს კარგად დაინახა ევროსაბჭომ და ამასთან დაკავშირებით გააკეთა სპეციალური განცხადება (2002 წლის 25 სექტემბერს, ქალაქ სტრასბურგში):

„11. ანსაბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას: თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისა და განცხადებისაგან, რომელნიც შეიძლება წარმოადგენდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო მოქმედებების გატარებისაგან, როგორც ეს განცხადებული იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის 2002 წლის 11 სექტემბერს".[11] ანალოგიური ხასიათის განცხადება იქნა გაკეთებული 2003 წლის 30 იანვარს საქართველოს პარლამენტის მიერაც.[12]

რუსული პოლიტიკის ერთგვარმა გამტარებელმა დსთ-მ 2003 წლის 19 სექტემბერს გააკეთა განცხადება, რომ „კვლავ აღიარებს რა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს...".[13] თუმც იგივე რუსეთი 2004 წლის 2 ივნისს აკეთებს შემდეგი ხასიათის განცხადებას: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმამ ღრმა წუხილით აღიქვა საინფორმაციო სააგენტოების ცნობა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 2004 წლის 31 მაისს სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების შეყვანის თაობაზე. სახელმწიფო დუმის დეპუტატთა აზრით, ეს აქცია

---

[11]აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III, გვ. 318-320

[12]www. Parlament. ge

[13]გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", №251, 2003

სანქცირებული იყო ქართული პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ და შეიძლება შეფასდეს, უთუოდ როგორც ძალის დემონსტრირება. ამგვარი ქმედებები იწვევენ სამხრეთ ოსეთის გარშემო ვითარების მკვეთრ დესტაბილიზებას...".[14] ამრიგად, რუსული დემოკრატიულობის თამაშის „ნიღაბი" (დსთ-ს განცხადების სახით), მისმა მკვეთრად გამოხატულმა ანტიქართულმა „რეალურმა" პოლიტიკურმა სურათმა შეცვალა. საქართველოს პარლამენტმა (2004 წლის 4 ივნისს) მოუწოდა რუსეთს: „საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ცალკეულ ორგანოებს და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გამოიჩინონ მეტი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა, ობიექტურობა, კორექტულობა და თავშეკავება".[15]

შემაშფოთებელია ცხინვალის რეგიონის კონფლიქტური კერისადმი გაკეთებული რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმის განცხადება (2004 წლის 10 ივლისი), რომელშიც ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწეფო დუმა გამოხატავს უკიდურეს წუხილს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ვითარების მკვეთრ გამწვავებასთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ ოსეთი რუსეთის შემადგენლობაში 1774 წელს ნებაყოფლობით შევიდა როგორც ერთიანი ოსეთი და არა როგორც სამხრეთ და ჩრდილო ოსეთი. ეს ერთიანი ხალხია.

სახელმწიფო დუმის დეპუტატები უკიდურესად შეშფოთებულნი არიან ცნობებით იმის შესახებ, რომ საქართველოს ხელისუფალნი არ წყვეტენ თავიანთ მართლსაწინააღმდეგო და პროვოკაციულ ქმედებებს

---

[14]www. duma. Ru

[15]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში.., 2005: გვ. 466-467

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში. ამგვარი მეთოდების გამოყენებით საქართველოს ხელისუფალნი უხეშად არღვევენ აღნიშნულ შეთანხმებას და საქმე მიჰყავთ იმისაკენ, რომ ქართულ-ოსური პრობლემის გადაწყვეტა გაიყვანონ სამართლებრივი სიბრტყის გარეთ. უკიდურეს გაოცებას იწვევს საქართველოს ხელმძღვანელობის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებანი, რომლებშიც გამართლებულია ქართული ძალოვანი სტრუქტურების პროვოკაციული ქმედებები რუსი მშვიდობისმყოფელების წინააღმდეგ...

ზემოხსენებულის გათვალისწინებით სახელმწიფო დუმის დეპუტატების აშკარა გაოგნებას იწვევს ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის წევრების პოზიცია, რომლებმაც არსებითად მხარი დაუჭირეს ქართული დელეგაციის მიერ სამხრეთ ოსეთში სიტუაციის თაობაზე მიცემულ შეფასებას..."[16]

ვგონებ, რაიმე კომენტარის გაკეთება აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით ზედმეტია. კონფლიქტის კიდევ ეფრო მეტი ესკალაციისა და პროვოცირებისაკენ გადადგმული ნაბიჯია რუსეთის დუმის 2004 წლის 5 აგვისტოს განცხადება, რომელშიც ვკითხულობთ: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო დუმა განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში უკიდურესად გამწვავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებული სიტუაცია კავკასიაში. ოფიციალური თბილისის მხრიდან ისმის საომარი სულისკვეთებით გამსჭვალული, ხოლო ზოგჯერ აშკარად აგრესიული განცხადებები, ქართულ-ოსური და ქართულ-

---

[16]www. duma. ru

აფახაზური კონფლიქტების ცალმხრივად გადაწყვეტის მიზნით ყველაზე გადამჭრელი ზომებზე წასვლის მზადყოფნის შესახებ... ქართულმა მხარემ სხვა დაინტერე–სებული მხარეების აზრის სრული იგნორირებით კურსი აიღო არსებული პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტისაკენ...

შეუწყვეტელი მუქარა საქართველოს ხელმძღვანე–ლობის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედე–რაციის მოქალაქეების მიმართ, წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის ხელყოფის მცდერლობას..."[17] აღნიშნული განცხადება, თუ ჩავუკვირდებით მის ქვეტექსტს, მეტად შემაშფოთებელია და ერთგვარი სამხედრო ექსპანსიის დაწყების მუქარის ტოლფასია. იმ მუქარისა, რომელიც ცდილობს აშკარა ფართომასშტაბიანი შეტაკებების დაწყებამდე იურიდიული გამართლება მოუძებნოს საკუთარ ქმედებებს (რომელიც მართლაც სისრულეში მოიყვანეს 2008 წლის აგვისტოში). ევროპარლამენტი კარგად ჩაწვდა რუსეთის ამ განცხადების ქვეტექსტს და 2004 წლის 13 ოქტომბერს, ბრიუსელის შეხვედრისას საქართველოსთან დაკავშირებით მიიღო სპეციალური რეზოლუცია: „...ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონში კონფლიქტის მოუგვარებლობა მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის განვითარებას...

გმობს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების განცხადებას სამხრეთ კავკასიის რეგიონზე პრევენციული სამხედრო დარტყმების განხორციელების თაობაზე, რასაც რუსეთის ხელისუფლება საფუძვლად უდებს რუსეთის უსაფრთხოების დოქტრინას... ევროპარლამენტი მხარს

---

[17]www. duma. ru

უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების მოგვარება უნდა მოხდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და ნდობის აღდგენის გზით, საქართველოს მოქალაქეების უფლებების გათვალისწინებით...”[18]

მიუხედავად ამ განცხადებებისა, 2005 წლის მიწურულისათვის ცხინვალის რეგიონში ვითარება კვლავ ფეთქებადსაშიში რჩება. ქართული მხარე ცდილობს კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების მკაცრი დაცვით გადაწყვიტოს. რუსეთის ფედერაცია კი, დასავლური დემოკრატიული ღირებულებების საპირისპიროდ, საქართველოს გეოსტრატეგიული მნიშვნელობისა და ენერგეტიკული პოლიტიკის საჭიროების გათვალისწინებით არად დაგიდევთ ქართული იურიდიული სივრცისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას.

[18]www. Parlament. ge

აფხაზეთის კონფლიქტი 2000-2005 წლებში

XXI საუკუნის დასაწყისისათვის აფხაზეთის რეგი–ონის კონფლიქტური კერა ისევ ქართული იურიდიული სივრცის მიღმაა. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა კონფლიქტის ინსპირატორი რუსეთის წაქეზებითა და მხარდაჭერით თავს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აცხადებს.

2000 წლის 18-19 იანვარს თბილისში გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების საკოორდინაციო საბჭოს მეცხრე სესია, რომლის დროსაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

„1. ცეცხლის მყარი განუახლებლობისა და უსაფრთხოების საკითხები;

2. ლტოლვილები და ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირები;

3. ეკონომიკური და სოციალური პრობლემები;

4. სხვადასხვა;"[1]

მაგრამ რაიმე კონკრეტულზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. გაეროს უშიშროების საბჭომ 2000 წლის 31 იანვარს გააკეთა აფხაზეთის კონფლიქტური კერისადმი მიძღვნილი სპეციალური განცხადება, რომელშიც

---

[1]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში-სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული გვ. 345-346

აღნიშნულია:

„...გამოთქვამს ღრმა შეშფოთებას იმის გამო, რომ კონფლიქტის ზონაში საერთო სიტუაცია კვლავაც არასტაბილურია, თუმცა ამჟამად მშვიდია.

...3. მტკიცედ უჭერს მხარს განუხრელ ძალისხმევას, რომელსაც გენერალური მდივანი და მისი სპეციალური წარმომადგენელი ეწევიან რუსეთის ფედერაციის, როგორც ხელშემწყობი მხარის, აგრეთვე გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფის და ეუთოს დახმარებით, იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ სიტუაციის სტაბილიზაციას და ყოვლისმომცველი პოლიტიკური მოწესრიგების მიღწევას, მათ შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადაწყვეტას;

4. კვლავაც მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს გააღრმავონ თავიანთი მონაწილეობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის განხორციელებაში, განაგრძონ თავიანთი დიალოგის გაფართოება და დაუყოვნებლივ გამოავლინონ საჭირო ნება, რათა არსებით შედეგებს მიაღწიონ მოლაპარაკების საკვანძო საკითხებთან, კერძოდ, ყოვლისმომცველი მოწესრიგების ფარგლებში თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის საკითხთან დაკავშირებით, ამასთან სრულად სცეს პატივი საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში...“[2]

ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ამის შემდეგაც (2000 წლის 20 აპრილს[3] და 2000 წლის 11

---

[2]www.un.org/docs

[3]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 349-350

ივლისს)[4] მაგრამ, აფხაზეთის მხრიდან შეუვალი პოზიციების გამო, ის მხოლოდ ცარიელ შეთანხმებად დარჩა. მოხდა შეხვედრები და მიღებულ იქნა დადგენილება კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით გადაწყვეტის შესახებ.

მნიშვნელოვანია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია შემდეგი: „მოუწოდებს კონფლიქტის მონაწილე მხარეებს ასევე განახორციელონ ადრე შეთანხმებული ნდობის განმწკიცების ღონისძიებანი და შეიმუშაონ შემდგომი ღონისძიებანი სოხუმში 2000 წლის 11 ივლისს ხელმოწერილი შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე, და ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს უკრაინის მთავრობის წინადადებას გამართონ იალტაში მესამე შეხვედრა, რომელიც მიეძღვნება მხარეთა შორის ნდობის განმტკიცებას, უსაფრთხოების გაძლიერებასა და თანამშრომლობის განვითარებას"[5]

2000 წლის ნოემბრის თვეში რუსეთმა საქართველოსთან სავიზო რეჟიმი შემოიღო, რომელიც რუსეთის სახელმწიფოს სუვერენული ნება გახლდათ, მაგრამ არავის არ ჰქონდა უფლება საქართველოსთან შეუთანხმებლად განსხვავებულ მდგომარეობაში ჩაეყენებინა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა. საქართველოს პარლამენტის განცხადებით „როგორც ამას რუსული მხარე ცალმხრივად აპირებს სავიზო ხელშეკრულების გაფორმებას დამატებითი ოქმით, სადაც საუბარი იქნება საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობისათვის საზღვრის გადაკვეთის გამარტივებულ რეჟიმზე.

---

[4] იქვე, გვ. 351
[5] www.un.org/docs

საქართველოს პარლამენტი ზემოაღნიშნულს განიხილავს, როგორც საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზენაესობის უპატივცემულობას. ეს არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს, სამართლიანათ აღიქმება საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობა და კიდევ ერთხელ ადასტურებს რუსეთის ხელისუფლების საეჭვო ზრახვებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მიმართ.

თუ რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მაინც გადაწყვეტს დააწესოს სავიზო რეჟიმის წარმომადგენელი ვარიანტი, რაც არის რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების უხეში დარღვევა, საქართველოს პარლამენტი ამ ნაბიჯს განიხილავს, როგორს საკუთარი ტერიტორიის ანექსიის მცდელობის ფაქტს, საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მიტაცების იურიდიულ დაკანონებას და მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ საქართველო გამოიყენებს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ბერკეტებს საკუთარი სუვერენიტეტისა და მთლიანობის დასაცავად."[6]

მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ამ განცხადებისა, რუსეთის ფედერაციის მთავრობამ 2000 წლის 30 ნოემბერს გამოსცა საგანგებო განკარგულება, სადაც მითითებულია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით კვლავ გაგრძელდება მოლაპარაკება, ხოლო მოლაპარაკების პროცესში ორივე მხარე ვალდებულია „რუსეთ-

---

[6]www.Parliament.ge

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე შეინარჩუნოს მოქალაქეთა გატარების მოქმედი წესი."[7]

ამ დიპლომატიური პასუხით რუსეთის მთავრობამ ისევ ძალაში დატოვა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე მოქალაქეთა გატარების მოქმედი წესი.

ევროპარლამენტმა 2001 წლის 18 იანვარს მიიღო რეზოლუცია რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს მიმართ სავიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით. რომელშიც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ასევე განცხადება, რომ „...სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოუგვარებელი კონფლიქტები აფერხებს ეკონომიკურ განვითარებასა და პოლიტიკურ სტაბილურობას როგორც საქართველოში, ასევე მთლიანად რეგიონში...

1) მიუთითებს, რომ სავიზო რეჟიმის შემოღება, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა, მაგრამ საქართველოს მოქალაქეების მიმართ მოქმედი სავიზო რეჟიმიდან სეპარატისტული რეგიონების ცხინვალისა და აფხაზეთის გამოყოფა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის (რასაც რუსეთის ფედერაციის მთავრობა ოფიციალურად უჭერს მხარს) ხელყოფად აღიქმება და მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას გადასინჯოს ეს გეგმები და გაითვალისწინოს, რომ ისინი შესაძლოა საქართველოს უდავო ტერიტორიების დე-ფაქტო ანექსიად აღიქვან...

---

[7]Собрание Законодатеъства Росийскон Федерации, 2000, №50, стр. 9563

2) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის მთავრობას, შეაჩეროს საქართველოს
მიმართ შემოღებული სავიზო რეჟიმის მოქმედება, იმ წარმოქმნი სიძნელეთა გამო, ჩვეულებრივი მოქალაქეები, რომ განიცდიან.

3) აღნიშნავს, რომ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებთათვის
საზღვრის გადაკვეთის გამარტივებული პროცედურის ცალმხრივად შემოღებით რუსეთის ფედერაცია საეჭვოს ხდის თავის, როგორც ამ კონფლიქტების მედიატორის, როლს...

4) მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, როგორც გადაუდებელი ღონისძიება,
პატივი სცეს ეუთოს ფარგლებში 1999 წელს სტამბოლში მიღწეულ შეთანხმებას საქართველოს ტერიტორიიდან ჯარების გაყვანის შესახებ."[8]

ევროპარლამენტის აღნიშნული რეზოლუცია მკაფიოდ გამოხატავს როგორც მის პოზიციას აღნიშნული კონფლიქტისადმი ზოგადად, ასევე, მკაცრად გმობს რუსეთის ფედერაციის ქმედებას.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია რუსეთის მხრიდან 2000 წლის ნოემბერში აფხაზეთში გამართული სამხედრო წრთვნები. მედიატორი კონფლიქტის ზონაში წვრთნებს და ძალის დემონსტრირებას არ უნდა ახდენდეს. აღნიშნული ქმედება დაგმობილ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 2001 წლის იანვარში.[9] 2001 წლის 23 თებერვლის ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის გადაწყვეტილებით: აფხაზეთის კონფლიქტი გადაწყვეტილ უნდა იქნეს საქართველოს ტერიტორი–

---

[8]გაზეთი „სახალხო გაზეთი",№213 2001 წლის 25-31 იანვარი
[9]www.un.org/docs

ული მთლიანობის, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის გარანტიებისა და დემოგრაფიული სიტუაციის ხელოვნური შეცვლის, აფხაზეთში (საქართველო), ჩატარებული „უპირატესად ქართული მუსახლეობის მასობრივი განადგურებისა და ძალადობრივი განდევნის"-აგან დაცვის საშუალებების მიცემის გათვალისწინებით, როგორც ამის შესახებ განცხადებული იყო ეუთოს ფარგლებში ბუდაპეშტში, ლისაბონში და სტამბოლში გამართულ უმაღლესი დონის შეხვედრებზე."[10]

საპასუხოდ სოხუმის სეპარატისტულმა რეჟიმმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა რუსეთის ფედერაცია, 2001 წლის 10 მარტისთვის დაგეგმა ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნები, რომელიც დაგმობილ იქნა 2001 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტის მიერ. პარლამენტის დადგენილებაში აღნიშნულია შემდეგი: „...საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების არჩევნების იმიტაციით სოხუმის სეპარატისტული რეჟიმი აგრძელებს უნაყოფო მცდელობას – შეიქმნას მსოფლიო საზოგადოების თვალში დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებისა და ხელისუფლების ლეგიტიმურობის იმიჯი. ეს აქტი სხვა არაფერია, თუ არა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მორიგი ცინიკური ნაბიჯი, გადადგმული ეუთოს (1994 წელი), ლისაბონის (1996წელი) და სტამბოლის (1999 წელი) უმაღლესი დონის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგების დასაკანონებლად.

---

[10]აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში. საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი ხელისუფლება, საერთაშორისო ორგანიზაციები. 1989-1999 წწ. ნაწილი III., 2000-2003, თბ., 2004, გვ. 139-140

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის ასეთი თვითნებობა შესაძლებელი ხდება მის მიმართ რუსეთის ფედერაციის გარკვეული წრეების ფარული მხარდაჭერის გამო, რასაც კონფლიქტის საბოლოო მოწესრიგების პროცესი ჩიხში შეჰყავს."[11]

უკრაინის მთავრობის მოწვევით 2001 წლის 15-16 მარტს იალტაში გაიმართა ქართულ-აფხაზური მხარეების შეხვედრა, რომელიც გახლდათ სხვა შეხვედრებთან შედარებით ყველაზე კონსტრუქციული, ყველაზე პრაქტიკული, სადაც შედგენილ იქნა ქართულ-აფხაზურ მხარეებს შორის ნდობის აღდგენისათვის აუცილებელ მოქმედებათა პროგრამა, რომელშიც ნათქვამია:

„ორგანიზებულ იქნეს ორივე მხარის ახალგაზრდობის წარმომადგენლების შეხვედრა წინანდალში.

1. ორგანიზებულ იქნეს ორივე მხარის სხვადასხვა პოლიტიკური წრეების წარმომადგენელთა შეხვედრა.

2. ხელი შეეწყოს ორივე მხარის ომის ვეტერანთა და ინვალიდთა ორგანიზაციების თანამშრომლობას.

4. ხელი შეეწყოს ორივე მხარის უხუცესების შეხვედრების გაგრძელებას.

5. ხელი შეეწყოს ორივე მხარის ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარების ჩატარებას თბილისის პოლი–ტიკური კვლევების სკოლის პროექტის ფარგლებში.

6. ორგანიზებულ იქნეს მხარეთა უნივერსიტეტებისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა, ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა, მათ შორის ისტორიკოსთა შეხვედრები, სამეცნიერო კავშირების აღდგენა, ინფორმაციის და ლექციების გაცვლის მიზნით.

---

[11]www.Parliament.ge

7. ხელი შეეწყოს თბილისისა და სოხუმის ბიბლიოთეკების ხელმძღვანელთა კონტაქტების გაგრძელებას.

8. ორგანიზებულ იქნეს მხარეთა მწერალთა კავშირების წარმომადგენელთა შეხვედრები.

9. ხელი შეეწყოს ინიციატივას „სოხუმხელსაწყოს" საქმიანობის აღდგენის შესახებ ორივე მხარის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

10. ხელი შეეწყოს ორივე მხარის ავიასაწარმოების წარმომადგენელთა შეხვედრების გაგრძელებას. გაგრძელდეს მჭიდრო თანამშრომლობა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ტერიტორიაზე არსებული რადიო-აქტიური ნარჩენების შენახვის უსაფრთხო ადგილებში გადატანის საკითხზე.

12. მოგვარდეს მხარეთა თანამშრომლობა მეღვინეობის დარგში.

13. მხარდაჭერა გაეწიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ურთიერთგაგების პროცესების გაშუქებას მხარეებს შორის ნდობის განმტკიცების მოქმედებათა პროგრამის შესრულების ფარგლებში, მათ შორის, საკოორდინაციო საბჭოს, მისი სამუშაო ჯგუფების, ორმხრივი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის ქმედებას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ქმედებას ერთობლივი პროექტების განხორციელებაში ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და სხვა დარგებში.

14. გაფართოვდეს გაზეთების გაცვლა ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის მხარეთა მიერ „საქართველოს რესპუბლიკის" და „აფსნის" ეგზემპლიარების თანაბარი რაოდენობის ერთმანეთისათვის გადაცემის გზით, გაეროსა და ეუთოს ფინანსური და მატერიალური ხელშეწყობით. ინფორმაციის უფრო ოპერატიული გაცვლის მიზნით, აღმოუჩინონ ტექნიკური მხარდაჭერა პირდაპირი ელექტრონული კავშირის დამყარებაში „აფსნიპრესსა" და

„კავკასპრესს" და მხარეთა სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის გაეროს მხარდაჭერით."[12]

ქართულ აფხაზურ მხარეებს შორის აღნიშნული ნდობის განმტკიცების მოქმედებათა პროგრამა შედგენილია უდიდესი გულისყურით და პროფესიონალიზმით. რომლის პრაქტიკაში გატარებაც უდავოდ მოიტანდა პოზიტიურ შედეგებს, მაგრამ აფხაზური (და მათ უკან მდგომი რუსეთის) მხარის მიერ ის იგნორირებული იქნა.

1999 წელს სტამბოლის უმაღლესი დონის შეხვედრაზე რუსეთის ფედერაციამ გააფორმა შეთანხმება დადგენილ ვადაბში დაეხურა გუდაუთის სამხედრო ბაზა და ეტაპობრივად გაეყვანა თავისი ჯარები იქედან, მაგრამ დაარღვია საერთაშორისო შეთანხმება. გუდაუთის სამხედრო ბაზის არ დახურვით რუსეთის ფედერაცია აშკარა მხარდაჭერას უცხადებდა აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმს. რუსეთის ფედერაციის მიერ საერთაშორისო შეთანხმების დარღვევის შესახებ საგანგებო დადგენილება შეიმუშავა საქართველოს პარლამენტმა, რომელშიც აღნიშნულია: „რუსეთის ფედერაციის მიერ გუდაუთის სამხედრო ბაზის დახურვის პროცესის გაჭიანურება საერთაშორისო ხელშეკრულების უხეში დარღვევა და აფხაზთა სეპარატისტული რეჟიმის აშკარა მხარდაჭერაა."[13]

გაერომ, როგორც მედიატორმა, წამოაყენა წინადადება თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დოკუმენტის პროექტის მომზადების შესახებ. მაგრამ, ამის

---

[12]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 366-369
[13]გაზეთი „აფხაზეთის ხმა", №29, 2001 წლის 20 ივლისი

ნება უნდა ყოფილიყო კონფლიქტში მონაწილე როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარიდანაც. ამასთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭომ 2001 წლის 31 ივლისს მიიღო რეზოლუცია:

„აღნიშნავს, რომ სპეციალური წარმომადგენელი აპირებს წარმოადგინოს თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ დოკუმენტის პროექტი, როგორც საფუძველი სუბსტანციური მოლაპარაკების გამართვისათვის, და არა როგორც მცდელობა, თავს მოახვიოს ან უკარნახოს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება მხარეებს.

7. მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ აფხაზურ მხარეს, დაუყოვნებლივ მოახმაროს ძალისხმევა ჩიხიდან გამოსვლისათვის და დაიწყოს მოლაპარაკება კონფლიქტის ძირითადი პოლიტიკური საკითხებისა და ყველა სხვა გადასაწყვეტი საკითხის თაობაზე სამშვიდობო პროცესის ფარგლებში, რომელიც ხორციელდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით.”[14]

იალტის კონფერენცია, როგორც ზემოთ ავღნიშნე, გახლდათ ყველაზე შინაარსიანი და პრაქტიკული წინადადებიბებით აღსავსე, კონსტრუქციული და პრობლემის პოზიტიურად გადაწყვეტის მისწრაფებით განმსჭვალული. გაეროს ზემოთ მოყვანილი კონსტი–ტუციური უფლებემოსილებათა გამიჯვნის დოკუმენტის პროექტის მომზადებაც, ბუნებრივია, აღნიშნულ კონფლიქტს ნელ-ნელა, ეტაპობრივად აღმოფხვრიდა.

აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ, 2001 წლის 24 ნოემბრისათვის დანიშნა საპარლამენტო არჩევნები. რომელიც არ დარჩენილა საქართველოს პარლამენტის მხრიდან რეაგირების გარეშე: „ე.წ. პარლამენტის

---

[14]გაზეთი „აფხაზეთის ხმა”, №32, 2001 წლის 10 აგვისტო

მორიგიარჩევნები არის სოხუმის რეჟიმის კიდევ ერთი მცდელობა, არ ცნოს ეუთოს ბუდაპეშტის (1994 წ.), ლისაბონის (1996 წ.) და სტამბულის (1999 წ.) სამიტის შეხვედრებზე ოფიციალურად აღიარებული აფხაზეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შედეგები.

საქართველოს პარლამენტი ღრმად არის დარწმუნებული, რომ აღნიშნული უკანონო არჩევნების ჩატარება ამჯერად არ დარჩება მსოფლიო გაერთიანების ქვეყნების მხრიდან პრინციპული რეაგირების გარეშე" [15] აღნიშნულია მის განცხადებაში, მაგრამ აფხაზურ მხარეს კონფერენციის დადგენილებათა შესრულების დიდი სურვილი ნამდვილად არ ემჩნეოდა. უფრო მეტიც, მის ზურგს უკან მდგარი რუსეთი, რომლის მიზანი ნებისმიერი საშუალებით აფხაზეთის ტერიტორიის ხელში ჩაგდება იყო, საერთოდ არად დაგიდევდათ საერთაშორისო შეთანხმებებს და აშკარად იგნორირებას უკეთაბდა მას.

რუსეთის ფედერაციის აშკარა მხარდაჭერა აფხაზი სეპარატისტების მიმართ არა ერთხელ იქნა განხილული, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერაც და ეს საიდუმლოს აღარ წარმოადგენს. აფხაზურ კონფლიქტში 1994 წლის ივლისიდან დსთ-ს ეგიდით რუსეთის სამშვიდობო ძალები იქნა ჩართული, მაგრამ ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა ქართველთა წინააღმდეგ მიმართული ეთნოწმენდის პოლიტიკა. საქართველოს პარლამენტის სტატისტიკით „დადასტურებულია, რომ ამ ხნის განმალობაში (იგულისხმება 1994 წლიდან 2001 წლამდე- ს.ა.) ე.წ. უსაფრთხოების ზონაში დაიღუპა 1700-ზე მეტი ადამიანი, სამშვიდობო ძალების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ განხორციელდა უამრავი დანაშაული, აფხაზეთი გადაიქცა ტერორისტების,

იარაღითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეების და სხვა ორგანიზებულ დანაშაულებათა სათარეშო, განუკითხავ, უკონტროლო ტერიტორიად;"[15]

იმავე დოკუმენტში ნათქვამია: „ვინაიდან რუსეთის არაკონსტრუქციული მიდგომის შედეგად ჩიხში მოექცა და ბლოკირებულია გაეროსა და საქართველოს მეგობარი ქვეყნების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის სტატუსის შესახებ შემუშავებული პროექტის განხილვა და მიღება;

I. წინადადება მიეცეს საქართველოს პრეზიდენტს:

ბ) გაეროს, ეუთოს და საქართველოს მეგობარი ქვეყნების მთავრობების წინაშე სასწრაფოდ დასვას შემდეგი საკითხი–კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო კონტიგენტის სანაცვლოდ შეყვანილ იქნეს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები, ამასთან, გაიზარდოს სამხედრო დამკვირებელთა რაოდენობა და გაფართოვდეს მათი მანდატი."[16]

გაეროს უშიშროების საბჭომ, აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების მიზნით 2001 წლის 31 იანვარს მიიღო კიდევ ერთი რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია:

„3. მიესალმება და ხელს უწყობს მეგობართა ჯგუფის ყველა წევრის მონაწილეობითა და სრული მხარდაჭერით დოკუმენტის „თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები, მომზადებაზე და მის თანმხლებ წერილზე მუშაობის დასრულება მხარს უჭერს ამ დოკუმენტების საფუძველზე სპეციალური წარმომადგენლის მიერ გაწეულ ძალისხმევას, რომელნიც წარმოადგენენ პოზიტიურ ელემენტებს მხარეთა შორის

---

[15]www.Parliament.ge

[16]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №251, 2001 წლის 12 ოქტომბერი

მშვიდობიანი პროცესის მოგვარებაში.

4. შეახსენებს იმას, რომ ამ დოკუმენტების მიზანს შეადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობით სუბსტანტური მოლაპარაკებების ჩატარება მხარეებს შორის საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის თაობაზე და არა ის, რომ ეცადოს თავს მოახვიოს, ან უკარნახოს მხარეებს რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება;

5. შეახსენებს შემდგომ იმის თაობაზე, რომ მოლაპარაკებების პროცესი, რომელსაც საქმე მიჰყავს ორივე მხარისათვის მისაღებ მტკიცე პოლიტიკურ მოწესრიგებამდე, ორივე მხარისაგან გარკვეულ დათმომებს მოითხოვს;

6. დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი და მისი თანმხლები წერილი უახლოეს მომავალში, ჩაატარონ მათი ღია და სრული განხილვა და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მათი არსის შესახებ და მოუწოდებს სხვებს, ვისაც გააჩნია გავლენა მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამგვარ შედეგის მიღწევას;

7. მოუწოდებს მხარეებს გასწიონ ყველა შესაძლო ძალისხმევა მათ შორის შენარჩუნებული ურთიერთუნდობლობის დასაძლევად."[17]

გაეროს ეს წინადადებაც შეუსრულებელი დარჩა აფხაზური მხარისა და მის უკან მდგომი მოსკოვის რეაქციული ძალების ქმედებათა გამო. ნამდვილად რომ რუსეთის ფედერაცია იდგა აფხაზური და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების უკან, ამის კიდევ ერთი

---

[17]რეგიონალური კონფლიქტები საქართველოში, გვ. 397-399

დასტურია რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბიროს 2002 წლის 6 მარტის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ:

„სახელმწიფო სათათბირო მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობისა და მოსახლეობის თანმიმდევრულად გამოხატულ რუსეთთან უფრო მჭიდრო ურთიერთობებით დაინტრესებას... მოვლენების არახელსაყრელი განვითარების შემთხვევაში სახელმწიფო სათათბირო მზადაა განიხილოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრიობის შემდგომი ჩამოყალიბების სხვა გზა მათი ხალხების ნების დემოკრატიული გამოხატვის საფუძველზე და ბოლო დროს მსოფლიო თანამეგობრობის მიერ პრაქტიკაში გამოყენებული საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად."[18]

აშკარა გახდა, რომ რუსეთი იყო აღნიშნული კონფლიქტების გამღვივებელი და მისი ჯარები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამშვიდობო ოპერაციების ნაცვლად ასრულებდნენ მესაზღვრეთა ფუნქციებს. ამიტომაც, საქართველოს პარლამენტმა 2002 წლის 20 მარტი გააკთა ზუსტი ფორმულირება, რომ: „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალები ფაქტობრივად მესაზღვრეთა ფუნქციებს ასრულებენ აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის, ვერ, ახორციელებენ მანდატით დაკისრებულ მოვალეობებს, კერძოდ, ვერ უზრუნველყოფენ პირთა უსაფრთხო დაბრუნებისათვის პირობების შექმნას."[19]

---

[18]www.duma.ru

[19]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა",№69, 2002 წლის 22 მარტი

სამწუხაროდ რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ორგანომ არასწორად აღიქვა საქართველოს განზრახვა, აშშ ხელშეწყობით გაეძლიერებინა საკუთარი ძალები, რომლის შესახებაც 2002 წლის 20 მარტს საქართველოს პარლამენტმა გააკეთა შემდეგი განცხადება: „სამწუხაროდ, რუსეთის საკანონმდებლო ორგანომ არაადექვატურად აღიქვა საქართველოს განზრახვა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით გააძლიეროს საკუთარი შეიარაღებული ძალები და თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, რუსეთის სათათბიროს მიერ ამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება წარმოადგენს დაუფარავ მუქარას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, მის საშინაო საქმეებში უხეშად ჩარევის მცდელობას და იმის დემონსტრირებას, რომ რუსეთი საქართველოს განიხილავს არა მეგობარ, დამოუკიდებელ ქვეყნად, არამედ საკუთარი გავლენის სფეროდ."[20]

ასეთ ფონზე ცინიკურია ვ. პუტინის მხრიდან, ანტიტერორისტულ თანამშრომლობის შესახებ აშშ პეზიდენტ ჯ. ბუშთან ერთად გაკეთებული განცხადება, რომ „ჩვენ ვადასტურებთ ჩვენს ერთგულებას ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობისადმი, მხარს ვუჭერთ მის სუვერენიტეტს... ვართ რა გაეროს გენერალური მდივის მეგობართა ჯგუფის წევრები საქართველოს საკითხებში, რუსეთი და აშშ კვლავ ხელს შეუწყობენ აფხაზეთში და სამრეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი პოლიტიკური გადაწყვეტის წინსვლას."[21]

---

[20]გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №68, 2002 წლის 21 მარტი
[21]www.usinfo.state.gov

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტ ვ. პუტინის ამ განცხადების შემდეგ, რუსეთი კვლავ აგრძელებს აფხაზი და ოსი სეპარატისტების დახმარებას და მათ სთავაზობს რუსეთის ქვეყნის პასპორტებს. რუსეთის ფედერაციის კანონში მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების შესახებ ნათქვამია, რომ:

„უცხოეთის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთაც მიაღწიეს თვრამეტი წლის ასაკსს და ქმედითუნარიანნი არიან, უფლება აქვთ მიმართონ განცხადებით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მიღების თაობაზე...”[22], რომ შემდეგ თქვას, რომ ისინი რუსეთის მოქალაქეები არიან, ჩვენთან ყოფნა სურთ და ნელ-ნელა ამზადებს საფუძველს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისთვის ოფიციალურად ჯერ დამოუკიდებლობის მინიჭებისა და შემდეგ რუსეთთან შეერთებისთვის.

გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი სათაურით „თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები”, გახლდათ მართლაც პროგრე–სული მოვლენა და მისი საშუალებით შეიძლებოდა აღნიშნული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. მაგრამ აფხაზურმა მხარემ ისევ რუსეთისავე წაქეზებით არა ერთხელ უარყო ამ დოკუმენტის განხილვა. რასთან დაკავშირებითაც გაერომ გააკეთა სპეციალური განცხადება, რომ: „შეახსენებს, კერძოდ, თავის სრულ მხარდაჭერას დოკუმენტისადმი სათაურით „თბილიისა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები... გამოხატავს

---

[22] Собрание Законодательства Российской Федераций, №22, 2002., გვ. 5481-5496

ღრმა სინანულს, კერძოდ, აფხაზური მხარის მრავალჯერადი უარის თაობაზე დათანხმდეს ამ დოკუმენტის არსის განხილვას, კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს მხარეებს, კერძოდ აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი...“[23]

ძალიან მნიშვნელოვანი და კატეგორიული ხასიათისა იყო ქალაქ სტრასბურგში 2002 წლის 25 საქტემბერს შეკრებილი ევროპის საბჭოს ასამბლეის განცხადება, რომლის თანახმადაც „ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციის ხელისუფლებას:

I. თავი შეიკავოს ნებისმიერი ქმედებისა და განცხადებისაგან, რომელნიც შეიძლება წარმოადგენდნენ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას ან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევას, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო მოქმედებების გატარებისაგან, როგორც ეს განცხადებული იყო რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ 2002 წლის 11 სექტემბერს.

II. ქართულ ხელისუფლებასთან წინასწარი განხილვისა და თანხმობის გარეშე, თავი შეიკავონ ნებისმიერი ცალმხრივი ზომებისაგან, რომელნიც შეეხებიან საქართველოს და მის მოქალაქეებს, კერძოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, ეკონომიკური დახმარებისა და ადამიანთა და საქონლის გადაადგილების თავისუფლების სფეროს ჩათვლით, განსაკუთრებით ვიზები, საბაჟო და საპასპორტო საკითხების მიმართ;

III. უმოკლეს ვადაში საქართველოსთან მიღწეული შეთანხმების შესაბამისად გაყვანილ იქნეს

---

[23] www.un.org/docs

საქართველოდან სამხედრო ბაზები;"[24]

ევროპის საბჭოს აღნიშნული განცხადება, ბუნებრივია, განაპირობა საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა და მისმა აშკარა ჩარევამ (როგორც აღნიშნული კონფლიქტების აშკარა გამჩაღებელს) აფხაზურსა და ოსურ კონფლიქტებში. სწორედ ამანვე გამოიწვია საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 30 იანვრის საკმაოდ მკაცრი განცხადების გაკეთებაც რუსეთი მიმართ, რომელშიც აღნიშნულია:

„ამ ფონზე განსაკუთრებით შემაშფოთებელია რუსეთის (რომელიც ამავე დროს შუამავალია კონფლიქტის მხარეებს შორის) ქმედებები, რომლებიც საქართველოს მიერ ერთმნიშვნელოვნად აღიქმება აგრესიული სეპარატიზმის მხარდაჭერად. რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად და მისი ნების საწინააღმდეგოდ უვიზო რეჟიმის დაწესება საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთზე, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, სოჭი-სოხუმის მინაკვეთზე სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, აფხაზეთის კავშირგამბულობის სივრცის ათვისების მცდელობა, აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაცია რუსეთის იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ, რუსეთის მაღალი რანგის ოფიციალური პირების გახშირებული შეხვედრები აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან საქართველოს ხელისუფლების სრული უგულ–

---

[24]აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III., გვ. 318-320

ველყოფის ფონზე აღიქმება აფხაზეთის – საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად."[25]

მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნულ კონფლიქტთთან დაკავშირებით ბოდენის დოკუმენტი – „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები", რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს:

„1. საქართველო წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, დაფუძნებულს სამართლებრივ ნორმებზე. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები, დამტკიცებული 1991 წლის 21 დეკემბერს, ცვლილებას არ ექვემდებარება საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის გარეშე.

2. აფხაზეთი არის სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული სუვერენული წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს შიგნით. აფხაზეთს აქვს განსაკუთრებული სტატუსი სახელმწიფოს შიგნით, რომელიც ეყრდნობა ფედერალურ შეთანხმებას და განსაზღვრავს ზოგად უფლებემოსილებას და საერთო კომპეტენციის სფეროებს და დელეგირებულ უფლებამოსილებებს, ამასთან წარმოადგენს აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უფლებებისა და ინტერესების გარანტს.

3. უფლებემოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის უნდა ეყრდნობოდეს საკონსტიტუციო კანონის ძალის მქონე ფედერაციულ შეთანხმებას, აფხაზეთი და საქართველოს სახელმწიფო კეთილსინდისიერად უნდა ასრულებდეს ფედერაციული შეთანხმების დებულებებს. ფედერაციული შეთანხმება, ურთიერთშე-

---

[25]აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III.,გვ. 226-227

თანხმების გარდა, არავითარ გარემოებაში არ ექვემდებარება შესწორებებისა და დამატების შეტანას, გაუქმებას და ბათილად ცნობას.

4. უფლებამოსილებათა გამიჯვნა თბილისსა და სოხუმს შორის განსაზღვრული იქნება მათ შორის ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა თაობაზე 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის საფუძველზე. აფხაზეთის უფლებები და კომპეტენცია აღიარებული იქნება მეტი მოცულობით, ვიდრე ის სარგებლობდა 1992 წლამდე.
5. საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია შეცვლილი უნდა იქნეს ფედერაციული შეთანხმებით განსაზღვრული კომპეტენციის გამიჯვნის შესაბამისად; ამასთან შესაძლებელია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ 1994 წლის 4 აპრილის დეკლარაციის, კერძოდ მე-7 პარაგრაფის გამოყენება, რომელიც ეხება „ერთობლივი ღონისძიებების უფლებებს".
6. აფხაზეთის კონსტიტუცია, რომელსაც შეიძლება საფუძვლად დაედოს 1994 წლის 26 ნოემბრის აფხაზეთის კონსტიტუცია, შეცვლილი უნდა იქნეს თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ შეთანხმების შესაბამისად, ისე, როგორც ეს განსაზღვრულია ფედერაციული შეთანხმებით.
7. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუცია, ისე აფხაზეთის კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ანალოგიურ დებულებებს, რომელიც შეეხება თითოეული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის გარანტიებს, გამორიცხავენ ეროვნულ უმცირესო-

ბათა უფლებების დისკრიმინაციას. როგორც საქართველოს სახელმწიფოს კონსტიტუციაში, ასევე, აფხაზეთის კონსტიტუციაში არაფერი არ უნდა არღვევდეს ყველა განდევნილი და ადგილნაცვალი პირის უპირობო უფლებას თავის სახლებში სრული უსაფრთხოების პირობებში და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად დაბრუნებას.

8. საქართველოს სახელმწიფო და აფხაზეთი უნდა შეთანხმდნენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შემედგენლობასა და ღონისძიებების თაობაზე, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთის კონსტიტუციით და ფედერაციული შეთანხმებით „თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი საკითხების შესახებ."[26]

ბოდენის დოკუმენტი გახლდათ კიდევ ერთი მცდელობა ქართულ აფხაზური კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტისა. რომლის თანახმადაც კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე უნდა წასულიყო დათმობაზე. დოკუმენტის თანახმად აფხაზეთი რჩებოდა საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ აფხაზეთს გაეზრდებოდა თავისი უფლებები, რომელიც აღნუსხული იქნებოდა როგორც საქართველოს, აგრეთვე აფხაზეთის კონსტიტუციაში. მაგრამ არც ამ დოკუმენტს ეწერა აღსრულება, რადგანაც აფხაზმა სეპარატისტებმა და მათ უკან მდგომმა რუსეთის ფედერაციამ აბსოლიტური იგნორირება გაუკეთეს მას.

რუსეთი „ერთი ხელით" თავად აღვივებდა და

[26]აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III.,გვ. 228-229

დღემდე აღვივებს ე.წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტს, ხოლო „მეორე ხელით" კი იღებს დადგენილებებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და მის შემადგენლობაში აფხაზეთის ყოფნის უტყუარობის შესახებ. აღნიშნულის კარგი მაგალითია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს 2003 წლის 22 მარტის გადაწყვეტილება: „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, გამოხატავს რა უკიდურეს წუხილს კონფლიქტის მიერ წარმოშობილი პრობლემების გადაუწყვეტობის გამო, რაც ქმნის საფრთხის კერების წარმოქმნის რეალურ წინაპირობებს, რომელიც ემუქრება მშვიდობასა და სტაბილურობას რეგიონში, კვლავ ადასტურებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მისი საერთაშორისოდ არიარებული საზღვრების ფარგლებში, ამასთან აღნიშნავს, რომ აფხაზეთი წარმოადგენს საქართველოს განუყოფელ შემადგენელ ნაწილს..."[27] ანალოგიური ხასითის განცხადებაა გაკეთებული 2003 წლის 19 სექტემბერს იალტაში გამართულ დსთ-ს მეთაურთა საბჭოს სხდომაზეც. [28]

მოგეხსენებათ, რომ დსთ წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ საერთაშორისო ტრიბუნას და მისთვის არა სასურველი განცხადებები იქ არ გაკეთდებოდა. ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნული განცხადება დანარჩენი მსოფლიოსათვის თვალებში ნაცრის შეყრას წარმოადგენდა და მათი თვალის ასახვევად იქნა გაკეკეთებული.

---

[27] აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში, ნაწილი III., გვ. 347-349

[28] გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", №251, 2003 წლის 20 ოქტომბერი

სწორედ ის ფაქტი, რომ დსთ-ს ზურგს უკან ამოფარებული რუსეთის სახელმწიფო გახლდათ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რეალური ინსპირატორი და რომ დსთ-ს მანდატით მოქმედი რუსეთის სახელმწიფოს სამშვიდობო ძალები არ ასრულებდნენ მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, იქნა გახმაურებული საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილებაში, რომელშიც ნათქვამია, რომ: „დსთ-ის მანდატით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალები არ ასრულებენ მანდატით გათვალისწინებულ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმაშტაბიანი მოგვარების ხელშეწყობას, პირველ რიგში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა;

არ სრულდება დსთ–ის მეთაურთა საბჭოს 1999 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების შეფერხებისას განხილულ უნდა იქნეს აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის საკითხი გაეროს წესდებით გათვალისწინებული დებულებების საფუძველზე;

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება უგულვებელყოფს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ ძალისხმევას, კერძოდ, უარს აცხადებს განსახილველად მიიღოს გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მიერ მომზადებული დოკუმენტი „თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ", ასევე არ თანხმდება, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებთან თანამშრომლობაზე;

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ქართველთა წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდა

დადასტურდა ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბოლის სამიტების გადაწყვეტილებებით, რომლებსაც გაეროს მიერ აფხაზეთის საკითხზე მიღებული რეზოლუციებიც ითვალისწინებს, დღემდე გრძელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის დევნა, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთრების გასხვისება, ქართულ ენაზე სწავლისა და სწავლების აკრძალვა, ქართული კულტურის ძეგლების განადგურება.

საქართველოს პარლამენტი გუდაუთაში სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ რუსეთის მხარის განცხადებაზე დაყრდნობით მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას, დათანხმდეს ამ ბაზის ინსპექტირებას და საერთაშორისო სამართლის ნორმებით გათვალისწინებული სხვა პროცედურების განხორციელებას.

საქართველოს პარლამენტი ადასტურებს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოგვარების პრიორიტეტულობას და თვლის, რომ მისი მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ყველა რესურსი უნდა იქნეს ამოწურული ...”[29]

საქართველოს პარლამენტი ამ განცხადების საპასუხოდ რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბირომ გააკეთა განცხადება-„კავკასიაში სიტუაციის შესახებ”, რომელშიც საქართველოს მხარესთან დიალოგის ნაცვლად ისმის ერთგვარი მუქარა. მასში აღნიშნულია, რომ: „რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სათათბირო განსაკუთრებული შეშფოთებით აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში განსაკუთრებით გამწვავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის მოუწესრიგებლობასთან დაკავშირებული სიტუაცია

---

[29] www.Parliament.ge

კავკასიაში. ოფიციალური თბილისის მხრიდან ისმის საომარი სულისკვეთებით გამსჭვალული, ხოლო ზოგჯერ აშკარად აგრესიული განცხადებები, ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ცალმხრივი გადაწყვეტის მიზნით ყველაზე გადამჭრელი ზომებზე წასვლის მზადყოფნის შესახებ...

შეუწყვეტელი მუქარა საქართველოს ხელმძღვანელობის მხრიდან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების მიმართ, წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობას.

კონფლიქტი ყოფილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამალებულად ვითარდება კავკასიაში ფართომაშტაბიანი სამხედრო დაპირისპირებების მიმართულებით. საქართველოს ხალმძღვანელობის მიზეზით მასში შეიძლება ჩათრეულ იქნეს რუსეთის ფედერაცია. მოვლენათა სტიქიურ განვითარებას მოჰყვება სამხედრო კონფლიქშტი ამიერკავკასიაში მცხოვრები რუსეთის ფედერაციის ათასობით მოქალაქის ჩათრევა."[30]

აღნიშნული დოკუმენტი მრავალმხრივაა საინტერესო. ჯერ ერთი, რომ მასში კარგად ჩანს თუ რისთვის ჭირდებოდა რუსეთის ფედერაციას აფხაზეთსა და სამაჩაბლოში რუსული პასპორტების ძალით დარიგება (რომ შემდეგ „დაეცვა მისი მოქალაქეები"), აგრეთვე, როგორც ჩანს, მას ეშინია კონფლიქტში მთელი კავკასია არ აღმოჩნდეს ჩათრეული და ეს იმ ფონზე, როდესაც მას ისედაც დაძაბული აქვს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიურ რესპუბლიკებთან, და ბოლოს, ისმის შეფა-

---

[30]www.duma.ru

რული მუქარა, რომ რუსეთი იძულებული იქნება დაიცვას მისი მოქალაქეები და ამის გამო ის სამხედრო დაპირისპირებაზეც კი წავა.

2005 წლის დამდეგს ვითარება ისევ ისეთივე დაძაბული გახლდათ აფხაზეთში. აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობა და მის უკან მდგომი რუსეთის ფედერაცია არ მიდიოდა არანაირ დათმობაზე. მათ არ სურდათ არც მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის შესახებ და არც გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემოთავაზებული დოკუმენტის „თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები"-ს, განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს უშიშროების საბჭო მოუწოდებდა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარეს (საქართველოსა და აფხაზეთს) წასულიყვნენ დათმობაზე და მართალია აფხაზეთი უნდა დარჩენილიყო საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ აფხაზეთს ექნებოდა ფართო ავტონომია და მისი უფლებები კონსტიტუციურად იქნებოდა გამიჯნული ცენტრის უფლებებისაგან.

2005 წლის 28 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ კიდევ ერთხელ მიმართა აფხაზეთის სეპარატისტულ მთავრობას განეხილა დოკუმენტი სათაურით: „თბილისსა და სოხუმს შორის საკონსტიტუციო უფლებამოსილებათა გამიჯვნის ძირითადი პრინციპები", მაგრამ იქვე სინანულით დასძენს, რომ:

„გამოხატავს ღრმა წუხილს, აფხაზური მხარის მუდმივი უარის გამო დათანხმდეს ამ დოკუმენტის არსის განხილვას, კვლავ დაბეჯითებით მოუწოდებს აფხაზურ მხარეს, მიიღოს ეს დოკუმენტი და მისი თნმხლები წერილი, დაბეჯითებით მოუწოდებს ორივე მხარეს ჩაატაროს ამის შემდეგ მათი სრული და ღია განხილვა და დაუყოვნებლივ შეუდგნენ კონსტრუქციულ

მოლაპარაკებებს მათი არსის შესახებ და დაბეჯითებით მოუწოდებს მათ, ვისაც გააჩნია გავლენა მხარეებზე, ხელი შეუწყონ ამგვარ შედეგის მიღწევას."[31]

მსგავსი ხასიათის განცხადებაა გაკეთებული ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერაც 2005 წლის 1-5 ივლისს ვაშინგტონში. რომელშიც ნათქვამია:

„ხაზს უსვამს რა, რომ არ არსებობს აფხაზეთში (საქართველო), კონფლიქტის ყოვლისმომცველი მოწესრიგების ძირითად საკითხებში პროგრესი. შეახსენებს რა რუსეთის ფედერაციას საერთაშორისო ვალდებულებებს კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგის ხელშესაწყობად და უზრუნველსაყოფად...

